

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა: ამერიკისმცოდნეობა

ბესიკ გოგინავა

რეგიონალიზმის თავისებურებები ლათინურ ამერიკაში

ამერიკისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ელენე მემმარიაშვილი - ისტორიის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ლუის ფერნანდო კასტილიო არგანიარასი - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
სამართლის დოქტორი, ბუენოს აირესისა და არგენტინის სამეწარმეო
უნივერსიტეტების პროფესორი

თბილისი
2020

აბსტრაქტი

სადოქტორო დისერტაციის კვლევის ობიექტს წარმოადგენს რეგიონალიზმის, იგივე იუნიონიზმის ევოლუციის, მისი ჩამოყალიბების მიზეზებისა და გავლენა-შედეგების აღმოჩენა და შესწავლა ლათინური ამერიკაში. ასევე, იქ არსებული რეგიონული ორგანიზაციების მაგალითზე რეგიონალიზმის თითოეული ტალღის თავისებურებების გაანალიზება და ჩამოყალიბება.

კვლევის მთავარი ამოცანებია იმაზე პასუხის გაცემა, თუ როდის და რატომ დგებოდა ლათინურ ამერიკაში რეგიონალიზმის საჭიროება; რა გარემოებებში არსებობდა იგი რეგიონში; როგორი იყო ცალკეული ქვეყნის დამოკიდებულება რეგიონული ინტეგრაციის საკითხის მიმართ; რა დამოკიდებულება ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და როგორი იყო ლათინურ ამერიკულ რეგიონალიზმზე საგარეო გავლენა; არსებობდა თუ არა ორივე ამერიკის ინტეგრაციის შესაძლებლობა; რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან რეგიონალიზმის სხვადასხვა ტალღა; რა იყო რეგიონული ინტეგრაციის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები; როგორია რეგიონალიზმი დღეს და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას მომავალში არა მხოლოდ ლათინურ ამერიკაზე, არამედ საერთაშორისო წესრიგზეც.

კვლევა ეფუძნება პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზს. გამოყენებულია უნიკალური პირველწყაროები: ადგილობრივი იუნიონისტების სიტყვები, მემუარები, მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალა. თავისი ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე ზოგიერთი მათგანი „იუნესკოს“ კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

ძირითადი აქცენტი თვისებრივი კვლევის მეთოდებზეა გაკეთებული, თუმცა გარკვეული დოზით რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიც არის გამოყენებული. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შემთხვევის შესწავლის მეთოდს.

კვლევა ინტერდისციპლინურია. საკითხი შესწავლილი და გაანალიზებულია ისტორიული, გეოპოლიტიკური, ეკონომიკურ და საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში.

ნაშრომში განხილულია ლათინური ამერიკის ინტეგრაციის მოძრაობის ორსაუკუნოვანი პოლიტიკური და ინტელექტუალური ისტორიის თავისებურებები. საკითხი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ორასწლოვანი არსებობის მანძილზე ამ იდეას აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს. ლათინური ამერიკის გაერთიანების მოძრაობა ისტორიაში იუნიონიზმის სახელითაც დამკვიდრდა, რაც მის უნიკალურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

კვლევის შედეგად გამოტანილია შემდეგი ძირითადი დასკვნები: ლათინურ ამერიკული იუნიონიზმი თვისობრივად უნიკალური ფენომენია. მას ისტორიული ანალოგი მსოფლიოს არცერთ სხვა წერტილში არ მოეძებნება. მას არაერთი თავისებურება აქვს, რომელთაგან განსაკუთრებით გამოვყოფ შემდეგს:

- ლათინური ამერიკის გაერთიანების იდეას პანამერიკანიზმის მოძრაობის დაწყება მოჰყვა. იგი ესპანურ ამერიკული წარმოშობისაა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მთელი ამერიკის გაერთიანების იდეასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ასოცირდება;
- ლათინურ ამერიკული იუნიონიზმის ყოველი გამოვლინება მშვიდობიანი ხასიათის იყო და იუნიონისტებს გაერთიანების მისაღწევად ძალისთვის არცერთ შემთხვევაში არ მიუმართავთ;
- პირველი ტალღის დროს რეგიონული გაერთიანების ყველა ინიციატივა საგარეო საფრთხის გამო ჩნდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ახალი რესპუბლიკები ევროპული ძალებისგან საფრთხეს კვლავ იგრძნობდნენ, გაერთიანების იდეით გამოდიოდნენ. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით რამდენიმე ინიციატივის საფუძველი, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან არსებული საფრთხეც გახდა;
- იუნიონისტები თავდაპირველად ლათინური ამერიკის გაერთიანებას ბრაზილიის გარეშე მოიაზრებდნენ. ბრაზილიის ინტეგრაციის სქემიდან გარიყვა იქ 1889 წლამდე არსებული მმართველობის მონარქიული ფორმიდან გამომდინარე ხდებოდა, რადგან ახლად დამოუკიდებლობამოპოვებულ ესპანურ ამერიკაში მონარქიის სასტიკად ეშინოდათ;

- რეგიონალიზმის თითოეული გამოვლინება თითქმის ყოველთვის მემარცხენე ხასიათის იყო და ინტეგრაციის ნებისმიერი სქემიდან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას გამორიცხავდა. ამ გარემოებას განსაკუთრებულ სიმძაფრეს უგო ჩავესის ფენომენი სძენდა, რომელიც მთელი ლათინური ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი მთავარი თავისებურება იყო;

- ლათინურ ამერიკაში რეგიონალიზმი და ფრაგმენტაცია გვერდიგვერდ თანაარსებობდა, რაც პარადოქსული ფაქტია. მთელი რეგიონის გაერთიანების მცდელობების პარალელურად, იქ სუბ-რეგიონული ბლოკებიც ყალიბდებოდა;

- 2012 წელს მემარჯვენე ცენტრისტული რეგიონალიზმი პირველად გამოვლინდა, რაც „წყნარი ოკეანის ალიანსის“ შექმნაში გამოიხატა. იგი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების იდეას უჭერს მხარს;

- ლათინური ამერიკის ინტეგრაციის იდეა დღემდე აქტუალურია. თუმცა, მისი უახლოეს მომავალში განხორციელებისთვის ამ ეტაპზე რეგიონი მზად არ არის და ამისთვის აქტიური მუშაობა არის საჭირო. გაერთიანების შეთხვევაში ლათინურ ამერიკას მსოფლიოს სუპერძალად ქცევის უზარმაზარი პოტენციალი აქვს.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისგან. პირველი თავი დაყოფილია სამ, მეორე ოთხ, მესამე კი სამ ქვეთავად. ნაშრომს თან ერთვის 414 დასახელების გამოყენებული პირველადი და მეორადი წყაროების სია. ასევე, 3 დანართის სახით წარმოდგენილია ვრცელი ინტერვიუ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან არგენტინის რესპუბლიკაში - ირაკლი ყურაშვილთან; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორ გვარამ ხანდამაშვილთან და გამოკითხვის შედეგები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან.

Abstract

The purpose of this research is to explore and examine the evolution, causes and effects of Regionalism in Latin America, known as Unionism; to analyze and illustrate the peculiarities of each wave of regionalism in the region.

Objectives of the research are to explain when and why Latin America urged for Regionalism; under what circumstances it existed there; how countries reacted to the initiatives of regional integration; what position the United States of America had and how was the foreign influence on Latin American regionalism; was it possible to integrate both Americas? How did the different waves of regionalism differ from one another? What were the main impediments to regional integration? What is regionalism today and how can it affect not only Latin America but also the international world order in the future.

The analyses presented in the paper are based on wide variety of important primary and secondary sources, including unique materials. The topic is studied and evaluated not only according to different authors' interpretations, but through the reviewing and analyzing the intellectual works of various Unionists. Due to their historical value, some of them are even included in the UNESCO World Heritage List.

The main focus was made on qualitative research methods, but some quantitative research methods have also been applied to. The case study method has a special place in the research.

The research is interdisciplinary. The topic has been studied and analyzed through history, geopolitics, economics and international relations.

The paper discusses the peculiarities of the two-century long political and intellectual history of the Latin American integration movement. The topic is important because throughout the two hundred years of existence, this idea has not lost its relevance to this day. The movement for the unification of Latin American has been known as Unionism, which once again emphasizes its uniqueness.

The main findings of this research illustrate that Latin American Unionism is a truly unique phenomenon. It has no historical analogues anywhere else in the world. It has a number of peculiarities, some of which include the following:

- The idea of uniting Latin America was immediately followed by the beginning of the Pan-American movement. Although today it is associated with the idea of uniting the whole America with the leadership of the United States, it is actually of Spanish-American origin.

- Every instance of Latin American Unionism was completely peaceful, and the Unionists have never used force in any way to achieve unification;

- During the first wave, all initiatives of the regional unification arose due to external threats. If the new republics felt threat from the European powers, they would come up with the idea of unification. The basis of several unification initiatives later became the threat from the United States in the second half of the 19th century.

- Unionists initially considered the unification of Latin America without Brazil. The exclusion of Brazil from the integration scheme was due to the monarchical form of government that existed there before 1889 and the newly independent Spanish severely feared the monarchy.

- Each manifestation of regionalism has almost always been of a leftist nature, and it has excluded the United States and Canada from any integration projects. This circumstance was exacerbated by the phenomenon of Hugo Chavez, which was one of the main peculiarities in the history of Latin America;

- Regionalism and fragmentation coexisted side by side in Latin America. Alongside with the efforts to unite the whole region, sub-regional blocs were forming there;

- In 2012 the first manifestation of right-wing regionalism in the region was creation of the Pacific Alliance. The organization supports the idea of deepening cooperation with the United States and the European Union.

- The idea of integrating Latin America is still relevant today. However, the region is not ready for its implementation at this stage and active work is needed for that. Unified Latin America has a huge potential to become a world superpower.

The paper consists of an introduction, three chapters, and a conclusion. The first chapter is divided into three, the second into four, and the third into three sub-chapters. The paper has a list of 414 primary and secondary sources used. A full transcript of online interviews with the Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Georgia to the Republic of Argentina - Irakli Kurashvili and the Director of the Department of the Americas of the Ministry of Foreign Affairs of Georgia Gvaram Khandamasvili are also attached in the appendix section, as well as the survey results with the students of American Studies Bachelor and Master's programs of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University and the International Black Sea University.

შინაარსი

| | |
|--|-----|
| აბსტრაქტი..... | ii |
| Abstract..... | v |
| შესავალი..... | 1 |
| თავი 1: ლათინურ ამერიკული იუნიონიზმი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მეორე მსოფლიო ომამდე..... | 45 |
| 1.1. პანამერიკანიზმის წანამდგრები ლათინურ ამერიკაში და სიმონ ბოლივარის როლი..... | 46 |
| 1.2. ლათინური ამერიკის გაერთიანების ინიციატივები პანამის კონგრესის შემდეგ..... | 60 |
| 1.3. ერთიანი ლათინური ამერიკის იდეოლოგიური საფუძვლები და ინტელექტუალური იუნიონიზმი..... | 71 |
| თავი 2: ცივი ომის პერიოდის რეგიონალიზმი ლათინურ ამერიკაში..... | 87 |
| 2.1. ამერიკის შეერთებული შტატებისა და „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ გავლენა პანამერიკანიზმზე..... | 88 |
| 2.2. გაეროს ლათინური ამერიკის კომისიის შექმნა და ეკონომიკური რეგიონალიზმის დასაწყისი..... | 100 |
| 2.3. 1950-60-იანი წლები: სუბრეგიონალიზმი და „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია“..... | 103 |
| 2.4. ინტეგრაციის ელემენტები 1970-80-იანი წლების ლათინურ ამერიკაში და „კონდორის გეგმა“..... | 114 |
| თავი 3: ახალი რეგიონალიზმი..... | 121 |
| 3.1. მერკოსური: გაერთიანება თუ ფრაგმენტაცია?..... | 122 |
| 3.2. „ვარდისფერი რეგიონალიზმი“ ლათინურ ამერიკაში..... | 133 |
| 3.3. „მემარჯვენე რეგიონალიზმი“ - წყნარი ოკეანის ალიანსი..... | 143 |
| დასკვნა..... | 147 |
| ბიბლიოგრაფია..... | 155 |
| დანართი 1..... | 196 |

| | |
|----------------|-----|
| დანართი 2..... | 202 |
| დანართი 3..... | 207 |

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების აკადემიურ დისციპლინებში რეგიონალიზმმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. აღნიშნულმა ფენომენმა პოპულარობის პიკს XXI საუკუნეში მიაღწია არა მხოლოდ როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური ან სოციალური ორგანიზაციის ფორმამ, არამედ როგორც მეცნიერული შესწავლის ობიექტმაც. აღვნიშნავ იმასაც, რომ საერთაშორისო ინტერესი რეგიონალიზმის მიმართ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა, მაგრამ იბადება შეკითხვა: რა გახდა ამის მიზეზი?

როგორც რამა მელკოუტი წერს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში გაჩნდა ტენდენცია, რომ მსოფლიო არა ერთი, არამედ რამდენიმე უნდა ყოფილიყო (Melkote, 2001:168). ვფიქრობ, ეს ომის შემდეგ დაწყებული დეკოლონიზაციის პროცესის ლოგიკური შედეგი იყო, რადგან მსოფლიო პოლიტიკაში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო აქტორების გამოჩენამ დღის წესრიგში საერთაშორისო ურთიერთობების თავიდან განსაზღვრის საჭიროება დააყენა.

შეიძლება ითქვას, რომ რეგიონალიზმი თანამედროვე გაგებით სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, რაც ახალი საერთაშორისო ორგანიზაციების ქსელის შექმნაში გამოიხატებოდა. აღნიშნულ პერიოდში, ძირითადად, სამი სახის რეგიონული ინსტიტუტები ჩამოყალიბდა: მრავალფუნქციური ინსტიტუტები, სამხედრო ალიანსები და ეკონომიკური გაერთიანებები.

ომისშემდგომ მსოფლიოში ძალაუფლების ბალანსის საკითხი დღის წესრიგში აქტიურად იდგა, რომელიც სულ მალე ცივ ომში გადაიზარდა და რეგიონალიზმის ადრეული მიმართულების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. საყურადსაღებოა ის ფაქტიც, რომ 1950-იან წლებში, სუპერძალები თავიანთი გავლენის სფეროების შენარჩუნებას რეგიონული გაერთიანებების შექმნის გზითაც ცდილობდნენ.

დღეს რეგიონალიზმის მნიშვნელობის ზრდა აჩვენებს, რომ აუცილებელია მასზე მკაფიო წარმოდგენა გვექმნოდეს და კარგად გვესმოდეს, თუ რას ვგულისხმობთ ამ ტერმინში და როგორ შეგვიძლია მისი ახსნა. მარტივი გაგებით, რეგიონალიზმი არის იდეოლოგია და პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც რეგიონების განვითარებას

ისახავს მიზნად, მაგრამ აუცილებელია, რომ თავიდანვე განვასხვავოთ რეგიონალიზმის, როგორც ტერმინის სხვადასხვა, ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა.

როგორც სახელწოდება გვეუბნება, რეგიონალიზმი პირდაპირ არის დაკავშირებული რეგიონთან. შესაბამისად, რეგიონალიზმის უკეთ შესაცნობად ჯერ რეგიონის არსი უნდა გავარკვიოთ. ეტიმოლოგიურად ტერმინი „რეგიონი“ სათავეს ლათინური სიტყვიდან „რეგიო“ (regio) იღებს, რაც ადმინისტრაციულ ან ვრცელ გეოგრაფიულ ტერიტორიას აღნიშნავს, რომელიც ერთგვაროვანი მახასიათებლებით გამოირჩევა. აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ თავის მხრივ ტერმინი „რეგიო“ სათავეს სიტყვიდან „რეგერე“ (regere) იღებს, რაც მართვას ნიშნავს. შესაბამისად, ვასკვნით, რომ რეგიონს გეოგრაფიულთან ერთად პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

რეგიონს ორი განზომილება აქვს: ნაციონალური და საერთაშორისო. პირველ შემთხვევაში, ეს არის ამა თუ იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ადმინისტრაციული ტერიტორია, მეორე შემთხვევაში კი, დედამიწის კონკრეტული ნაწილი, რომელიც რამდენიმე სუვერენულ სახელმწიფოს აერთიანებს (Tavares, 2004:4; Söderbaum and Shaw, 2003:6). აღნიშნული კვლევის ობიექტს სწორედ საერთაშორისო რეგიონი წარმოადგენს.

რეგიონის ჩამოყალიბება არის პროცესი გეოგრაფიულად დაახლოებულ ქვეყნებსა და საზოგადოებებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და სოციალურ-კულტურული კავშირების უფრო მეტად გაძლიერებისათვის.

რეგიონის ერთ-ერთი პირველი და საყურადღებო განმარტება შემოგვთავაზა ბუტროს ბუტროს-გალიმ, რომლის მიხედვითაც, იგი არის: „გეოგრაფიულად განსაზღვრულ რეგიონში ორზე მეტი სახელმწიფოსგან შემდგარი მუდმივმოქმედი მტკიცე ჯგუფური ორგანიზმი, რომლებიც ტერიტორიული სიახლოვის, საერთო ინტერესების ან მსგავსებების გამო, თავიანთ რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად და ერთმანეთთან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობის განსავითარებლად კავშირს ქმნიან, რისი საბოლოო მიზანიც ცალკეული პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებაა“ (Sudhakar, 1994:11).

ნორმან პალმერი, ჰარმ დე ბლი და პიტერ მიულერი საერთო აზრს იზიარებენ იმის შესახებ, რომ ტერმინ „რეგიონის“ მნიშვნელობის განსაზღვრაში ამოსავალ წერტილს გეოგრაფია წარმოადგენს და მსოფლიოც მოხერხებულად შემოსაზღვრული ტერიტორიული მაკრორეგიონების ერთიანობისგან შედგება (Palmer, 1991; De Blij and Muller, 2002). აღნიშნული თეორიის საპირისპიროდ კონსტრუქტივისტები და პოსტმოდერნისტები მიიჩნევენ, რომ რეგიონი აუცილებლად ბუნებრივი, დადგენილი და უცვლელი ტერიტორიული წარმონაქმნი არ არის (Soderbaum, 2015:51-58). ზოგიერთი მეცნიერი დარწმუნებულია, რომ რეგიონის ფორმირება სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებსაც შეუძლია (Katzenstein, 1996, 2005:9; Risse-Kappen, 1995). მაგალითად, სოციალური კონსტრუქტივისტებისთვის რეგიონის განსაზღვრის ამოსავალი წერტილი არა გეოგრაფია და მატერიალური ურთიერთდამოკიდებულება, არამედ რეგიონის კოგნიტური იდეაა, რომელსაც სოციალიზაციის პროცესი წარმოშობს. შესაბამისად, რეგიონი უნდა გავიგოთ, როგორც სოციალურად შეკავშირებული ფენომენი (Neumann, 2003; Jessop, 2003). აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ მსოფლიოში არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ეთნიკური და სხვა სახის რეგიონებიც არსებობს.

საერთაშორისო ურთიერთობებში რეგიონი უპირობოდ არის ტერიტორია, რომელიც სამი ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიას მოიცავს. აღნიშნულ ქვეყნებს ერთმანეთთან არა მხოლოდ გეოგრაფია, არამედ საერთო ინტერესებიც აკავშირებს. თუმცა, დღეს საერთაშორისო სისტემაში რეგიონის ფორმირებისთვის გეოგრაფიული სიახლოვე აუცილებელი მოთხოვნა აღარ არის. შესაძლებელია, რომ ქვეყნები სხვადასხვა კონტინენტზეც კი მდებარეობდეს, მაგრამ მათ საერთო მიზანი ამომრავებდეს (Palmer & Ferkins, 1994:559). თუმცა, ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში რეგიონი ხელოვნური, უსაფუძვლო და სუსტი წარმონაქმნია. სხვა ფაქტორებს ყურადღება რომ არც მივაქციოთ, ვფიქრობ, რთული წარმოსადგენია რეგიონის ფორმირებაზე საუბარი ტერიტორიულად ისე დაშორებულ ქვეყნებს შორის, როგორც არის, მაგალითად, ბრაზილია, საქართველო და ავსტრალია.

დავეთანხმები უილიამ ტომპსონს იმაში, რომ რეგიონს აყალიბებენ ქვეყნები, რომლებიც გეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ, აქვთ აქტიური ინტერაქცია და სხვადასხვა საკითხის მიმართ ერთნაირი შეხედულება. რეგიონის, როგორც დამოუკიდებელი ტერიტორიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი საშინაო და საგარეო აღიარებაც არის (Thompson, 1973:89-117).

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის განმარტებასთან დაკავშირებით დღემდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მიმაჩნია, რეგიონი გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ისტორიული ან/და კულტურული ფაქტორების გავლენით ყალიბდება. მართალია, რეგიონებს ხშირად უწოდებენ ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს, თუმცა სად მთავრდება ერთი რეგიონი და იწყება მეორე, ეს საკითხი დავის საგანია.

მრავალფეროვანია რეგიონალიზმის განმარტებებიც. მას ისევე, როგორც რეგიონს, ორი მნიშვნელობა აქვს: ნაციონალური და საერთაშორისო.

ნაციონალურ დონეზე რეგიონალიზმი გულისხმობს პროცესს, როდესაც ერთი კონკრეტული სახელმწიფოს შიგნით ესა თუ ის სუბსახელმწიფოებრივი აქტორი მნიშვნელოვნად ძლიერი და დამოუკიდებელი ხდება. ცენტრალური მმართველობიდან რეგიონულ მმართველობებზე ძალაუფლების დელეგირება მიმდინარეობს. იქმნება თვითმმართველი რეგიონები (Loughlin, 2007:939).

მარკ ბევირის მიხედვით, საერთაშორისო დონეზე, რეგიონალიზმი გულისხმობს ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას საერთო მიზნის მისაღწევად ან პრობლემების მოსაგვარებლად. იგი კავშირ-ურთიერთობის გაძლიერებას ცდილობს იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან გეოგრაფიით, ისტორიით ან ეკონომიკით არის დაკავშირებული. დღესდღეობით, ამგვარი მცდელობის საუკეთესო მაგალითია ევროკავშირი (Bevir, 2009:167-171).

ჯონ სტოსინჯერის მიხედვით: „რეგიონალიზმი შესაძლოა განიმარტოს, როგორც სამი ან მეტი სახელმწიფოს კავშირი, რომელთა მიზანი ცალკეული პოლიტიკური ერთეულის შექმნაა. რეგიონული შეთანხმება არის სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ნებაყოფლობითი კავშირი, რომლებსაც გაერთიანების

ჩამოსაყალიბებლად სამართლიანი ორგანიზაციული მექანიზმები აქვთ შემუშავებული“. ავტორი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოებს შორის წმინდა ხასიათის სამხედრო ალიანსები, რომლებსაც პოლიტიკური მიზნები არ აქვთ, რეგიონულ შეთანხმებას არ წარმოადგენს (Adeniran, 1983:104).

სხვა განმარტების თანახმად, რეგიონალიზმი, თავის მხრივ, გულისხმობს პოლიტიკურ პროექტს, რომელსაც დაინტერესებული აქტორები - სახელმწიფოები ახორციელებენ და რეგიონის ჩამოყალიბებას სუბგლობალურ დონეზე ცდილობენ. (Gochhayat, 2014:12).

ფაქტია, რომ ტერმინოლოგიასა და მის განმარტებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მეცნიერს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. შესაბამისად, არ იქნება მართებული თუ ერთპიროვნულად რომელიმე ავტორსა თუ თეორიას დავეყრდნობით. ამიტომ უმჯობესია ტერმინის რეალური მნიშვნელობა ისევ მის წარმოშობაში ვეძებოთ. ყურადღება გავამახვილოთ ტერმინის ბერძნულ სუფიზმზე იზმ (ism), რომელიც მოქმედებას, მტკიცებას ან რამეს შესახებ თეორიას ნიშნავს. აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ რეგიონალიზმი არის რეგიონთან დაკავშირებული მოქმედებებისა და თეორიების ერთობლიობა.

სხვადასხვა განმარტებასა და კვლევაზე დაყრდნობით, ასევე შემოიძლია დავასკვნა, რომ რეგიონალიზმი არის იდეოლოგია ან იდეების, პროგრამების, პოლიტიკისა და მიზნების ერთობლიობა, რომელიც კონკრეტული გეოგრაფიული ტერიტორიის რეგიონულ გაერთიანებად ქცევას ცდილობს. იმდენად, რამდენადაც რეგიონალიზმი ამა თუ იმ სტრატეგიის შემუშავებასა და პროგრამის გატარებას ქადაგებს, იგი ხშირად ცენტრალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ფორმალური შეთანხმებების დადებასაც ითვალისწინებს. კონტრუქტივისტების გავლენით, რეგიონალიზმი კოგნიტურ და იდეატორულ პროექტებსაც გულისხმობს, რომლის მიზანი რეგიონების მშენებლობა, რეგიონული იდენტობის ჩამოყალიბება და მენტალური რუკის შექმნაა.

რეგიონისმცოდნეობის დისციპლინაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვაობას რეგიონალიზმსა და რეგიონალიზაციას შორის. ენდრიუ ჰარელისთვის რეგიონალიზაცია არის სოციალური ინტეგრაციის ზრდა რეგიონის შიგნით და

ხშირად არაკონკრეტული მიმართულების მქონე სოციალური და ეკონომიკური ინტერაქციის პროცესი (Hurrell, 1995:39). ოდნავ განსხვავებულია ფინელი მეცნიერის რაიმო ვაირინენის პოზიცია. მიუხედევად იმისა, რომ ისიც იზიარებს იმ აზრს, რომ რეგიონალიზაცია არის რეგიონის ფორმაციასთან დაკავშირებული დინამიკური პროცესი. მისი განამარტების თანახმად, იგი ეფუძნება ინსტიტუციონალურ სამთავრობოთაშორისო კოალიციებს, რომლებიც რეგიონზე წვდომის კონტროლს ახორციელებენ (Väyrynen, 2003:43).

ენდრიუ გეიმბლი და ენტონი პეინი რეგიონალიზმს განმარტავენ, როგორც სახელმწიფოს მიერ მართულ პროცესს მაშინ, როდესაც რეგიონალიზაცია არის სოციალური კონსტრუქცია (Gamble and Payne, 1996).

მიუხედავად არსებული მსგავსებისა, ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ რეგიონული თანამშრომლობა და რეგიონული ინტეგრაცია. რეგიონული თანამშრომლობის მრავალი ფორმა არსებობს. ერთ-ერთი მათგანია ფუნქციონალური თანამშრომლობა. იგი სახელმწიფოებს შორის გარკვეულ შეთანხმებებს გულისხმობს, რომლებიც ამ სახელმწიფოების მიერ კონკრეტულ მიმართულებებზე მუშაობას ისახავს მიზნად. მაგალითად, ტრანსპორტი, ენერჯია, ჯანდაცვა და ა.შ. ეკონომიკური თანამშრომლობა გულისხმობს იმ შეთანხმებებს, რომლებიც განსაზღვრავს კომერციული უპირატესობის სისტემას, ე.წ. პრეფერენციულიზმს, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს ადგილობრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ან საერთაშორისო ურთიერთობებში ერთობლივი ქმედებებისთვის რაიმე ვალდებულების დაკისრებას. პოლიტიკური თანამშრომლობა გულისხმობს საერთო მხარდაჭერასა და ვალდებულებას ან ძალისხმევას გარკვეული ღირებულებებისა და პრაქტიკის პარტნიორ ქვეყნებში გატარებისთვის.

რეგიონული თანამშრომლობიდან განსხვავებით, ფორმალური ინტეგრაცია გულისხმობს პროცესს, როდესაც სახელმწიფოები ერთმანეთთან ურთიერკავშირისთვის წინაღობების მოსაშორებლად ბევრად უფრო შორს მიდიან, ვიდრე რეგიონული თანამშრომლობის დროს და ქმნიან ერთობლივ რეგიონულ სივრცეს, რომელიც აშკარად გამოკვეთილ საერთო წესებს ექვემდებარება.

მინდა გამოვყო რეგიონული ინტეგრაციისადმი ორი ძირითადი მიდგომა: რეალიზმი და ლიბერალიზმი. რეალიზმის თეორია მთავარ აქცენტს ძალაუფლების პოლიტიკაზე აკეთებს, რომელშიც სახელმწიფოები თავიანთი ინტერესების განვითარებისთვის ძალის ან მუქარის მეთოდს იყენებენ (Genest, 2004:42). რეალისტები მიიჩნევენ, რომ ერმა-სახელმწიფოებმა საკუთარი თავდაცვა და უსაფრთხოება თავადვე უნდა უზრუნველყონ. ფრთხილი დამოკიდებულება აქვთ მათ ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართაც, რადგან თვლიან, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია ურთიერთდამოკიდებულებას იწვევს, რაც სხვა სახელმწიფოს ამა თუ იმ სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ძალაუფლებას ანიჭებს და ვინაიდან სხვა ქვეყნებს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ მეზობელი ქვეყნების დაცვასა თუ უსაფრთხოებაზე, რეალისტებისთვის ძალაუფლების განაწილება რისკის შემცველია. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ისინი უპირატესობას პროტექციონიზმს ანიჭებენ, რომელიც ერთგვარი ტაქტიკაა ეკონომიკის დანარჩენი სამყაროსთვის ჩასაკეტად (რეგიონალიზმის პირველი ტალღა ლათინურ ამერიკაში „დახურული ეკონომიკის“ ტიპური გამოვლინება იყო).

რეალისტებისგან გასხვავებით, ლიბერალები თვლიან, რომ სახელმწიფოები იმავე დოზით თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რამდენადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან, ან უფრო მეტადაც კი. მარკ გენესტი ნაშრომში „კონფლიქტი და თანამშრომლობა: საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებადი თეორიები“ წერს, რომ „სახელმწიფოები თანამშრომლობენ, რადგან ეს მათ საერთო ინტერესებში შედის და საერთაშორისო სისტემის განვითარება და სტაბილურობა აღნიშნული თანამშრომლობის პირდაპირი შედეგია“ (Genest, 2004:124). როგორც წესი, ლიბერალები ქვეყნებს შორის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის გახსნისკენ მოუწოდებენ. კვლევები ადასტურებს, რომ რაც უფრო ღიაა ეკონომიკა დანარჩენ მსოფლიოსთან ვაჭრობისთვის, მით უფრო მაღალია მათი ზრდის მაჩვენებელი.

ინტეგრაციას, როგორც ტერმინს, განსხვავებული ფორმები და ინტერპეტაციები აქვს. ნიკოლა ილიევსკის კლასიფიკაციის თანახმად, ინტეგრაცია პოლიტიკურ კონტექსტში შესაძლებელია ორ დიფერენციაციად განვასხვავოთ: 1) სექტორული

დიფერენციაცია, რომელშიც შედის პოლიტიკური ინტეგრაცია და ეკონომიკური ინტეგრაცია; და 2) გეოგრაფიული დიფერენციაცია, რომელიც მოიცავს რეგიონულ ინტეგრაციასა და გლობალურ ინტეგრაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია, მათ შორის მაინც მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს და ეს ორი ტერმინი ერთმანეთის სინონიმს არ წარმოადგენს.

ილიევსკის მიხედვით, პოლიტიკური ინტეგრაცია შესაძლებელია გავიგოთ, როგორც ორი ან მეტი ერთეულის გაერთიანება, შერწყმა, ერთ ჯგუფად ორგანიზება. მეორე მხრივ, ჰანს-ჰერმან ჰოპის მიხედვით, იგი „ცენტრალიზაციას“ წარმოადგენს (Hoppe, 2007:109). გაერთიანებისა და ცენტრალიზაციის კონტექსტიდან გამომდინარე ილიევსკი ინტეგრაციას ოთხ პირობას უკავშირებს:

- 1) ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა;
- 2) საერთო ინსტიტუტების ჩამოყალიბება;
- 3) გადაწყვეტილების მიმღები ცენტრის შექმნა;
- 4) იდენტურობის ჩამოყალიბება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პოლიტიკური ინტეგრაციის შედეგი პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბებაა, რომელიც ქმნის ერთიან კანონმდებლობას, საერთო ინსტიტუტებს, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება ენიჭებათ და აყალიბებს ინტეგრირებული გაერთიანების ახალ ერთიან იდენტურობას სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულის იქამდე არსებული იდენტურობების ნაცვლად. ამგვარი ინტეგრაციის მთავარი აზრი არის პოლიტიკური ერთეულების ავტონომიის დელეგირება ახლადჩამოყალიბებული პოლიტიკური გაერთიანებისთვის (Ilievski, 2015).

რაც შეეხება ეკონომიკურ ინტეგრაციას, იგი ქვეყნებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ერთიანი ბაზრის შესაქმნელად ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზაციის მისაღწევად დადებული ხელშეკრულებების ერთობლიობაა. ეკონომიკური ინტეგრაციის სქემაში რამდენიმე ტიპი გამოიყოფა: თავისუფალი სავაჭრო სივრცე, საბაჟო კავშირი, ერთიანი ბაზარი, ეკონომიკური კავშირი, სრული ეკონომიკური ინტეგრაცია.

ილიევსკი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ინტეგრაციის პირველი თეორიები სათავეს სოციალური კონტრაქტის თეორიებიდან იღებს და, შესაბამისად, ტომას ჰობსის, ჯონ ლოკისა და ჟან ჟაკ რუსოს ფილოსოფიური ნაშრომებიდან. ამგვარი გაგებით, სოციალური კონტრაქტი იგივე ინტეგრაციაა, მაგრამ არა ინდივიდუალურ, არამედ სახელმწიფოებრივ დონეზე. განსხვავებით ორიგინალური სოციალური კონტრაქტისგან, ინტეგრაციის სუბიექტები არა ინდივიდები, არამედ პოლიტიკური ერთეულები არიან, რომლებიც ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური გაერთიანების სასარგებლოდ თავინათ თავისუფლებას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევენ.

ილიევსკის მიხედვით, გლობალური ინტეგრაციის საფუძვლები იმანუელ კანტის ფილოსოფიაში დევს (Ilievski, 2015). საქმე ისაა, რომ 1917 წელს, სამარადჟამო მშვიდობის მიღწევის მისწრაფებით შთაგონებულმა, მან რესპუბლიკებისგან შემდგარი გლობალური ფედერაციის იდეა წამოაყენა, რომელიც სუვერენიტეტის უფრო მაღალ სახელმწიფო დონეზე დელეგირებას ახდენს და ამ გზით გლობალურ პოლიტიკურ ინტეგრაციას აღწევს (Kant, 1917:53). კანტის მიხედვით, სამარადჟამო მშვიდობის მიღწევა სწორედ გლობალური ინტეგრაციის გზით არის შესაძლებელი.

კანტის იდეა მე-20 საუკუნეში უნგრელმა ფილოსოფოსმა ემრე რევეშმა გამოაცოცხლა. გლობალური ფედერალიზმის იდეის ქვეშ რევეშმა გლობალური პოლიტიკური ინტეგრაციის თეორია განავითარა. ავტორისთვის მსოფლიო მშვიდობის მიღწევის საშუალებას გლობალური ინტეგრაცია წარმოადგენს (Reves, 2006:139-140).

ჩნდება კითხვა - რატომ დადგა რეგიონალიზმის განვითარების საჭიროება? საქმე ის არის, რომ როგორც ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთთან, ასევე სახელმწიფოებსაც უწევთ სხვა სახელმწიფოებთან თანაარსებობა და თანამშრომლობა, ხშირად კი მათი გაერთიანებებიც ჩნდება. როგორც წესი, სახელმწიფოთა ბლოკები, ძირითადად, უსაფრთხოების, სოციალური ან ეკონომიკური განვითარების მიზნით იქმნება. თუმცა ისტორიას მათი სხვა მიზნებითა და ინტერესებით გაერთიანების არაერთი მაგალითიც ახსოვს.

არისტოტელემ ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნეში უწოდა ადამიანს სოციალური ცხოველი, რომელიც მუდმივად თავის მსგავს სახეობებთან ჯგუფებისა და

კავშირების ჩამოყალიბებისკენ ისწრაფვის (Aristotle, 1999). ეს სწრაფვა წარმოადგენს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ერის ფორმირების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. ვფიქრობ, სწორედ არისტოტელესეული ხედვა უდევს საფუძვლად სახელმწიფოების გაერთიანების პროცესსაც.

რეგიონალიზმის შესწავლის ერთ-ერთი სირთულე არა მხოლოდ ტერმინთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა, არამედ მისი პერიოდიზაციაც არის. სხვადასხვა ავტორი რეგიონალიზმის ჩამოყალიბების პერიოდად სხვადასხვა ეპოქას ასახელებს. გვხვდება ისეთი შეუსაბამო ვერსიები, როგორცაა: ანტიკური პერიოდი, XIX საუკუნე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი და სხვა. ზოგიერთი მათგანი რეგიონალიზმს ორ ნაწილად: ძველ და ახალ რეგიონალიზმად, ზოგი კი სამ ან ოთხ ტალღად ჰყოფს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე რეგიონალიზმი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ფენომენია, მისი ჩანასახი გაცილებით ადრე გაჩნდა. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების რეგიონულ დონეზე ორგანიზებისა და რეგულირების პირველი მცდელობები ჯერ კიდევ შორეულ წარსულში განხორციელდა. ზოგიერთი მკვლევარი რეგიონალიზმის დაბადებას ანტიკურ საბერძნეთს მიაწერს, რასაც ნაწილობრივ ვეთანხმები კიდევაც. ჩემი აზრით, ანტიკური საბერძნეთის ლიგები და კონფედერაციები რეგიონული ორგანიზაციების მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუმცა, რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა რეგიონალიზმს სულაც არ ნიშნავს. ხშირ შემთხვევაში, იგი რეგიონალიზმის განვითარების ერთ-ერთი მექანიზმია.

რეგიონალიზმი გლობალური ფენომენია და მისი გამოვლინებების პოვნა მთელ მსოფლიოში არის შესაძლებელი: ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, აზიასა თუ წყნარი ოკეანის რეგიონში. 1953 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ჩამოყალიბებამ საფრანგეთს, დასავლეთ გერმანიას, იტალიასა და ბენილუქსის ქვეყნებს შორის ევროპის ინტეგრაციის პროცესის დაწყებას ჩაუყარა საფუძველი, რომლის ლოგიკური გაგრძელება 1958 წელს „რომის შეთანხმების“ დადება იყო და რომელმაც, თავის მხრივ, ევროპული გაერთიანება ჩამოაყალიბა. 1992 წლის მასტრიხტის შეთანხმებამ კი ევროპის მონეტარული და

პოლიტიკური კავშირის შესახებ უკვე ერთ წელიწადში - 1993 წელს გაერთიანებას ოფიციალური სახე მისცა და მას ევროკავშირი ეწოდა, რითაც კიდევ უფრო მეტად გაესვა ხაზი ინტეგრაციის იმ მნიშვნელოვან დონეს, რომელსაც გაერთიანებამ მიაღწია. ასეთი ინტეგრაციის მაგალითების პოვნა მრავლად არის შესაძლებელი სხვა კონტინენტებზეც. მაგალითად, „სამხრეთის ერთიანი ბაზარი - მერკოსური“ (Mercosur) სამხრეთ ამერიკაში, რომელიც არგენტინამ, ბრაზილიამ, პარაგვაიმ, ურუგვაიმ და ვენესუელამ ერთობლივად ჩამოაყალიბეს; ასევე, ჩრდილოეთ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და მექსიკის „ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება“ (NAFTA); „სამხრეთ აფრიკის განვითარების გაერთიანება“ (SADC) აფრიკაში, რომელიც ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებით ჩამოაყალიბდა და სამხრეთ აფრიკის რეგიონის სამხრეთ კონუსის ქვეყნებს აერთიანებს; „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია“ (ASEAN) აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების უმრავლესობას მოიცავს და რეგიონის პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკურ განვითარებას ისახავს მიზნად. მინდა აღვნიშნო 1989 წელს ჩამოაყალიბებული „აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობაც“ (APEC), რომელიც ღია, თავისუფალი ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარების ხელშეწყობას ემსახურება. ფორუმი არა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის წევრ-სახელმწიფოებს მოიცავს, არამედ უფრო ფართო მასშტაბებს აღწევს და თავის ფარგლებში წყნარი ოკეანის ისეთ ქვეყნებსაც აერთიანებს, როგორცაა: იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, ტაივანი, ჰონგ კონგი, რუსეთი, ავტრალია, ახალი ზელანდია, პაპუა-ახალი გვინეა, ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა, ჩილე და პერუ (Budzuga, 2007:812).

რეგიონალიზმის უკეთ გაგებისათვის, უმჯობესია, მისი განვითარება უფრო ფართო ისტორიულ კონტექსტში განვიხილოთ. გადავხედოთ იმ ისტორიულ მოვლენებს, რომელიც წინ უძღოდა რეგიონალიზმის პირველი ტალღის დაწყებას. 1873 წლის დიდი დეპრესია და ბრიტანული ჰეგემონიის დასასრული, პირველი მსოფლიო ომი და შემდგომი საერთაშორისო სისტემის ნგრევა, 1929 წლის დიდი დეპრესია, რომელმაც 1920-იანი წლების ეკონომიკურ ბუმს ბოლო მოუღო და რასაც

ჯონ მეინარდ კეინსი 10 წლით ადრე წინასწარმეტყველებდა, 1933 წლის ეკონომიკური კონფერენციის ნულოვანი შედეგი ისევე, როგორც ერთა ლიგის მარცხი საერთაშორისო მშვიდობის დამყარებაში, იაპონიის ექსპანსია აღმოსავლეთ აზიაში და ევროპის გაერთიანების პირველი მცდელობის ჩაშლა (ბრიან-შტრეზემანის დიალოგი), ამერიკის შეერთებული შტატების მოუმზადებლობა მსოფლიო ჰეგემონის როლი ეკისრა - ყველა ჩამოთვლილმა პროცესმა ნათელი გახადა, რომ მულტილათერალური კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა შეუძლებელი გახდა.

ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში მსოფლიო აგრესიული ნაციონალიზმისა და იმპერიული რეგიონალიზმის გამოვლინების მოწმე გახდა. 1930 და 1940-იანი წლების დასაწყისში გერმანიისა და იაპონიის მცდელობამ რეგიონის ერთპიროვნული ლიდერები გამხდარიყვნენ, ძალადობრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეგიონალიზმს ჩაუყარა საფუძველი. იაპონიისა და გერმანიის სამხედრო და ფაშისტურმა რეჟიმებმა ე.წ. პაქს ბრიტანიკა ჩაანაცვლა და აზია-წყნარ ოკეანეთსა და ევროპაში რეგიონული დომინაციისთვის ახალი კონფლიქტების დაწყება გამოიწვია, რამაც საბოლოო ჯამში მეორე მსოფლიო ომის დაწყება განაპირობა.

2004 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ლუიზა ფოსეტმა რეგიონალიზმის ისტორიული განვითარება სამ ეტაპად დაჰყო: 1) რეგიონული ინსტიტუტები: პირველი ტალღა (1945-1964); 2) რეგიონალიზმი: მეორე ტალღა (1965-1985); 3) რეგიონალიზმი: მესამე ტალღა (1985 წლიდან - დღემდე) (Fawcett, 2004).

განვიხილოთ ფოსეტის თითოეული ტალღა ცალ-ცალკე. მიუხედავად არსებული ნეგატიური გამოცდილებისა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რეგიონალიზმის ფენომენი საერთაშორისო ურთიერთობებში განახლებული და გაძლიერებული სახით დაბრუნდა, რაც ახალი საერთაშორისო ორგანიზაციების ქსელის ჩამოყალიბებაში გამოიხატა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ბრეტონ-ვუდსის სისტემა. აღნიშნულ პერიოდში შესაძლებელია რეგიონული ინსტიტუტების სამი ძირითადი ტიპი გამოიყოს - 1) ე.წ. მრავალფუნქციური ინსტიტუტები, როგორცაა არაბთა ლიგა (LAS), ინტერამერიკული სისტემის მემკვიდრე - ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია

(OAS) და აფრიკის ერთობის ორგანიზაცია (OAU); 2) სამხედრო ალიანსები, როგორცაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) და ვარშავის პაქტი და 3) ეკონომიკური მიმართულების ინსტიტუტები, როგორც იყო ევროპის ადრეული ინსტიტუტები და მათი აღდგენის მცდელობები.

პირველი ტალღის რეგიონალიზმის დამახასიათებელი ნიშანი, იქნებოდა ეს ეკონომიკისა თუ უსაფრთხოების სფეროში, იყო ის, რომ მას უმთავრესად ძალაუფლების, უსაფრთხოებისა და ინტერესთა მიმართ მატერიალური გაანგარიშება უფრო ჰქონდა, ვიდრე საყოველთაოდ მიღებული ნორმატიული რეგიონულ-მრავალმხრივი ურთიერთობებია. რაც მთავარია, ყველაზე მაღლა მაინც ომისშემდგომი პერიოდის ძალაუფლების ბალანსი იდგა, რომელიც სულ მალე ცივი ომში გადაიზარდა და რეგიონალიზმის ადრეული მიმართულების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. საყურადსაღებოა ის ფაქტიც, რომ პირველი ტალღის რეგიონული ალიანსები, რომლებიც 1950-იან წლებში ჩამოყალიბდა, ცივი ომის პირობებში სუპერსახელმწიფოების მიერ თავიანთი გავლენის სფეროების შენარჩუნების მცდელობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

ცივი ომის მესამე ათწლეულის დაწყებასთან ერთად, პირველი ტალღისგან განხვავებულმა და შედარებით „უცნაურმა“ რეგიონულმა პროცესებმა იჩინა თავი. გარკვეულწილად, ეს მოძრაობა რეგიონული უსაფრთხოების ასპარეზზე სუპერძალების დომინანტური როლის მიმართ რეაქციაც იყო ისევე, როგორც ადრეული მრავალფუნქციური ინსტიტუტებისა და არაევროპული ეკონომიკური ინსტიტუტების იმედგამაცრუებელი შედეგებისა და რეგიონული უსაფრთხოების გარემოს შეცვლის მიმართაც. რეგიონალიზმის მეორე ტალღა ძირითადად განვითარებად ქვეყნებს შორის დაიწყო და მას უმთავრესად უსაფრთხოების მიზნები ჰქონდა, შესაბამისად, მკვეთრად განსხვავდებოდა ადრეული ტალღის ეკონომიკური რეგიონალიზმისგან, რომელიც ევროპული გაერთიანების შექმნითა და მისი ადრეული წარმატებული წლებით იყო შთაგონებული. მეორე ტალღის რეგიონალიზმის საერთო დამახასიათებელი ნიშანი სუბრეგიონული მიმართულება იყო, რომელიც სუბკონტინენტურ ან უფრო მცირე გეოგრაფიულ ტერიტორიას გულისხმობს და უფრო ნაკლებ ქვეყანას აერთიანებს, ვიდრე ადრეული

პანრეგიონული კავშირები. მეორე ტალღის რეგიონალიზმის კონკრეტული მაგალითებია: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (ASEAN), დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება (ECOWAS), სამხრეთ აფრიკის განვითარების გაერთიანება (SADC), კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების გაერთიანება (CARICOM), სამხრეთ აზიის რეგიონული თანამშრომლობის ასოციაცია (SAARC), არაბული მადრიბის კავშირი (AMU) და სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო (GCC).

აღსანიშნავია, რომ ცივი ომის პერიოდში საერთაშორისო სისტემამ უკვე მკაფიოდ ჩამოაყალიბა რეგიონალიზმის პარამეტრები და შესაძლებლობები, მაგრამ ისევ ცივი ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო სისტემის რადიკალურმა ცვლილებებმა რეგიონალიზმის ფენომენიც შეცვალა. ახალი რეგიონალიზმი წინა ორ ტალღაზე უფრო მეტად კომპლექსური და მრავალფეროვანი გახდა. ცივი ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების გარემო რადიკალურად შეიცვალა და მსოფლიოს სახელმწიფოებაც ახალ რეალობაში აღმოჩნდნენ. სწორედ აღნიშნული ცვლილებების პასუხი იყო ახალი რეგიონალიზმი. ერთის მხრივ, ევროპის მაგალითი, გლობალიზაციის გავლენა და მულტილატერალური ინსტიტუტების შესაძლებლობებში არასანდოობამ სტიმული მისცა სხვა ქვეყნებს ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესები დაეწყოთ, რისი გამოვლინებაც თავისუფალი ვაჭრობის ზონების ჩამოყალიბება იყო. მეორე მხრივ, ცივი ომის დაძაბულობის მოხსნამ უსაფრთხოების ტერიტორიის პარამეტრებზე შეცვალა და რეგიონული უსაფრთხოება უფრო მეტად მოწყვეტილი და ადგილობრივი აქტორებისთვის ხელმისაწვდომი გახადა.

მიუხედავად ლოგიკური თანამიმდევრობისა, ფოსეტის თეორია არაერთ შეკითხვას ჰზადებს. თუ რეგიონალიზმის პირველი ტალღა მხოლოდ 1945 წელს დაიწყო, მაშინ რომელ ტალღას შეიძლება მივაკუთნოთ უფრო ადრეული რეგიონალიზმი? რადგან თუ ისტორიას გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ რეგიონალიზმი სათავეს, ფაქტობრივად, მსოფლიო ისტორიასთან ერთად იღებს.

როდრიგო ტავარესის რეგიონალიზმის კლასიფიკაცია ხუთი ეტაპისგან შედგება (Tavares, 2004:7-10):

1) სამხედრო რეგიონალიზმი - ავტორი ადრეული რეგიონალიზმის გამოვლინებად მიიჩნევს იმ რეგიონულ გაერთიანებებს, რომლებიც ისტორიაში სამხედრო დომინიონებისა თუ სტრატეგიულ-ტერიტორიული საკუთრების სახელით არის ცნობილი და რომელთა გაერთიანებაც ძალადობრივი მექანიზმებით ხდებოდა. იგი ეწინააღმდეგება ტომპსონის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ძალადობრივი გზით შექმნილი სამხედრო გაერთიანება რეგიონალიზმის გამოვლინება ვერ იქნება.

2) XIX საუკუნის რეგიონალიზმი - ტავარესი რეგიონალიზმის მეორე ეტაპად XIX საუკუნეს გამოჰყოფს, რომელშიც ინდუსტრიული რევოლუცია და უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური მიღწევები მოხდა. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ევროპის კონტინენტზე რამდენიმე საბაჟო გაერთიანებამ დიდ წარმატებას მიაღწია.

3) პირველი მსოფლიო ომის შემდეგომი პერიოდის რეგიონალიზმი - 1921 წლის ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმება ისევე, როგორც ის ეკონომიკური შეთანხმებები, რომლებმაც 1930-იან წლებში ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, ფინეთი, შვედეთი, ნორვეგია და ჰოლანდია ერთმანეთთან დააკავშირა, ტავარესისთვის რეგიონალიზმის გამოვლინება იყო. იქმნებოდა სამხედრო ხასიათის კავშირებიც. მაგალითად, 1934 წლის რომის შეთანხმება, რომელიც სავაჭრო შეთანხმების გარდა, იტალიას, ავსტრიასა და უნგრეთს ფაშიზმის მფარველობის ნიშნით „დუნაის ბლოკში“ აერთიანებდა.

4) 1960-იანი წლების რეგიონალიზმი - აღნიშნული პერიოდის საერთაშორისო სისტემას კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის საკითხი გაჰყვებოდა ფონად, რომლის ნომერ პირველი გამოვლინება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იყო. ეს ეპოქა ცივი ომის პარანოიითაც იყო გამორჩეული. მთელი მსოფლიოს მასშტაბით რეგიონული პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციები: ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO), ვარშავის პაქტი, რიოს პაქტი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია (SEATO), ბალდადის პაქტი (CENTO), ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და აშშ-ს თავდაცვის ხელშეკრულება (ANZUS) - უმეტესწილად სხვა არაფერი იყო, თუ არა ცივის ომის რაციონალიზმის ანარეკლი.

5) ახალი რეგიონალიზმი - 1980-იან წლებში რეგიონალიზმმა ახალი სიცოცხლე შეიძინა. აღნიშნულ ტალღას როდრიგო ტავარესიც ახალ რეგიონალიზმს უწოდებს. ილუსტრაციისთვის მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ 1990-1994 წლებში 33 რეგიონული სავაჭრო ხელშეკრულება გაფორმდა, რაც რეკორდული მაჩვენებელი იყო (Mansfield, Milner, 1997:601).

რეგიონალიზმის საინტერესო პერიოდიზაციას გვთავაზობს ფრედრიკ სოდერბაუმი. იგი აღნიშნულ ფენომენს ლოგიკურად ოთხ ფაზად ჰყოფს: ადრეული რეგიონალიზმი, ძველი რეგიონალიზმი, ახალი რეგიონალიზმი და თანამედროვე ანუ ე.წ. შედარებითი რეგიონალიზმი (Soderbaum, 2015):

1) ადრეული რეგიონალიზმი - აერთიანებს პერიოდს უძველესი დროიდან მეორე მსოფლიო ომამდე. აღნიშნულ ისტორიულ მონაკვეთში გეოგრაფიულად დაკავშირებულმა იმპერიებმა, სამეფოებმა, ალიანსებმა, პაქტებმა, გაერთიანებებმა თუ კონფედერაციებმა, მიზანმიმართული თანამშრომლობის გზით, რეგიონალიზმის გარკვეულ ხარისხს მიაღწია. გარდა ამისა, რეგიონალიზმი იმ პერიოდში პანმოდრობების სახითაც არსებობდა, რომელიც გეოპოლიტიკური, კულტურული და ფუნქციონალური რწმენა-წარმოდგენების ერთობლიობა იყო. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონალიზმის ადრეულმა ტალღამ თითქმის მთელ მსოფლიოს გადაურა.

2) ძველი რეგიონალიზმი - მოიცავს პერიოდს მეორე მსოფლიო ომიდან 1980-იანი წლების შუა ხანებამდე. იგი განვითარებად ქვეყნებში სტრუქტურული ეკონომიკური რეფორმების პროცესის გაძლერების საჭიროებებით იყო შთაგონებული. რეგიონული შეთანხმებების მთავარი მიზანი სავაჭრო ბარიერების დაწვევა და ბაზრების გაფართოება, ამ გზით კი მასშტაბის ეკონომიის მიღწევა იყო, რაც იმპორტის ჩასანაცვლებელი ინდუსტრიალიზაციის პროცესის სასარგებლოდ იყო საჭირო.

3) ახალი რეგიონალიზმი - 1986 წელს ერთიანი ევროპული აქტის მიღებამ ევროპული ინტეგრაციის პროცესს ახალი დინამიკა შესძინა, რეგიონალიზმი კი გლობალურ დონეზე შეცვალა. სწორედ აღნიშნული პერიოდიდან იწყება ახალი, ღია რეგიონალიზმი, რომლისთვისაც ახალი

რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების რაოდენობის ზრდა, საგარეო ორიენტაციისა და პროტექციონიზმის შემცირება და ანტიკეგემონური განწყობილება იყო დამახასიათებელი. ცალკეულ რეგიონს უკვე აღარ უნდოდა სუპერძალების მმართველობის ქვეშ ყოფილიყო. რეგიონალიზმი უფრო მრავალფეროვანი და პლურალისტული გახდა. მისი ფოკუსი მხოლოდ ვაჭრობა და უსაფრთხოება აღარ იყო. შეიცვალა მისი ინსტიტუციონალური მხარეც. ყურადღების ცენტრში ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკაც მოექცა (Soderbaum, 2015:16).

4) შედარებითი რეგიონალიზმი - ეს მიდგომა აქცენტს ძველი და ახალი რეგიონალიზმის შედარებაზე აკეთებს. ახალი რეგიონალიზმის დაწყებიდან 30 წლის შემდეგ რეგიონალიზმის ბუნება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ისევე როგორც მისი შესწავლის გზები. რეგიონალიზმის ახალი დამახასიათებელი ნიშანი უკვე არა მხოლოდ რეგიონული ორგანიზაციების შექმნა, არამედ რეგიონალიზმის განვითარება, გაშლა და გაღრმავება გახდა. რეგიონალიზმი, უდავოდ, თანამედროვე გლობალური პოლიტიკის სტრუქტურულ კომპონენტად გადაიქცა. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც ამბობს, რომ დღევანდელი მსოფლიო წესრიგი რეგიონული მსოფლიო წესრიგია. პიტერ კეცენსტაინი მიიჩნევს, რომ ერმა-სახელმწიფოებმა და გლობალიზაციამ მნიშვნელობა დაკარგა და „რეგიონების მსოფლიოს“ დრო დგება (Katzenstein, 2005). იმავე აზრს ავითარებს ამითავ აჩარია, რომ მსოფლიო პოლიტიკა უკვე რეგიონულ დონეზე იქმნება და რეგიონებისგან შედგარი მსოფლიო ყალიბდება (Acharya, 2007, 2014). მკვლევრები უკვე „ძლიერი რეგიონების გლობალურ წესრიგზე“ საუბრობენ (Buzan & Weaver, 2003:20). თუმცა, ვფიქრობ, ეს ცალსახად იმას არ ნიშნავს, რომ რეგიონალიზმი მსოფლიო პოლიტიკის ყველა ასპექტში დომინირებს, მაგრამ როგორც რიკ ფონი ამბობს, რეგიონებს მსოფლიო პოლიტიკის ყველა ასპექტის ფუნქციონირებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ისინი უკვე მსოფლიო წესრიგის შემადგენელი ნაწილია (Fawn, 2009:5).

ბევრი ავტორი განსხვავებას ძველ და ახალ რეგიონალიზმს შორის ინტეგრაციის დონით ხსნის და ამისთვის „ზედაპირული“ და „ღრმა“ ინტეგრაციის ტერმინებს იყენებს. ძველი რეგიონალიზმი ზედაპირული იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ფარგლებში რეგიონის ქვეყნებს შორის მხოლოდ სავაჭრო ბარიერები უქმდებოდა. ღრმა ინტეგრაციის დროს კი, რომელსაც „ღია რეგიონალიზმს“ უწოდებენ, ფართომასშტაბიანი ლიბერალიზაციის გზით თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლა ხდება. შესაბამისად, ამ დროს, ქვეყნების პოლიტიკა სულ უფრო მეტად არის ურთიერთდამოკიდებული, გადაწყვეტილებები ერთობლივად მიიღება, ეკონომიკურ ინტეგრაციას კი მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა (Burfisher, Robinson & Thierfelder, 2004).

რეგიონულმა შეთანხმებებმა გაეროს ქარტიაში გაცილებით უფრო მეტი მხარდაჭერა მიიღო, ვიდრე ეს ერთა ლიგის შეთანხმებაში იყო გათვალისწინებული. გაერთიანებული ერების ქარტიის VIII თავი უშუალოდ რეგიონულ შეთანხმებებს ეხება. აღნიშნულია, რომ უნივერსალიზმი და რეგიონალიზმი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. პირიქით, ისინი ერთმანეთს აძლიერებს (Chapter VIII, UN).

თუმცა რეგიონული ორგანიზაციების, როგორც კონკრეტული რეგიონების ლეგიტიმური წარმომადგენლების იდეას, მხარდამჭერებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. ჯერ კიდევ ერთა ლიგის ფარგლებში მიიჩნეოდა, რომ რეგიონული შეთანხმებები გზას გაუხსნიდა ალიანსების შექმნას, რაც ძალთა ბალანსის სისტემაზე დაბრუნებას გამოიწვევდა, ეს კი ერთა ლიგის გლობალური კოლექტიური უსაფრთხოების იდეას ეწინააღმდეგებოდა (Boisson de Chazournes, 2017:53).

ჩნდება შეკითხვა, რამ გამოიწვია რეგიონალიზმის ახალი ძალით გამოღვიძება? უნდა აღინიშნოს, რომ ამაზე პირდაპირი გავლენა არა ლოკალურმა რეგიონულმა, არამედ გლობალურმა მოვლენებმა მოახდინა. ვეთანხმები შეხედულებას, რომ რეგიონალიზმის დაბრუნების ყველაზე დრამატული და გახმაურებული მიზეზი საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართ მიდგომის ცვლილება და საერთაშორისო სისტემის დეცენტრალიზაცია იყო, რაც კომუნიზმის კოლაფსმა და ცივი ომის დასრულებამ გამოიწვია (Palmer, 1991:2; Fawcett & Hurrell, 1996:17).

ამავდროულად, რეგიონული ორგანიზაციების მეშვეობით განვითარების იდეა თანდათანობით პოპულარული გახდა მესამე სამყაროში. ახლად განთავისუფლებულმა აზიისა და აფრიკის ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მათ რეგიონული ორგანიზაციების გზით შეეძლოთ.

1980-იანი წლების მიწურულს საერთაშორისო სივრცეში მოვლენები ისე წარიმართა, რომ რეგიონულმა ინტეგრაციამ და რეგიონალიზმმა ახალ სიმაღლეებს მიაღწია. ევროპის გაერთიანებამ, კანადისა და შეერთებული შტატების თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადებამ, რომელსაც 1994 წელს მექსიკაც შეუერთდა, საბჭოთა კავშირის მარცხმა და დემოკრატიულმა ცვლილებებმა განვითარებად ქვეყნებში რეგიონალიზმის გზა რადიკალურად შეცვალა.

ხშირად, მკვლევრების აზრი რეგიონალიზმთან დაკავშირებით ორად იყოფა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ერი-სახელმწიფოების ეპოქა წარსულს ჩაბარდა და სუპრანაციონალიზმის დრო დადგა. ვფიქრობ, ამგვარი დასკვნა კრიტიკას ვერ უძლებს. ჩემი აზრით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ერი-სახელმწიფოებს ჯერაც წამყვანი ადგილი უჭირავს. მართებული არ იქნება იმის მტკიცება, რომ ნაციონალიზმი დასრულდა და ერი-სახელმწიფოების ფენომენი გაქრა ან გაქრობის პროცესი მიმდინარეობს. ვფიქრობ, აღნიშნული საკითხი გულდასმით შესწავლას საჭიროებს. თუმცა, მეორე მხრივ, ევროკავშირის წარმატებულმა ფუნქციონირებამ, შესაძლოა, გააჩინოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ერი-სახელმწიფოები ნელ-ნელა ქრება. ამის საპირისპიროდ მიმაჩნია, რომ მიუხედავად რეგიონული ორგანიზაციების მომრავლებისა და გაძლიერებისა, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ნაციონალიზმი თავის სტატუსს მაინც ინარჩუნებს. ეროვნული ინტერესები ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ პრინციპად რჩება. გამონაკლისი ამ მხრივ არც ევროკავშირის ქვეყნებია. ამის კარგ მაგალითად დიდი ბრიტანეთი და მისი ბრექსიტის პოლიტიკა გამოდგება.

რეგიონალიზმთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებაა სუბრეგიონალიზმი. იგი ამა თუ იმ რეგიონს უფრო მცირე რეგიონებად ჰყოფს. მაგალითად, ლათინურ

ამერიკაში შემდეგი სუბრეგიონები გვხვდება: მექსიკა და ცენტრალური ამერიკა, კარიბის ზღვის აუზი, ანდების ქვეყნები, სამხრეთ კონუსი. სუბრეგონალიზმი სუბრეგიონების განვითარებას ისახავს მიზნად. იგი, შესაძლებელია, რომ უფრო ფართომასშტაბიან რეგონალიზმთანაც თანაარსებობდეს, მაგალითად, ანდების გაერთიანება. სუბრეგიონული ქვეყნების გაერთიანებაც იმავე ინტერესებისა და მიზნების ერთობლიობიდან გამომდინარეობს, როგორც ეს ფართომასშტაბიანი რეგონალიზმის დროს ხდება, თუმცა სუბრეგონალიზმის მასშტაბები უფრო შეზღუდულია.

ახალი რეგონალიზმის სწრაფმა განვითარებამ, რომელსაც 1990-იან წლებში მსოფლიოში განვითარებულმა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა დაუდო საფუძველი, თავის მხრივ, მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის აქტიურ და მჭიდრო ურთიერთობების გააქტიურებას შეუწყო ხელი. სწორედ ამის შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ საერთაშორისო ასპარეზზე მრავალრიცხოვანი რეგიონული დაჯგუფებების მომრავლება.

სუბრეგიონული და მიკრორეგიონული ორგანიზაციები საერთაშორისო ასპარეზზე 1980-იანი წლების ბოლოდან გამოჩნდა. ჩემი აზრით, აღნიშნული ტენდენცია ქვეყნების დიდი ბლოკების ფრაგმენტაციისა და მათი მოუქნელობის შედეგია, ისევე, როგორც ეკონომიკური გლობალიზაციით გამოწვეული წნეხის ლოკალური პასუხი.

სწორედ სუბრეგონალიზმის შემადგენელი ნაწილია პროცესი, როდესაც რეგიონული დაჯგუფება უფრო ვრცელი ინტეგრაციის ნაწილია. აღნიშნული ფენომენის მნიშვნელობა, უკანასკნელ წლებში მსოფლიო რეგონალიზმის დაჩქარებულ განვითარებასთან ერთად, გაიზარდა. სუბრეგონალიზმი, როგორც მოვლენა, ახალი რეგონალიზმის შემადგენელი ნაწილია, ისევე, როგორც ინტერრეგონალიზმი და ტრანსრეგონალიზმი, მაგრამ აუცილებელია, რომ მათ შორის არსებითი გასხვავება გავანალიზოთ. ინტერრეგონალიზმი არის პროცესი, როდესაც რეგიონული ურთიერთობა მყარდება ორ ან მეტ რეგიონულ დაჯგუფებას შორის, ხოლო ტრანსრეგონალიზმი არის ინტეგრაციული პროცესები მსოფლიოს მაკრორეგიონების სხვადასხვა რეგიონულ ბლოკს შორის.

როგორც წესი, სუბრეგიონალიზმი იმ მაკრორეგიონებში გვხვდება, სადაც უკვე ჩამოყალიბებულია მთავარი რეგიონული ინტეგრაციის გაერთიანება ან იგი ჩამოყალიბების პროცესშია.

ვფიქრობ, დღევანდელ მსოფლიოში რეგიონალიზმს დადებითი ეკონომიკური თუ პოლიტიკური გავლენის მოხდენა შეუძლია. ლეროი-ბენეტი რეგიონალიზმის მხარდაჭერად შვიდ მიზეზს ასახელებს: 1) რეგიონალიზმი ბუნებრივი ტენდენციაა, რომელიც მეზობელი ქვეყნების პატარა ჯგუფში ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების ერთგვაროვნებას ეფუძნება; 2) პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერაქცია პატარა გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მდებარე მცირე რაოდენობის ქვეყნებს შორის უფრო ადვილად მიიღწევა, ვიდრე გლობალურ დონეზე; 3) რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა უფრო ნაყოფიერ ეკონომიკურ მაჩვენებელს იძლევა, ვიდრე ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური საქმიანობა. გაერთიანებულ ეკონომიკას კი მსოფლიო ბაზრებზე წარმატებული კონკურენციის უნარი შესწევს; 4) აღნიშნული ტერიტორიის ხელისუფლებების მიერ მშვიდობისთვის ადგილობრივ საფრთხეებზე უფრო ეფექტური და მყისიერი რეაგირება ხდება, ვიდრე არადაინტერესებული სახელმწიფოების მხრიდან, რომლებიც კონფლიქტის ტერიტორიიდან შორს იმყოფებიან; 5) სახელმწიფოების რეგიონულ ჯგუფებში გაერთიანებით შესაძლებელია გლობალური ძალთა ბალანსის შენარჩუნება და მსოფლიო მშვიდობისა და უსართხოების დაცვა; 6) მსოფლიო მზად არ არის გლობალური მმართველობის ჩამოსაყალიბებლად. გამოცდილების დასაგროვებლად და მთავრობათაშორისი კოორდინაციისა და ინტეგრაციისთვის ერთიანი ნიადაგის მოსამზადებლად რეგიონალიზმი არის პირველი ნაბიჯი; 7) უნივერსალისტებს უჭირთ მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების მრავალფეროვნების გათვალისწინება, რომელიც გლობალურ ერთიანობას ხელს უშლის. ამგვარი სხვადასხვაობის გამკლავება რეგიონულ ჩარჩოებში უფრო მარტივი იქნება (Leroy Bennet, 1998:368-369).

დღეს გლობალურ დონეზე სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები საერთაშორისო სისტემად აღიქმება, რეგიონული დაჯგუფებები კი საერთაშორისო ქვესისტემებად მოიხსენიება. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები და

საერთაშორისო სისტემის აქტორები გლობალურ სისტემას იმ სხვადასხვა ქვესისტემის ერთიანობად მიიჩნევენ, რომლებიც გეოპოლიტიკური კრიტერიუმების ნიადაგზე განისაზღვრება. აღნიშნული ქვესისტემები, რომლებიც იგივე რეგიონებია, ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც გლობალურ დონეზე ძალების დაბალანსებაში, ასევე რეგიონულ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბედის განსაზღვრაში (Sudhakar, 1994:70).

მაიკლ ბრემერის მიხედვით, რეგიონული ქვესისტემები შემდეგი ექვსი კრიტერიუმით განისაზღვრება: 1) რეგიონულ ჯგუფს ვიწრო მასშტაბი აქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ მისი მთავარი აქცენტი კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონზე კეთდება; 2) საჭიროა მინიმუმ სამი აქტორის არსებობა; 3) სხვა აქტორები ქვესისტემებს ცალკეულ გაერთიანებად, რეგიონად ან გლობალური სისტემის შემადგენელ ნაწილად აღიარებენ; 4) აღნიშნული ქვესისტემები საკუთარ თავს ცალკეულ გაერთიანებად, რეგიონად ან გლობალური სისტემის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ; 5) ქვესისტემების მმართველობის ერთეულები საერთაშორისო სისტემის მმართველობის ერთეულებთან შედარებით უფრო დაბლა დგას; 6) საერთაშორისო სისტემაში ცვლილებებს უფრო დიდი ეფექტი აქვს ქვესისტემებზე, ვიდრე პირიქით.

ბრემერი საერთაშორისო სისტემაში სულ მცირე ექვს ქვესისტემას გამოჰყოფს. მათ შორის არის: ახლო აღმოსავლეთი, ამერიკა, სამხრეთ აზია, დასავლეთ ევროპა და დასავლეთ აფრიკა (Atal, 1981:28).

ბრიუს რასეტის მიხედვით, რეგიონულ ქვესისტემებს ქმნიან ქვეყნები, რომლებიც: 1) რეგიონის სხვა წევრებთან სოციალურად და კულტურულად ერთგვაროვნები არიან; 2) აქვთ მსგავსი პოლიტიკური ქცევა და მიდგომები; 3) პოლიტიკურად ურთიერთდამოკიდებულნი არიან; 4) ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებულნი არიან და 5) რეგიონის სხვა წევრებთან გეოგრაფიულად არიან დაკავშირებული (Sudhakar, 1994:11-12).

გაეროს გეოსქემა მსოფლიოს ხუთ რეგიონად (ამერიკა, ევროპა, აზია, აფრიკა და ოკეანეთი) და 22 სუბრეგიონად ჰყოფს ("Standard Country or Area Codes For Statistical Use (M49)", United Nations). შედარებით უფრო დეტალურ დაყოფას გვთავაზობს

მსოფლიო ბანკი, რომლის თანახმადაც, მსოფლიო შვიდი მსხვილი რეგიონისგან შედგება, რომლებშიც შედის: ჩრდილოეთ ამერიკა, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი, ევროპა და ცენტრალური აზია, ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა, სუბსაჰარული აფრიკა, სამხრეთ აზია, აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანეთი (The World By Region, The World Bank).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონალიზმი საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფენომენი გახდა. გლობალიზაციამ და ლიბერალიზაციამ კი კიდევ უფრო მეტად გაუსვა ხაზი ძლიერი რეგიონული კავშირების ჩამოყალიბების საჭიროებას.

„რეგიონალიზმი“ საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკის მეცნიერებაში შედარებით ახალი ტერმინია. მან, როგორც კონკრეტული გეოგრაფიული რეგიონის ან მსგავსი ორიენტაციის ქვეყნებს შორის ურთიერთობების კონსოლიდაციის მექანიზმმა, პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესების შესანარჩუნებლად და განსავითარებლად, პოპულარობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოიპოვა. ვფიქრობ, რეგიონალიზმს ადგილი უკავია ნაციონალიზმსა და უნივერსალიზმს შორის.

მიმაჩნია, რომ რეგიონალიზმი გლობალიზაციასა და ნაციონალიზმს შორის არის ერთ-ერთი, რომელიც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ფორმას განსაზღვრავს. ისინი იმდენად ხშირად იკვეთება და ერთმანეთთან გადაჯაჭვულია, რომ მათი ცალ-ცალკე დამოუკიდებლად არსებობა უკვე წარმოუდგენელიც არის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჰარმონიულად ვერასდროს თანაარსებობენ და ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან კიდევ.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული ინტეგრაციის იდეა პირველად XIX საუკუნის დასაწყისში ლათინურ ამერიკაში გაჩნდა, რის გამოც მას რეგიონისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ლათინური ამერიკა მრავალი თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და განსხვავებული რეგიონია, რომელიც ოც სუვერენულ სახელმწიფოსა და რამდენიმე დამოკიდებულ ტერიტორიას მოიცავს.

ქართულ რეალობაში ლათინური ამერიკის ტერიტორიის საზღვრები ხშირად არასწორად არის გაგებული, რასაც საფუძვლად ის გავრცელებული მიდგომა უდევს, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ტერმინის ქვეშ ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთით მდებარე ყველა ქვეყანას აერთიანებენ, რაც არასწორია.

ლათინური ამერიკის რეგიონის განსაზღვრების ნომერ პირველი ფაქტორი არის ენა. როგორც თავად სახელწოდება გვეუბნება, იგი ლათინურ (რომანულ), კონკრეტულ შემთხვევაში კი, ესპანურ, პორტუგალიურ და ფრანგულ ენებზე მოსაუბრე ქვეყნებს აერთიანებს. შესაბამისად, მიუხედავად ტერიტორიული სიახლოვისა თუ არსებული სხვა მსგავსებებისა, ლათინური ამერიკის საზღვრებიდან დასაწყისშივე უნდა გავმიჯნოთ არარომანულ ენებზე მოსაუბრე ქვეყნები (სურინამი, დომინიკა, იამაიკა და სხვები). ასევე, მიუხედავად ენობრივი ერთგვაროვნებისა, ლათინური ამერიკის გეოპოლიტიკურ შემადგენლობაში არ შედის აშშ-სა და საფრანგეთის დამოკიდებული ტერიტორიები: პუერტო რიკო და ფრანგული გაიანა. ლათინური ამერიკის შემადგენლობაში არც სამხრეთ ამერიკული სახელმწიფო გვიანის რეგიონში - გაიანა შედის, რადგან იგი ანგლოფონური სახელმწიფოა.

თავის მხრივ, ანგლოფონური და ლათინური ამერიკა თანამედროვე ინგლისურ ტერმინოლოგიაში ერთი ტერმინის ქვეშ ერთიანდება და მას ხშირად ამერიკის (the Americas) სახელით მოიხსენიებენ, რომელიც თავის თავში მსოფლიოს ორ კონტინენტს - ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას აერთიანებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეოსქემის მიხედვით ამერიკა ოთხ სუბრეგიონულ ტერიტორიად იყოფა: ჩრდილოეთ ამერიკა, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები, ცენტრალური ამერიკა და სამხრეთ ამერიკა. აღნიშნული სქემის მიხედვით, ლათინური ამერიკის შემადგენლობაში შედის კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების სამი (კუბა, ჰაიტი და დომინიკის რესპუბლიკა), ცენტრალური ამერიკის შვიდი (მექსიკა, გვატემალა, ელ სალვადორი, ჰონდურასი, ნიკარაგუა, კოსტა რიკა, პანამა) და სამხრეთ ამერიკის ათი (კოლუმბია, ვენესუელა, ეკვადორი, პერუ, ბოლივია, ჩილე, არგენტინა, პარაგვაი, ურუგვაი და ბრაზილია) სახელმწიფო (Composition of macro geographical (continental) regions... 2007).

ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის იდეა ორ საუკუნეზე მეტს ითვლის და აქტუალობას დღემდე არ კარგავს. უკანასკნელი ორი ასწლეულის განმავლობაში ლათინური ამერიკის ყოველი თაობა ცდილობდა ერთიანი ლათინური ამერიკის შექმნას. შესაბამისად, გაერთიანების მოძრაობა რეგიონის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ინტელექტუალური ისტორიაცაა. ლათინურ ამერიკელები პირველები იყვნენ მესამე სამყაროს ხალხებს შორის, რომლებმაც განვითარების პროგრამის საჭიროება აღიარეს, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს შეამსუბუქებდა. ამისათვის მათ რეგიონული ინტეგრაციის იდეა წამოაყენეს.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ლათინურ ამერიკაში რეგიონული ინტეგრაციის მოძრაობამ ევოლუციის ოთხი საფეხური გაიარა. პირველი ფაზა 1820-იან წლებში სიმონ ბოლივარის წინამძღოლობით დაიწყო, რომელსაც 1860-იანი წლების ინტელექტუალების მიერ მეორე ფაზა მოჰყვა. მესამე ეტაპი თითქმის საუკუნის მერე - 1950-იან წლებში დაიწყო, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონის ეკონომიკურმა კომისიამ რეგიონის ეკონომიკური გაერთიანების იდეა წამოაყენა. მეოთხე ეტაპი 1980-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისიდან სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზრის - მერკოსურის შექმნიდან იღებს სათავეს, როდესაც რეგიონში დემოკრატიზაციის მესამე ტალღა დაიწყო და პოლიტიკურმა ლიდერებმა ინტეგრაციის მიმართულებით აქტიური მუშაობა გაანახლეს. აღსანიშნავია, რომ მეოთხე ტალღის ინტეგრაციის მცდელობის წამახალისებელი არა მხოლოდ დემოკრატიულ რეჟიმზე დაბრუნება, არამედ ქვეყნებს შორის მუდმივად მზარდი ეკონომიკური და, ხშირად, პოლიტიკური პაექრობაც იყო.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების დიპლომატიური და ინტელექტუალური მცდელობების აღმოჩენას, შესწავლასა და ანალიზს. ლათინური ამერიკის გაერთიანების იდეა აქტუალურია, რადგან ორი საუკუნეა მას მნიშვნელობა არ დაუკარგავს და დღემდე დღის წესრიგში აქტიურად დგას.

რეგიონალიზმის ფენომენი არც საქართველოსთვის არის უცხო. ამისთვის მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხსენებაც კმარა. 1921 წელს ჩვენი ქვეყანა ევრაზიის 14 ქვეყანასთან ერთად კავშირში გაწევრიანდა, რომელშიც მან 70 წელიწადი დაჰყო. საბჭოთა კავშირი თავისუფლად შეიძლებოდა რეგიონალიზმის საუკეთესო მაგალითი გამხდარიყო. მას ხელს უწყობდა გეოგრაფიული ფაქტორებიც, მაგრამ პოლიტიკური პრიციპები ამის წინააღმდეგ მოქმედებდა. ორგანიზაცია რეალურ კავშირს მხოლოდ ნომინალურად წარმოადგენდა. სინამდვილეში იგი უკიდურესად ცენტრალიზებული ერთპარტიული ხელისუფლება იყო, რომელიც მოსკოვიდან კომუნისტური პარტიის გზით იმართებოდა და მასში ერთპიროვნული ძალაუფლება მხოლოდ რუსეთს ეკუთვნოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1994 წელს, სხვა 8 ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან ერთად, საქართველო უკვე მის სამართალმემკვიდრე „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ორგანიზაციაში“ გაერთიანდა, რომელიც ოფიციალურმა თბილისმა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის კვალდაკვალ დატოვა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, განსაკუთრებით, 2003 წლიდან საქართველომ განსაკუთრებული მისწრაფება დასავლური რეგიონული ორგანიზაციების: ნატოსა და ევროკავშირის მიმართ გამოიჩინა და ამისთვის აქტიური ნაბიჯების გადადგმაც დაიწყო. თუმცა, 2019 წლისთვისაც მიზანი ჯერჯერობით მხოლოდ მიზნად რჩება. აქედან გამომდინარე, უცხოური გამოცდილების გაანალიზება და გათვალისწინება ჩვენს ქვეყანაზე, შესაძლოა, სასიკეთოდ აისახოს.

ლათინური ამერიკის რეგიონი საქართველოს ისტორიაში პირველად ყველაზე აქტუალური და საინტერესო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გახდა, როდესაც ნიკარაგუამ და ვენესუელამ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ოფიციალურად დაუჭირეს მხარი. 2009-2010 წლებში მათ შორის დიპლომატიური ურთიერთობაც დაიწყო. პარადოქსული ფაქტია, რომ მეზობელი რუსეთის შემდეგ, საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს

სადავო ტერიტორიები დამოუკიდებლად პირველებმა ერთდროულად სწორედ შორეულმა ნიკარაგუამ და ვენესუელამ აღიარეს. უფრო მეტიც, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებისა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების ინტერესი სხვა ლათინურ ამერიკულმა სახელმწიფოებამაც გამოხატეს (გოგინავა, 2016).

კვლევის ფარგლებში ვესაუბრე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს არგენტინაში ირაკლი ყურაშვილს, რომელიც 2018 წლიდან საქართველოს სახელით დიპლომატიურ საქმიანობას ასევე ეწევა ჩილეში, პარაგვაიში, ურუგვაიში, ეკვადორსა და ბოლივიაში. შეკითხვაზე, თუ დიპლომატიური თვალსაზრისით, რამდენად მნიშვნელოვანია დღეს საქართველოსთვის ლათინურ ამერიკასთან ახლო ურთიერთობა და რატომ, ირაკლი ყურაშვილმა განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის რეალიები დაასახელა და აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის აქტიური დღის წესრიგის ნაწილი ლათინური ამერიკის რეგიონი სწორედ „აგვისტოს ომის“ შემდეგ გახდა, როდესაც რუსეთმა ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა და შეეცადა, სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის, ზეწოლის გზით მიეღწია, რომ მსოფლიოს მთელ რიგ, მათ შორის, ლათინური ამერიკის ქვეყნებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა ეღიარებინათ.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ლათინური ამერიკის რეგიონის შესწავლა და რატომ, რესპონდენტმა გვიპასუხა, რომ საქართველოსთვის საინტერესო უნდა იყოს ლათინური ამერიკის ცალკეული ქვეყნების ისტორიული გამოცდილება, როგორც პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი, ასევე სოციალური და ეკონომიკური სისტემების განვითარებისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით.

დღესდღეობით საინტერესო და მიზანშეწონილია განვიხილოთ არა მხოლოდ ცალკე, ინდივიდუალურად აღებული ქვეყნები, არამედ რეგიონული კონტექსტიც გავითვალისწინოთ. რამდენიმე ქვეყანა მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონულ და გლობალურ, მსოფლიო დონეზე. გასათვალისწინებელია, რომ ფუნქციონირებს რამდენიმე რეგიონული ბლოკი/გაერთიანება რომლებისთვისაც პრიორიტეტს

წარმოადგენს დანარჩენ მსოფლიოსთან აქტიური თანამშრომლობის განვითარება და ხელშეწყობა.

ვენესუელას გარდა, უნდა გავითვალისწინოთ რეგიონისთვის დამახასიათებელი ის მუდმივი დინამიკა და ცვალებადობა, რასაც ზოგიერთ ქვეყანაში მიმდინარე შიდაპოლიტიკური პროცესები განაპირობებს. დღესდღეობით რეგიონში ინტეგრაციულ პროცესებს აფერხებს ის გარემოება, რომ ტრადიციულად ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებულია სხვადასხვა ქვეყნის სათავეში მყოფი მემარჯვენე-ცენტრისტული და მემარცხენე-ცენტრისტული ძალები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, რომ დღეისთვის ლათინური ამერიკა გლობალური სამყაროს განუყოფელი ნაწილია და ამ რეგიონში მიმდინარე პროცესების ისევე, როგორც ისტორიისა და თანამედროვე რეალობის გაცნობა, გააზრება და მასზე მუდმივი თვალყურის დევნება მართლაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია“, - განაცხადა ირაკლი ყურაშვილმა (ყურაშვილი, 2020).

კვლევის ფარგლებში ასევე ვესაუბრე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორს, გვარამ ხანდამაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ლათინური ამერიკის სიღრმისეულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოსთვის რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების წარმართვისას აუცილებელია ამ ქვეყნების შიდაპოლიტიკური პროცესებისა და საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების სწორი აღქმა, რაც მხოლოდ მათი სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე მიიღწევა. გარდა ამისა, რეგიონში რუსეთის აქტიურობის გათვალისწინებით, საჭიროა, მუდმივად ხდებოდეს შესაძლო რისკების დროული შეფასება არაღიარების პოლიტიკის თვალსაზრისით.

ირაკლი ყურაშვილის მსგავსად, გვარამ ხანდამაშვილიც ლათინური ამერიკით დაინტერესებას „აგვისტოს ომის“ შემდგომ პერიოდს უკავშირებს. ლათინური ამერიკის რეგიონის ორი სახელმწიფო ოფიციალურად უარყოფს, არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ვენესუელა და ნიკარაგუა, ოკუპანტი ქვეყნის მსგავსად, აფახაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობას სცნობენ. ეს გარემოება ლათინურ

ამერიკას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს საქართველოსთვის, როგორც არაღიარების პოლიტიკის შემდგომი განმტკიცებისა და კონსოლიდაციის, ასევე საქართველოს დეოკუპაციის კუთხით (ხანდამაშვილი, 2020).

დღეს ლათინური ამერიკა საერთაშორისო მკვლევრების მზარდი ყურადღების ეპიცენტრში სულ უფრო აქტიურად ექცევა. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში სპეციალიზებული სამეცნიერო კონფერენციები იმართება, იხსნება რეგიონის შესწავლის ცენტრები და ინსტიტუტები, გამოიცემა მრავალფეროვანი ნაშრომები, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლათინური ამერიკისმცოდნეობის სასწავლო პროგრამებს. ლათინურ ამერიკული „რბილი ძალა“ (soft power) დღეს ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში იგი მსოფლიოს უდავოდ ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია.

ლათინური ამერიკა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე თავისებური და მრავალფეროვანი რეგიონია, რომელიც მსოფლიოსთვის დღეს ისეთი აქტუალურია, როგორც არასდროს. საქართველოს მოსახლეობისთვის ლათინური ამერიკა, ხშირად, უბრალოდ საპნის ოპერებთან ასოცირდება. სამწუხაროდ, ქართულ განათლების სისტემაში რეგიონი, ფაქტობრივად, ყურადღების მიღმაა დარჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის რამდენიმე უნივერსიტეტში უკვე არსებობს ამერიკისმცოდნეობის პროგრამები, ისინი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებზე აკეთებენ აქცენტს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთია, სადაც შეისწავლება ლათინური ამერიკა, თუმცა საბაკალავრო დონეზე, თანაც ზოგადად, მხოლოდ მისი ისტორია და ლიტერატურა, ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში კი გათვალისწინებულია XX საუკუნის ლათინური ამერიკის ინტერდისციპლინური ერთი კურსი. ასეთი მდგომარეობის ახსნა შეიძლება იმით, რომ საქართველოში, სტუდენტების დიდი დაინტერესებისა და ლათინური ამერიკის შესწავლის აქტუალობის მიუხედავად, ლათინური ამერიკისმცოდნეობა ჯერ-ჯერობით ფაქტობრივად განუვითარებელია, შესაბამისად, არც სპეციალისტები არიან.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, რაოდენობრივ კვლევაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო პროგრამების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 49-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ანკეტირების შედეგად გამოიკვეთა სტუდენტთა შეხედულება, რომ აღნიშნული ორი უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის პროგრამებზე ლათინური ამერიკის შესწავლას საკმარისი ადგილი არ ეთმობა. ასე რესპონდენტების 61% ფიქრობს (ელექტრონული გამოკითხვა, 2020). შეკითხვამ, თუ რამდენად იქნებოდნენ ისინი დაინტერესებულნი ამერიკისმცოდნეობის პროგრამაში ლათინური ამერიკის რეგიონის უფრო ღრმად შესწავლით, გამოავლინა, რომ გამოკითხულთა 77% ამით დაინტერესებული ან ძალიან დაინტერესებულია. რესპონდენტების 84% კი მიიჩნევს, რომ საქართველოში საუნივერსიტეტო დონეზე ლათინური ამერიკისმცოდნეობის ძირითადი ან მეორადი სპეციალობა უნდა არსებობდეს (ელექტრონული გამოკითხვა, 2020).

სტუდენტებმა ანკეტირებაში საქართველოსთვის ლათინური ამერიკის შესწავლის მნიშვნელობა და მიზეზებიც დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ მათ ხაზი გაუსვეს საქართველოსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის პარალელებს, მათი გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, სტუდენტები მიიჩნევენ, რომ ლათინური ამერიკა ამერიკის შემადგენელი ნაწილია და მის საფუძვლიანად შესასწავლად ორივე ამერიკის შესწავლა არის საჭირო. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ამერიკისმცოდნეობის მნიშვნელოვანი განვითარებისა საქართველოში, პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებზე და ლათინურ ამერიკას იგივე ადგილი არ ეთმობა, რაც არასწორია. სტუდენტებმა პერსპექტივაში ლათინური ამერიკის ქვეყნებთან სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავებასა და იქ გაცვლითი აკადემიური პროგრამების შესაძლებლობას მიაქციეს ყურადღება. კვლევისას ასევე გამოიკვეთა აკადემიური ნაშრომებისა თუ საინფორმაციო სტატიების ქართულ ენაზე არარსებობის პრობლემა და საჭიროებაც (ელექტრონული გამოკითხვა, 2020).

გვარამ ხანდამაშვილი თვლის, რომ თანამედროვე პერიოდში ლათინური ამერიკის რეგიონის შესწავლას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებებში შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. ისეთი სამეცნიერო დისციპლინები, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერება და რეგიონთმცოდნეობა აუცილებელად უნდა სთავაზობდნენ მომავალ სპეციალისტებს ლათინური ამერიკის შესახებ საგანთა ფართო არჩევანს (ხანდამაშვილი, 2020).

კვლევის ობიექტია: 1. რეგიონალიზმის ევოლუცია, მისი ჩამოყალიბების მიზეზები და გავლენა-შედეგები ოც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, რომლებიც დღეს თანამედროვე ლათინური ამერიკის პოლიტიკურ რუკას ქმნიან და 2. ლათინური ამერიკის რეგიონული ორგანიზაციების მაგალითზე რეგიონალიზმის თითოეული ტალღა, რომელიც მნიშვნელოვანი თავისებურებებით გამოირჩეოდა.

კვლევის მიზანი არის იმ თავისებურებების აღმოჩენა, შესწავლა, გაანალიზება და წარმოჩენა, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან მოყოლებული თან ახლდა ლათინურ ამერიკული რეგიონალიზმის ისტორიულ განვითარებას და რომლებიც დღემდე განსაზღვრავს მის ხასიათს, რის გამოც ლათინურ ამერიკული რეგიონალიზმი უდავოდ უნიკალურია. აღმოჩენა იმიტომ, რომ ლათინური ამერიკის ინტეგრაციის არაერთი ინიციატივა ფართო საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი და მათ შესახებ არსებული ლიტერატურაც ძალიან მწირია. ამის გამო კვლევის ფარგლებში ინტენსიური და ვრცელი შრომის ჩატარება გახდა საჭირო.

კვლევის ამოცანები არის იმაზე პასუხის გაცემა, თუ როდის და რატომ დგებოდა ლათინურ ამერიკაში რეგიონალიზმის საჭიროება; რა გარემოებებში არსებობდა იგი რეგიონში; როგორი იყო ცალკეული ქვეყნის დამოკიდებულება რეგიონული ინტეგრაციის საკითხის მიმართ; რა დამოკიდებულება ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და როგორი იყო ლათინურ ამერიკულ რეგიონალიზმზე საგარეო გავლენა; არსებობდა თუ არა ორივე ამერიკის ინტეგრაციის შესაძლებლობა; რით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან რეგიონალიზმის სხვადასხვა ტალღა; რა იყო რეგიონული ინტეგრაციის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები; როგორია რეგიონალიზმი დღეს და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას მომავალში არა მხოლოდ ლათინურ ამერიკაზე, არამედ საერთაშორისო წესრიგზეც.

ჰიპოთეზები: ლათინური ამერიკის გაერთიანების იდეები რეგიონის დაბადებასთან ერთად გაჩნდა. თუმცა, ორი საუკუნის განმავლობაში მისი ინტეგრაცია ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც რეგიონალიზმის განვითარების ნაცვლად ლათინური ამერიკის ფრაგმენტაცია მოხდა. ავტორის დასკვნით, ლათინურ ამერიკულ რეგიონალიზმს მსოფლიოს არცერთ სხვა რეგიონში ისტორიული ანალოგი არ აქვს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ლათინური ამერიკის უნიკალურობას.

ქრონოლოგია: კვლევა მოიცავს პერიოდს ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობის ომებიდან დღემდე.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა: ალბათ გასაკვირი არ იქნება იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ არა თუ რეგიონალიზმი ლათინურ ამერიკაში, არამედ ზოგადად რეგიონალიზმი არ არის შესწავლილი ქართულ სამეცნიერო სივრცეში. ჩვენს სამშობლოში აღნიშნული საკითხის შესწავლის მცდელობაც კი არასდროს ყოფილა. შესაბამისად, იგი ახალი სიტყვაა ლათინური ამერიკის რეგიონის შესწავლის მიმართულებით, რომელიც, ვფიქრობ, სამომავლოდ აუცილებლად განვითარდება. უშუალოდ წინამდებარე კვლევის საკითხი, რომელიც 1810-იანი წლებიდან დაწყებული 2019 წლის ჩათვლით ლათინურ ამერიკაში რეგიონული ინტეგრაციის ყველა მცდელობის დამოუკიდებლად სტრუქტურირებას ისახავს მიზნად, არც საზღვარგარეთის სამეცნიერო სივრცეში მოიპოვება. თუმცა, არსებობს ნაშრომები, რომლებიც ცალკეულ რეგიონულ ორგანიზაციებს ან ყველაზე მნიშვნელოვან ინიციატივებს ეხება, როგორცაა, მაგალითად, მერკოსური.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა, ვფიქრობ, მისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობაში მდგომარეობს, რაც ამ მიმართულებით სამომავლო კვლევების განხორციელებას შეუწყობს ხელს.

აღნიშნული კვლევის საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენება, ვფიქრობ, ამ ეტაპზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ქვეყანაში საუნივერსიტეტო დონეზე, განსაკუთრებით კი ამერიკისმცოდნეობის მიმართულებაზე კურსის არსებობა ამერიკის რეგიონული პოლიტიკის, ან რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფიის შესახებ, რომელიც შეეხება პოლიტიკური ძალების, ამ შემთხვევაში, რეგიონული

გაერთიანებების ტერიტორიულ გადანაწილებას ორივე ამერიკაში, რაც სტუდენტებს რეგიონის უკეთ შესწავლაში დაეხმარება, აუცილებელია.

დღეს ლათინურ ამერიკას საქართველოში ცნობადობის დაბალი მაჩვენებელი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ იგი, კვლევის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და საინტერესო რეგიონია. ამის გამოსწორება კი უნივერსიტეტებიდან უნდა დავიწყოთ. წინამდებარე კვლევა კი წარმოადგენს პირველ მცდელობას მთელი ლათინური ამერიკა ერთი კონკრეტული საკითხის ქვეშ ერთიან კონტექსტში წარმოაჩინოს. იგი საინტერესო უნდა იყოს არა მხოლოდ ამერიკის შესწავლით, არამედ პოლიტიკური მეცნიერებით, საერთაშორისო ურთიერთობებითა თუ გეოპოლიტიკით დაინტერესებული მკვლევრებისთვის, ასევე შესაბამისი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, რაც ნაშრომს პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენს.

მეთოდოლოგია: ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, კვლევისას სხვადასხვა მეთოდი გამოყენებული. ძირითადი აქცენტი თვისებრივი კვლევის მეთოდებზეა გაკეთებული, თუმცა გარკვეული დოზით რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიც არის გამოყენებული. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შემთხვევის შესწავლას (case study), რაც ნაშრომს დამატებით ღირებულებას სძენს და მის პრაქტიკულ მნიშვნელობას ზრდის. გამოყენებულია პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზი, შედარებითი ანალიზისა თუ კრიტიკული შეფასების მიდგომები. საკითხი შესწავლილია ისტორიის, გეოპოლიტიკის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში. კვლევა ქრონოლოგიურ პრინციპს ემყარება.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია უნიკალური პირველწყაროები. საკითხის შესწავლა და შეფასება ხდება არა რომელიმე ავტორის ინტერპრეტაციის გავლენით, არამედ თავად ადგილობრივი იუნიონისტების სიტყვების, მათი ნააზრების შესწავლისა და გაანალიზების გზით, რისთვისაც გამოყენებულია მრავალფეროვანი დოკუმენტური მასალა თუ მემუარები. თავისი ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე ზოგიერთი მათგანი „იუნესკოს“ კულტურული მემკვიდრეობის სიაშიც კი არის შეტანილი.

ავტორისეული დასკვნები მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირის გამოვლენასა და ანალიზზე კეთდება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თემასთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული, საქართველოსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ, საქართველოში ლათინური ამერიკის შესწავლასთან, მის საჭიროებებსა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით ჩავატარე რამდენიმე სიღრმისეული ინტერვიუ, მათ შორის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორთან - გვარამ ხანდამაშვილთან, არგანტინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან - ირაკლი ყურაშვილთან.

რაოდენობრივი კვლევის ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების 49-მა სტუდენტმა.

კვლევის ეტაპები და შედეგები. კვლევის პროცედურა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, ამავე უნივერსიტეტის პროფესორის - ელენე მექმარიაშვილისა და ბუენოს აირესისა და არგენტინის სამეწარმეო უნივერსიტეტების პროფესორის - ლუის ფერნანდო კასტილიო არგანიარასის უშუალო ხელმძღვანელობით წარიმართა. კვლევისას კონსულტაციები მივიღე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტისგან, ბრაზილიის საელჩოსგან თბილისში, კონკრეტულად, ელჩ კარლოს ალბერტო ლოპეს ასფორასგან, არგენტინელ მკვლევარ კლაუდია გაბრიელა გასოლ ვარელასგან.

1. კვლევის პირველი ეტაპი დაეთმო რეგიონალიზმის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი სისტემის შესწავლას, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გააზრებას, ისტორიული განვითარებისა და გამოვლინების გაანალიზებას, იმის ილუსტრაციას, თუ რა გავლენა ჰქონდა და აქვს მას მსოფლიო პოლიტიკაზე. აქ დადასტურდა, რომ რეგიონალიზმი გლობალური ფენომენია და მისი გამოვლინების დანახვა მთელ მსოფლიოშია შესაძლებელი. გარდა ამისა, რეგიონალიზმი, გლობალიზაციასა და ნაციონალიზმთან ერთად,

თანამედროვე საერთაშორისო წესრიგს განსაზღვრავს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ავტორის ვარაუდით, მსოფლიოში რეგიონების დრო დგება. კვლევის ამ ნაწილზე მოხსენება წარვადგინე ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში 2018 წელს, თბილისში.

2. მეორე ეტაპზე რეგიონალიზმი შევისწავლე უკვე უშუალოდ ლათინურ ამერიკაში და გაანალიზე, თუ როდის და როგორ დაიწყო იგი იქ; რა ფაქტორებმა და გარემოებებმა განაპირობა რეგიონალიზმის იდეის დაბადება რეგიონში და განვითარების რა გზა განვლო მან ლათინურ ამერიკაში. კვლევის ამ ეტაპზე გამოჩნდა, რომ ლათინურ ამერიკული რეგიონალიზმი უნიკალური ფენომენია და მას ისტორიული ანალოგი არ მოეპოვება. უმნიშვნელოვანესი პირველადი წყაროების შესწავლამ და გაანალიზებამ აღნიშნულ დასკვნას ხაზი კიდევ უფრო მეტად გაუსვა. კვლევის ეს ნაწილი საჯაროდ წარვადგინე დოქტორანტის კოლოქვიუმზე. ასევე, ის გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატიის სახით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებულში „ამერიკის შესწავლის საკითხები“.

3. მესამე ეტაპი დაეთმო რეგიონალიზმის თითოეული გამოვლინების შესწავლასა და გაანალიზებას ლათინურ ამერიკაში უშუალოდ რეგიონული ორგანიზაციების კონტექსტში. ამ ეტაპზე აქტიურად გამოვიყენე შემთხვევის შესწავლისა და შედარებითი პოლიტიკის მეთოდები. გამოიკვეთა, რომ ლათინური ამერიკა მსოფლიოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით რეგიონული და სუბ-რეგიონული გაერთიანებების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა და მათი შექმნის ძირითადი მიზანი თითქმის ყოველთვის პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტეგრაცია იყო. თავისებურება გამოიკვეთა იმაშიც, რომ რეგიონული ორგანიზაციები იქ, უმეტეს შემთხვევაში, მემარცხენე ხასიათის იყო. შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა ინტეგრაციის სქემაში მათ მიერ არასდროს მოიაზრებოდა. კვლევის ამ ნაწილის პრეზენტაცია მოხდა დოქტორანტთა საერთაშორისო ინტერდისციპლინურ კონფერენციაზე ბუქარესტში; ასევე, სამართლის

ეკონომიკისა და პოლიტიკის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე კემბრიჯის უნივერსიტეტში.

4. მეოთხე ეტაპზე შვისწავლე ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება ლათინური ამერიკის ინტეგრაციისადმი, აშშ-სა და ლათინური ამერიკის ურთიერთობის ისტორიის ჭრილში. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ თავისებურებების გაანალიზებასა და შედარებას ლათინურ ამერიკულ რეგიონულ ორგანიზაციებთან. დასავლეთ ნახევარსფეროსა თუ ამერიკის კონტინენტზე საუბრისას შეუძლებელია, აშშ-ს გვერდი ავუაროთ და ეს კვლევის ფარგლებში კიდევ ერთხელ დადასტურდა. კვლევის ამ ნაწილის საჯარო პრეზენტაცია მოხდა რამდენჯერმე ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ასევე, დოქტორანტის კოლოქვიუმზე.

5. თანამედროვე რეგიონალიზმის შეფასებას ცალკე ეტაპი დაეთმო, რომლის ფარგლებშიც მოხერხდა იმის წარმოჩენა, თუ რა არის დღეს რეგიონალიზმი და რა ფორმით არსებობს იგი მსოფლიოში; როგორია მისი სამომავლო პერსპექტივები და რას უნდა ველოდოთ მისგან. კვლევის ამ ნაწილზე სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა ბრიტანულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

6. ბუნებრივია, რომ ლათინურ ამერიკაში რეგიონალიზმის ორსაუკუნოვანი გამოცდილებისა და მისი თავისებურებების წარმოჩენა თვითონ რეგიონის ისტორიის საფუძვლიანი გააზრების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად, ლათინური ამერიკის რეგიონული ისტორიის შესწავლასა და შეფასებას ცალკე და საკმაოდ ხანგრძლივი ეტაპი დაეთმო, რამაც საშუალება მომცა უკეთ გამეანალიზებინა, როდის წამოიწევდა წინა პლანზე რეგიონალიზმის საკითხი იქ და ვინ და რატომ ანიჭებდა მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამ საკითხზე სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის კონფერენციის მასალების კრებულში.

7. მიუხედავად იმისა, რომ საკვლევ თემასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, კვლევის მეშვიდე ეტაპზე გადავწყვიტე, რომ წარმომეჩინა საქართველოში ლათინური ამერიკის შესწავლის საჭიროება და აქტუალობა. ამისთვის ჩავატარე რამდენიმე დეტალური ინტერვიუ საქართველოსა და ლათინური ამერიკის ურთიერთობის საკითხებზე და ამერიკისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტების ანკეტირება ლათინური ამერიკის შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საკითხი წარმოჩენილია არა მხოლოდ ქართველი, არამედ უშუალოდ ლათინურ ამერიკელი მკვლევრის შეფასებითაც.

სამწუხაროდ, „კოვიდ 19“-ის გლობალურმა პანდემიამ გარკვეული გავლენა ჩემი კვლევის პროცესზეც იქონია. 2020 წლის მარტსა და აპრილში დაგეგმილი კვლევითი ვიზიტები ლათინური ამერიკის ოთხ ქვეყანაში: ბრაზილიაში, არგენტინაში, პერუსა და კოლუმბიაში გადაიდო.

წყაროების მიმოხილვა. ლიტერატურის შესწავლამ დაადასტურა, რომ ლათინური ამერიკის ინტეგრაციის მცდელობებზე ერთიანი ისტორიული ანალიზის პოვნა ძალიან რთულია. პირველი, ვინც აღნიშნული საკითხის შესწავლას ხელი მოკიდა, იყო სალვადორ რივერა. წიგნში „ლათინური ამერიკის უნიფიკაცია“, რომელიც 2014 წელს გამოიცა, რეგიონის გაერთიანების პოლიტიკური და ინტელექტუალური მცდელობებია განხილული, თუმცა ნაწილობრივ. წინამდებარე ნაშრომი კი ყველა ინტეგრაციული პროექტის მოკლე, მაგრამ კრიტიკულ ანალიზს მოიცავს.

მრავალფეროვანია ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული ლიტერატურა. მათგან უძველესი ძვ. წ. IV საუკუნით, უახლესი კი 2018 წლით თარიღდება. დამუშავებულია ისეთი უნიკალური პირველწყაროები, როგორცაა, მაგალითად, 1815 წელს სიმონ ბოლივარის მიერ დაწერილი „იმაიკის წერილი“.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია ყველა დროის ცნობილი ლათინურ ამერიკელი ინტელექტუალების: ხოსე მარია სამპერის, ფრანსისკო ბილბაოს, მანუელ უგარტესა და სხვა გავლენიანი მოაზროვნეების ნაშრომები.

სადისერტაციო ნაშრომს მრავალფეროვანი წყაროთმცოდნეობითი ბაზა აქვს, რომელიც საკვლევო საკითხის დღეისთვის ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალებს მოიცავს. სხვადასხვა სახის პირველწყაროს გარდა, კვლევა ეფუძნება როგორც, უპირველესად, ლათინოამერიკელი, ასევე საერთაშორისო მკვლევრების მონოგრაფიებს, სტატიებსა და სხვა ხასიათის ნაშრომებს.

პირველწყაროებს შორის გამოვყოფ შემდეგს:

- **სიმონ ბოლივარის წერილები**, რომლებმაც ჩემთვის საინტერესო საკითხზე ამ მსოფლიო დონის პოლიტიკოსის შეხედულებების გაანალიზების შესაძლებლობა მომცა. მათ შორის აღსანიშნავია „კარტახენას მანიფესტი“, რომელიც სიმონ ბოლივარის პირველი საჯარო ნაშრომია. იგი 1812 წლის 15 დეკემბერს, კოლუმბიაში დაიწერა. წერილი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში დეტალურად არის ჩამოყალიბებული ბოლივარის, როგორც პოლიტიკური ლიდერის შეხედულებები ხელისუფლებასა და მართვის სტილზე. აღსანიშნავია, რომ წერილში ავტორი რომაული კათოლიკური ეკლესიის ანტირესპუბლიკურ დამოკიდებულებებსა და ქმედებებზეც საუბრობს.

კვლევისთვის განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა ე.წ. იამაიკის წერილი, რომელიც სიმონ ბოლივარის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად ითვლება. ის „განმანთავისუფლებელმა“ 1815 წელს კუნძულ იამაიკაზე ჰენრი ქულენის წერილის პასუხად დაწერა. მასში ბოლივარი ჩილესა და არგენტინიდან დაწყებული მექსიკის ჩათვლით მთელ ლათინურ ამერიკას პანორამულად განიხილავს. წერილში იგი წერს: „კავშირი, რომელიც ესპანეთთან გვაკავშირებდა დაირღვა. ადამიანებს, რომელთაც თავისუფლება უყვართ, ბოლოს თავისუფლები იქნებიან. ჩვენ ადამიანთა რასის მიკროკოსმოსი ვართ. სამყაროსგან მოშორებულები ვართ, ორ ოკეანეს შორის მოქცეული, ხელოვნებასა და მეცნიერებაში ახალგაზრდები, მაგრამ ასაკოვანი, როგორც საზოგადოება. არც ინდიელები ვართ და არც ევროპელები, თუმცა ორივეს ნაწილი ვართ“ (Bolivar, 2015).

იამაიკის წერილს უზარმაზარი გავლენა ჰქონდა იმ დროის ლათინურ ამერიკულ პოლიტიკურ აზრზე, ისევე როგორც ჩემს სადისერტაციო ნაშრომზე.

წერილი, ფაქტობრივად, იმ პერიოდის ლათინურ ამერიკაში გვამოგზაურებს. მასში გაანალიზებულია თავისუფლების მნიშვნელობა რეგიონისთვის, მისი პრობლემები და მათი გადაჭრის ბოლივარისეული გზები. საყურადსაღებოა ის ფაქტი, რომ 200 წლის შემდეგაც წერილში ნახსენები არაერთი პრობლემა რეგიონისთვის დღემდე აქტუალური და გადაუჭრელია, ბოლივარის შეხედულებები კი რელევანტური და საინტერესო.

- **ქრესტომათიები:** ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია 1906 წელს გამოცემული ხოსე ვიქტორინო ლასტარიას ესპანურ ენაზე გამოქვეყნებული მრავალტომიანი იშვიათი და უმდიდრესი **დოკუმენტური მასალების კრებული** (Lastarria, 1906), რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს ლათინური ამერიკის პოლიტიკური ისტორია დეტალურად შეისწავლოს XX საუკუნემდე. შეიძლება ითქვას, რომ იგი რეგიონის მკვლევრების პირველწყაროა, რადგან ლათინურ ამერიკაში ძნელად მოიძებნება მეცნიერი, რომელსაც თავის კვლევაში ლასტარიას კოლექცია არ ჰქონდეს გამოყენებული.
- **თვითმხილველებისა და პოლიტიკოსების მოგონებები:** პანამის კონგრესის მნიშვნელობის გააზარებისა და ანალიზისათვის უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს წარმოადგენს ანტონიო დე ლა პენია და რეიესის „პანამის კონგრესი“ (De la Peña y Reyes, 1926). დოკუმენტში დეტალურად არის გადმოცემული პანამის კონგრესის თავისებურებები, მასთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობა და მონაწილეთა შეხედულებები რეგიონის გაერთიანებასთან დაკავშირებით.

ინდო-ამერიკის, როგორც ერთიანი სისტემის გამოწვევებისა და განვითარების შესახებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ვიქტორ რაულ აია დე ლა ტორეს ნამუშევრები (*A Dónde va Indoamérica?*; *La Defensa Continental*). დე ლა ტორეს რეგიონის ინტეგრაციასთან დაკავშირებით ძალიან თავისებური და განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა. იგი ათწლეულების განმავლობაში აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა, რამაც მისი აზრები კიდევ უფრო მეტად პრაქტიკული და მნიშვნელოვანი გახადა.

- **ხელშეკრულებები, კონვენციები, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლო დოკუმენტები.** გამოყენებულ პირველწყაროებს შორისაა „ურთიერთდახმარების საერთოამერიკული ხელშეკრულება“ (Inter-American Treaty of Reciprocal Assistance), რომელიც 1947 წლის 2 სექტემბერს გაფორმდა. დოკუმენტი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სულისკვეთების პირდაპირი გამოძახილია. იგი ისტორიაში „ნახევარსფეროს თავდაცვის დოქტრინის“ სახელითაც გახდა ცნობილი, რადგან ხელმომწერმა ამერიკის სახელმწიფოებმა დოკუმენტით მკაფიოდ დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, რომ ნებისმიერ მათგანზე თავდასხმა ყველა მათგანზე თავდასხმად იქნებოდა გაგებული. აქ შეგვიძლია, პარალელი „მონროს დოქტრინასთან“ გავავლოთ, რომელიც 124 წლის წინ ზუსტად იმავე აზრის მატარებელი იყო და იმ იშვიათ შემთხვევებს განეკუთვნება, რომელიც ამერიკის ერთიანობას უსვამდა ხაზს.

ასევე დამუშავებულია 1933 წელს ჩამოყალიბებული დოკუმენტი - „მონტევიდეოს კონვენცია“ (Montevideo Treaty), რომელიც ლათინური ამერიკის რეგიონული პოლიტიკის ისტორიაში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს. მასში ხაზგასმულია თითოეული ქვეყნის სახელმწიფოებრიობის პატივისცემა და ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციას საერთოამერიკულ საქმეებში. დოკუმენტი თანხვედრაში მოდის ფრანკლინ დელანო რუზველტისა და ქორდერ ჰალის „კეთილი მეზობლის პოლიტიკასთან“.

დისერტაციაში გაანალიზებულია აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საიდუმლო დოკუმენტი ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის შესახებ, რომელსაც გასაიდუმლოებულის სტატუსი სულ რამდენიმე წლის წინ მოეხსნა (Special Report: The Latin American Free Trade Association). დოკუმენტში პირველ პირშია გადმოცემული თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა შტატებს ამ რეგიონული გაერთიანების მიმართ და რა საფრთხეებს ხედავდა იგი ლათინური ამერიკის ინტეგრაციაში.

- **მონოგრაფიები.** მეორად წყაროებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჯონათან ბარტონის „ლათინური ამერიკის პოლიტიკურ გეოგრაფიას“. წიგნში დეტალურად არის განხილული ლათინური ამერიკის საზოგადოების,

პოლიტიკისა და ეკონომიკის თავისებურებები. ავტორი ნათლად წარმოაჩენს იქ არსებულ განსხვავებებს რეგიონებსა და ქვეყნებს შორის და საუბრობს ძალაუფლებასა და ტერიტორიებს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

საკითხის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პია რიჯიროცისა და დიანა ტუსის „პოსტ-ჰეგემონური რეგიონალიზმის აღზევა“.

საკითხის ირგვლივ არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი და უახლესი ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ნაშრომში წამოწეულია საერთაშორისო რეგიონალიზმის არსი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში, რაც ქართული აკადემიური სივრცისთვის სიახლეა. დამუშავებულია ისეთი ავტორების მიერ შექმნილი ნაშრომები, როგორცაა: ჰარმ დე ბლისა და პიტერ მიულერის „გეოგრაფია: რეალიები, რეგიონები და კონცეპტები“ (2002); ხოსე ბრისენიო-რუისისა და ისიდრო მორალესის „პოსტ-ჰეგემონური რეგიონალიზმი ამერიკაში“ (2017); ენდრიუ გეიმბლისა და ენტონი პეინის „რეგიონალიზმი და მსოფლიო წესრიგი“ (1996) და სხვა.

- **სამეცნიერო სტატიები, მოხსენებები.** ამ მხრივ გამოვყოფ ოლივიე დაბენეს მოხსენებას „ლათინური ამერიკის შესწავლის ასოციაციის“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე 2012 წელს, რომელიც ანალიზებს რეგიონალიზმის ოთხ ტალღას ლათინურ ამერიკაში (Dabene, 2012).

ასევე, მალამუდისა და გარდინის სტატია „რეგიონალიზმმა პიკს მიაღწია? ლათინურ ამერიკული კვაგმირი და მისი გაკვეთილები“ (Malamud, & Gardini, 2012).

ნაშრომში გამოყენებულია ისეთი ცნობილი გამომცემლობების მიერ ინგლისურ, ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე გამოცემული ლიტერატურა, როგორცაა: Springer, Routledge, SAGE Publications, Oxford University Press, Cambridge University Press და სხვები. ასევე მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების: BBC-ის, CNN-ის, El País-ის, The Washington Post-ის, Time-ის, Financial Times-ის, Globo-ს, Al Jazeera-ს, Reuters-ის, Venezuelanalysis.com-ის, CFR.org-ის, Americas Quarterly-ს და სხვათა მასალები.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში წინამდებარე კვლევის საკითხის შესახებ სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაციები არ მოიპოვება. გვხვდება მხოლოდ ქართველი ავტორის რამდენიმე სტატია, რომლებიც არც ზოგადად ლათინურ ამერიკას და არც

თავად რეგიონალიზმს ეძღვნება. მაგალითად, 2008 წელს ზურაბ ტატიშვილის ავტორობით გამოიცა ნაშრომი: „ლათინური ამერიკა: პოპულისტური რეჟიმებიდან ლიბერალური დემოკრატიებისაკენ“. ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში მოიპოვება მცირერიცხოვანი და მხოლოდ ვიწრო თემატიკის საგაზეთო სტატიები, თუმცა უმეტესი მათგანი გასული საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება, მათ შორისაა, გივი ბოლოთაშვილის სტატია „ლათინური ამერიკა: ბრძოლა პროგრესისათვის“ გაზეთ „კომუნისტში“; კ. კალანდაძის „ლათინური ამერიკა, ბრძოლა მეორედ განთავისუფლებისათვის“; ა. ჩავლეიშვილის „ლათინური ამერიკა მოქმედებს“; ვ. ლევინის „ლათინური ამერიკა: ცვლილებათა ხანა: საერთაშორისო შენიშვნები“; დავით აფრასიძის სტატია „ელიტები ლათინურ ამერიკაში: პარალელები საქართველოსთან“, რის გამოც აღნიშნულ კვლევაში არცერთი ქართულენოვანი წყარო გამოყენებული არ არის.

ნაშრომის აპრობაცია. კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ნაშრომი წარვადგინე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზეც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული დოქტორანტის კოლოქვიუმების გარდა, კვლევის შედეგები გავიტანე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტის ფარგლებში დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის უნივერსიტეტში. ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანადაფინანსებით, რუმინეთის ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისგან. პირველი თავი დაყოფილია სამ, მეორე ოთხ, მესამე კი სამ ქვეთავად. ნაშრომს თან ერთვის 414 დასახელების გამოყენებული პირველადი და მეორადი წყაროების სია.

ნაშრომის პირველი თავი ლათინური ამერიკის რეგიონული ინტეგრაციის ადრეულ მცდელობებს ეხება - დამოუკიდებლობისთვის ომების პერიოდიდან მეორე მსოფლიო ომამდე. გაანალიზებულია თავად საერთაშორისო რეგიონალიზმის

თეორიები, ისტორია და მნიშვნელობა. საუბარია პანამერიკანიზმის საწყისებსა და სიმონ ბოლივარის როლზე ლათინური ამერიკის გაერთიანების მოძრაობაში. პირველივე თავში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პანამის კონგრესს, ასევე ინტელექტუალი იუნიონისტების ნაშრომებსა და იდეებს.

მეორე თავი ცივი ომის პერიოდის რეგიონალიზმს ეთმობა. გაანალიზებულია თუ როგორ და რატომ დაიწყო ლათინურ ამერიკაში ეკონომიკური რეგიონალიზმის განვითარება, მაშინ როდესაც პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხი დროებით მიივიწყეს. განხილულია „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ მიღწევები და დაშლის მიზეზები. გაანალიზებულია სუბრეგიონალიზმის დაწყების მიზეზებიც. 1970-80-იანი წლების ანალიზისას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა „კონდორის გეგმის“ გავლენას კონტინენტის ინტეგრაციის საკითხზე. ამავე თავში განხილული და გაანალიზებულია „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ შექმნის საფუძვლები, მისი მიღწევები და ჩავარდნები და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რა გავლენა მოახდინა მან ორი ამერიკის გაერთიანების საკითხზე. ვცდილობ პასუხი გავცე შეკითხვას - რატომ ვერ მოხერხდა ლათინური ამერიკისა და შერთებული შტატების ინტეგრაცია, ან, სულ მცირე, მათ შორის ნორმალური რეგიონული თანამშრომლობის განვითარება.

მესამე თავი ახალ რეგიონალიზმს ეთმობა, რომელიც 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. გაანალიზებულია დღეისათვის ლათინური ამერიკის ყველაზე ცნობილი რეგიონული ბლოკის - „მერკოსურის“ ადგილი რეგიონულ ინტეგრაციაში. ასევე შესწავლილია XXI საუკუნეში ჩამოყალიბებული სხვა გაერთიანებებიც, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ვასკვნი, რომ ისინი კონკრეტული მიზნით შექმნილ და სახელმწიფოების მიერ მართულ ორგანიზაციებს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ნამდვილ ინტეგრაციულ პროექტებს. გარდა ამისა, თანამედროვე პერიოდში რეგიონალიზმის მემარცხენე და მემერჯვენე ნაწილებად პოლარიზაციაც მოხდა. სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს ლათინური ამერიკის ინტეგრაციის შეუძლებლობას.

იმედს ვიტოვებ, რომ წინამდებარე ნაშრომი დაინტერესებული მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას შეძლებს და წარმოადგენას შეუქმნის იმის შესახებ, თუ განვითარების რა გზა განვლო ინტეგრაციის მოძრაობამ ლათინურ

ამერიკაში დამოუკიდებლობის ომებიდან დღემდე და რა გახდა იმის მიზეზი, რომ ერთიანი სახელმწიფოს ნაცვლად იქ მრავალრიცხოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომლებიც ყოველგვარი გაერთიანების გარეშე დამოუკიდებლად განაგრძობენ არსებობას. ასევე გამოკვეთს, თუ როგორია დღეს თანამედროვე ამერიკის პოლიტიკური გეოგრაფია.

თავი 1: ლათინურ ამერიკული იუნიონიზმი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მეორე მსოფლიო ომამდე

*„ახალი სამყაროს ერთ ერად გაერთიანებაზე ფიქრი დიდებული იდეაა...
მაგრამ ეს შეუძლებელია“ - სიმონ ბოლივარი (Bolívar, 1983).*

ლათინური ამერიკის პოლიტიკური ინტეგრაციის იდეები იქ დამოუკიდებლობის ომების დაწყებისთანავე გაჩნდა. პოლიტიკური გაერთიანების ინიციატორები მცირერიცხოვანი ელიტის წარმომადგენლები - ადგილობრივი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერები იყვნენ, რომლებიც რეგიონში ამა თუ იმ ხელისუფლების არსებობაში საფრთხეს ხედავდნენ და გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის იდეით გამოდიოდნენ.

რევოლუციურ პერიოდში პოლიტიკური ინტეგრაციის სურვილი ოთხი ძირითადი მოტივით იყო განპირობებული: 1) ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოების სამხედრო თავდაცვა და ტერიტორიული ერთიანობის შენარჩუნება; 2) ახალ რესპუბლიკებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება; 3) აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება; 4) რეგიონში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად ერთიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

დამოუკიდებლობის ადრეულ პერიოდში ლათინური ამერიკის უნიფიკაციის იდეა ახლადჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულების მმართველი წრეების უმრავლესობამ უარყო, რადგან მათ მემკვიდრეობით მიღებულ ტერიტორიებზე კონტროლის შენარჩუნება სურდათ, რაც რეგიონის გაერთიანებისთვის სერიოზული დაბრკოლება აღმოჩნდა.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, ადრეული იუნიონისტების გეგმა ვერ განხორციელდა, რის გამოც ისტორიაში ისინი მეოცნებეთა სახელით არიან ცნობილი (Rivera, 2013:22).

1.1. პანამერიკანიზმის წანამძღვრები ლათინურ ამერიკაში და მასში სიმონ ბოლივარის როლი

როგორც ისტორია ცხადყოფს, XIX საუკუნე ნაციონალიზმის ეპოქა იყო. ამიტომ არ იქნება გასაკვირი იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ იმავე საუკუნეში ფართოდ გავრცელდა პანნაციონალისტური იდეოლოგიებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, პანმოძრაობა საერთო ღირებულებებს იზიარებს. უფრო მეტიც, ერთი პანიდეოლოგიის მიმდევრები ერთმანეთთან ემოციურ კავშირსაც ამყარებენ, რადგან მათ ერთიანობის შეგრძნება აქვთ, იზიარებენ საერთო ინტერესებს, საფრთხეს, ისტორიასა თუ კულტურას. მათივე რწმენიდან გამომდინარე ერთგვაროვნება მათ დანარჩენი სამყაროსგან განასხვავებს. ისინი ძალებს საერთო ძლიერებისთვის აერთიანებენ.

პანამერიკანიზმი ერთ-ერთია პანმოძრაობებს შორის. თუმცა სხვა პანმოძრაობებისგან განსხვავებით, პანამერიკანიზმი ვერ აკმაყოფილებს მრავალს იმ კრიტერიუმთაგან, რომელიც ამა თუ იმ პანიდეოლოგიის ჩამოყალიბებისათვის არის საჭირო. პანამერიკანიზმს პანიდეოლოგიად კლასიფიკაციისათვის შედარებით ნაკლები რაოდენობის და სუსტი მიზეზი აქვს.

პანამერიკანიზმის მოძრაობა სამხრეთ ამერიკაში დაიწყო, მაგრამ ხშირად შეცდომით პანამერიკანიზმის ჩამოყალიბების ადგილად შეერთებულ შტატებს მიიჩნევენ. თუმცა, მასზე აშშ-ს გავლენა უდავოდ გარტამტეხი იყო. 1820-იან წლებში ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე ჰენრი კლეი ტომას ჯეფერსონთან ერთად იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთში ახალი რესპუბლიკების თანამშრომლობის იდეით გამოვიდა. კლეიმ დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოებისგან შემდგარი „ამერიკული სისტემის“ იდეა წამოაყენა, რომლებიც ერთმანეთთან მშვიდობიანი გზით, ვაჭრობითა და ურთიერთთანამშრომლობით იქნებოდნენ დაკავშირებული, რადგან იგი თვლიდა, რომ ამგვარი ურთიერთობა აუცილებელი იყო თითოეული რესპუბლიკის ეროვნული ზრდისა და განვითარებისთვის (Clay, 2018; Baxter, 1995). ჩემი აზრით, ჰენრი კლეი ინტერამერიკული სისტემის შემოქმედია, რადგან სწორედ საერთაშორისო

თანამშრომლობის მისეული ხედვის ნიადაგზე აღმოცენდა ყველა ის რეგიონული ინიციატივა, რომელიც შემდეგში ამერიკის კონტინენტზე ჩამოყალიბდა.

პანამერიკანიზმისა და ზოგადად ამერიკის რეგიონული პოლიტიკის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს პრეზიდენტ ჯეიმს მონროს 1823 წლის დოქტრინას, რომელიც მან პირველად კონგრესში თავის მეშვიდე ყოველწლიურ მიმართვაში „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“ გააჟღერა. დოკუმენტის თანახმად, ევროპული ქვეყნების ნებისმიერი შემდგომი მცდელობა კონტროლი დაემყარებინათ ჩრდილოეთ ან სამხრეთ ამერიკის ნებისმიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე აღიქმებოდა, როგორც მტრული დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ (Monroe Doctrine, 1823). მიუხედავად იმისა, რომ მონროს დოქტრინა კონტინენტზე შეერთებული შტატების წამყვან როლს უსვამდა ხაზს, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ იგი ამერიკის ერთიანობის თამამი განაცხადიც იყო.

მონროს დოქტრინას მყისიერი გამოვლინებები არ ჰქონია, თუმცა 1888 წელს ტერმინი „პანამერიკანიზმი“ უკვე პირველად ოფიციალურად გამოჩნდა ბეჭდვით წყაროებში, კონკრეტულად, “Evening Post”-ში (Ozmańczyk, 2003:1761). 1889 წელს მონროს დოქტრინის გავლენით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბლეინმა პირველი პანამერიკული კონფერენცია მოიწვია, რომელზეც ამერიკის სახელმწიფოებში არსებული სხვადასხვა საერთო სავაჭრო და სასამართლო პრობლემა უნდა გადაეჭრათ (Blume, 2010:258; Atkins, 1997:40-41; Diaz-Bonilla & del Campo, 2011:4-9).

ვფიქრობ, პანამერიკანიზმი, როგორც მოვლენა, შესაძლებელია ორ ნაწილად დავეყოთ: ესპანურამერიკული „ძველი“ პანამერიკანიზმი და შტატებისეული „ახალი“ პანამერიკანიზმი. ამგვარი კლასიფიკაციის საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ 1820-იდან 1880-იან წლებამდე პანამერიკული მოძრაობის სტიმულები, ძირითადად, ესპანური ამერიკიდან მოდიოდა და მის წინამძღოლებს შორის ისეთი პიროვნებები ფიგურირებდნენ, როგორებიც იყვნენ ხოსე დე სან მარტინი, ხუან მარტინეს დე როსასი, ბერნარდო ო'ჰიგინსი, ბერნარდო მონტეაგუდო და, რაც მთავარია, სიმონ ბოლივარი. 1880-იანი წლებიდან პანამერიკანიზმში წამყვანი როლი შეერთებულმა შტატებმა იკისრა, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე ამ იდეით ჯეიმს ბლეინი

გამოჩნდა. სწორედ აღნიშნულ პერიოდსა და მოძრაობას უკავშირდება „დასავლეთ ნახევარსფეროს“, როგორც დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური ერთეულისა და იდეის ოფიციალურად დაბადებაც.

რა განსხვავებაა ძველ და ახალ პანამერიკანიზმს შორის? საქმე ისაა, რომ ესპანური ამერიკის რესპუბლიკების კონფერენციები, ძირითადად, საერთო პრობლემიდან გამომდინარე იკრიბებოდა, როგორც იყო საგარეო აგრესიის საფრთხით გამოწვეული შიში. ამის გამო, პანამერიკული კონფერენციებიც სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის იყო. რაც შეეხება ახალ პანამერიკანიზმს, იგი შედარებით მცირე მასშტაბის, ძირითადად კი, რეგიონულ ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე იყო კონცენტრირებული და მისი მთავარი მიზანი პანამერიკანიზმის ინსტიტუციონალიზაცია იყო.

თანამედროვე ლათინური ამერიკის ფორმირების პროცესი 1492 წელს დაიწყო, როდესაც ქრისტეფორე კოლუმბმა დღევანდელი ჰაიტის ტერიტორიაზე „სანტა მარია“ ხომალდის ნარჩენებისაგან ახალ სამყაროში პირველი ევროპული კოლონია - ლა ნავიდადი დააარსა. შემდეგმა ევროპულმა ექსპედიციებმა კარიბის ზღვის კუნძულებიდან კონტინენტურ ტერიტორიებზე შეაღწია და 1500 წელს თანამედროვე ვენესუელის ტერიტორიაზე პირველი კონტინენტური კოლონია - კუმანა დააარსა. სულ მალე ახლად აღმოჩენილი მიწების ექსპანსიამ მასობრივი ხასიათი მიიღო და სისხლიანი კონკისტაც დაიწყო. ესპანელებმა ერნან კორტესის მეთაურობით 1519-21 წლებში თანამედროვე მექსიკის ტერიტორიაზე მდებარე აცტეკების იმპერია დაიპყრეს, მალე სამხრეთის მიმართულებით დაიდრნენ, დაიკავეს მთელი იუკატანის ნახევარკუნძული, თანამედროვე ცენტრალური ამერიკის ტერიტორიაზე მდებარე მაიას ადგილობრივი ინდიელების ტერიტორია, ინკების იმპერია და, ფაქტობრივად, დღევანდელი ესპანურენოვანი ამერიკის მთელი ფართობი.

ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თავისებურებების გაანალიზება, რომლის მიხედვითაც ესპანურმა მონარქიამ ახალი სამყარო დაჰყო და რომელიც თანამედროვე ლათინური ამერიკის პოლიტიკურ გეოგრაფიაზეც აისახება. ესპანეთის სამეფო კარმა ახლად აღმოჩენილი ტერიტორიები ოთხ მსხვილ ნაწილად: ახალი ესპანეთის, ახალი გრანადის, პერუსა და რიო დე ლა

პლატის სამეფისნაცვლოებად დაჰყო.1 ისინი არა მხოლოდ კოლონიად, არამედ იმპერიის პროვინციებად ითვლებოდა, რომელებიც იმავე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც კონტინენტური ესპანეთის შემადგენლობაში მყოფი პროვინციები. ტერიტორიებს მეფისნაცვლები მართავდნენ. სამეფისნაცვლოები, თავის მხრივ, შედარებით მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად: გენერალურ კაპიტანიებად და აუდიენციებად იყოფოდა. გენერალური კაპიტანიები, ძირითადად, სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდა, რომლებსაც კონკისტადორები იმ ტერიტორიებზე ქმნიდნენ, სადაც საგარეო თუ ინდიელთა თავდასხმის რისკი უფრო მაღალი იყო. არსებობდა სანტო დომინგოს, კუბის, პუერტო რიკოს, გვატემალის, ვენესუელის, ჩილესა და და სხვა გენერალური კაპიტანიები. სწორედ ამგვარი დაყოფის მიხედვით ჩამოყალიბდნენ, მოგვიანებით, ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

შედარებით განსხვავებული გზით წარმართა ბრაზილიის კოლონიზაცია პორტუგალიის იმპერიამ. ტერიტორიის ათვისება პორტუგალიელებმა პედრუ ალვარემ კაბრალის 1500 წლის ექსპედიციის შემდეგ დაიწყო, თუმცა, 1494 წლის ტორდესილიასის შეთანხმებით, ევროპის გარეთ არსებული ტერიტორიები კასტილიისა და პორტუგალიის მონარქიებმა თეორიულად ორ ნაწილად გაიყვეს. მიუხედავად ამისა, ახალ სამყაროში სხვა ევროპელმა კოლონიზატორებმაც შეაღწიეს, მათ შორის, ფრანგებმა და ჰოლანდიელებმა.

პორტუგალიის სამეფო კარმა ბრაზილიის ტერიტორია თავდაპირველად თხუთმეტ მემკვიდრეობით კაპიტანიად დაჰყო და ისინი პორტუგალიელ დიდგვაროვნებს დაუნაწილა. ამგვარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კრახის შემდეგ მეფე ჟუან მესამემ ბრაზილია 1549 წელს გენერალურ გუბერნიად გადააქცია და პირდაპირ სამეფო ტახტს დაუქვემდებარა. ფაქტობრივად,

¹ ახალი ესპანეთის სამეფისნაცვლოში თანამედროვე ცენტრალური ამერიკის, მექსიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, კარიბის ზღვის კუნძულების, ვენესუელის, ფილიპინების, ტაივანისა და წყნარი ოკეანის რამდენიმე კუნძული; ახალი გრანადის სამეფისნაცვლოში თანამედროვე ტრინიდადისა და ტობაგოს, პანამის, პერუს, ეკვადორის, კოლუმბიის, ვენესუელის, გაიანისა და ბრაზილიის; პერუს სამეფისნაცვლოში თანამედროვე სამხრეთ ამერიკის უმეტესი ნაწილი, ხოლო რიო დე ლა პლატას სამეფისნაცვლოში კი დღევანდელი ბოლივიის, არგენტინის, ურუგვაისა და პარაგვაის ტერიტორიები შედიოდა.

გენერალური გუბერნია იგივე იყო, რაც ესპანური სამეფისნაცვლოები, თუმცა, განსხვავებული სახელწოდებით.

ახლადდმოჩენილი მიწების უდიდესი ნაწილი ორმა ევროპულმა იმპერიამ გაინაწილა და იგი ესპანურ და პორტუგალიურენოვან ტერიტორიებად დაიყო, რაც დღემდე გამოარჩევს ბრაზილიასა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს ერთმანეთისგან, რის გამოც რეგიონს იბერიული ამერიკაც შეარქვეს, რაც ხშირად ლათინური ამერიკის ტერმინის სინონიმდაც გამოიყენება. დღემდე აღნიშნული დაყოფა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლათინური ამერიკის გეოპოლიტიკურ თავისებურებებზეც.

ლათინური ამერიკის რეგიონული ინტეგრაციის იდეის ჩამოყალიბება დამოუკიდებლობისთვის ომების პერიოდს უკავშირდება, როდესაც ამერიკის კონტინენტზე ყოფილი ესპანური კოლონიებისგან დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიქმნა. რევოლუციების ლიდერები ლათინური ამერიკის გაერთიანებული რეგიონული სახელმწიფოს ან კონფედერაციის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს განიხილავდნენ, რათა ტერიტორიის ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობა ამ გზით დაეცვათ.

ესპანურ ამერიკაში იდეა სახელწოდებით „სამშობლო“ (patria), დამოუკიდებელი იდენტობის შეგრძნება და რეგიონალიზმი ადრეულ რევოლუციურ პერიოდში ჩაისახა, რომლის პრაქტიკაში პირველად განხორციელება სიმონ ბოლივარის სახელს უკავშირდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლივარი ამერიკული და ფრანგული რევოლუციებით იყო შთაგონებული, იგი არ იზიარებდა ესპანურ ამერიკაში ცალკეული სახელმწიფოების დამოუკიდებლად არსებობის იდეას. მისი სურვილი ახლად განთავისუფლებული ტერიტორიების პანამერიკული ერთობის ქვეშ გაერთიანება იყო, რასაც მან ხაზი გაუსვა 1812 წელს „კარტახენას მანიფესტშიც“ (Bolívar & Bushnell, 2003:3-11).

ბოლივარის ერთიანი ლათინური ამერიკის იდეის საფუძველს იბერიული ამერიკელების კულტურული ერთგვაროვნების შესახებ რწმენა წარმოადგენდა. შესაბამისად, მისი აზრით, ესპანური ამერიკის ქვეყნების კავშირი შესაძლოა

ინტეგრირებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველი გამხდარიყო. იგი მხარს უჭერდა ადამიანების თვითმმართველობის უფლებას, კერძო საკუთრების დაცვასა და „სამოქალაქო ნაციონალიზმს“, რომელიც რასისა თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედედა, პირველ რიგში, ადამიანის უფლებებს აღიარებდა. ამასთან დაკავშირებით მან 1815 წელს განაცხადა: „ყველაზე მეტად, ამერიკის მსოფლიოში უდიდეს სახელმწიფოდ ქცევის ნახვა მსურს. უდიდესის არა მხოლოდ ფართობითა და სიმდიდრით, არამედ თავისუფლებითა და დიდებით“ (Bolívar & Bushnell, 2003:23).

სიმონ ბოლივარმა 1819 წელს თანამედროვე კოლუმბიის, ვენესუელის, ეკვადორის, პანამის, ჩრდილოეთ პერუს, დასავლეთ გაიანისა და ჩრდილო-დასავლეთ ბრაზილიის ტერიტორიების ერთ სახელმწიფოდ - დიად კოლუმბიად გაერთიანება მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანმა სახელმწიფომ მხოლოდ 1831 წლამდე იარსება, იგი ახალ კონტინენტზე, ფაქტობრივად, პირველი პანამერიკული გაერთიანება იყო, თუმცა არა ერთადერთი. 1823 წელს ცენტრალურ ამერიკაში გვატემალის, ელ სალვადორის, ჰონდურასის, ნიკარაგუისა და კოსტა რიკის ფედერალური რესპუბლიკა ჩამოყალიბდა, რომელმაც 1841 წლამდე იარსება.

ბოლივარი აცნობიერებდა, რომ რეგიონის გეოგრაფია ლათინური ამერიკის პოლიტიკური ინტეგრაციისათვის პრობლემას ნამდვილად წამოადგენდა, მაგრამ იგი ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთვის რეალური ხელისშემშლელი ფაქტორი ვერ იქნებოდა. ბოლივარი ლათინურ ამერიკას „ერთიან სამშობლოდ“ მოიხსენიებდა და ამბობდა, რომ „ყველა ამერიკელს მხოლოდ ერთი სამშობლო უნდა ჰქონდეს!“. მას ესპანეთის სამეფო ძალების დამარცხების შემდეგ „ამერიკული პაქტის“ შექმნა სურდა, რომელიც ყველა ამერიკულ ქვეყანას მოიცავდა (Rivera, 2014:36). მისი რწმენით ერთიანი ამერიკა „ერთა დედოფალი და რესპუბლიკათა დედა“ შეიძლება ყოფილიყო (Arana, 2013:205).

თავდაპირველად ბოლივარი უარყოფდა შეერთებული შტატების მსგავს წმინდა ფედერალური მმართველობის მოდელს. მას ლათინურ ამერიკაში ისეთი სისტემის შექმნა სურდა, რომელიც ყველა ესპანური სამეფისნაცვლოს სამართალმემკვიდრე დამოუკიდებელ ქვეყანას საერთო ცენტრალური მმართველობის ქვეშ გააერთიანებდა

და ერთი ძლიერი ლიდერი ეყოლებოდა. იგი ფიქრობდა, რომ ფედერალური სისტემა ვერ გაუძლებდა ესპანურ ამერიკაში არსებულ მშფოთვარე გარემოსა და პოლიტიკურ უთანხმოებას. 1815 წელს მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი მოსაზრება და მხარი ცალკეული სახელმწიფოების ავტონომიის შერწყმის გზით ერთიანი წარმატებული სახელმწიფოს შექმნის იდეას დაუჭირა. ამასთან დაკავშირებით ცნობილ „იამაიკის წერილში“ იგი წერდა: „მე ვამბობ, რომ ხელისუფლების ის სისტემა კი არ მივიღოთ, რომელიც საუკეთესოა, არამედ ის, რომელიც დიდი ალბათობით წარმატებული იქნება“ (Lectura, 1951).

მალე ლათინურ ამერიკაში ფრაგმენტალიზმი გავრცელდა. ადგილობრივი ელიტები პოლიტიკური ძალაუფლების შესანარჩუნებლად იბრძოდნენ. რეგიონში არსებულმა სიტუაციამ თავისი გავლენა ბოლივარის შეხედულებებზეც იქონია. იგი უკვე ფიქრობდა, რომ მრავალფეროვანი და ველური გეოგრაფია, კლიმატი და რეგიონული ინტერესების მრავალფეროვნება რეალურად ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას ხელს შეუშლიდა. შედეგად, მან უპირატესობა უკვე რეგიონში ფედერაციის ან კონფედერაციის შექმნას მიანიჭა. მისი გაერთიანება უბრალო ალიანსზე მეტი იქნებოდა, რომელიც სხავადსხვა რესპუბლიკას დააკავშირებდა და რომელშიც ყველა სახელმწიფო პოლიტიკურად თანაბარი იქნებოდა, მაგრამ არა არა ცენტრალიზებული, უნიტარული სახელმწიფო (Rivera, 2014:37).

აღსანიშნავია, რომ ბოლივარის ერთიანი ლათინური ამერიკის ტერიტორიის საზღვრები ჩრდილოეთით კალიფორნია-ორეგონის საზღვრიდან სამხრეთით ცეცხლოვან მიწამდე, ხოლო აღმოსავლეთით პუერტო რიკოდან დასავლეთისკენ კუნძულ გალაპაგოსამდე გრძელდებოდა (Rivera, 2014:36). თუმცა, ენობრივი სხვაობისა თუ მმართველობის მონარქიული ფორმის გამო იგი ბრაზილიას ინტეგრაციის სქემიდან რიცხავდა.

სიმონ ბოლივარმა პოლიტიკური ინტეგრაციისკენ განსაკუთრებით აქტიური პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა 1824 წლიდან დაიწყო, როდესაც რეგიონის ქვეყნები გაერთიანების გეგმაზე სასაუბროდ პანამაში კონგრესზე მიიწვია. აღსანიშნავია, რომ პანამის კონგრესი ისტორიაში ლათინური ამერიკის გაერთიანების პირველი დიპლომატიური მცდელობა იყო. აღნიშნული ინიციატივა მხოლოდ

ესპანურენოვანი ქვეყნებით შემოფარგლებოდა, თუმცა მისი განხორციელების სურვილი ყველას არ აღმოაჩნდა.

კონგრესის მოწვევის ძირითადი მიზეზი ლათინური ამერიკის წინაშე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დამდგარი პრობლემები იყო, მათ შორის ესპანეთისა და წმინდა ალიანსის მიერ რეგიონში მონარქიის აღდგენის საფრთხის არსებობა. გარდა ამისა, 1824 წლისათვის იქ სხვა არანაკლებ სერიოზული პრობლემებიც არსებობდა. საქმე ისაა, რომ ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებებმა იჩინა თავი, რასაც საგარეო საფრთხეზე ბევრად უფრო გამანადგურებელი ომის გამოწვევა შეეძლო. ზოგიერთ სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართობის სურვილი აღმოაჩნდა, რამაც სულ მალე ლათინურ ამერიკაში ისეთი პარადოქსული ვითარების ჩამოყალიბება განაპირობა, სადაც ყველა სახელმწიფო მეზობელ სახელმწიფოსთან ტერიტორიულ კონფლიქტში აღმოჩნდა ჩართული. რეგიონში ძალთა ბალანსის პოლიტიკის თამაში დაიწყო. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურმა ინტეგრაციამ საგარეო საფრთხისგან თავდაცვის პარალელურად ახალი დატვირთვაც შეიძინა და იგი, ბედის ირონიით, უკვე „ძმათამკვლელი ომის“ თავიდან ასაცილებლად გახდა საჭირო.

1824 წლისათვის ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში სამოქალაქო ომებისა და შიდა არეულობის შესაძლებლობა სულ უფრო მეტად იზრდებოდა. ახალი სახელმწიფოების წინაშე ისეთმა პრობლემებმა იჩინეს თავი, რომლებიც ხელს უშლიდნენ მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. უმეტეს მათგანში სამხედრო გადატრიალებებმა და რეგიონულმა, პოლიტიკურმა, იდეოლოგიურმა, სოციალურმა თუ კლასობრივმა ამბოხებებმა იფეთქა. აქედან გამომდინარე, რეგიონში გაჩნდა მოსაზრება, რომ პრობლემების გადაჭრა ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას შეეძლო.

ესპანური ამერიკის რესპუბლიკებთან გაგზავნილ წერილში სიმონ ბოლივარი მათ სრულუფლებიანი წარმომადგენლების ასამბლეის ჩამოყალიბებისკენ მოუწოდებდა, რომელიც პრინციპების ერთგვაროვნების შესანარჩუნებლად იყო საჭირო. აღსანიშნავია, რომ იგი კონგრესსზე მიწვეულებს კონფედერატების სახელით მოიხსენიებდა, ალბათ იმიტომ რომ ავტონომიის მსურველი ქვეყნები მისი დათმობის

წინადადებით არ დაეფრთხო. ბოლივარი მუდმივი დედაქალაქის არჩევასაც განიხილავდა (Bolívar, Brown, 2009).

ბოლივარი სულ მცირე ასი ათასიანი რეგიონული არმიისა და ფედერალური საზღვაო ძალების შექმნაზეც საუბრობდა, რომელიც ცალკეული რესპუბლიკების კონტროლისგან თავისუფალი და კონფედერაციის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო (Obras Completas, 2:104). მას იმედი ჰქონდა, რომ პანამის კონგრესი რეგიონში საშინაო პრობლემებს შეამსუბუქებდა, მოაგვარებდა რასობრივ დისკრიმინაციას, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს მოაწესრიგებდა და პოლიტიკურ თანასწორობას ჩამოაყალიბებდა (Lecuna, 1951).

ცხადია, რომ ლათინურ ამერიკაში არაერთი პრობლემა არსებობდა, რომელიც გაერთიანებას ხელს შეუშლიდა, მათ შორის, პროვინციალიზმი, პოლიტიკური გამოუცდელობა, ფრაგმენტალიზმი, რისი საფუძველიც, ვფიქრობ, რეგიონის კოლონიურ წარსულში გაჩნდა. იქ ომის საფრთხეც არსებობდა, რის ალბათობასაც რეგიონში არმიების რაოდენობის მომრავლებაც ზრდიდა. თუმცა, სიმონ ბოლივარს სჯეროდა, რომ პოლიტიკური ინტეგრაცია ლათინურ ამერიკას პრობლემების მოგვარებაში დაეხმარებოდა (Silva Otero, 1969).

ბოლივარის წინააღმდეგობის მიუხედავად, კონგრესზე შეერთებული შტატებიც იყო მიწვეული, რომელმაც მასზე ორი წარმომადგენელი გაგზავნა. რიჩარდ ანდერსონი გზაში გარდაიცვალა, ხოლო ჯონ სერჯანტმა დანიშნულების ადგილზე მხოლოდ პანამის კონგრესის დასრულების შემდეგ ჩააღწია (De La Peña y Reyes, 1926). ბოლივარს საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი ბრიტანეთის დახმარების იმედი ჰქონდა და იცოდა, რომ კონგრესზე შეერთებული შტატების მიწვევით მას გაანაწყენებდა, ამიტომ „განმანთავისუფლებელს“ ამ ნაბიჯის გადადგმა არ უნდოდა (Obras Completas, 2:251). კონფერენციაზე დიდი ბრიტანეთი და ჰოლანდია დამკვირვებლების სტატუსით იყვნენ მიწვეულნი.

როგორც ჩანს, ბოლივარს პოლიტიკურ შეხედულებებში სტაბილურობა აკლდა. თუ იქამდე იგი თვლიდა, რომ პანამის კონგრესი ახალი რესპუბლიკების წარმომადგენლობითი გაერთიანება უნდა ყოფილიყო, რომელიც თითოეული მათგანის თანასწორუფლებიანობაზე იქნებოდა აგებული, მალე მან აზრი შეიცვალა.

კონგრესამდე სულ რამდენიმე თვით ადრე, 1825 წლის 31 ოქტომბერს, კოლუმბიის ვიცე-პრეზიდენტ სანტანდერისადმი მიწერილ წერილში ბოლივარი აღნიშნავდა, რომ პანამის კონგრესს განუსაზღვრელი ძალაუფლება უნდა ჰქონოდა (Rivera, 2014:54). მისმა მსოფლმხედველობის ასეთმა ცვლილებებმა რეგიონში მაშინვე პოლიტიკური ფრაქციულობა გამოიწვია, თავად კი დიქტატორის სტატუსით შერაცხეს. ამან ლათინურ ამერიკაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გამოწვია და მისი ბედიც სამუდამოდ შეცვალა.

ბოლივარი ამერიკული კონგრესის გამართვის აუცილებლობის ერთ-ერთ მიზეზად იგი წმინდა ალიანსისა და ბრაზილიის შეთანხმებას ასახელებდა. ბოლივარი შიშობდა, რომ წმინდა ალიანსი ბრაზილიის ტერიტორიის ახალი რესპუბლიკების წინააღმდეგ სამხედრო და პოლიტიკური მოქმედებების ბაზად გამოყენებას აპირებდა. იგი ფიქრობდა, რომ ბრაზილიის იმპერატორი ესპანეთს დამოუკიდებელი რესპუბლიკების რეკონკისტის საკითხში მხარს უჭერდა და ბრაზილიის არმია საკმარისად ძლიერი იყო, რომ მთელი ლათინური ამერიკის სამხედრო ძალა გაენადგურებინა. ბოლივარის მტკიცებით, ქვეყნის ტერიტორიაზე ორი ათასი გერმანელი ჯარისკაცი იყო შესული, ხოლო ექვსი ათასი რუსი სამხედრო ბრაზილიისკენ მიემართებოდა. ბოლივარი ბრაზილიის მონარქის მიერ ესპანურ ამერიკაში არსებული ქაოსის თავის სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობაზე საუბრობდა (Obras Completas, 2:77).

მიუხედავად ამისა, ბოლივარმა ესპანური ამერიკის ახლადჩამოყალიბებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ლიგა ჩამოაყალიბა. 1826 წელს სწორედ აღნიშნული ლიგის ფარგლებში გამართა მან პანამის პირველი კონგრესი (Lynch, 2006:214; Ozmańczyk, 2003:2399; Slatta & De Grummond, 2003:265; Acosta, 2018:64-67).

პანამის კონგრესზე მოსაწვევი ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანას გაეგზავნა, გარდა პარაგვაისა, რომელსაც იმ დროს დიქტატორი გასპარ ფრანსია მართავდა და იგი რამდენადაც შესაძლებელი იყო ქვეყნის იზოლაციას ახდენდა. კონგრესზე მიწვეული იყო ბოლივიაც, მაგრამ ქვეყანას პანამაში თავისი წარმომადგენლები არ გაუგზავნია. კონგრესზე მონაწილეობა არც ბრაზილიას მიუღია, რადგან ქვეყანაში კარგად ხვებოდნენ, რომ მათი მმართველობის ფორმა

შეუთავსებელი იყო ახალი რესპუბლიკების მმართველობის ფორმასთან. უნდა აღინიშნოს, რომ 1960 წლამდე ბრაზილიას ლათინური ამერიკის ინტეგრაციის მიმართ სერიოზული დაინტერესება არ გამოუჩენია. თეორიული მხარდაჭერის მიუხედავად კონგრესზე მონაწილეობა არც ჩილეს მიუღია. პანამის კონგრესზე მონაწილეობაზე ცივი უარი განაცხადა ბუენოს აირესმა. კოლუმბიელი ისტორიკოსი პედრო სუბიეტა აღნიშნავს, რომ ბუენოს აირესს კონგრესზე არგენტინასა და ბრაზილიას შორი არსებული სისპლატინის ტერიტორიის გარშემო არსებული დავის განხილვა სურდა, რაზეც სხვა სახელმწიფოებმა უარი თქვეს, რის გამოც მას კონფერენციაში მონაწილეობა არ მიუღია (Zubieta, 1986). გარდა ამისა, ჩილე და არგენტინა სიმონ ბოლივარს ეჭვის თვალთ უყურებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ინტეგრაციის ინიციატივა სხვა არაფერი იყო თუ არა ლათინურ ამერიკაზე სიმონ ბოლივარის პირადი კონტროლის დამყარების მცდელობა (De La Peña y Reyes, 1926). აღსანიშნავია, რომ რიო დე ლა პლატასა და ჩილეს რეალურად პოლიტიკურ გაერთიანებად არც ბოლივარი მიიჩნევდა და, ალბათ, მათი უარით დიდად შეწუხებული არც იქნებოდა. პანამაში ლათინური ამერიკის ოთხი სახელმწიფო იყო წარმოდგენილი: დიადი კოლუმბია, პერუ, ცენტრალური ამერიკის ფედერაციული რესპუბლიკა და მექსიკა.

პანამის კონგრესზე დიდ ბრიტანეთიც იყო მიწვეული. დასავლეთ ნახევარსფეროში მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის გათვალისწინებით, ეს ლოგიკურიც იყო. თუმცა ბრინატეთის საგარეო საქმეთა მინისტრი - ჯორჯ კენინგი თავისი ქვეყანის პანამის კონგრესზე მონაწილეობის წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით მან მაინც გაგზავნა კონგრესზე დამკვირვებელი, მაგრამ პირდაპირ დაავალა მას, რომ ნეიტრალიტეტი შეენერჩუნებინა. კენინგმა მკაფიოდ დააფიქსირა, რომ იგი უშუალოდ ესპანურ ამერიკული პოლიტიკური ლიგის შექმნას დაუჭერდა მხარს და მასში შეერთებული შტატები არ უნდა შესულიყო, მითუმეტეს თუ ვაშინგტონს ორგანიზაციაში ლიდერის როლი ექნებოდა (Arragon, .

ბოლივარს ძალიან აწუხებდა ის ფაქტი, რომ ლათინურ ამერიკაში პოლიტიკური ფრაგმენტაცია პიკს აღწევდა და შიდა არეულობის საფრთხეც მატულობდა, რაც

რეგიონს ანარქიისკენ მიაქანებდა. იგი ფიქრობდა, რომ დიდ ბრიტანეთთან ალიანსი ლათინურ ამერიკას შიდა პრობლემებთან და საგარეო საფრთხეებთან გამკლავებაში დაეხმარებოდა (Lecuna, 2;561). შეიძლება ითქვას, რომ იგი დიდი ბრიტანეთით აღფრთოვანებულიც კი იყო. ამ დამოკიდებულებას ის ფაქტიც აძლიერებდა, რომ დამოუკიდებლობისათვის ომების პერიოდში ქვეყანა მას მნიშვნელოვან ფინანსურ და სამხედრო დახმარებას უწევდა. უფრო მეტიც, ბოლივარის დამოკიდებულება ბრიტანეთის მიმართ იმდენად ძლიერი იყო, რომ 1815 წლის მაისში მან სამხედრო დახმარების სანაცვლოდ პანამისა და ნიკარაგუის ბრიტანეთისათვის გადაცემის იდეაც კი გააჟღერა (Obras Completas, 1:136-137).

ბოლივარი იმდენად შორს წავიდა, რომ ბრიტანეთის წარმომადგენლებს საიდუმლოდ ლათინურ ამერიკაში მონარქიის ჩამოყალიბებაზეც ესაუბრა. ინფორმაციამ მაინც გაჟონა, რის შედეგადაც ბოლივარის მიმართ რეგიონში სერიოზული ეჭვები გაჩნდა. სამეფო ტახტზე ფიქრმაც კი მას მრავალი მტერი გაუჩინა. იყო თუ არა მონარქიის ჩამოყალიბება ბოლივარის თვითმიზანი, ეს უკვე ისტორიის საიდუმლოდ რჩება, თუმცა, ფაქტია, რომ იგი ნამდვილად ფიქრობდა იმას, რომ პოლიტიკურ დონეზე სრული თანასწორობა რეგიონს დაანგრევდა. 1825 წელს იგი უკვე დიდი ბრიტანეთისთვის პროტექტორატის თხოვნის შესაძლებლობასაც განიხილავდა (Arragon).

ლათინურ ამერიკაში ბრიტანეთთან ალიანსის შექმნის ან კონფედერაციის ჩამოყალიბების ბოლივარისეულ იდეებს წინ აღუდგნენ. „განმანთავისუფლებელი“ და მთლიანად დიადი კოლუმბიის მთავრობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან კონსპირაციული შეთანხმებების დადების მცედლობებში დაადანაშაულეს. რეგიონში ფიქრობდნენ, რომ დიდ ბრინატეთისა და ლათინური ამერიკის ალიანსის ჩამოყალიბება ან პროტექტორატის დამყარება მხოლოდ ბრიტანეთს გააძლიერებდა და შემდეგ იქიდან რეგიონის დახსნა ომის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა (O’Leary, 1879-84:499-501). თუმცა, თავად ბოლივარს სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდა. მას სჯეროდა, რომ თუ ალიანსში ბრიტანეთი წამყვანი ძალა გახდებოდა, ეს კარგიც იქნებოდა, რადგან იგი ლათინური ამერიკის გარადაქმნას შესაძლებელს გახდიდა. ალიანსი ლათინურ ამერიკას ადგილობრივი პოლიტიკური

ინსტიტუტებისა და კულტურის განვითარებასა და გაძლიერებაში დაეხმარებოდა, რაც სიტუაციას დაასტაბილურებდა. ბოლივარი ბრიტანეთთან ალიანსის გვერდით ეფექტებსაც აცნობიერებდა, მათ შორის იმას, რომ ქვეყანას შესაძლოა ლათინურ ამერიკაში ტერიტორიული ამბიციები ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ბრიტანეთის მხარეს იხრებოდა, რადგან მასთან ალიანსს შესაძლებელი იყო ევროპასა და შეერთებულ შტატებზე კონტრაგვლენა მოეხდინა. ადგილობრივ დონეზე კი ბოლივარი ბრაზილიის ტერიტორიული გაფართოების ინტერესებზეც ამახვილებდა ყურადღებას, რომლის შეჩერებასაც ისევ ბრიტანეთის ზეწოლით ვარაუდობდა (Obras Completas, 2:306-07).

ლათინური ამერიკის პოლიტიკური ინტეგრაციის საჭიროებასთან დაკავშირებით ყველა იუნიონისტი ერთსულოვანი იყო, მაგრამ მათ შორის რამდენიმე სადავო საკითხი მაინც რჩებოდა. აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოვალეობები უნდა ჰქონოდა ახალ რეგიონულ გაერთიანებაში ცალკეულ ხელისუფლებებს და როგორი იქნებოდა მათი ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

კერძო სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა პანამის კონგრესზე თავისი გავლენა იქონია. დელეგატების მთავარი ამოცანა არა ინტეგრაცია, არამედ ნებისმიერ ფასად თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება იყო. კონგრესის მონაწილეებმა ამ კუთხით გამოსავალს მალევე მიაგნეს და ერთობლივი წინადადება წამოაყენეს, რომელიც მხოლოდ თავდაცვითი სამხედრო ალიანსის შექმნას ითვალისწინებდა. ალიანსს რეგიონი საგარეო თავდასხმისგან უნდა დაეცვა, მაგრამ ახალი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გათვალისწინებით. წარმომადგენლები კარგად აცნობიერებდნენ, რომ თავიანთი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოები, დიდი ალბათობით, არ დათანხმდებოდნენ პოლიტიკური ძალაუფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვას. თუმცა არსებობდნენ ისეთებიც, რომლებიც მხარს გაერთიანებას უჭერდნენ. მაგალითად, მექსიკამ, ცენტრალურმა ამერიკამ, კოლუმბიამ და პერუმ ლათინური ამერიკის კონტიტუციის შექმნის იდეაც კი წამოაყენეს (Rivera, 2014:48-49).

კონგრესის ეფექტურობას ხელს უშლიდა ლათინური ამერიკაში არსებული ექვიც. რეგიონის ქვეყნები ერთმანეთს არ ენდობოდნენ. დამსწრე დიპლომატები და მათი მთავრობები სხვა ქვეყნებთან ნებისმიერი შეთანხმების დადებას უფრთხოდნენ.

კონგრესზე თავისი გავლენა ახალი რესპუბლიკების მიერ მის მიმართ ნაკლებმა ინტერესმა იქონია.

პანამის კონგრესმა შედეგი ვერ გამოიღო. ესპანური ამერიკის გაერთიანების გეგმა ჩავარდა, რაც არაერთმა მიზეზმა განაპირობა, მათ შორის იყო გეოგრაფიული ფაქტორი, სამხედრო ნაციონალიზმის გავრცელება, ომები, რეგიონში არსებული აზრთა სხვადასხვაობა თუ პოლიტიკურ ელიტებს შორის კოორდინაციის არარსებობა. ამის გამო, რეგიონული ინტეგრაციის ბოლივარისეულ მცდელობებს პოლიტიკოსები ხშირად უბრალოდ „ბოლივარის ოცნებას“ უწოდებენ.

პანამის კონგრესის შემდეგ ლათინური ამერიკის ინტეგრაციის მიმართულებით სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯები არ გადადგმულა. მიუხედავად იმისა, რომ პანამერიკული მოძრაობა არსებობას განაგრძობდა, მას მნიშვნელოვანი შედეგებისთვის არ მიუღწევია. ამაში თავისი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ 1830 წელს ბოლივარი გარდაიცვალა, შემდეგი ინტერამერიკული კონგრესის ორგანიზებისათვის კი არავის სცხელოდა.

მიუხედავად სერიოზული მცდელობებისა ესპანური ამერიკის გაერთიანების გეგმა ჩავარდა, რაც მრავალმა მიზეზმა განაპირობა, მათ შორის იყო გეოგრაფიული ფაქტორი, სამხედრო ნაციონალიზმის გავრცელება, ომები, პირველი კონფედერაციული გაერთიანების დამლა და სხვადასხვა პოლიტიკური ფაქტორი. ფაქტორებს შორის იყო არსებული აზრთა სხვადასხვაობა და პოლიტიკურ ელიტებს შორის კოორდინაციის არარსებობა. ამის გამო, რეგიონული ინტეგრაციის ბოლივარისეულ მცდელობებს პოლიტიკოსები ხშირად უბრალოდ „ბოლივარის ოცნებას“ უწოდებენ.

ჩემი აზრით, სიმონ ბოლივარი პანნაციონალისტი იყო. იგი თვლიდა, რომ იბერიულ ამერიკელები კულტურულად ერთგვაროვნები იყვნენ, რაც ერთიანი სახელმწიფოს შექმნის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო, თუმცა როგორც დადასტურდა, ეს საკმარისი სულაც არ ყოფილა.

1.2. ლათინური ამერიკის გაერთიანების ინიციატივები პანამის კონგრესის შემდეგ

მიუხედავად იმისა, რომ მექსიკის ხელისუფლება პანამის კონგრესის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი და ბოლივარის მოწოდებას უარყოფდა, კონფერენციის შემდეგ XIX საუკუნის განმავლობაში ლათინურ ამერიკაში ცალკეული ქვეყნების დონეზე მან პოლიტიკური ინტეგრაციის ყველაზე მეტი დიპლომატიური ინიციატივა წამოაყენა. ჩნდება შეკითხვა: რამ გამოიწვია ქვეყნის დამოკიდებულების ამგვარი ცვლილება ინტეგრაციის საკითხის მიმართ? საქმე ისაა, რომ მექსიკაში საშინაო ვითარება უკიდურესად არეული იყო. ამას ემატებოდა ზეწოლა შერთებული შატებისა და საფრანგეთის მხრიდან. შესაბამისად, მექსიკის, როგორც სახელმწიფოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ფაქტობრივად, ქვეყანას გადარჩენისათვის ბრძოლა უწევდა, რომლის საშუალებაც, შესაძლოა, რეგიონული გაერთიანება ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხი მექსიკის XIX საუკუნის მეორე ნახევრის საგარეო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი გახდა.

1846-48 წლების ომის შედეგად მექსიკამ შერთებულ შტატებთან ტერიტორიის ნახევარი დაკარგა. ამის შემდეგ ქვეყანამ დასავლეთ ნახევარსფეროში ახალი ძალთა ბალანსის ჩამოსაყალიბებლად დიპლომატიური მცდელობები დაიწყო. როგორც ჩანს, ქვეყანაში საბოლოოდ გააცნობიერებს მათი, როგორც სამხედრო ძალის სისუსტე, რის გამოც შემდგომი სამხედრო აგრესიის შემთხვევაში მექსიკელებს თავის დაცვა ძალიან გაუჭირდებოდათ ან საერთოდ ვერც შეძლებდნენ.

პანამის კონგრესის მარცხის შემდეგ მექსიკამ 1831 წლის მარტში რეგიონის ქვეყნებს შემდეგი ლათინურ ამერიკული კონგრესის გამართვისკენ მოუწოდა, თუმცა იგი მხოლოდ მოწოდებად დარჩა. ქვეყანამ იმავე წლის ნოემბერში ინიციატივა მეორედ წამოაყენა. ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკაში მექსიკის ელჩმა - მანუელ დიეს დე ბონილიამ ლათინური ამერიკის ქვეყნებს შეკრებისკენ მოუწოდა, რათა ყოფილი ესპანური კოლონიების პოლიტიკურად გაერთიანება გამხდარიყო შესაძლებელი, იმ იმედით, რომ ყველა მათგანის პოლიტიკური ინტერესების

სტანდარტიზაცია მოხდებოდა, ახალ რესპუბლიკებს შორის არსებული ტერიტორიული დავები გადაიჭრებოდა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებიც დალაგდებოდა. იგი ხაზს უსვამდა, რომ შეხვედრაზე შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი არ უნდა მიეწვიათ, რადგან მათ ლათინური ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგო ინტერესები ამომდრავებდათ. რაც შეეხება ბრაზილიის მიწვევის საკითხს, მის გადაწყვეტას დიეს დე ბონილია ესპანურ ამერიკულ ასამბლევას მიანდობდა, თუ იგი ოდესმე შეიკრიბებოდა (O'Leary, 398). საბოლოოდ ბონილიას გეგმა არ განხორციელებულა.

ლათინური ამერიკის ახალი კონგრესის გამართვის შემდეგი ინიციატივები 1839 და 1840 წლებში მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრ - ხუან დე დიოს კანიედოს ეკუთვნის. იგი ხედავდა, რომ ლათინური ამერიკა ქრონიკულ ქაოსში იყო გახვეული, რის გამოც კანიედო თავდაცვითი ალიანსის ან კონდეფერაციული სახელმწიფოს შექმნის საჭიროებაზე საუბრობდა (Rivera, 2014:89). თუმცა, კანიედოს გეგმამ თავისი წინამორბედის ბედი გაიზიარა და საბოლოოდ მხოლოდ იდეად დარჩა, რაც კოლუმბიელი მწერლის ხოსე მარია ტორეს კაისედოს აზრით ლათინურ ამერიკაში ფართოდ გავრცელებული „ყველა თავისთვის“ პრინციპით იყო განპირობებული (Caicedo, 1865:42).

1857 წელს მექსიკა პოლიტიკური უნიფიკაციის მორიგი იდეით გამოვიდა. ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გვატემალაში - ხუან ნეპომუსენო დე პერედა მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი მიწერილ წერილში ირწმუნებოდა, რომ შეერთებული შტატები მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაზე პოლიტიკურ და სამხედრო ზეწოლას ახორციელებდა. უფრო მეტიც, რეგიონზე პოლიტიკური გავლენის მოპოვებას დიდი ბრიტანეთიც ცდილობდა. ნეპომუსენო წერდა, რომ პოლიტიკური გაერთიანება არა პრინციპის საკითხი, არამედ გადარჩენის საშუალება იყო, რადგან რეგიონის ყოფისა და რასის შენარჩუნების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. მისი სიტყვებით, დღის წესრიგში „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი იდგა, ხოლო თუ მექსიკასა და ლათინურ ამერიკას პოლიტიკური და ეროვნული გადაშენების თავიდან აცილება უნდოდა, პოლიტიკური და სამხედრო ალიანსის ჩამოყალიბების მიზნით ყველა ესპანურ ამერიკული ქვეყნის კონგრესი სასწრაფოდ

უნდა გამართულიყო. ხუან ნეპომუსენო დე პერედა ირწმუნებოდა, რომ ესპანურ ამერიკული სახელმწიფოების თავდაცვითი და თავდამსხმელი ალიანსის შექმნა აუცილებელი იყო, რადგან ლათინურ ამერიკას შეერთებული შტატების სახით წარმოდგენილი ანგლო-საქსონური რასისგან საფრთხე ემუქრებოდა. ნეპომუსენო ალიანსში სხვა ლათინური რასების ჩართვასაც განიხილავდა, მათ შორის ესპანეთის. უფრო მეტიც, იგი ესპანეთის ლათინური ამერიკის კონფედერაციულ სახელმწიფოში გაერთიანებასაც უჭერდა მხარს, თუმცა იმასაც აცნობიერებდა, რომ ამას გარკვეული პრობლემების შეიძლებოდა მოჰყოლოდა (Rivera, 2014:89-90).

1847 წელს ლათინური ამერიკის პოლიტიკური ინტეგრაციის დიპლომატიური ინიციატივა პერუმ წამოაყენა. აღსანიშნავია, რომ მოძრაობის დაწყების საფუძველი ეკვადორში დატრიალებული პოლიტიკური პროცესები გახდა. 1845 წელს ეკვადორის პრეზიდენტობიდან ჩამოგდებული და დევნილობაში მყოფი კაუდილიო ხუან ხოსე ფლორესი ქვეყანაში შეჭრასა და იქ მონარქიის აღდგენას გეგმავდა. მისი გეგმა განსაკუთრებით საგანგაშო იმიტომ იყო, რომ იგი მხარდაჭერას და დახმარებას ესპანეთიდან იღებდა. ესპანეთის ყოფილი რეგენტი დედოფალი მარია კრისტინა, ორი სიცილიის პრინცესა ფლორესს ფინანსურად ეხმარებოდა, რადგან მას ეკვადორის სამეფო ტახტზე თავისი შვილის დონ აგუსტინის დასმა უნდოდა.

ფლორესის გეგმა საფრთხეს არა მხოლოდ ეკვადორის, არამედ პერუს, ბოლივიისა და არგენტინისთვისაც წარმოადგენდა, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ ეკვადორში სამხედრო გადატრიალების შემთხვევაში, დიდი ალბათობით, იგივე სცენარი მათთანაც განხორციელდებოდა. გარდა ამისა, იმ დროს აშშ მექსიკასთან ომს აწარმოებდა, რაც რეგიონისთვის სერიოზულ საფრთხედ აღიქმებოდა. არსებული საფრთხიდან გამომდინარე პერუმ 1846 წლის ნოემბერში რეგიონის ქვეყნები დამოუკიდებლობის ერთობლივად დაცვის იდეითა და თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით ლიმაში მეორე ლათინურ ამერიკულ კონფერენციაზე მიიწვია. ბოლივიის, ჩილეს, კოლუმბიის, ეკვადორისა და პერუს წარმომადგენლები ლიმაში 1847 წლის დეკემბერსა და 1848 წლის მარტში შეიკრიბნენ (Tenenbaum, 1941:5).

ლიმას კონფერენციის მთავარი მიზანი გაერთიანება იყო. წარმომადგენლებმა შეთანხმების მონახაზიც შექმნეს, რომლის მიხედვითაც საერთო წარსული, ენა,

ჩვეულებები და რელიგია პოლიტიკური კავშირის შექმნას სრულებით შესაძლებელს ხდიდა. ხელშეკრულება უარყოფდა იმ ფაქტს, რომ გეოგრაფია პოლიტიკური კავშირის შექმნას ხელს შეუშლიდა, რადგან რეგიონის ქვეყნებს საერთო ინტერესები ამოდრავებდათ. უფრო მეტიც, დოკუმენტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებს უნდა ელიარებინათ, რომ ისინი არა დამოუკიდებელი სახელმწიფოები, არამედ ერთი ერის ან ცივილიზაციის ნაწილი იყვნენ (Lastarria, 67).

ლიმას ხელშეკრულება ძალიან ჰგავდა პანამის კონგრესის შეთანხმებას, რამაც საბოლოოდ მისი კრაზი განაპირობა. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ხელმომწერი ქვეყნების მიზანი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება და მათი ტერიტორიული საზღვრების დაცვა იყო. დოკუმენტის თანახმად შეთავაზებული კონფედერაცია თითოეული წევრის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს უზრუნველყოფდა და იგი ცალკეული ქვეყნების საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო. აღნიშნული ჩანართი უპატიებელი შეცდომა იყო, რადგან იგი სინამდვილეში ცალკეული ქვეყნების განუსაზღვრელ ძალაუფლებას აცხადებდა, რაც, ბუნებრივია, ნამდვილი კონფედერაციის შექმნას შეუძლებელს ხდიდა (Rivera, 2014:101-103).

ერთი შეხედვით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ლიმაში წარგზავნილ დელეგატებს წესით ბოლივარისა და პანამის კონგრესის შეცდომების გათვალისწინებით, იგივე პრობლემები თავიდან უნდა აერიდებინათ. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ იმ დროს ლათინურ ამერიკაში ინტრიგებითა და ეგოიზმით სავსე, უაღრესად დამაბული და მგზნებარე პოლიტიკური გარემო იყო, რაც გაერთიანების შექმნას ხელს უშლიდა. საბოლოო ჯამში ლიმას დოკუმენტის რატიფიკაცია არაოდეს მომხდარა. ფლორესის გეგმის ჩავარდნასთან ერთად საგარეო საფრთხემაც იკლო, რაც რეგიონის ქვეყნებს იმის ფიქრის ფუფუნებას აძლევდა, რომ გაერთიანება უკვე საჭირო აღარ იყო.

XIX საუკუნის შუა პერიოდში ლათინურ ამერიკაში მორიგი პარადოქსული ფაქტი დაფიქსირდა. ქვეყანა, რომელიც 1820-იან წლებში ახლად ჩამოყალიბებულ რესპუბლიკებში ნომერ პირველ მტრად ითვლებოდა და ისინიც მის წინააღმდეგ გაერთიანებას ცდილობდნენ, 1850-იანი წლების შუა ხანებში ლათინური ამერიკის

გაერთიანების მხარდამჭერად გამოვიდა. ჩილეში ესპანეთის ელჩმა ედუარდო ასკერინომ 1855 წელს ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლათინური ამერიკის ინტეგრაციაში დახმარებისთვის წერილობით მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ასკერინოს ინიციატივა ფართომასშტაბიან მოძრაობაში არ გადაზრდილა, მისი მხარდამჭერა მაინც მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ იგი გაერთიანებაში ბრაზილიის ჩართვისკენაც მოუწოდებდა (Van Aken, 1955:207).

ასკერინო ფიქრობდა, რომ ესპანურენოვანი ცივილიზაცია მექსიკა-ამერიკის ომის შედეგად გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა. სწორედ ეს აზრი წარმოადგენდა მისი ინიციატივის საფუძველს.

ასკერინომ ლათინური ამერიკის შეერთებული შტატებისგან დასაცავად სამხედრო ალიანსის იდეაც წამოაყენა, რათა ქვეყნის ძალაუფლებისა და გავლენის გაფართოებაში ხელი შეეშალათ. ალიანსის წევრები ასევე წინ უნდა აღდგომოდნენ ლათინურ ამერიკაში პროტექტორატის შექმნას თუ მისი მიწების გაყიდვა-გადაცემას.

ასკერინო ფიქრობდა, რომ ალიანსის შექმნაში ლათინურ ამერიკას ესპანეთი უნდა დახმარებოდა, მაგრამ რადაგან რეგიონის ქვეყნები მადრიდს ჯერ კიდევ ეჭვის თვალთ უყურებდნენ, იგი ამჯობინებდა, რომ ინიციატივას სათავეში ჩილე ან ბრაზილია ჩასდგომოდა. გარდა მისა, მისი აზრით, ალიანსში ბრიტანეთი და საფრანგეთიც უნდა მიეწვიათ, რათა შეერთებული შტატები შეეკავებინათ. საბოლოოდ, ოფიციალურმა ესპანეთმა ასკერინოს გეგმას მხარი არ დაუჭირა (Rivera, 2014:108-109).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლათინური ამერიკის გაერთიანებაზე სხვა ავტორებიც საუბრობდნენ, მათ შორის იყო კოლუმბიელი მწერალი მანუელ ანსისარი. იგი ფიქრობდა, რომ რეგიონში შეერთებული შტატების მსაგავსი ხელისუფლება უნდა შემნილიყო. ანსისარი იყო პირველი, რომელმაც იმ დროს ის პროცესის დაწყება იწინასწარმეტყველა, რომელიც თანამედროვე პერიოდში ლათინური ამერიკის ინტეგრაციის ერთ-ერთი ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია. მან ჯერ კიდევ 1850-იან წლებში ივარაუდა, რომ ლათინურ ამერიკას საფრთხე სუბ-რეგიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბებაშიც ემუქრებოდა, რომელიც იქ ახალ დაპირისპირებებს დაუდებდა სათავეს (Hussey, 1955:14; Rivera, 2014:109). ანსირასის

მოლოდინი გამართლდა: აღნიშნულმა ფენომენმა რეგიონში ფესვები ღრმად გაიდგა. მიუხედავად იდეოლოგიური თუ დიპლომატიური მცდელობებისა, ლათინური ამერიკის გაერთიანების გეგმა ოცნების ფარგლებს ვერ გასცდა.

1856 წელს ჩილეს ინიციატივით ქალაქ სანტიაგოში მორიგი კონგრესი გაიმართა. სანტიაგოს კონგრესის გამართვას წინ სამი ეპიზოდი უძღვოდა, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები იყო მთავარ უარყოფით როლში: 1) აშშ-ს მიერ მექსიკის ტერიტორიების ანექსია; 2) ამერიკელი სამხედრო ავანტიურისტის - უილიამ უოლკერის მიერ ნიკარაგუის დაპყრობა და საკუთარი თავის მის იმპერატორად გამოცხადება; 3) ეკვადორის მიერ აშშ-სთვის გალაპაგოსის კუნძულებზე გუანოს მოპოვების უფლების მინიჭების ინიციატივა, რაც ეკვადორის მეზობელ სახელმწიფოებს აშინებდა.

შეხვედრა თავდაპირველად მხოლოდ ჩილესა და პერუს შორის შორის მიმდინარეობდა, მაგრამ ჩილეს ინიციატივით მალე მას ეკვადორიც შეუერთდა. კონგრესის შედეგი 1856 წლის სექტემბერში სამხრეთი „კონტინენტური შეთანხმების“ მიღება იყო. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტს ხელი მხოლოდ სამმა ქვეყანამ მოაწერა (Burr, 1965:86).

1860-იან წლები ლათინური ამერიკის საერთაშორისო ურთიერთობების გარდამავალი პერიოდია. აღნიშნულ დეკადაში ძალაუფლების პოლიტიკამ რეგიონში ფართო გავრცელება ჰპოვა. ცვლილებები არა მხოლოდ ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, არამედ მათ საგარეო ძალებთან ურთიერთობებსაც შეეხო. ვფიქრობ, 1860-იანი წლები ორივე ამერიკის ისტორიაში ყველაზე ძალადობრივი ათწლეული იყო.

მეფე იზაბელა მეორის მმართველობის პერიოდში ესპანეთის სამხედრო ბიუჯეტი გაიზარდა, შესაბამისად, ქვეყნის სამხედრო ძალაც. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ესპანეთი აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადავიდოდა, რასაც მწვანე შუქს იზაბელა მეორეც აძლევდა. 1864 წელს კი სამხრეთ ამერიკის ქვეყნების წინააღმდეგ ომი წამოიწყო.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთს პერუს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღიარებული. 1861 წელს საფრანგეთის მიერ მექსიკის ანექსიის შემდეგ, რა თქმა

უნდა, თავის ყოფილ კოლონიებზე კონტროლის ხელახლა დამყარების სურვილი პირველი ესპანეთს გაუჩნდებოდა. 1862 წელს ესპანეთმა კოლუმბის პირველი ექსპედიციის მონაწილე ძმების - ფრანსისკო მარტინისა და ვისენტე იანეს პინსონების პირდაპირი შთამომავალი, სიუხეშით გამორჩეულ ადმირალ ლუის ერნანდეს პინსონის მეტაურობით სამხრეთ ამერიკაში სამი საბრძოლო ხომალდისაგან შემდგარი საზღვაო სამეცნიერო ექსპედიცია გაგზავნა. 1863 წლის აპრილში ესპანელები თავდაპირველად ჩილეში ჩავიდნენ, გზა პერუსაკენ განაგრძეს, შემდეგ კი კალიფორნიისკენ გაემგზავრნენ (Espada and Espada, 1875:8; Cortada, 1980:93; Martinic, 1863).

1863 წლის 4 აგვისტოს პერუს ქალაქ ლამბაიეკეში ორ ესპანელ იმიგრანტ მუშასა და პერუელ ჰასიენდადოებს შორის ტალამბოს ჰასიენდაზე დაპირიპირება მოხდა, რომლის შედეგადაც ერთი ესპანელი დაიღუპა (Guniot, 2009:307-308).

როდესაც ტალამბოს მამულში დატრიალებული ამბავი შეიტყო, ადმირალი პინსონი პერუში დაბრუნდა და ხელისუფლებას ინციდენტის გამო ბოდიშის მოხდა და დაზარალებული ესპანელებისათვის კომპენსაციის გადახდა მოსთხოვა. პასუხად პერუელებმა პინსონი პირდაპირ მიანიშნეს, რომ აღნიშნული ინციდენტი პერუს საშინაო საქმე იყო და ესპანეთი მასში არ ჩარეულიყო. განაწყენებულმა ესპანეთმა პერუს კოლონიურ პერიოდში დაგრივილი ვალების გადახდა მოსთხოვა. ცხადია, რომ ესპანეთი მხოლოდ საბაზს ეძებდა, რომ ლათინური ამერიკის საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. პერუსთან დაკავშირებით იზაბელა მეორე ამბობდა: „თუ ქვეყნის უკან დაბრუნებას ან მონარქიზაციას ვერ შევძლებთ, პერუმ კარგი თანხა მაინც უნდა გადაგვიხადოს“-ო. უფრო მეტიც, ესპანეთმა ამ საკითხის მოსაგვარებლად პერუში სამეფო კომისარი - ეუსებო დე სალასარი და მასარედო მიაგლინა, რაც პერუს ხელისუფლების შეურაცხყოფა იყო, რადგან მისი თანამდებობა პირდაპირ მიანიშნებდა იმაზე, რომ მადრიდი პერუს ისევ თავის კოლონიად აღიქვამდა (Bollaert, 1870:413; Cortada, 1994:117; Goldstein, 1992:193; Cerruti, 1864).

პერუმ ესპანეთისთვის ვალის გადახდაზე უარი განაცხადა, რის პასუხადც 1864 წლის 14 აპრილს ესპანეთის საზღვაო ძალებმა წყნარი ოკეანის აუზში მდებარე პერუს გუანოს რესურსებით მდიდარი ჩინჩას კუნძულები დაიკავეს. კუნძულები პერუსთვის

ეკონომიკურად ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან პერუს გუანოს მთავარი მარაგი სწორედ იქ იყო წარმოდგენილი, რომელზეც იმ დროს ქვეყნის შემოსავლების 60% მოდიოდა (Tucker, 2010:1431).

ხედავდა რა არსებული საფრთხის სერიოზულობას, პერუმ 1864 წლის იანვარში შემდეგი ლათინურ ამერიკული კონგრესი მოიწვია, რათა ევროპის ახალი აგრესიისგან თავი ერთობლივად დაეცვათ (Burr, 1965:91). რეგიონის ქვეყნებისათვის დაგზავნილ წერილებში პერუ მათ „ამერიკული გაერთიანების“ (American Fusion) შექმნისკენ მოუწოდებდა, რომლის განსახორციელებლადაც რეგიონული კონგრესის გამართვა აუცილებელი იყო. პერუს წერილში არ განუმარტავს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ახალი ოგრნიზაცია, თუმცა იგი შემფოთებას გამოთქვამდა იმ ფაქტის მიმართ, რომ რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს სარგებლის მაძიებელი ევროპული მთავრობები მუდმივად თავს ესხმოდნენ (Rivera, 2014:113; Robertson, 1950:333).

პერუს საგარეო საქმეთა მინისტრი ხუან ანტონიო რიბეირო ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს უსვამდა ხაზს, რომელიც ლათინური ამერიკის კავშირის შექმნაში გამოხატებოდა და რომელიც სამართლიანი, პროგრესული და საყოველთაო კეთილდღეობის პრინციპებზე უნდა ყოფილიყო აგებული. რიბეირო ლათინური ამერიკის ხელისუფლებებს რეგიონის ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობების გაფართოების, სავაჭრო ურთიერთობების გამარტვივებისა და ტერიტორიული დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ მიმართული საგარეო პოლიტიკის კურსის გატარებისკენ მოუწოდებდა. იგი ფიქრობდა, რომ ამ ყველაფრის მისაღწევად ერთობლივი მუშაობა ლათინურ ამერიკას „ძლიერსა და პატივსაცემს“ გახდიდა (Rivera, 2014:113).

პერუს წერილში ხაზგასმული იყო, რომ ლათინური ამერიკა ერთ ერს წარმოადგენდა. დოკუმენტი ყურადღებას ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე ამახვილებდა, რაც ისევ საფრთხის წინაშე იდგა. ამას პერუში განვითარებული მოვლენებიც ადასტურებდა. ნახსენები იყო ესპანეთის მიერ დომინიკის რესპუბლიკის დაკავებისა და ფრანგების მიერ მექსიკის დაპყრობის სერიოზულობაც. დოკუმენტი ასევე საუბრობდა ლათინურ ამერიკაში

ტერიტორიული დავებისა და ომების სახით არსებულ საშინაო პრობლემებზე, რომლებიც მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარებულიყო. წერილში სახელმწიფო ღალატის საკითხიც იყო ხაზგასმული, რაც აგრესორ სახელმწიფოებთან ადგილობრივების თანამშრომლობაში გამოიხატებოდა (Torres Caicedo, 282-283).

პერუს ინიციატივას ლათინური ამერიკის ქვეყნები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ. ამერიკული კავშირის შესაქმნელად და რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკური კოორდინაციის გასაუმჯობესებლად მზადყოფნა გამოთქვა ჩილეს ხელისუფლებამ. კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება დაადასტურა კოლუმბიამაც. კონგრესზე ქვეყნის წარმომადგენლად დანიშნულმა ანტონიო მარია პრადილიამ აღნიშნა, რომ კონფერენციას მხოლოდ ესპანური წარმოშობის ქვეყნები უნდა დასწრებოდნენ და მასზე მხოლოდ მათი ინტერესები უნდა განეხილათ (Torres Caicedo, 296-297). ლიმას კონგრესზე ბრაზილია არ მიუწვევიათ, რაც ქვეყანაში არსებული მონარქიული სისტემით იყო ნაკარნახევი, რადგან ესპანურენოვან ამერიკაში ფიქრობდნენ, რომ მონარქია რესპუბლიკურ სისტემასთან შეუთავსებელი იყო.

შეკრების საჭიროებაზე საუბრობდა ბოლივიის წარმომადგენელი რაფაელ ბუსტილიოც. იგი ამბობდა, რომ პოლიტიკური კავშირის საფუძველი საერთო რელიგია, ენა და ტრადიციები იყო. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა კავშირში გაერთიანება ზოგიერთი სახელმწიფოსთვის რთული ყოფილიყო, ბუსტილიოს სჯეროდა, რომ იგი მაინც მოხდებოდა, რადან ნებისმიერ სუსტს გაძლიერების მიზნით გაერთიანების ინსტინქტი ამოძრავებდა (Torres Caicedo, 289-290). პერუს ინიციატივას მხარდაჭერა გამოუცხადა ვენესუელამაც.

კუნძულების დაკავებასთან ერთად ესპანელებმა პერუს მთავარი პორტების ბლოკადაც დაიწყეს, რამაც ვაჭრობა მთელს რეგიონში შეაფერხა. შედეგად ლათინურ ამერიკაში ესპანეთის მიმართ მტრული დამოკიდებულება იზრდებოდა, რაც შესაძლოა გაერთიანების საფუძველი გამხდარიყო. პერუს სოლიდარობა პირველმა ჩილემ გამოუცხადა, როდესაც ქვეყანამ ესპანური ხომალდებისათვის ქვანახშირის მიყიდვაზე უარი განაცხადა. ჩილემ რეგიონის ქვეყნებს ესპანეთის მიერ გაჟღერებული „ვინდიკაციის“ პრინციპის დაგმობისკენ მოუწოდა, რომელიც

რეკონკისტის გამოვლინება იყო. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ესპანეთის მიერ ჩინჩას კუნძულების ოკუპაციას და აცხადებდა, რომ ჩილე მხოლოდ პერუს სუვერენტიტს აღიარებდა. ქვეყანა ესპანეთს უკან დახევისკენ მოუწოდებდა. ჩილემ ნათლად მიანიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი ძალასაც გამოიყენებდა. ამის გამო მან დამატებითი გემების შეძენის პროცესიც დააჩქარა. ლათინური ამერიკის გაერთიანების მოწინააღმდეგე ჩილე უკვე ღიმას კონგრესის გამართვის დაჩქარებისთვის იბრძოდა. მან ეკვადორის ხელისუფლებაც კი დაარწმუნა, რომ პერუსთან არსებული დავა გვერდზე გადაედო და ესპანეთის წინააღმდეგ გაერთიანებულიყვნენ. პასუხად ესპანეთმა ჩილეზე გარკვეული სანქციები დააწესა და ჩილეს პორტების ბლოკადა მოახდინა. პინსონის ადგილზე დანიშნული ახალი ადმირალი ხუან მანუელ პარეხა 1865 წლის 17 სექტემბერს ჩილეს ქალაქ ვალპარაისოში შევიდა და ესპანეთის დროშისთვის საზეიმო მისალმების (21-gun salute) გამართვა მოითხოვა, რაზეც ჩილემ უარი განაცხადა. შედეგად, 24 სექტემბერს ესპანეთმა ჩილეს ომი გამოუცხადა და ჩინჩას კუნძულების ომიც დაიწყო (Tucker, 2010:1431; Bur, 1965:92).

თავდაპირველად პერუ ესპანეთთან ომის თავიდან აცილებას ცდილობდა. ამგვარმა პოლიტიკამ უმოკლეს ვადაში ერთმანეთის მიყოლებით ქვეყნის ორი პრეზიდენტის სავარძლიდან ჩამოგდება განაპირობა. ახალმა პრეზიდენტმა ნაციონალისტური მოძრაობიდან მარიანო იგნასიო პრადომ ჩილესა და პერუს შორის 1865 წლის 5 დეკემბერს გაფორმებული ალიანსის შექმნის შემდეგ პერუს ეროვნული ღირსების აღსადგენად და ჩილეს სოლიდარობისათვის ესპანეთს ომი დაუყოვნებლივ გამოუცხადა. რეგიონის ქვეყნებმა არსებული უთანხომებები გვერდზე გადადეს. 1866 წლის 30 იანვარსა და 22 მარტს ჩილესა და პერუს ალიანსს ეკვადორი და ბოლივიაც შეუერთდნენ და ესპანეთს ომი გამოუცხადეს. ალიანსის მხარე დაიჭირა დომინიკის რესპუბლიკამაც. ესპანეთის ფლოტისათვის წყნარი ოკეანის სანაპიროზე სამხრეთ ამერიკის ყველა ნავსადგური დაიკეტა. ალიანსში ბრაზილია და არგენტინა არ გაერთიანებულან, რადგანაც ისინი ცალკე სხვა ომში იყვნენ ჩართულები (Rossi, 2017:253-257; Fowler, 2016:71; Rivera, 2014:100).

ლიმას კონგრესი 1864 წლის 15 ნოემბერს შეიკრიბა. მასზე ბოლივიის, ჩილეს, ეკვადორის, კოლუმბიის, გვატემალის, პერუს, ვენესუელისა და არგენტინის დელეგატები იყვნენ წარმოდგენილნი.

აღსანიშნავია, რომ 1847 წლის ლიმას კონგრესის შემდეგ 1864 წელსაც კოლუმბიას ისევ ხოსე აროსემანა წარმოადგენდა. როგორც შეუდრეკელი იუნიონისტი, იგი ლათინურ ამერიკას ერთიან ცივილიზაციად აღიქვამდა და სჯეროდა, რომ რომ მიუხედავად გაერთიანების წინა ინციტიაგების კრაზისა, ლათინური ამერიკის პოლიტიკური კავშირის შექმნა სრულებით შესაძლებელი იყო (Arosemana, 95).

ლიმას კონგრესზე წარმომადგენლებმა ერთიანი დოკუმენტი შექმნეს, რომლის მიხედვითაც დამსწრე ამერიკის ქვეყნები ერთ ოჯახს წარმოადგენდნენ და ამის განსამტკიცებლად ერთიან ლიგას ქმნიდნენ. შეთანხმების ძირითადი მიზანი „დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ერთიანობის“ შენარჩუნება იყო. დოკუმენტში ისიც აღინიშნა, რომ ხელმომწერი ქვეყნები არ აღიარებდნენ იმ ხელისუფლებას, რომელიც ხალხს არ წამოადგენდა. ეს პუნქტი პირდაპირ უცხოური ძალების მიერ ხელდასმულ მთავრობებს ეხებოდა. დოკუმენტში ტერიტორიული პრობლემების მოგვარების საკითხს, სამხედრო ალიანსის ფუნქციონირებასა და არაერთ სხვა საკითხს გაესვა ხაზი (Rivera, 2014:113-114).

ლიმას ხელშეკრულების იმპლემენტაცია არასოდეს მომხდარა. მართალია კონგრესის მიზანი პოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბება იყო, თუმცა ჩინჩას კუნძულებზე ესპანეთის სამხედრო ოკუპაციის დასრულების შემდეგ რეგიონში ჩათვალეს, რომ სამხედრო ალიანსის შექმნის საჭიროება აღარ არსებობდა. როგორც იქამდე ხდებოდა საგარეო საფრთხის შემცირებასთან ერთად ლათინური ამერიკის ინტეგრაციის მონდომებაც ნელდებოდა.

მორიგი დიპლომატიური ინიციატივის კრაზით იუნიონისტებმა ლათინურ ამერიკაში კიდევ ერთი იმედგაცრუება განიცადეს, თუმცა მათ ფარ-ხმალი ბოლომდე მაინც არ დაუყრიათ. 1864 წლის შემდეგ იუნიონისტური მოძრაობის სათავეში უკვე იდეალისტები ჩადგნენ.

ესპანეთის აგრესიას ლათინური ამერიკაში ამჯერად გარკვეული დადებითი შედეგაც ჰქონდა. მან რეგიონის ქვეყნები კიდევ ერთხელ დაახლოვა. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ დაპირისპირებების მიუხედავად რეგიონში საჭიროების დროს ერთმანეთის გვერდში დგომა შეეძლოთ. ლათინური ამერიკის გაერთიანების იდეა უტოპია არ ყოფილა. იგი შესაძლებელი იყო.

1864 წლის ლიმას კონგრესთან ერთად ლათინურ ამერიკაში რეგიონალიზმის პირველი ტალღა დასრულდა. შესაბამისად, დასრულდა ძველი, ლათინურ ამერიკული პანამერიკანიზმიც, რომელსაც XIX საუკუნის ბოლოდან უკვე შეერთებული შტატებისეული პანამერიკანიზმი ჩაანაცვლებს და იგი აღნიშნულ მოძრაობაში ჰეგემონი გახდება.

1.3. ერთიანი ლათინური ამერიკის იდეოლოგიური საფუძვლები და ინტელექტუალური იუნიონიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ლათინური ამერიკის გაერთიანებისთვის პირველი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა სიმონ ბოლივარის სახელთან ასოცირდება, ამ იდეას ბოლივარამდე და მის შემდეგაც არაერთი მხარდაჭერი ჰყავდა, მაგრამ ეს ისტორიაში ნაკლებად არის ცნობილი. დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად რეგიონში ესპანურენოვანი ამერიკის გაერთიანების შესახებ აქტიურად დაიწყო საუბარი. აღნიშნული იდეის შემოქმედი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა, ვენესუელელი რევოლუციონერი ფრანსისკო დე მირანდა იყო.

ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობის მოძრაობის დაწყებისთვის ნიადაგი სწორედ დე მირანდამ შექმნა. სულ მალე კი მთელი რეგიონი ევროპული მმართველობისგან განთავისუფლდა. ამის გამო ფრანსისკო დე მირანდას ისტორიაში „წინამორბედის“ (The Precursor) სახელითაც მოიხსენიებენ, რადგან სწორედ მან დაუდო სათავე გზას, რომელმაც ლათინური ამერიკა დამოუკიდებლობამდე მიიყვანა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლათინურ ამერიკის ბედთან დაკავშირებით აზრები გაიყო. მრავალრიცხოვანი ნაწილი დამოუკიდებელი რესპუბლიკების იდეას უჭერდა მხარს, მცხირერიცხოვანი კი ესპანური ამერიკის გაერთიანებას. ერთსულოვნება არც გაერთიანების მომხრეებს შორის იყო. ისინი გაერთიანების ფორმაზე ვერ თანხმდებოდნენ. ერთი ნაწილი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის იდეას უჭერდა მხარს, მეორე კი უბრალოდ პოლიტიკურ თანამშრომლობას, მაგრამ არა პოლიტიკურ ინტეგრაციას, რადგან მათ ახლადმოპოვებული პოლიტიკური ძალაუფლების დათმობის იდეა არ იზიდავდა. რაც შეეხება მესამე ნაწილს, ისინი გაერთიანებული ლათინური ამერიკის იდეას უჭერდნენ მხარს. სწორედ მათ დაუდეს სათავე მოძრაობას რეგიონის პოლიტიკური გაერთიანებისათვის, რომელიც ისტორიაში იუნიონიზმის სახელითაც არის ცნობილი.

ლათინური ამერიკის ინტეგრაციის მოძრაობის უკეთ გასაგებად, ვფიქრობ, საინტერესო იქნება იმ ადამიანების იდეების გაანალიზება, რომლებმაც, ფაქტობრივად, რეგიონის უნიფიკაციის იდეოლოგიური საფუძვლები შექმნეს. საინტერესოა, თუ როგორ ხსნიდნენ ისინი რეგიონის გაერთიანების საჭიროებას და რას მიიჩნევდნენ მისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებად ჯერ კიდევ XIX საუკუნეში.

ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობის მოძრაობა ფორმალურად ვენესუელის პირველი რევოლუციური ხუნტის ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო. 1810 წლის 27 აპრილს ხუნტამ დადგენილება გამოსცა, რომელიც ესპანეთის კოლონიებს ესპანურ ამერიკული კონფედერაციის ჩამოყალიბებისკენ მოუწოდებდა (Villanueva, 1969:111-12). ნათელი იყო, რომ მიზნის მისაღწევად ადგილობრივ დონეზე ძალების კონსოლიდაციასთან ერთად საგარეო მხარდაჭერაც აუცილებელი იყო. ხუნტამ მოკავშირის ევროპაში ძებნა დაიწყო. გასაკვირი არ არის, რომ არჩევანი დიდ ბრიტანეთზე შეჩერდა, რადგან იგი ერთდროულად საერთაშორისო მასშტაბით უძლიერესი სახელმწიფო იყო და ესპანეთის მიმართ მტრულადაც იყო განწყობილი (Langley: 2009:28).

ვენესუელის ხუნტის მოწოდების შემდეგ, 1810 წლის 18 სექტემბერს, ბუენოს აირესის მმართველი ხუნტის წარმომადგენელი - ანტონიო ალვარეს ხონტე ამერიკის

ქვეყნების გაერთიანების საჭიროების ხაზგასასმელად სანტიაგო დე ჩილეს კაბილდოს ეწვია (Álvarez, 1910:70). მისი მისია ვერ განხორციელდა, რადგან ბუენოს აირესის ხუნტაში რეგიონის გაერთიანებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ხუნტის რადიკალი იაკობინელი მდივანი მარიანო მორენო პოლიტიკური კავშირის შექმნის იდეას წინ აღუდგა. იგი მიიჩნევდა, რომ ესპანური ამერიკის გაერთიანების საჭიროება არ არსებობდა. მორენო დარწმუნებული იყო, რომ ლათინური ამერიკის უზარმაზარი ფართობი მისი გაერთიანების ნებისმიერ მცდელობას უშედეგოს ხდიდა (Simon, 2017:44).

1810 წელს პოლიტიკური გაერთიანების იდეით ცნობილი ლათინურ ამერიკელი ინტელექტუალი და პოლიტიკური ფიგურა ხუან ეგანია გამოვიდა. უნიფიკაციის მისი გეგმის მიხედვით გაერთიანება ევროპული საფრთხისგან თავდაცვასთან ერთად ამერიკის ქვეყნებს შორის ომების თავიდან ასაცილებლადაც იყო საჭირო. ეგანია თვლიდა, რომ როგორც კი ამერიკის ორივე კონტინენტი გაერთიანდებოდა, მის ხმას მთელ დედამიწაზე გაიგონებდნენ, პატივისცემით მოეპყრობოდნენ და მის გადაწყვეტილებებს წინ ვერ აღუდგებოდნენ (Álvarez, 1910:257-61).

1818 წელს რეგიონის პოლიტიკური ინტეგრაციის მოწოდებით ჩილეს განმანთავისუფლებელი - ბერნარდო ო'ჰიგინსი გამოვიდა. იგი მხარს უჭერდა მთელი ამერიკის კონტინენტის დიადი კონფედერაციის შექმნას, რომელიც კონტინენტის პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებების უზრუნველყოფას შეძლებდა (Lastarria).

პოლიტიკური ინტეგრაციის ადრეულ მხარდამჭერებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამხრეთ ამერიკის განმანთავისუფლებელ - ხოსე დე სან მარტინს. იგი მიიჩნევდა, რომ ამერიკის კონტინენტის მიზანი ესპანური ტახტისგან გათავისუფლება და ერთ კავშირში გაერთიანება იყო, რაც საბოლოოდ რეგიონს წესრიგსა და პროგრესს მოუტანდა (Galasso, 1975:42-43). ლათინურ ამერიკაში გავრცელებული სამოქალაქო ომებისა და ანარქიისკენ მიდრეკილი პოლიტიკური ქაოსის შემხედვარე, იგი ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, რომ სამხრეთ ამერიკის გაერთიანება და იქ წესრიგის დამყარება მონარქიას შეეძლო, რასაც რესპუბლიკელების მწვავე რეაქცია მოჰყვა. სან მარტინს დაჰბრაღდა, რომ მას

მონარქიის აღდგენა და ტახტის დაკავება უნდოდა, თუმცა ამ ფაქტის დამტკიცება ვერავინ შეძლო.

ინტეგრაციის მომხრე იყო ურუგვაის განმანთავისუფლებელი - ხოსე ხერვასიო არტიგასი. 1813 წლის 29 ივნისს გაერთიანების იდეით მან ბუენოს აირესის მთავრობისაც გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ „მხოლოდ გაერთიანებას შეუძლია ბეჭედი დაასვას ჩვენს შრომას“ (Galasso, 1975:54-56). 1819 წლის 29 ივლისს იგი სიმონ ბოლივარს წერდა, რომ ლათინურ ამერიკას სასწრაფოდ ინტეგრაცია ესაჭიროებოდა, რადგან რეგიონი ისედაც ბუნებრივი კავშირებითა და ორმხრივი ინტერესებით იყო გაერთიანებული (Galasso, 1975:57).

ლათინური ამერიკის ინტეგრაციის აქტიური მხარდამჭერი იყო რევოლუციონერი ბერნარდო მონტეაგუდო. იგი ლათინურ ამერიკაში არსებულ ქაოსს რეგიონის პოლიტიკური ფრაგმენტაციის ლოგიკურ შედეგად თვლიდა. მონტეაგუდოს სჯეროდა, რომ ლათინური ამერიკის ძალა მის ერთიანობაში იდო (Galasso, 1975:46).

ცენტრალური ამერიკისა და მთლიანად ლათინური ამერიკის ინტეგრაციის გამოჩენილი მხარდამჭერი იყო ხოსე სესილიო დე ვალიე. თავისი მოღვაწეობის განმავლობაში იგი ყოველთვის იუნიონიზმს უჭერდა მხარს. დე ვალიე ფიქრობდა, რომ ლათინური ამერიკის ახალი ერი-სახელმწიფოები არ იყვნენ ნადვილი სახელმწიფოები. ისინი ერთიანი ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური უნიფიკაციის მცდელობები სხვადასხვა ტერმინით არის ცნობილი, მათ შორისაა: პანამერიკანიზმი, პანლათინური ამერიკანიზმი, პანესპანიზმი, იუნიონიზმი, ინტეგრაციის მოძრაობა, კონტინენტალიზმი, კონტინენტური ნაციონალიზმი. მიმაჩნია, რომ აღნიშნული მოძრაობები ნაციონალისტური კამპანიაა, რომელიც რეგიონს ბევრ სახელმწიფოდ დაშლილ ერთ ერად მიიჩნევს.

პანლათინურ ამერიკანიზმთან პირდაპირ არის დაკავშირებული პანლათინიზმი და პანესპანიზმი. საინტერესო ფაქტია, რომ ტერმინი „პანლათინიზმი“ პირველად კოლუმბიელმა მწერალმა ხოსე მარია ტორეს კაისედომ გამოიყენა. იგი საერთო ლათინური რასის იდეიდან რომანულ ენებზე მოსაუბრე ხალხების გაერთიანების

მიზნით წარმოშვა (Feres, 2010:38). იმავე იდეის მატარებელია ტერმინი „ლათინური ამერიკა“, რომელიც პირველად ჩილელმა პოლიტიკოსმა ფრანცისკო ბილბაომ გამოიყენა 1856 წელს პარიზში გამართულ კონფერენციაზე (Moniz Bandeira, 2005). იმავე წელს აღნიშნული ტერმინი ხოსე მარია ტორეს კაისედომაც ახსენა პოემაში „ორი ამერიკა“ (Torres Caicedo, 1857).

„ლათინური ამერიკა“, როგორც დამოუკიდებელი ტერმინი ბეჭდვით წყაროებში ოფიციალურად 1861 წელს გამოჩნდა ფრანგი მკვლევრების მიერ პანლათინიზმის მოძრაობისადმი მიძღვნილ ჟურნალში სახელწოდებით „ლათინური რასების მიმოხილვა“ (Phelan, 1968:296).

ლათინური ამერიკის ინტეგრაციის სქემაში აუცილებლად უნდა გამოვყოთ პანესპანიზმის იდეოლოგიაც. იგი, როგორც პოლიტიკური მოძრაობა ესპანურენოვანი, კონკრეტულ შემთხვევაში კი, ესპანური ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთანამშრომლობას ისახავს მიზნად, უფრო ფართო გაგებით კი გაერთიანებას. 1909 წელს ესპანელმა ფილოსოფოსმა მიგელ დე უნამუნომ მას ახალი მნიშვნელობა შესძინა, როდესაც წინა პლანზე ისპანიდადის იდეა წამოსწია, რომელიც პრაქტიკულად იმავე იდეის მატარებელია, რაც პანესპანიზმი (Gonzalez Cuevas, 2003:244).

1930-იანი წლებიდან ისპანიდადის იდეის შესახებ აქტიურად უკვე ლათინურ ამერიკაშიც დაიწყეს საუბარი, რაც მექსიკელი მწერლის ალფონსო ხუნკოს სახელს უკავშირდება. იმავე პერიოდში მექსიკელმა პოლიტიკოსმა ეფრან გონსალვეს ლუნამ მას ახლებური დატვირთვა შესძინა, რომლის მიხედვითაც ისპანიდადი განიმარტა, როგორც სუვერენული სახელმწიფოების გაერთიანებული კავშირი, რომელიც საკუთარი ღირებულებების დასაცავად და საგარეო საფრთხის, კონკრეტულ შემთხვევაში კი, კომუნიზმის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული (Gomez Peralta, 2010). ისპანიდადის იდეის დადებით ასპექტებზე მალე სხვა ავტორებიც ალაპარაკდნენ, როგორც ანგლო-საქსონური მეტისაციის წინააღმდეგ კულტურული ონტოგენისაკენ მიმართულ პოზიტიურ ნაბიჯზე.

პანესპანიზმის ნებისმიერი გამოვლინება ინტეგრაციის სქემიდან ბრაზილიას საერთოდ გამორიცხავდა ენობრივი განსხვავებულობიდან, უფრო ადრე კი,

მმართველობის ფორმიდან გამომდინარე. ასეთ დამოკიდებულებას საფუძველი სიმონ ბოლივარმა ჩაუყარა, რადგან იგი ბრაზილიაში არსებულ მონარქიულ მმართველობას ახალი რესპუბლიკების არსებობისათვის საფრთხედ მიიჩნევდა, რის გამოც იგი პანამერიკული ერთობიდან „გარიცა“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრეული იუნიონისტების აზრი ბრაზილიის ინტეგრაციის პროექტებში ჩართვასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი იყო. დამოუკიდებლობის დასაწყისში ლათინურ ამერიკაში ბრაზილიის მიმართ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. ამის მიზეზი კი იქ არსებული მმართველობის ფორმა იყო. გარდა ამისა, იმ დროს ბრაზილია და არგენტინა ომის ზღვარზე იმყოფებოდნენ. ესპანურ ამერიკელები კი, ბუნებრივია, მხარს ესპანეთის ყოფილ კოლონიას დაუჭერდნენ და არა პორტუგალიურ ტერიტორიას.

ლათინურ ამერიკაში პრობლემას ხედავდნენ ბრაზილიის მიერ რეგიონის ტერიტორიების მითვისების სურვილშიც. ეს საკითხი ბოლივარისა და ესპანური ამერიკის სხვა პოლიტიკური ლიდერების შეშფოთებას იწვევდა. ისინი ამბობდნენ, რომ წმინდა ალიანსთან თანამშრომლობის გზით ბრაზილიას ესპანურენოვანი ამერიკის ტერიტორიების დაპყრობა ჰქონდა განზრახული (*Obras Completas*, 2:144-145).

ლათინურ ამერიკაში დამოუკიდებლობისთვის ომების შემდეგ პირველი ტერიტორიული კონფლიქტიც ბრაზილიის სახელს უკავშირდება. 1825 წელს რიო დე ლა პლატას გაერთიანებულ პროვინციებსა და ბრაზილიის იმპერიას შორის ომი დაიწყო.

ყველაფრის მიუხედავად, ბრაზილია 1826 წელს პანამის კონგრესზე ოფიციალურად მაინც დაპატიჟეს. თუმცა, რეგიონში ფიქრობდნენ, რომ ბრაზილიის პოლიტიკური მმართველობის ფორმა, რომელიც იმ დროს მთელ ლათინურ ამერიკაში ერთადერთი მონარქია იყო, რესპუბლიკანიზმთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. თავის მხრივ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური კავშირის შექმნის იდეას სერიოზულად არც ბრაზილიელები განიხილავდნენ, ვინაიდან აცნობიერებდნენ იმ გარემოებას, რომ მათ შორის ფუნდამენტური პოლიტიკური განსხვავებები არსებობდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბრაზილიის

ხელისუფლებამ კონფერენციაში მონაწილეობაზე თანხმობა მაინც განაცხადა. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ნაბიჯი ბრაზილიაზე დიდი ბრიტანეთის მიერ ზეწოლით იყო განპირობებული, მაგრამ საბოლოოდ ქვეყანას პანამაში თავისი წარმომადგენლები მაინც არ გაუგზავნია. უნდა აღინიშნოს, რომ 1960 წლამდე ბრაზილიას ლათინური ამერიკის ინტეგრაციის მიმართ სერიოზული დაინტერესება არც გამოუჩენია.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი ლათინური ამერიკის იდეის შესახებ რადიკალური შეხედულებებიც არსებობდა. აღნიშნული მიდგომას ნათლად წარმოაჩენს დომინიკის რესპუბლიკაში დაბადებული ესპანური წარმოშობის ავტორის - ფრანსისკო მუნოს დელ მონტეს იდეოლოგია, რომელიც 1850-იან წლებში დიდი გავლენით სარგებლობდა. იგი მიიჩნევდა, რომ ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში დროთა განმავლობაში პოლიტიკური რეორგანიზაციისა და შესაბამისად გარკვეული სახის უნიფიკაციის დროც დადგებოდა, მაგრამ არსებული რასობრივი სხვაობა ნამდვილი ლათინურ ამერიკული პოლიტიკური კავშირის შექმნას რთულს, ან სულაც შეუძლებელს გახდიდა. ინდიელები და აფრიკელები კი თავიანთი ფიზიკური და ინტელექტუალური არასრულფასოვნებიდან გამომდინარე რეორგანიზებულ ლათინური ამერიკაში მნიშვნელოვან როლს ვერ შეასრულებდნენ (Munos del Monte, 1853:260-268). მუნოსი მიიჩნევდა, რომ: „ლათინური ამერიკა არის ახალ სამყაროში გადმოტანილი ევროპა... ინდიელი ხალხი მოსახლეობის ნაწილი არ არის. მათ პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებაში როლი არ აქვთ. ისინი ამერიკული ცივილიზაციის ფარიაა². რაც შეეხება ზანგებს, ან აფრიკულ რასას, იგი უცხო, შემთხვევითი და ანომალური შემონატანია, რომელთაც იმ რამდენიმე ქვეყანაში სადაც სამწუხაროდ არსებობენ არანაირი სამოქალაქო სტატუსი არ აქვთ. შესაძლებელია მათი ბედი ამერიკიდან გაქრობა იყოს“ (Van Aken, 1959:77). პირველი იუნიონისტი ინტელექტუალი, რომელიც მუნოს დელ მონტეს საჯაროდ დაუპირისპირდა იყო მისი თანამედროვე, ცნობილი კოლუმბიელი მწერალი ხოსე მარია სამპერი. მას რასების ერთიანობის ღრმად სწამდა. უფრო მეტიც, იგი ლათინურ

² ფარია - საზოგადოების მიერ გაიყული ადამიანი. ტერმინი სათავეს იღებს ერთ-ერთი ინდური ტომიდან, რომლის წევრებიც ჭუჭყიან სამუშაოს არულებდნენ. ამის გამო საზოგადოებამ ისინი გარიყა და მიუკარებლად შერაცხა.

ამერიკაში სხვადასხვა რასობრივი წარმომავლობის ერთობების არსებობის მნიშვნელობასა და მათ ისტორიულ სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას ლათინური ამერიკის საზოგადოების განვითარებაზე აღიარებდა კიდევ. სამპერი მოუწოდებდა აღარ გამოყენებინათ ტერმინი „რასა“ და იგი „ცივილიზაციით“ ჩაენაცვლებინათ (Samper, 1858:4). არსებობდნენ ისეთებიც, რომლებსაც ესმოდათ, რომ შერეული რასა რეგიონის უდიდეს ცალკე მდგომ რასობრივ კომპონენტს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, ისინი ლათინური ამერიკის მოსახლეებს „ესპანურ-ინდიელურ რასად“ მოიხსენიებდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ ესპანურ ამერიკელთა რასაში ესპანური სისხლის ნაწილი ძალიან ცოტა იყო (Van Aken, 1959:72). როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ რასობრივმა, ეთნიკურმა და კულტურულმა მრავალფეროვნებამ ლათინური ამერიკის გაერთიანებას ხელი შეუშალა.

1859 წელს სამპერმა სტატია დაწერა, რომელიც ლათინური ამერიკის „კოლუმბიის კონფერედაციის“ სახელწოდების ქვეშ გაერთიანებისკენ მოუწოდებდა. ორგანიზაციაში მხოლოდ ესპანურენოვანი ქვეყნები უნდა შესულიყვნენ. სამპერის გეგმა მონარქიული პოლიტიკური წყობის, მონობის არსებობისა და საგარეო პოლიტიკის კურსის გამო ბრაზილიას არ ითვალისწინებდა. თუმცა, თავისი მასშტაბების, გეოპოლიტიკურად სტრატეგიული მდებარეობის, ექვს ქვეყანასთან საერთო საზღვრის არსებობისა თუ ეკონომიკური მნიშვნელობის გამო იგი ბრაზილიასთან კარგ ურთიერთობას აუცილებლად თვლიდა. უფრო მეტიც, სამპერი მას ერთიანი ლათინურ ამერიკული ცივილიზაციის ნაწილს უწოდებდა.

სამპერი პოლიტიკურად ერთიანი ლათინური ამერიკის სქემიდან გამორიცხავდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რადგან ფიქრობდა, რომ იგი დასავლეთ ნახევარსფეროში ტერიტორიული და პოლიტიკური გავლენის გაფართოების მიზნით არაკეთილსინდისიერ პოლიტიკას ახორციელებდა (Rivera, 2014:121-122; Van Aken, 1959:195).

იუნიონიზმის მხარდაჭერა ლათინურ ამერიკაში არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ სამოქალაქო სექტორის დონეზეც ხდებოდა. მაგალითად, „ამერიკული კავშირის ორგანიზაცია“ ლათინური ამერიკის პოლიტიკური ინტეგრაციისკენ მოუწოდებდა, რაც საერთო ინტერესებზე უნდა ყოფილიყო

აგებული. ორგანიზაციის წევრები რეგიონში ჩამოყალიბებულ სახელმწიფო სისტემებს აკრიტიკებდნენ და იქ არსებულ ყველა პრობლემას მას აბრალებდნენ. კავშირის წევრები ფიქრობდნენ, რომ რეალური პოლიტიკური გაერთიანებისთვის ჭეშმარიტი ინტერესის არსებობა იყო საჭირო, რადგან ლოკალიზმითა და გაუნათლებლობით გამოწვეული პოლიტიკური ფრაგმენტაცია რეგიონს ანადგურებდა (Rivera, 2014:123).

ლათინური ამერიკის იდეალისტ იუნიონისტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩილელ ინტელექტუალებს მამა-შვილ ვიკუნებს. პედრო ფელიქს ვიკუნია რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ინტელექტუალი იუნიონისტი იყო. იგი ფიქრობდა, რომ გაერთიანება ლათინური ამერიკის საშინაო და საგარეო პრობლემებს შეამსუბუქებდა. მისი აზრით, პოლიტიკური და კულტურული სოციალიზაცია შესაძლებელი იყო, რადგან ლათინური ამერიკის ხალხებს საერთო რელიგია და ენა ჰქონდათ (Lastarria, 176).

ვიკუნია თვლიდა, რომ პოლიტიკურ ინტეგრაციას ტერიტორიული დავების მშვიდობიანი გზით მოგვარება შეეძლო. იგი დარწმუნებული იყო, რომ ლათინური ამერიკის საზოგადოების განვითარების ერთადერთი საშუალება პოლიტიკური კავშირის შექმნა იყო. ის შეერთებული შტატების მსგავსი ხელისუფლების ფორმას უჭერდა მხარს (Lastarria, 176).

ინტეგრაციის მხარს უჭერდა ბენხამინ ვიკუნიაც. მას სჯეროდა, რომ იბერიულ-ამერიკული პოლიტიკური გაერთიანების შექმნა ლათინურ ამერიკელი ხალხის მხადაჭერით იქნებოდა შესაძლებელი (Rivera, 2014:125-126).

ლათინური ამერიკის პოლიტიკური ინტეგრაციის მხარდამჭერი იყო არგენტინელი დიპლომატი ხუან ბაუტისტა ალბერდი. მისი აზრით, რეგიონში გავრცელებული პრობლემების მოსაგვარებლად ლათინური ამერიკის ქვეყნებისგან შემდგარი კონტინენტური კონგრესი უნდა შექმნილიყო (Lastarria, 228-253 (Diaz-Bonilla and del Campo, 2010:1).

ალბერდის მიხედვით, კონგრესი მხოლოდ ესპანურენოვანი ქვეყნებისგან უნდა შემდგარიყო და იგი არა მხოლოდ სამხედრო ალიანსი, არამედ რეალური პოლიტიკური გაერთიანება ყოფილიყო. იგი გაერთიანების სქემაში შეერთებული

შტატების ჩართვის ნებისმიერ იდეას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ბრაზილიის კავშირში გაერთიანებას მხარს უჭერდა (Gardini, 2011).

ფრანსისკო ბილბაო ინტეგრაციას ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებელ მექანიზმად მიიჩნევდა. იგი ფიქრობდა, რომ მძიმე ფასად მოპოვებული დამუკიდებლობის შენარჩუნება აუცილებელი იყო, თუმცა იმასაც აცნობიერებდა, რომ თუ ლათინური ამერიკა არ გაერთიანდებოდა, ცალკეული ქვეყნები შეერთებული შტატების მსხვერპლი გახდებოდნენ, რადგან იგი ყოველ წელს უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ბილბაო სინანულს გამოთქვამდა იმ ფაქტის გამო, რომ შეერთებული შტატები ლათინური ამერიკისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მაგალითი, ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო, თუმცა სანაცვლოდ რეგიონის ავტონომიისთვის საფრთხედ იქცა. მართალია, ბილბაო შეერთებულ შტატებს ბარბაროსობაში სდებდა ბრალს, მაგრამ არც აღტაცებას მალავდა იქ არსებული ფედერალური სისტემის, ქვეყნის ისტორიული და იდეოლოგიური საფუძვლების მიმართ. იგი ლათინურ ამერიკელებს მოუწოდებდა, რომ ჩრდილოეთ ამერიკული ფედერალიზმის მოდელის მიბაძვის არ შეშინებოდნენ, რადგან მათი კულტურული წინაპრები - რომაელები თავიანთი მტრებისა და დაპყრობილი ხალხების წეს-ჩვეულებებს ხშირად ითვისებდნენ (Bilbao, Lastarria, 276-298).

ბილბაო შეერთებულ შტატებს რუსეთს ადარებდა და ჯერ კიდევ მაშინ წინასწარმეტყველებდა, რომ ერთ დღეს მსოფლიოს ეს ორი სუპერძალა მართავდა (Rubin & Rubin, 2004:104; Tenorio-Trillo, 2017:5-6).

ბილბაო ამბობდა: „თავისუფლება გაერთიანების გარეშე ანარქიაა. გაერთიანება თავისუფლების გარეშე დესპიტიზმი. თავისუფლება და გაერთიანება რესპუბლიკების კონფედერაცია იქნება“ (Lastarria, 298).

ფრანსისკო დე პაულა გონსალეს ვიხილი პოლიტიკურ ინტეგრაციას ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური ევოლუციისთვის ყველაზე შესაფერის საშუალებად მიიჩნევდა. იგი შეერთებულ შტატებად ჩამოყალიბებულ ინგლისურ კოლონიებსა და ესპანურ-ამერიკულ კოლონიებს შორის არსებულ განსხვავებაზეც საუბრობდა. მისი მიხედვით, ცამეტმა ინგლისურმა კოლონიამ თავიანთი

განსხვავებების გადალახვა და ფედერალური სისტემის ქვეშ გაერთიანება მოახერხა, მაშინ როდესაც ესპანური ამერიკის კოლონიები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიშალნენ და განსხვავებული პოლიტიკური კურსი აირჩიეს. ამის გამო მათ ფედერალური სისტემის შექმნა ვერ მოახერხეს, რამაც ლათინური ამერიკის ფრაგმენტაცია გამოწვია და შემდეგ გაერთიანების შექმნასაც შეუშალა ხელი (Lastarria, 319-330).

1900 წელს ურუგვაელი ესეისტისა და ლიტერატურის პროფესორის ხოსე ენრიკე როდოს სახელგანთქმული წიგნი გამოიცა, სახელწოდებით „არიელი“. ისიც ერთიანი ლათინურ ამერიკული ერის იდეას უჭერდა მხარს (Rodó, 2015).

ლათინური ამერიკის ერთიანობის ერთ-ერთი გამოჩენილი მხარდამჭერი XX საუკუნეში იყო არგენტინელი ჟურნალისტი მანუელ უგარტე. ის ლათინურ ამერიკას ორგანულ გეოგრაფიულ და კულტურულ ერთობად აღიქვამდა. უფრო მეტიც, იგი მას ერად - „ლა პატრია გრანდედ“ მოიხსენიებდა. ის ამტკიცებდა, რომ ლათინური ამერიკის პოლიტიკური უნიფიკაცია მისი, როგორც „განვითარებადი საზოგადოების წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის, მათ შორის, შეერთებულ შტატებთან სიახლოვით გამოწვეული პრობლემის მოგვარების რეალური საშუალება“ იყო (Ugarte, 1939).

ნაშრომში „დიადი სამშობლო“ უგარტე ინტეგრაციასთან ერთად ანტიიმპერიალიზმზეც საუბრობდა. იგი აშშ-ს „ახალ რომს“ უწოდებდა და მას ლათინური ამერიკის დემოკრატიული მმართველობისთვის საფრთხედ მიიჩნევდა. ამერიკულ პოლიტიკას რეგიონში იგი აფრიკასა და აზიაში ევროპული იმპერიული ძალების პოლიტიკას ადარებდა. სწორედ ამიტომ, უგარტე თვლიდა, რომ ვაშინგტონის ზეწოლისგან თავის დასახსნელად ლათინური ამერიკის გაერთიანება იყო საჭირო. უგარტე დაჟინებით მოუწოდებდა ბრაზილიის ჩართვისკენ ნებიმიერ პოლიტიკურ კავშირში, რადგან ისიც ესპანურენოვანი ქვეყნების მსგავსად იბერიული კულტურიდან იყო წარმოშობილი, რაც, მისი აზრით, ბრაზილიას ესპანურ-ამერიკული კულტურული ერთიანობის ნაწილად აქცევდა. უფრო მეტიც, ნებისმიერი ქვეყნის იზოლაცია მსგავსი პოლიტიკური სქემიდან მას მტრად აქცევდა, რაც აუცილებლად „ნაწილობრივ ლათინურ ამერიკანიზმს“ გამოიწვევდა. ბრაზილიის

შესახებ იგი წერდა, რომ აუცილებელი იყო მას ისე მიდგომოდნენ, როგორც ძმას ერთ დიდ ოჯახში (Ugarte, 1939; Rivera, 2014:142; Tenorio-Trillo, 2017:68; Barrios, 2007:231).

უგარტე სინანულს გამოთქვამდა იმ ფაქტის მიმართ, რომ ცამეტი ინგლისური კოლონია წარმატებით გაერთიანდა, თუმცა ენით, რელიგიითა და ტრადიციით უკვე ისედაც დაკავშირებულმა ლათინურმა ამერიკამ ფრაგმენტაცია განიცადა. ამასთან დაკავშირებით მან რიტორიკული შეკითხვა დასვა - რა მოხდებოდა, რომ ცამეტ შტატს დამოუკიდებლად განეგრძო არსებობა (Ugarte, 1912). ამ შეკითხვას დღეს უკვე შეკითხვითვე შეგვიძლია ვუპაუხოთ - როგორ წარიმართებოდა ლათინური ამერიკის განვითარების გზა მისი გაერთიანების შემთხვევაში?

XX საუკუნის ლათინური ამერიკის ინტეგრაციის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ნიკარაგუელ პოლიტიკურ მოღვაწეს სალვადორ მენდიეტას, რომელიც ბავშვობიდან ერთიანი ცენტრალურ ამერიკული სახელმწიფოს აღდგენაზე ოცნებობდა. მას ღრმად სჯეროდა, რომ ინტეგრაცია ლათინური ამერიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო (Mendieta, 1910:270).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ლათინურ ამერიკაში ინტეგრაციის მოძრაობის მიმდევრების რაოდენობა გაიზარდა. 1918 წელს არგენტინაში უნივერსიტეტის რეფორმის მოძრაობა დაიწყო, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო გაბრიელ დელ მასო. მოძრაობის მიზანი ლათინური ამერიკის საზოგადოების კულტურული ცნობიერების ამაღლება იყო, რაც, ვფიქრობ, პოლიტიკურად ერთიანი სახელმწიფოს შექმნის აუცილებელი წინაპირობაა. დელ მასო ლათინური ამერიკის, როგორც ერთიანი ცივილიზაციის იდეის მხარდაჭერას აქტიურად განაგრძობდა. მას თავისი იდეების მთელი ლათინური ამერიკის საზოგადოებისთვის გაცნობა სურდა. დელ მასო ლათინური ამერიკის საზოგადოებაში არაევროპული წარმოშობის ადამიანების, მათ შორის, აბორიგენი ამერიკელების ჩართვისკენაც მოუწოდებდა. ის აცნობიერებდა იმ ფაქტსაც, რომ სხვა პრობლემებთან ერთად გეოგრაფიას შესაძლებელი იყო ხელი შეეშალა გაერთიანებისთვის, მაგრამ მისი აზრით, ამის მოგვარება ბუნოს აირესიდან პანამამდე არხის გაყვანით იყო შესაძლებელი (del Mazo, 1948).

რეფორმის მოძრაობა ევროპისა და შეერთებული შტატებისგან კულტურულ დამოკუდებლობასაც მოითხოვდა, რაც 1918 წელს კორდობას მანიფესტში ჩაიდო (Rivera, 2014:151).

XX საუკუნის ლათინურ ამერიკელ იუნიონისტებს შორის შესაძლებელია გამოვყოთ პერუელი ანდრეს თაუნსენდ ესკურა, რომელიც ინტელექტუალურთან ერთად, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობითაც გამოირჩეოდა.

ესკურას დიდი წვლილი მიუძღვის ლათინური ამერიკის ინტეგრაციის მოძრაობაში, რაც 1964 წლის 7 დეკემბერს ერთ-ერთი პირველი რეგიონული გაერთიანების - ლათინური ამერიკის პარლამენტის ჩამოყალიბებაში გამოიხატა.

ლათინური ამერიკის პოლიტიკური ინტეგრაციის იდეალისტ ინტელექტუალთა ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი იყო ურუგვაელი მოაზროვნე სერვანდო კუადრო. იგი ირწმუნებოდა, რომ ლათინური ამერიკის პოლიტიკური უნიფიკაცია ლოგიკური წინადადება იყო. კუადრო ამბობდა, რომ მსოფლიოს ყველა დიდი სახელმწიფო: შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, რუსეთი, იტალია თუ ესპანეთი პოლიტიკური გაერთიანების ნაყოფი იყო და თუ ლათინურ ამერიკელებს დიადი ცივილიზაციის შექმნა სურდათ, ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ, რადგან მისი სიტყვებით, „ისტორიას მხოლოდ დიადი ერები შერჩებიან ხოლმე და მხოლოდ დიადი ერები განაგებენ თავიანთ ბედს“. მას მაგალითად ევროპელები მოჰყავდა და აღნიშნავდა, რომ თუ ისინი ენობრივი და ისტორიული მრავალფეროვნების მიუხედავად მაინც ცდილობდნენ გაერთიანებას, მაშინ ლათინური ამერიკელების გაერთიანება, რომლებსაც ბევრად მეტი საერთო ჰქონდათ, გაცილებით მარტივად იყო შესაძლებელი.

კუადრო ამერიკის შეერთებულ შტატებს ინტეგრაციის ნებისმიერი სქემიდან გამორიცხავდა, რადგან თვლიდა, რომ იგი დასავლეთ ნახევარსფეროს უარყოფითი ელემენტი იყო და მის ჰეგემონიას წინ უნდა აღდგომოდნენ. ამის საშუალებას კი ლათინურ ამერიკას პოლიტიკური ინტეგრაცია მისცემდა. კუადრო ბრაზილიის შესვლას კავშირში აქტიურად უჭერდა მხარს, რადგან მას, ისევე როგორც პორტუგალიას, იბერიული ცივილიზაციის ნაწილად თვლიდა (Rivera, 2014:160-162).

კუადროს აზრს იზიარებდა ალბერტო მეთოლ ფერეც. იგი ამბობდა, რომ კათოლიციზმი და იბერიული ფესვები ლათინური ამერიკის ხალხების ბუნებრივ კავშირს წარმოადგენდა და რეგიონის გაერთიანებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. იგი იზიარებდა კუადროს აზრს იმის შესახებ, რომ თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ეპოქაში შეერთებული შტატების, ევროკავშირის, ჩინეთისა და ინდოეთისთვის კონკურენციის გაწევა მხოლოდ კონტინენტურ სახელმწიფოს შეეძლო (Metalli & Methol Ferré, 2015).

XX საუკუნის იუნიონისტები ხშირად ავლებდნენ პარალელებს ევროპასთან. ვფიქრობ, ევროპის გაერთიანება მათში აღტაცებას იწვევდა და მათ წარმოდგენას ლათინური ამერიკის გაერთიანების შესახებ უფრო ამარტივებდა, რადგან თუ მრავალფეროვანმა ევროპამ გაერთიანება შეძლო, ერთგვაროვან ლათინურ ამერიკასაც ჰქონდა ინტეგრაციის შანსი.

ლათინური ამერიკის პოლიტიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ინოვაციური და თვისობრივად უნიკალური ინიციატივა პერუელ მოაზროვნესა და პოლიტიკოსს ვიქტორ რაულ აია დე ლა ტორეს ეკუთვნის.

თავისი იდეის მხარდასაჭერად მან „ამერიკული სახალხო რევოლუციური ალიანსი“ ჩამოაყალიბა, რომელიც ლათინური ამერიკის გაერთიანებას კონტინენტურ პერპექტივაში განიხილავდა. შთამბეჭდავი იყო პარტიის დროშაც, სახელწოდებით „კონტინენტური მამული“, რომელზეც მთელი ლათინური ამერიკა იყო გამოსახული, მდინარე რიო გრანდედან ცეცხლოვან მიწამდე (Peláez Bazán, 1977:39).

აია დე ლა ტორე ისეთი სახელმწიფოს შექმნას განიხილავდა, რომელიც არა მხოლოდ ყველა ლათინურ ამერიკულ სახელმწიფოს, არამედ ინდო-ამერიკულ საზოგადოებასაც მოიცავდა. აღნიშნული ტერმინის მიხედვით, „ინდო“ ინდოევროპული წარმოშობის ენებს აღნიშნავდა, რომლებზეც ლათინურ ამერიკაში საუბრობდნენ, ხოლო „ამერიკელი“ აღიარებდა ადგილობრივი აბორიგენების წილსა და როლს იბერიული წარმოშობის სხვადასხვა ლათინურ ამერიკული ქვეყნის განვითარებაში.

„ამერიკული სახალხო რევოლუციური ალიანსის“ პოლიტიკური დღის წესრიგი ფედერალური სისტემის ქვეშ ლათინური ამერიკის ოცი ქვეყნის ეკონომიკურ,

პოლიტიკურ და კულტურულ გაერთიანებასთან ერთად ანტიიმპერიალიზმსაც ითვისებდა. აია დე ლა ტორე ლათინური ამერიკის კონსტიტუციის შექმნაზეც საუბრობდა, რომელიც ოცი ქვეყნის კონსტიტუციების მთავარ დემოკრატიულ პრინციპებზე იქნებოდა აგებული. იგი ამერიკის მუდმივი ასამბლეისა და ინტერამერიკული უმაღლესი სასამართლოს შექმნაზეც საუბრობდა, რომელსაც კონსტიტუციის ნორმები უნდა დაეცვა (Rivera, 2014:154-155; Haya de la Torre, 1946:17-23).

აცნობიერებდა რა ლათინური ამერიკის ქვეყნების უმნიშვნელო იმიჯს საერთაშორისო მასშტაბით ან ინდუსტრიული ქვეყნების აგდებულ დამოკიდებულებას მათ მიმართ, ვიქტორ რაულ აია დე ლა ტორე წერდა, რომ ოთხი ან ხუთი ინდო-ამერიკული სახელმწიფო მაინც რომ გაერთიანებულიყო, მას პატივისცემით მოეკიდებოდნენ (Rivera, 2014:155).

ტორე შეერთებული შტატების პოლიტიკას ლათინურ ამერიკაში მკაცრად აკრიტიკებდა. იგი ფიქრობდა, რომ ევროპაში 1920-იანი წლების ბოლოს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის არისტიდ ბრიანის მიერ შეთავაზებული ევროპის შეერთებული შტატები რომ შექმნილიყო, მაშინ აშშ იძულებული გახდებოდა ლათინური ამერიკის გაერთიანებისთვის მხარიც კი დაეჭირა, რათა გაერთიანებული ევროპის წინააღმდეგ ძალთა ბალანსი დაეცვა. ტორეს შეერთებული შტატების ლიდერობით გაერთიანებული ერთიანი ამერიკის იდეა აშინებდა (Haya de la Torre, 1935:240-241).

ტორე შესანიშნავად აცნობიერებდა გაერთიანებული ლათინური ამერიკის პოლიტიკურ-ეკონომიკურ პოტენციალს, რასაც ვაშინგტონი ყოველთვის ხელს უშლიდა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის ნაციონალიზმს აღვივებდა. იგი შეერთებულ შტატებს ადანაშაულებდა, რომ მისი მმართველი კლასი ვაშინგტონის ინტერესების გამტარებელ ადგილობრივ მმართველ ელიტებს მუდმივ ანტაგონიზმს უწერგავდა და ამის მაგალითად პერუსა და ჩილეს დაპირისპირება, ბრაზილიისა და არგენტინის მეტოქეობა მოჰქონდა. ტორე აშშ-ს მიერ დაფინანსებული ხელისუფლებების შეცვლის ერთადერთ რეალურ მეთოდად რევოლუციას

მიიჩნევდა, რის გამოც მოგვიანებით მისი პარტია საერთაშორისო კომუნიზმის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს (Haya de la Torre, 1936:34-40, 107).

ტორეს იდეებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებულ სტუდენტთა იუნიონისტურ მოძრაობაზეც. სტუდენტებმა ტორეს ტერმინი „იბერიულამერიკული კავშირი“ აიტაცეს. სტუდენტთა იუნიონისტური მოძრაობა განსაკუთრებით აქტიური ურუგვაიში იყო, სადაც სტუდენტებმა „ამერიკული ახალგაზრდული ასოციაცია“ ჩამოაყალიბეს და საკუთარი გაზეთიც გამოუშვეს, სახელწოდებით „კრისოლი“. მათ მოძრაობაზე დიდი გავლენა ჰქონდა XX საუკუნის პირველი ნახევრის იდეალისტ ინტელექტუალთა იდეებსაც. სტუდენტები მექსიკიდან ცეცხლოვან მიწამდე პოლიტიკურ უნიფიკაციას უჭერდნენ მხარს (“Crisol”, 1946).

თავი 2: ცივი ომის პერიოდის რეგიონალიზმი ლათინურ ამერიკაში

*„ლათინური ამერიკა, ერთიანი, ფედერაციული, სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იქნება და იმპერიალისტი იანკები მასში საფრთხეს დაინახავენ“
- ვიქტორ რაულ აია დე ლა ტორე (Perez Gimenez, 2006).*

როგორც უკვე გამოჩნდა, ლათინურ ამერიკაში რეგიონული ინტეგრაციისადმი ინტერესი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობისთვის ომების პერიოდში გაჩნდა, რასაც საფუძვლად პოლიტიკური ერთიანობის ოცნება ედო, თუმცა მას რეგიონმა, ფაქტობრივად, ვერასდროს მიაღწია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებასთან ერთად, რეგიონალიზმმა განსაკუთრებული პოპულარობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოიპოვა. აღნიშნული პერიოდიდან შეიცვალა რეგიონალიზმის მოტივები ლათინურ ამერიკაშიც. პოლიტიკური ერთიანობისკენ სწრაფვა იქ ეკონომიკური ინტეგრაციის სურვილმა ჩაანაცვლა.

ლათინური ამერიკის ეკონომიკური ინტეგრაციის მოძრაობის დაწყების საფუძველი რეგიონის საზღვრებს მიღმა მომზადდა, როდესაც გაერთიანებული ერების ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისია ჩამოყალიბდა და მან იქ რეგიონალიზმის ხასიათი შეცვალა. გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1948 წლის 25 თებერვლის რეზოლუციით ორგანიზაციის შიგნით ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისია შეიქმნა, რომელმაც ფუნქციონირება იმავე წელს დაიწყო. იგი ლათინური ამერიკის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და რეგიონის ქვეყნებს შორის, ისევე როგორც მათ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის გაძლიერებისა და ამ მიმართულებით კოორდინირებული მოქმედების განხორციელების მიზნით შეიქმნა. მოგვიანებით, კომისიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ლათინური ამერიკის სოციალური განვითარების ხელშეწყობაც გახდა. უფრო მეტიც, 1984 წლიდან იგი გაფართოვდა, როდესაც 27 ივლისის რეზოლუციით კომისიაში კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიც შევიდნენ. შესაბამისად, შეიცვალა სახელწოდებაც და მას ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური კომისია ეწოდა (About ECLAC, Economic Commission For Latin America and the Caribbean).

2.1. ამერიკის შეერთებული შტატებისა და „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ გავლენა პანამერიკანიზმზე

„მონროს დოქტრინას“ პირველი გამოცხადების შემდეგ აქტუალობა არასდროს დაუკარგავს. მისი გავლენით შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბლეინმა 1880-იანი წლების დასაწყისში, ე.წ. დიდი ძმის პოლიტიკა შეიმუშავა, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ შეერთებული შტატები ამერიკის ქვეყნების ლიდერი უნდა ყოფილიყო და შტატებისთვის ლათინური ამერიკის სავაჭრო კარი გახსნილიყო (Sauers, 2010:19). ბლეინი, რომელიც რამდენიმე წელი მექსიკაში ცხოვრობდა, ლათინური ამერიკით ძალიან იყო დაინტერესებული. ვფიქრობ, ამის ერთ-ერთი მიზეზი არა უბრალოდ ლათინური ამერიკის ბედზე ზრუნვა, არამედ ეკონომიკური მოტივები იყო. მან კარგად იცოდა ლათინური ამერიკის უზარმაზარი და სტრატეგიული სავაჭრო ბაზრის კარის გახსნა შეერთებული შტატებისთვის რაოდენ მნიშვნელოვანი იყო.

1889 წელს ბლეინმა პირველი პანამერიკული კონფერენცია მოიწვია. კონფერენციის უმთავრესი მონაპოვარი 1890 წელს პანამერიკული კავშირის ჩამოყალიბება იყო, რომელიც 1910 წელს ამერიკის რესპუბლიკათა საერთაშორისო კავშირად გადაკეთდა და დროთა განმავლობაში, 1948 წელს, კონტინენტის მთავარ საერთაშორისო გაერთიანებად - „ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციად“ გარდაიქმნა.

კავშირის მთავარი ორგანო ამერიკის რესპუბლიკათა კომერციული ბიურო გახდა. ეს მიგვანიშნებს, რომ იგი სავაჭრო წარმონაქმნი იყო. კონფერენცია გამოირჩეოდა იმითაც, რომ მასში ბრაზილიაც იყო მიწვეული, მიუხედავად იმისა, რომ მისი როლი მოკრძალებული იყო, რადგან ქვეყანა შიდაპოლიტიკურ პროცესებზე იყო კონცენტრირებული. იგი ჯერ კიდევ მონარქიიდან რესპუბლიკური მმართველობის ფორმაზე გარდაქმნის პროცესში იმყოფებოდა.

აღნასიშნავია, რომ ამერიკულ სახელმწიფოთა პირველი საერთაშორისო კონფერენცია შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში გაიმართა, ხოლო 1910 წელს პანამერიკული კავშირის შენობაც იქვე აშენდა, რაც იმის მომასწავებელი

იყო, რომ ამერიიდან პანამერიკულ მოძრაობაში ლიდერის სტატუსს თვითონ შეერთებული შტატები მოირგებდა, რისი ნიადაგიც ეტაპობრივად მზადდებოდა. ჯეიმს ბლეინი მიიჩნევდა, რომ კონტინენტზე შეერთებული შტატები იყო ის ქვეყანა, რომელსაც ერთპიროვნული ლიდერის როლის აღება და ამერიკის ერთიანობის იდეის განხორციელება შეეძლო. ბუნებრივია, რომ ასეთი რწმენა შტატებს სხვა ისეთ პრივილეგიებსაც მიანიჭებდა, როგორც იყო საბოლოო გადაწყვეტილების მიმღების პრეროგატივა, რაც, რა თქმა უნდა, ქვეყნის გავლენასა და წონას გაზრდიდა იმ ორგანიზაციაში, რომელშიც კონტინენტის ყველა ქვეყანა თანაბარი უნდა ყოფილიყო. შტატების პოლიტიკოსების ლიდერულ რწმენას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ მათ კარგად იცოდნენ, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით შტატებს ყველაზე ძლიერი ეკონომიკა ჰქონდა და ფინანსურადაც ბევრად უფრო დაწინაურებული იყო. შესაბამისად, პანამერიკულ მოძრაობაში დომინანტის როლის მოპოვებას ადვილად შეძლებდა. ყოველი შემდეგი პანამერიკული კონფერენცია სწორედ ამ მიდგომის წახალისებასა და რეალიზაციას ემსახურებოდა, რასაც ლათინური ამერიკის ქვეყნები მალევე მიხვდნენ და რეგიონში შტატების გაბატონებისთვის ხელის შეშლას ცდილობდნენ. ლათინურ ამერიკაში შტატებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გავრცელება დაიწყო.

ამერიკის შეერთებული შტატების პირველობის თავიდან ასაცილებლად გადაწყდა, რომ ამერიკის სახელმწიფოთა საერთაშორისო კონფერენციები ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქალაქში ჩატარებულიყო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ლათინური ამერიკის ქვეყნები ერთა ლიგაშიც იმ ძირითადი მოტივით გაწევრიანდნენ, რათა შეერთებული შტატების ამბიციასზე მდინარე რიო გრანდეს სამხრეთით საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიექციათ.

ლათინურ ამერიკაში არსებული ანტიამერიული განწყობილების პასუხად, 1928 წელს შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ჯომუა რუბენ კლარკის მონროს დოქტრინის მემორანდუმი გამოსცა, რომელსაც 1933 წელს პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის „კეთილი მეზობლის პოლიტიკაც“ დაემატა. მათი მიხედვით, შეერთებული შტატები ლათინური ამერიკის საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო. პირიქით, მას ლათინურ ამერიკასთან ურთიერთობა უნდა

გამოესწორებინა და მის განვითარებაზე ეფიქრა. უფრო მეტიც, ფრანკლინ რუზველტმა სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანამდებობაზე სამწერ უელესი დანიშნა, რომელიც იზიარებდა აზრს იმის შესახებ, რომ დასავლეთ ნახევარსფეროს საქმეები აბსოლუტური თანასწორობის პრინციპით უნდა წარმართულიყო (Graham, 2016:56). 1933 წლის ამერიკის სახელმწიფოთა მონტევიდეოს საერთაშორისო კონფერენციის მთავარი გზავნილიც სწორედ ის იყო, რომ არცერთ სახელმწიფოს სხვა ქვეყნის საშინაო ან საგარეო საქმეებში ჩარევის უფლება არ ჰქონდა. აღნიშნული პრინციპი „სახელმწიფოების უფლებათა და მოვალეობათა მონტევიდეოს კონვენციაზე“ ხელმოწერითაც განმტკიცდა (“Montevideo Convention on Rights and Duties of States”, 1933).

აშშ ყველანაირად ცდილობდა პანამერიკანიზმი თავის საერთაშორისო პოლიტიკაში ჩაერთო. ამ ყველაფერს ემატებოდა ის ფაქტიც, რომ დასავლეთ ნახევარსფეროში ნაცისტური საფრთხე გაჩნდა. გავლენიანი გერმანული სათვისტომოები არსებობდა ბრაზილიაში, არგენტინაში, ჩილეში, პარაგვაიში, კოლუმბიაში, პანამაში, კოსტა რიკაში, გვატემალასა და მექსიკაში. ამერიკის შეერთებული შტატები აღნიშნული სათვისტომოების არსებობას ნახევარსფეროს სტაბილურობისთვის საფრთხედ აღიქვამდა. იგი შიშობდა, რომ ისინი შპიონაჟსა და საბოტაჟში იყვნენ ჩართულები და ნაცისტების დასახმარებლად ბერლინში ფულსაც გზავნიდნენ.

„მესამე სამყარო“ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებული ყურადღების ეპიცენტრში 1940-იანი წლების ბოლოდან მოექცა. კურსის რადიკალური შემობრუნების მთავარი მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ე.წ. მესამე სამყაროს იქამდე „უმნიშვნელო“ ქვეყნები ცივი ომის დაწყებისთანავე დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირების ახალი ასპარეზი გახდა. ვაშინგტონი თავისი საგარეო პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობაში 1946-50 წლების ჩინეთის კომუნისტურმა რევოლუციამ და 1950-53 წლების კორეის ომმა დაარწმუნა. უფრო მეტიც, პირველი კომუნისტური გერილას დაჯგუფებები უკვე დასავლეთ ნახევარსფეროში, შტატებთან ძალიან ახლოს, ლათინურ ამერიკაში იკიდებდნენ ფეხს. შესაბამისად, თუ 1950-იან წლებამდე დასავლეთ ნახევარსფერო თეთრი

სახლისა თუ სახელმწიფო დეპარტამენტისთვის პრიორიტეტს თითქმის არასდროს წარმოადგენდა, ცივი ომის ესკალაციის პარალელურად ლათინური ამერიკა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის „ამოსავალი წერტილი“ გახდა.

მეორე მსოფლიო ომმა უმნიშვნელოვანესი ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით მსოფლიოს ყველა წერტილში გამოიწვია. ამ მხრივ გამონაკლისი არც ამერიკა და პანამერიკანიზმის საკითხი ყოფილა. 1945 წლის თებერვალსა და მარტში მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში, ჩაპულტეპეკის სასახლეში ომისა და მშვიდობის პრობლემების ინტერამერიკული კონფერენცია გაიმართა, რომელზეც ამერიკის კონტინენტის 20 ქვეყანა იყო წარმოდგენილი.

მეხიკოს შეხვედრის უმთავრესი მონაპოვარი „ჩაპულტეპეკის აქტზე“ შეთანხმება იყო, რომლის მიხედვითაც რომელიმე სახელმწიფოს თავდასხმა ამერიკის ნებისმიერი ქვეყნის ერთიანობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აღიქმებოდა, როგორც აგრესიის აქტი დეკლარაციის ყველა ხელმომწერ სახელმწიფოზე. შესაბამისად, საპასუხო თავდასხმაც ერთობლივი იქნებოდა. პარალელი შეგვიძლია გავავლოთ მონროს დოქტრინასთან, რომელიც 1823 წელს იმავე აზრს ატარებდა, რასაც „ჩაპულტეპეკის აქტი“, მაგრამ იცვლებოდა საფრთხის აღქმა, თუმცა პრინციპი - ძალა ერთობაშია - უცვლელი რჩებოდა. პირობები არ იცვლებოდა ლოკალური კონფლიქტების შემთხვევაშიც, მაგრამ, ბუნებრივია, რომ „ჩაპულტეპეკის აქტის“ შემქმნელები, მეორე მსოფლიო ომიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ აქცენტს მაინც საგარეო აგრესიაზე აკეთებდნენ. ოფიციალურ დოკუმენტს სახელწოდებით „ურთიერთდახმარების ინტერამერიკულ ხელშეკრულება“ ხელი ამერიკის ცხრამეტმა სახელმწიფომ 1947 წლის 2 სექტემბერს ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში გამართულ სპეციალურ კონფერენციაზე მოაწერა, რის გამოც მას ხშირად „რიოს ხელშეკრულების“ ან „რიოს პაქტის“ სახელითაც მოიხსენიებენ (Inter-American Treaty of Reciprocal Assistance).³ საყურადსაღებო ფაქტია, რომ დასავლეთ ნახევარსფეროს გარეთ მდებარე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში, ხელშეკრულება მრავალმხრივ სამხედრო

³ 1947 წლის 2 სექტემბერს „რიოს ხელშეკრულებას“ ხელი შემდეგმა ქვეყნებმა მოაწერეს: ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, გვატემალა, დომინიკის რესპუბლიკა, ელ სალვადორი, ვენესუელა, კოლუმბია, კოსტა რიკა, კუბა, მექსიკა, პანამა, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ჩილე, ჰაიტი, ჰონდურასი.

დახმარებას თვალისწინებდა, რაც ცივი ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს კომუნიზმის წინააღმდეგ მიმართულ საგარეო პოლიტიკაში ლათინური ამერიკის მხარდაჭერით უზრუნველყოფდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებმა ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს. სწორედ ასეთი ურთიერთობის ფორმალიზაცია იყო „რიოს ხელშეკრულების“ გაფორმებაც, მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრაციული სქემა შემდეგ სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „რიოს შეთანხმება“ განსაკუთრებული დატვირთულობის მატარებელი იმ კუთხითაც იყო, რომ იგი თანამედროვე პერიოდში ნახევარსფეროს პირველი კოლექტიური თავდაცვის დოქტრინა იყო. „რიოს ხელშეკრულება“ ოფიციალურად ძალაში 1948 წლის მარტში კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში გამართულ ამერიკის სახელმწიფოთა მეცხრე საერთაშორისო კონფერენციაზე რატიფიკაციის შემდეგ შევიდა (B-29: Inter-American Treaty of Reciprocal Assistance (Rio Treaty)).

1948 წლის მარტში ამერიკის სახელმწიფოთა რიგით მეცხრე საერთაშორისო კონფერენციას კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში კოლუმბიელი პოლიტიკური აქტივისტი ალბერტო ლიერას კამარგო და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, გენერალი ჯორჯ მარშალი ხელმძღვანელობდნენ. მინდა აღვნიშნო, რომ პანამერიკული კონფერენციების ისტორიაში ბოგოტის 1948 წლის კონფერენციას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან გარდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა, მასზე უკვე ისტორიული პანამერიკული კავშირი ამერიკის პირველ კონტინენტურ და, რაც მთავარია, ინსტიტუციონალურ ორგანიზაციად - „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციად“ გარდაიქმნა.⁴

„ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ ძირითადი ორიენტირი შექმნის დროს ტერიტორიული კონფლიქტები და კოლექტიური უსაფრთხოება იყო, რაც იმ პერიოდის რეალობაში სრულიად ადეკვატური და ლოგიკურიც იყო. თუმცა, დროთა

⁴ კონფერენცია იმითაც იყო გამორჩეული, რომ მასზე „ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკული დეკლარაცია“ მიიღეს, რომელიც „ბოგოტას დეკლარაციის“ სახელითაც არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ დეკლარაცია იყო ისტორიაში ადამიანის უფლებათა პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე“ ადრე მიიღეს.

განმავლობაში ორგანიზაციის მიზნები და აქტივობები გაფართოვდა და მრავალი სხვა მიმართულებაც მოიცვა.

თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის შექმნის მთავარი მიზანი, ექვგარეშეა, მაინც ამერიკაში კომუნიზმის წინააღმდეგ ძალების კონსოლიდაცია და მასთან ბრძოლა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ქარტიაში სულ სხვა მიზნები განისაზღვრა.

ქარტიას ხელი მოაწერა დასავლეთ ნახევარსფეროს 21-მა ქვეყანამ. 1951 წლის დეკემბერში იგი ძალაში შვიდა .

ვაშინგტონის მიერ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების უფულვებელყოფამ და გვატემალაში შეჭრამ ლათინურ ამერიკაში ანტიამერიკული განწყობილება კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა. ლათინურ ამერიკელები ფიქრობდნენ, რომ აშშ თავის სამხრეთ მეზობლებს თანასწორად არ აღიქვამდა. რადგანაც, „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში“ წამყვანი როლი აშშ-ს ეჭირა, ლათინურ ამერიკაში გაერთიანების მიმართაც უარყოფითი დამოკიდებულება მატულობდა.

პირველი სერიოზული განხეთქილება „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში“ კუბის სახკითხმა შეიტანა. კუბის პანამაში, ნიკარაგუასა და დომინიკის რესპუბლიკაში დიქტატურების დასამხობად შეჭრის მცდელობამ საერთოამერიკული სისტემის წევრი-ქვეყნები ერთმანეთს დაუპირისპირა. „ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია“ ამ შემთხვევაში სანტიაგოს დეკლარაციის გამოცემით შემოფარგლა, რომელმაც მხარი „წარმომადგენლობით დემოკრატასა“ და „ჩაურევლობის პრინციპს“ დაუჭირა (Boersner).

„ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას“ მორიგი თავსატეხი მალევე გაუჩნდა, რადგან 1960 წელს ვენესუელის ხელისუფლებამ დომინიკის რესპუბლიკის ხანგრძლივმოქმედი დიქტატორის რაფაელ ტრუხილიოს წინააღმდეგ ვენესუელის არჩეული პრეზიდენტის რომულო ბეტანკურტის მისამართით განხორციელებული მკვლელობის მცდელობის გამო იჩივლა (Venezuela: Trujillo's Murder Plot). ამ შემთხვევაში ორგანიზაციამ მარტივი გამოსავალი იპოვნა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად დომინიკის რესპუბლიკასთან დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობა შეაჩერა.

იმავე წელს ჰავანასა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობა გაუარესდა, რაც კუბის აგრარული რეფორმით იყო განპირობებული. გარდა ამისა, სულ უფრო მეტად აქტიურდებოდა ურთიერთობა კუბასა და საბჭოთა კავშირს შორის, რაც კიდევ უფრო აღიზიანებდა ვაშინგტონს.

1961 წელს ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა, როდესაც შტატების მთავრობამ, ლათინური ამერიკის მთავრობათა უმრავლესობის დიპლომატიური მხადრატებით, კუბაზე შეჭრა სცადა. აღსანიშნავია, რომ შეჭრის წინააღმდეგი არც „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია“ ყოფილა. ვფიქრობ, ეს ინციდენტი ორგანიზაციის დრამატული ჩავარდნა იყო, რადგან მას არაერთი საშუალება ჰქონდა იმისთვის, რომ ვითარების ასეთი სცენარით განვითარება თავიდან აერიდებინა. როგორც მინიმუმ, ორგანიზაციას შეეძლო ჰავანასა და ვაშინგტონს შორის მოლაპარაკება დაეწყო და მედიატორის როლი ეკისრა. ამის ნაცვლად ორგანიზაციამ და მისმა წევრებმა გამოსავლის პოვნა რადიკალური მეთოდებით სცადეს და კუბა საერთოამერიკული თავდაცვის ორგანოდან გარიცხეს. დამატებით, „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ“ ლათინურ ამერიკაში „აგრესიული კომუნიზმის“ წინააღმდეგ დეკლარაცია მიიღო. გარდა ამისა, კუბისთვის საბრძოლო იარაღისა და აღჭურვილობის მიყიდვაც აიკრძალა (Boersner, 1996).

კუბის კრიზისმა „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას“ საბოლოო ბზარი გაუჩინა. ამას განსაკუთრებული სიმძაფრე შესძინა იმ ფაქტმა, რომ ორგანიზაციას შეერთებული შტატები სრულად აკონტროლებდა. ამგვარად ვაშინგტონმა 1962 წლის რეზოლუციით კუბა „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ აქტიური წევრობიდან გარიცხა. ამის მიზეზი კუბის მიერ მარქსისტულ-ლენინისტური იდეოლოგიის შეთავსება და კომუნისტურ ბლოკთან კავშირი გახდა. კასტროს ადმინისტრაციამ „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას“ ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიური სამინისტრო უწოდა (The Testing of The OAS). სხვათაშორის, სწორედ „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ ანგარიშზეა 1962 წელს ურუგვაიში პუნტა დელ ესტეს დეკლარაციის შემუშავებაც, რომელმაც კომუნიზმი არაამერიკულ იდეოლოგიად გამოაცხადა.

ვითარების გამოსასწორებლად პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ 1961 წელს სპეციალური პროგრამა წამოიწყო, სახელწოდებით „ალიანსი პროგრესისთვის“, რომელიც ყოველწლიურად, 10 წლის განმავლობაში, ლათინური ამერიკის სოციალური და პოლიტიკური სისტემების მოდერნიზაციისთვის მილიადი აშშ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებდა, რომლის შედეგი სერიოზული რეფორმები უნდა ყოფილიყო. შთამბეჭდავი იყო პრეზიდენტ კენედის მიმართვაც კონგრესის წევრებისა და ლათინური ამერიკის რესპუბლიკების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისადმი ჯონ და ჟაკლინ კენედების მიერ გამართულ მიღებაზე თეთრ სახლში 1961 წლის 13 მარტს: „ ჩვენ ერთმანეთს, როგორც მტკიცე და ძველი მეგობრები ვხვდებით, რომლებიც ისტორიით, წარსულითა და ამერიკული ცივილიზაციის ღირებულებათა განვითარებისადმი მისწრაფებით არიან გაერთიანებულნი. ჩვენი ამ ახალი სამყაროსთვის გეოგრაფია უბრალო შემთხვევითობა არ არის. ჩვენი კონტინენტები ერთმანეთთან საერთო ისტორიით არის დაკავშირებული, ახალი საზღვრების დაუსრულებელი აღმოჩენებით. ჩვენი სახელმწიფოები ერთობლივი ბრძოლის, კოლონიური მმართველობიდან აჯანყების შედეგია. ჩვენ ხალხს საერთო მემკვიდრეობა და ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების მიზანი აერთიანებს“ (John F. Kennedy, March 13, 1961). ვგვიჩვენებს, რომ კენედის ეს სიტყვები ისევ და ისევ პანამერიკული ერთიანობის სულისკვეთების გაღვივებას ემსახურებოდა, რომელიც დღის წესრიგში ისევ აქტიურად იდგა.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების დახმარება ლათინური ამერიკის მისამართით გარკვეულწილად 1970-იან წლებშიც გაგრძელდა, შეიძლება აღინიშნოს, რომ ქვეყანამ თავის სამხრეთით მდებარე უზარმაზარი ტერიტორია და ასეულობით მილიონი ადამიანი ბედის ანაბარა დატოვა.

ანალიტიკოსები ხშირად აქცენტს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის უფუნქციობაზე აკეთებენ. ამის მიზეზი გახდა ის, რომ უმეტეს შემთხვევაში ორგანიზაციამ საჭირო დროს საჭირო როლის შესრულება ვერ მოახერხა. ჩემი აზრით, საწყის ეტაპზე რეგიონული ერთიანობის სულისკვეთება ამერიკაში ნამდვილად არსებობდა, მაგრამ არასწორი მოქმედებების წყალობით იგი გაქრა. ბევრი ავტორი მიიჩნევს, რომ ლათინურ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების

ერთპიროვნულმა მოქმედებამ და ხშირად უსამართლო გადაწყვეტილებებმა, როგორც იყო 1961 წელს ღორების ყურეში შეჭრა, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კავშირი ტრუხილიოს იდუმალებით მოცულ მკვლელობასთან, კუბის სარაკეტო კრიზისი, 1965 წელს შეერთებული შტატების 22 ათასიანი არმიის შესვლა დომინიკის რესპუბლიკაში, 1960-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში მემარჯვენე სამხედრო რეჟიმებისთვის საბრძოლო იარაღის მიყიდვამ ამერიკის გაერთიანების იდეა დიდი ხნით დაასამარა, ხოლო ლათინურ ამერიკაში ახალ რეგიონალიზმსა და სუბრეგიონალიზმს ჩაუყარა საფუძველი.

1960-იანი წლებიდან დაწყებული სამხედროებმა დემოკრატიული მმართველობები ერთი მეორის მიყოლებით დაამხეს. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ ვერც ამ პროცესის და ვერც იმ სისხლისმღვრელი კონფლიქტების თავიდან არიდება მოახერხა, რომელმაც ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკებში: ნიკარაგუაში, ელ სალვადორში, გვატემალასა და ჰონდურასში 1960-იანი წლებიდან მოყოლებული 1990-იანი წლების დასაწყისამდე გაჩაღებული სამოქალაქო ომების შედეგად ნახევარ მილიონამდე ადამიანის გარდაცვალება და უკვალოდ გაუჩინარება გამოიწვია, რამდენიმე ასეულ ათასობით ადამიანი კი დევნილად იქცა (Sullivan & Jordan, 2004).

რეგიონში მიმდინარე მოვლენებს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად მშვიდად უყურებდა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თავდაპირველად ორგანიზაცია რეგიონში მიმდინარე ტერიტორიული კონფლიქტებითა და კოლექტიური უსაფრთხოების საკითხებით იყო დაკავებული და მას მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა: 1959 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებათა საერთოამერიკული კომისია; 1960-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ორგანიზაციის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრამები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პროგრამის „ალიანსი პროგრესისთვის“ ფარგლებში განვითარებაზე; 1979 წელს ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო ჩამოყალიბდა, ხოლო 1986 წელს ნარკოდანაშაულის კონტროლის საერთოამერიკული კომისია. ვფიქრობ, ეს ნაბიჯები არასაკმარისი და დაგვიანებულიც კი იყო, რადგან ორგანიზაციას ამა თუ იმ

არსებული პრობლემის მოგვარების გზების ძიება არ დასჭირდებოდა, თავიდანვე მისი პრევენცია რომ მოეხდინა. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემო, სადაც გაერთიანებას არსებობა უწყევდა. ლათინურ ამერიკაში მუდმივად ესა თუ ის პრობლემა იფეთქებდა, რომლის მოგვარება არც ისე ადვილი იყო.

1992 წელს ორგანიზაციის ქარტიაში ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც, თუ რომელიმე წევრ-ქვეყანაში დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას ძალადობრივი გზით დაამხობენ, ეს ავტომატურად გაერთიანებაში მისი სტატუსის შეჩერებას გამოიწვევს. უფრო მეტიც, 2001 წელს ხელმოწერილი საერთოამერიკული დემოკრატიული ქარტია წევრ-სახელმწიფოებს დემოკრატიის მხარდაჭერასა და დაცვას ავალდებულებს. ვფიქრობ, ამერიკის ქვეყნებში ორგანიზაცია უფრო გავლენიანი და ავტორიტეტული რომ იყოს, ეს პუნქტები მაშინ უფრო იმუშავებდა. თუმცა 2009 წელს ჰონდურასს სამხედრო გადატრელების გზით პრეზიდენტის ჩამოგდების გამო წევრის სტატუსი შეუჩერდა (Lee & Renwick, 2018).

მაგალითად, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას ვენესუელის ავტოკრატიული რეჟიმის მიმართ ბოლო 20 წლის განმავლობაში არცერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადაუდგამს. დღეს კი ქვეყანაში ქრონიკული კრიზისია. ზოგიერთი მკვლევარი გაერთიანების უმოქმედობას ვენესუელაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით წევრ-ქვეყნებსა და კარაკასს შორის არსებული მემარცხენე იდეოლოგიური კავშირით ხსნის, ზოგიერთი კი ამას ვენესუელიდან ნავთობის დაბალ ფასად მიღების სურვილს მიაწერს.

ირონიული ფაქტია, რომ თუ კუბას მემარცხენე იდეოლოგიის გამო სტატუსი 1962 წელს დაუყოვნებლივ შეუჩერეს და იგი 50 წლიან ბლოკადაში მოაქციეს, ვენესუელის შემთხვევაში ორგანიზაცია მხოლოდ რეკომენდაციებითა და „ზეწოლით“ შემოიფარგლა, შედეგად კი ვენესუელის მილიონობით მოქალაქე ჰუმანიტარულ კრიზისში მოექცა და იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა. უფრო მეტიც, ორგანიზაციის მიერ არჩევნების გამართვისკენ მოწოდებების შემდეგ ვენესუელა ორგანიზაციის დატოვებაზე თავადვე ალაპარაკდა.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას ხშირად ევროკავშირს ადარებენ. ორივე მათგანი სუპრანაციონალური წესრიგის დამყარების მცდელობის კლასიკური

მაგალითებია, მაგრამ რატომ ვერ მოახერხა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ ამერიკის ინტეგრაცია, როდესაც ეს ევროკავშირის სავიზიტო ბარათი გახდა? თავიდანვე გავუსვამ ხაზს იმ მნიშვნელოვან განსხვავებას, რომელიც ორ ორგანიზაციას ერთმანეთისგან პრინციპულად გამოარჩევს. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში ამერიკის კონტინენტის უკლებლივ ყველა - 35 სახელმწიფოა გაერთიანებული მაშინ, როდესაც ევროკავშირი ევროპის ამა თუ იმ ქვეყანას ორგანიზაციაში ინტეგრაციისთვის სერიოზული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ავალდებულებს, რომელთაგან ერთ-ერთი წევრ-სახელმწიფოებთან იდეოლოგიური თანხვედრაა, რაც, ვფიქრობ, ინტეგრაციის მაღალი ხარისხის მიღწევის აუცილებელი პირობაა. ამერიკის სახელმწიფოებს შორის კი, ხშირად, ფუნდამენტური იდეოლოგიური განსხვავებები არსებობს, რაც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის არშემდგარი ინტეგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. განსხვავებით ამერიკისაგან, ევროკავშირის წევრმა-სახელმწიფოებმა იმ დონის ინტეგრაციის მიღწევა მოახერხეს, რომ ერთიანი პარლამენტიც კი ჩამოაყალიბეს, რომლის გადაწყვეტილებები ყველა წევრ-სახელმწიფოზე ვრცელდება. უფრო მეტიც, ევროკავშირის წევრი ქვეყნები სხვადასხვა მიმართულებით ერთობლივი პოლიტიკის გატარების პასუხისმგებლობასაც კისრულობენ, რაც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისთვის არც ისე ჩვეული გამოცდილებაა.

ევროკავშირი მრავალ საკითხზე მუშაობს და ძალიან მოქნილი ორგანიზაციაა, მაშინ როდესაც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მოქმედებები სამიტებით, ინსტიტუტებითა თუ სხვადასხვა სუბრეგიონული ჯგუფით არის შეზღუდული. გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროკავშირში სხვადასხვა ხელშეკრულებითა და ვალდებულებებით ბევრად უფრო ორგანიზებული და განმტკიცებულია, რაც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში სხვანაირად არის მოწყობილი.

„ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ მთავარი მიზანი სწორედ რეგიონული ინტეგრაციისა და ამერიკის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის ხელშეწყობა იყო, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მან თავისი ინერტულობით დასავლეთ ნახევარსფეროს არა თუ ინტეგრაციას, არამედ

ფრაგმენტაციას მისცა ბიძგი, რომელიც 1960-ინი წლებიდან ლათინურ ამერიკაში აქტიურად დაიწყო.

მართალია ორგანიზაციას საგარეო პოლიტიკის ბევრი ექსპერტი რეგიონული დიპლომატიის მნიშვნელოვან პლატფორმად აღიარებს, თუმცა იგი არც კრიტიკოსების ნაკლებობას განიცდის, რომლებიც თვლიან, რომ მის წევრ-ქვეყნებს შორის იდეოლოგიურმა დაყოფამ დასავლეთ ნახევრასფეროში დემოკრატიული პრინციპების განსავითარებლად ორგანიზაციის საქმიანობა თითქმის შეუძლებელი გახადა.

ორგანიზაციაში ლიდერის სტატუსი შეერთებულ შტატებს აქვს. ამაზე ის ფაქტიც ახდენს გავლენას, რომ ქვეყანა გაერთიანების მთავარი ფინანსური მხარდამჭერია. მაგალითად, 2018 წელს ორგანიზაციის ბიუჯეტმა 85 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა, რომლის დაახლოებით 60 პროცენტი აშშ-ს წილი იყო.

ჩემი აზრით, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის არაეფექტურობა და მოუქნელობა შეერთებული შტატების მიერ ორგანიზაციის განვითარებაში ინტერესის არქონითაც არის გამოწვეული. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის აპრილში პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ორგანიზაცია დემოკრატიის, უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის გამო შეაქო, მისმა ადმინისტრაციამ გაერთიანებისთვის დაფინანსების 50-დან 42 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირება მოითხოვა, რამაც შესაძლოა ორგანიზაციის საქმიანობა უფრო მეტად შეაფერხოს (Lee & Renwick, 2018).

მიუხედავად უზარმაზარი პოტენციალისა, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ დასავლეთ ნახევარსფეროს ინტეგრაცია ვერ მოახერხა. მან ვერც მნიშვნელოვანი საერთაშორისო გავლენის მოპოვება შეძლო, რაც მისი ინსტიტუციონალური ხარვეზებით არის გამოწვეული. ვფიქრობ, გაერთიანების არაეფექტურობაში თავისი როლი რეგიონში არსებულმა პოლარიზებულმა პოლიტიკამაც ითამაშა.

2.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლათინური ამერიკის კომისიის შექმნა და ეკონომიკური რეგიონალიზმის დასაწყისი

ლათინურ ამერიკაში ეკონომიკური ინტეგრაციის მოძრაობის დაწყებას ბიძგი 1947 წელს ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმების (1995 წლიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) დადებამ მისცა. დოკუმენტმა ხელმომწერ ქვეყნებს სხვადასხვა საერთაშორისო სავაჭრო ვალდებულებისა და კანონის შესრულება დააკისრა, რისი მიზანიც ტარიფებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების შემცირება იყო. ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი იდეა ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების დადების გზით საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივება იყო (“The General Agreement of Tariffs and Trade”, 1947). 1940-იან წლებში ჩამოყალიბებული საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმიც მხარს უჭერდა რეგიონული სავაჭრო ხელშეკრულებების დადებას (Blecker, 1996:7-8; Reinalda, 2013:501).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1948 წლის 25 თებერვლის რეზოლუციით ორგანიზაციის შიგნით ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისია შეიქმნა, რომელმაც ფუნქციონირება იმავე წელს დაიწყო. კომისია ერთ-ერთია გაეროს ხუთი რეგიონული კომისიიდან. იგი ლათინური ამერიკის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისა და რეგიონის ქვეყნებს შორის, ისევე როგორც მათ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის გაძლიერებისა და ამ მიმართულებით კოორდინირებული მოქმედებების განხორციელების მიზნით შეიქმნა. სწორედ ამან მისცა ბიძგი იქ რეგიონულაზმის განვითარებას. მოგვიანებით, კომისიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ლათინური ამერიკის სოციალური განვითარების ხელშეწყობაც გახდა. უფრო მეტიც, 1984 წლიდან იგი გაფართოვდა, როდესაც 27 ივლისის რეზოლუციით კომისიაში კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიც შევიდნენ. შესაბამისად, შეიცვალა სახელწოდებაც და მას ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური კომისია ეწოდა (About ECLAC, Economic Commission For Latin America and the Caribbean).

რატომ გახდა ლათინური ამერიკის ეკონომიკური ინტეგრაცია პოლიტიკურ ინტეგრაციაზე პრიორიტეტული? საქმე ის არის, რომ ეკონომიკური ზრდა

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობისთვის. ეკონომიკური რეგიონალიზმის საკითხმა წინა პლანზე 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან წამოიწია, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიკური ბუმის პერიოდში ყავასა და სხვა ძირითად საქონელზე გაზრდილი ფასები დავარდა. მართალია ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა, ხოლო რამდენიმე მათგანში ინდუსტრიალიზაციის პროცესიც შთამბეჭდავად განხორციელდა, ეს მაინც არ იყო საკმარისი ადამიანების სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მით უმეტეს, რომ ლათინურ ამერიკას აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ტემპი ჰქონდა. ყოველწლიურად იზრდებოდა სამუშაო ძალის რაოდენობა და, შესაბამისად, მოთხოვნილებაც ახალ სამუშაო ადგილებზე. ეკონომიკური პროგნოზები მიუთითებდა, რომ ყავაზე, სპილენძზე, კალასა და სხვა ტრადიციულ საექსპორტო საქონელზე საგარეო მოთხოვნა ლათინური ამერიკის ეკონომიკური ზრდის დადებითი ტემპების შენარჩუნებას ვერ უზრუნველყოფდა. დგებოდა ახალ ინდუსტრიებზე აგებული ახალი სავაჭრო მოდელების შემუშავების საჭიროება. რეგიონში ორ გამოსავალს ხედავდნენ: ინტარეგიონული ვაჭრობის გაფართოება და ახალი ინდუსტრიების შექმნა, რომლებიც, ჩემი აზრით, ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული, რადგან ინტარეგიონული ვაჭრობის გაფართოება ახალი ინდუსტრიების შექმნის გარეშე გართულდებოდა. მაგალითად, როგორ მიჰყიდდა ეკვადორი ყავას ბრაზილიასა და კოლუმბიას იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ქვეყნები არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოში ყავის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებლები არიან.

ლათინური ამერიკის ისტორიაში პირველად ყურადღების ეპიცენტრში ეკონომიკური კავშირი მოექცა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლათინურმა ამერიკამ აშშ-ს ბაზარი დაკარგა. მას შემდეგ, რაც შეერთებულ შტატებთან ვაჭრობა შემცირდა, რეგიონში მკაფიოდ დაინახეს, თუ რამდენად სახიფათოდ იყვნენ დამოკიდებული საგარეო ბაზარზე. არასტაბილურ ეკონომიკურ ვითარებას სერიოზული შედეგები მოყვა ლათინური ამერიკის საზოგადოებისთვის, რაც უპირველესად საცხოვრებელ

პირობებზე, განათლების სისტემასა და დასაქმებაზე აისახებოდა (Bulmer-Thomas, 1996:196, 257-258).

ლათინურ ამერიკაში მალევე მიხვდნენ, რომ მათ საგარეო ძალების, განსაკუთრებით კი, აშშ-ს დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ვაშინგტონი მხოლოდ ომისგან განადგურებული ევროპის რეკონსტრუქციით იყო დაინტერესებული, რაც მარშალის გეგმის ამოქმედებითაც დადასტურდა. მაშინ, როდესაც ქვეყანა ევროპას მილიარდობით დოლარის დახმარებას უწევდა, მას მცირედი ინტერესიც კი არ გამოუჩენია ლათინური ამერიკის ეკონომიკური განვითარებისთვისაც შეეწყო ხელი. მთელი რეგიონი საკუთარი თავის იმედად დარჩა. თუმცა ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ კუბის რევოლუციამდე გაგრძელდა, რომელმაც დასავლეთ ნახევარსფეროში ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად ლათინურ ამერიკაში გამოსავალი ინტეგრაციაში ესახებოდათ, მაგრამ პოლიტიკური უნიფიკაცია უკვე განხილვასაც კი აღარ ექვემდებარებოდა. არჩევანი ეკონომიკურ ინტეგრაციაზე შეჩერდა, რაც ბაზრის გაფართოების, რესურსების გამრავალფეროვნებისა თუ ტრანსპორტირების ხარჯებისა და ტარიფების შემცირების შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ლათინური ამერიკის ქვეყნების ინტეგრაციის საჭიროებასა და გზებზე ვერ შეთანხმდნენ. საჭირო გახდა საგარეო ძალის ჩარევა. ლათინურ ამერიკაში ამგვარ ჩარევას გაერთიანებული ერებისგან მოელოდნენ.

თავის მხრივ, აშშ არ ეთანხმებოდა გაეროს ჩარევას და ამბობდა, რომ ამგვარი კომიტეტი უკვე მოქმედ ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის შიგნით უნდა შექმნილიყო. ამ აზრს ლათინურ ამერიკაში ეწინააღმდეგებოდნენ, რადგან მათ ისეთი კომიტეტის შექმნა სურდათ, რომელიც ამერიკული გავლენისგან თავისუფალი და ნეიტრალური იქნებოდა (Prebisch, 1963:11-12).

1949 წელს რაულ პრეზბისის „არათანაბარი გაცვლის თეორიით“ შთაგონებული კვლევა „ლათინური ამერიკის ეკონომიკური განვითარება და მისი ძირითადი პრობლემები“ გამოვიდა, რომელიც, ფაქტობრივად, რეგიონის განვითარების გეგმად იქცა. პრეზბისმა ლათინური ამერიკის ეკონომიკის გასაძლიერებლად შიდა განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის ინიციატივა წამოსწია. იგი ირწმუნებოდა,

რომ ბაზრების გაერთიანება შემოსავალს გაზრდიდა და ინდუსტრიალიზაციის პროცესსაც დააჩქარებდა. პრეზიდენტის რეკომენდაციით, რეგიონის ერთობლივი სტრატეგია იმპორტის ჩამნაცვლებელი მრეწველობის დარგების განვითარება (import-substituting industrialization – ISI) უნდა ყოფილიყო (Margulis, 2017:63-68).

2.3. 1950-60-იანი წლები: სუბრეგიონალიზმი და „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია“

ცივი ომის ეპოქის პირველივე ათწლეული ლათინურ ამერიკაში ეკონომიკური ინტეგრაციის იდეის დაბადებით აღინიშნა. გაეროს განვითარებითა და სტრუქტურალისტურმა მიდგომამ იქ ახალ რეგიონულ და სუბრეგიონულ ინიციატივებს ჩაუყარა საფუძველი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეგიონული ინტეგრაციის ეპიცენტრი ლათინურ ამერიკაში ცენტრალური ამერიკა გახდა. 1951 წლის 14 ოქტომბერს ხუთმა სახელმწიფომ: გვატემალამ, ელ სალვადორმა, ჰონდურასმა, ნიკარაგუამ და კოსტა რიკამ ელ სალვადორის დედაქალაქ სან სალვადორში ქარტიას მოაწერეს ხელი და სუბრეგიონული გაერთიანება - „ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია“ ჩამოაყალიბეს. აღსანიშნავია, რომ რეგიონული თანამშრომლობისა და ერთიანობის წასახალისებლად ორგანიზაციის შექმნის მთავარი მოტივი არა პოლიტიკა, არამედ ვაჭრობა იყო (Peaslee, 1974:1220-1226).

1958 წელს იქ თავისუფალი ვაჭრობისა და ინტეგრაციის მრავალმხრივ შეთანხმებასაც მოეწერა ხელი. 1960 წლის 13 დეკემბერს ნიკარაგუის დედაქალაქ მანაგუაში გამართულ კონფერენციაზე გვატემალამ, ელ სალვადორმა, ჰონდურასმა და ნიკარაგუამ ცენტრალური ამერიკის ეკონომიკური ინტეგრაციის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოაწერეს ხელი და „ცენტრალური ამერიკის ერთიანი ბაზარი“ ჩამოაყალიბეს.

ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ცენტრალური ამერიკის ინტეგრაციის მოძრაობას პირველი დარტყმა 1969 წლის 14 ივლისს ჰონდურასსა და

ელ სალვადორს შორის გაჩაღებული ხანმოკლე, მაგრამ სერიოზული „ფეხბურთის ომი“ იყო. „ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ“ ვერც კრიზისის დაძლევა მოახერხა და თავადაც ინსტიტუციური პრობლემების ხანა დაუდგა, რამაც მის ფუნქციონირებაზე იმოქმედა და საბოლოოდ 1973 წელს არსებობა შეწყვიტა.

ჩემი აზრით, ორგანიზაციის კრახის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პოლიტიკური ფაქტორის უარყოფა და მხოლოდ ეკონომიკური ფოკუსი იყო, რადგან ინტეგრაციის დეპოლიტიზაციამ გეოპოლიტიკურად ასეთ რთულ რეგიონში გაერთიანების კოლაფსი გამოიწვია.

ამით ცენტრალური ამერიკის რეგიონული ინტეგრაციის პროცესი 20 წლით შეჩერდა, სანამ ლათინური ამერიკის რეგიონალიზაციის მესამე ტალღის ფარგლებში 1993 წელს რეგიონის პოლიტიკურ ასპარეზზე „ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ ნიადაგზე ახალი სუბრეგიონული გაერთიანება - „ცენტრალური ამერიკის ინტეგრაციის სისტემა“ გამოჩნდებოდა. სწორედ აღნიშნულ პერიოდიდან ჩაანაცვლა 1960-იანი წლების „ჩაკეტილი რეგიონალიზმი“ ახალმა, ღია რეგიონალიზმმა.

მიუხედავად მცდელობებისა, რეგიონის ინტეგრაცია და განვითარება ვერ მოხერხდა. დღეს ცენტრალური ამერიკა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი და კრიმინალური რეგიონია (Shifter, 2012).

რაც შეეხება სამხრეთ ამერიკას, იქ რეგიონული ინტეგრაციისთვის რამდენიმე ახალი მიზეზი გაჩნდა: 1) რეგიონის ქვეყნებისთვის ახალი სტრატეგია - „ინდუსტრიალიზაცია იმპორტის ჩასანაცვლებლად“ თანდათან მისაღები გახდა; 2) პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი სახელმწიფო მოღვაწეები გამოჩნდნენ, როგორებიც იყვნენ არგენტინელი არტურო ფრონდისი, ბრაზილიელი ჟუსელინო კუბიჩეკი, ვენესუელელი რომულო ბეტანკურტი, კოლუმბიელი ალბერტო ლიერას კამარგო და სხვები, რომლებიც რეგიონულ ინტეგრაციას უჭერდნენ მხარს; 3) 1950-იანი წლების ბოლოს აშშ-ს მიერ ლათინური ამერიკის ინტეგრაციული პროექტების მიმართ წინააღმდეგობა შესუსტდა, რაც კუბის რევოლუციით იყო განპირობებული; 4) ევროპასა და ცენტრალურ ამერიკაში განხორციელებული ინტეგრაციული პროექტების წარმატება სამხრეთ ამერიკაში პოპულარული გახდა; 5) მეორე მსოფლიო

ომის შემდეგ ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაწინაურდა. ევროპულ ბაზარზე ადგილობრივ პროდუქციაზე: ხორცზე, შაქარზე, კაკაოზე მოთხოვნა გაიზარდა, რისი შენარჩუნებაც ეკონომიკური კოორდინაციისთვის დამატებითი მოტივაცია გახდა.

ლათინური ამერიკის XX საუკუნის რეგიონალიზმში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს 1960 წლის თებერვალში „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ ჩამოყალიბებას, რომელიც ეკონომიკური რეგიონალიზმის ფართომასშტაბიანი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო, როგორც ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია თუ ცენტრალური ამერიკის ერთიანი ბაზარი.

ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის გეგმას 1959 წლის სექტემბერში მხარი დაუჭირა სამხრეთ ამერიკის შვიდმა სახელმწიფომ: არგენტინამ, ბოლივიამ, ბრაზილიამ, პარაგვაიმ, პერუმ, ურუგვაიმ და ჩილემ. მართალია ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ასოციაციის შექმნის შესახებ „მონტევიდეოს ხელშეკრულებას“ ხელი ისევ შვიდმა სახელმწიფომ მოაწერა, თუმცა შეცვლილი შემადგენლობით, ბოლივია მექსიკამ ჩაანაცვლა, რითიც ასოციაცია სამხრეთ ამერიკის საზღვრებს გასცდა და ლათინურ ამერიკული გაერთიანება გახდა. უფრო მეტიც, „მონტევიდეოს ხელშეკრულება“, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, ღია იყო ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოებისთვისაც. კოლუმბიის (1961), ეკვადორის (1962), ვენესუელისა (1966) და ბოლივიის (1967) ასოციაციაში გაერთიანების შემდეგ, 1970 წლისთვის, იგი უკვე რეგიონის თერთმეტ სახელმწიფოს აერთიანებდა (Rivera, 2014:174).

„ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია“ გაეროს ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის რეკომენდაციების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ. „მონტევიდეოს ხელშეკრულებაში“ აღნიშნული იყო, რომ ინტარეგიონულ ვაჭრობაზე ბარიერების თანდათანობითი მოხსნის გზით არსებული ეროვნული ბაზრები უნდა გაზრდილიყო. ამის მთავარ მიზანს ლათინური ამერიკის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება წარმოადგენდა, რაც აუცილებელი იყო

რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური ხარისხის გასაუმჯობესებლად (Montevideo Treaty, 1960).

მონტევიდეოს ხელშეკრულების პირველი თავის პირველ მუხლში აღინიშნა, რომ ხელმომწერი მხარეები ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის შექმნით თავისუფალი ვაჭრობის ზონას ქმნიდნენ (Montevideo Treaty, 1960). შესაბამისად, თავიდანვე ხაზი ესმებოდა იმ გარემოებას, რომ იგი ერთი კონკრეტული მიზნით შეიქმნა და მას პოლიტიკური საფუძველი არ ჰქონია. უფრო მეტიც, ასოციაციის ფარგლებში პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხი განხილვასაც კი არ ექვემდებარებოდა. სალვადორ რივერა ამის მიზეზად იმ ფაქტს ასახელებს, რომ „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ სათავეში ეკონომისტი ტექნოკრატები იყვნენ და მათ წმინდა ეკონომიკური მიზნები ამოძრავებდათ (Rivera, 2014:174-175).

„ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას“ ყველა იმედის თვალთ შეჰყურებდა, რადგან მას რეგიონის ეკონომიკური სტრუქტურა უნდა გარდაექმნა და იქ ცხოვრების ხარისხი გაეუმჯობესებინა. თავისი მიზნების განსახორციელებლად საერთაშორისო თანამეგობრობის, მსოფლიო ბანკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერით 1961 წელს მორიგი რეგიონული ფინანსური ინსტიტუტი - ინტერამერიკული განვითარების ბანკი ჩამოაყალიბეს. უკვე 1962 წლის მეორე ნახევრისთვის ასოციაციის წევრებმა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესაქმნელად და თავიანთი ეკონომიკის ინტეგრაციისთვის შექმნილი პროგრამების განხორციელებაც დაიწყეს.

საწყის ეტაპზე ასოციაციამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, რის საშუალებასაც არსებული უზარმაზარი პოტენციალი აძლევდა. ორგანიზაციაში გვიანის ქვეყნების გარდა სამხრეთ ამერიკის ყველა სახელმწიფო და მექსიკა იყო გაერთიანებული და მათი საერთო ტერიტორია 19 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აღემატებოდა. შთამბეჭდავი იყო მოსახლეობის საერთო რაოდენობაც, რომელიც აღნიშნულ პერიოდში 210 მილიონ ადამიანს აჭარბებდა, რაც ლათინური ამერიკის მოსახლეობის 83% იყო (Magarinos, 1970). ასოციაციის წევრი ქვეყნების მიერ ყოველწლიურად

წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება 90 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა.

წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის მაჩვენებელი - 1960 წლის 715 მილიონი აშშ დოლარი - 70%-ით გაიზარდა და 1964 წლისთვის 1200 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (Nattier, 1966:24). თუმცა, მინდა ისიც აღვნიშნო, რომ გაერთიანებიდან სავაჭრო სარგებელს წევრი-ქვეყნები თანაბრად ვერ იღებდნენ, რაც მათ შორის არსებული განსხვავებული ეკონომიკური მაჩვენებლითა და მასშტაბებით იყო გამოწვეული. ზოგიერთ ქვეყანაში ექსპორტის რაოდენობამ იმპორტისას გაუსწრო, მაგრამ ასეთი შედეგები ყველა წევრ-სახელმწიფოს არ ჰქონია. შესაბამისად, მათ შორის უთანასწორობაც იზრდებოდა. მაგალითად, ასოციაციის ფარგლებში მექსიკის ექსპორტი გაორმაგდა, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით ბოლივიაზე. მალე ეკონომიკური ზრდის ტემპები შენედა.

თუ ფრენკ ნეტიერის კლასიფიკაციას დავეყრდნობით, „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ ქვეყნები 1960-იან წლებში შეგვიძლია სამ ჯგუფად დავყოთ: 1) „დიდი“ ქვეყნები: ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა; 2) „საშუალო“ ქვეყნები: კოლუმბია, პერუ, ჩილე, ვენესუელა; 3) „პატარა“ ქვეყნები: ბოლივია, ეკვადორი, პარაგვაი, ურუგვაი (Nattier, 1966:20). ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის არსებულმა სერიოზულმა განსხვავებამ ასოციაციას თავისი დალი დაასვა და იგი მოუქნელი გახდა. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ მას საკმაოდ შეზღუდული მიზნები ჰქონდა და თავისუფალი ვაჭრობისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას სულაც არ ითვალისწინებდა მაშინ, როდესაც იმ დროს რეგიონის მთიან ტერიტორიებსა და ჯუნგლებში ჯერაც არ იყო მოწესრიგებული გზებისა თუ რკინიგზის სისტემის საკითხი, რის გამოც პროდუქტების ტრანსპორტირება ძვირი ჯდებოდა. ტრანსპორტირებაზე ფასების ზრდა კი ავტომატურად პროდუქტებზე ფასების ზრდას იწვევდა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული საყოფაცხოვრებო ხარჯების ზრდასთანაც. ამ ყველაფერს რეგიონში არსებული ქრონიკული ინფლაციაც ემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციას კონკრეტული მიზნები ჰქონდა, 1960-იან და 70-იან წლებში ლათინურ ამერიკაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, ბუნებრივია, მათ მიღწევას ხელს შეუშლიდა.

ამას ემატებოდა ორგანიზაციის შიგნით არაკოორდინირებული მოქმედება და ლათინურ ამერიკაში არსებული მეორე სუბრეგიონული გაერთიანება ცენტრალურ ამერიკაში. საქმე ის არის, რომ ორივე გაერთიანებას ეკონომიკური ინტეგრაციისა და განვითარების საკუთარი განსხვავებული გეგმა ჰქონდა, რამაც ლათინური ამერიკის ორ ნაწილად ფრაგმენტაცია გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია“ პოლიტიკურ საკითხებს რადიკალურად ემიჯნებოდა, ამ უკანასკნელისთვის თავის არიდება მან მაინც ვერ მოახერხა. უპირველესად, ეს კუბის საკითხს უკავშირდება. მართალია, წევრი-სახელმწიფოები ასოციაციისგან თანაბარ სარგებელს ვერ ხედავდნენ, თუმცა, კუბა მასში გაწევრიანებისკენ მიისწრაფოდა. საქმე ის არის, რომ ხელისუფლების სათავეში ფიდელ კასტროს მოსვლამდე კუბის ვაჭრობის 70% ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდიოდა, ხოლო ვაშინგტონის მიერ კუნძულზე განხორციელებული უმკაცრესი ეკონომიკური სანქციების შემდეგ კასტრო, ბუნებრივია, ახალი ეკონომიკური კავშირების დამყარებითა და ბაზრებით იყო დაინტერესებული. ამავდროულად, იგი რეგიონში თავისი პოლიტიკური პრესტიჟის გაფართოებასაც ცდილობდა. თუმცა, 1962 წელს მეხიკოში გამართულ ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის კონფერენციაზე, ბრაზილიისა და მექსიკის გარდა, წევრმა-სახელმწიფოებმა კუბის ასოციაციაში გაწევრიანების წინააღმდეგ მისცეს ხმა. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება წმინდა პოლიტიკური ხასიათის იყო და მანიპულაციურ ელემენტებსაც შეიცავდა, რადგან ასოციაციის წევრმა ქვეყნებმა ამ გზით ამერიკის შეერთებული შტატების კეთილგანწყობისა და ეკონომიკური დახმარების შენარჩუნება სცადეს, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ აშშ არცერთ რეგიონულ გაერთიანებას არ დაეხმარებოდა, რომელშიც კუბა იქნებოდა გაწევრიანებული. კუბის პრეცედენტით დადასტურდა, რომ ასოციაცია მხოლოდ ეკონომიკური გაერთიანება არ ყოფილა და მას პოლიტიკური ხასიათიც ჰქონდა. უფრო მეტიც, ამაზე მინიშნება ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალეხანდრო სორილია დე სან მარტიმაც გააკეთა, როდესაც თქვა, რომ „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია“ მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური ტექნიკრატების ხელში დასატოვებლად (CIA Special Report, 1963:6).

ჩემი აზრით, „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ის, რომ ორგანიზაციის მიზანი არა წევრი ქვეყნებისთვის სავაჭრო შესაძლებლობების განვითარება, არამედ წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის კონტროლი იყო.

ასოციაციის წევრ-სახელმწიფოებს შორის არსებული სულ უფრო მზარდი უთანასწორობისა და სარგებლის არათანაბარი გადანაწილებით გამოწვეული უკმაყოფილების პარალელურად რამდენიმე ქვეყანამ ალტერნატიული გამოსავლის ძებნა დაიწყო, რადგან მათ მეტად განვითარებულ წევრ-ქვეყნებთან კონკურენცია არ შეეძლოთ. ორგანიზაციის თანდათანობითი ფრაგმენტაცია უკვე გარდაუვალი იყო. ამას ის ფაქტიც ადასტურებდა, რომ ინტარეგიონული ვაჭრობის მაჩვენებელი 10%-მდე დავარდა, საიდანაც 70% მხოლოდ ბრაზილიის, არგენტინისა და მექსიკის წილი იყო (Griffin, 1969). გარდა ამისა, ასოციაციაში ინტერესთა შეუთავსებლობამაც იჩინა თავი, რადგან დიდი ქვეყნებისთვის რეგიონულ ინტერესებზე პრიორიტეტული ნაციონალური ინტერესები იყო. მათ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართ ინტერესი გაუნელდათ, რამაც თავის მხრივ ასოციაციის სტაგნაცია გამოწვია.

შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის ცალკე ხელშეკრულების დადების იდეა პირველად 1964 წელს ასოციაციის შეხვედრაზევე გაჩნდა. ორი წლის შემდეგ კი კოლუმბიის, ჩილესა და ვენესუელის პრეზიდენტებმა „ბოგოტას დეკლარაციას“ მოაწერეს ხელი და ახალ სუბგაერთიანებას ჩაუყარეს საფუძველი, რაც ასოციაციას დაღს დაასვამდა.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის სუბრეგიონული გაერთიანების ჩამოყალიბების იდეას 1967 წლის პუნტა დელ ესტეს სამიტზე ამერიკის პრეზიდენტების უპირობო მხარდაჭერა შეხვდა. 1968 წელს კი გაერთიანების დასაფინანსებლად ანდების განვითარების კორპორაციაც შეიქმნა (Garcia, 2011:148).

ახალი სუბრეგიონული გაერთიანების გეგმა ჩილეს პრეზიდენტმა ედუარდო ფრეიმ და კოლუმბიის პრეზიდენტმა კარლოს ლიერას რესტრეპომ შეიმუშავეს. 1969 წლის 26 მაისს ჩილემ, ბოლივიამ, პერუმ, ეკვადორმა და კოლუმბიამ „კარტახენას შეთანხმებას“ მოაწერეს ხელი, რომელიც ისტორიაში „ანდების პაქტის“ სახელითაც

არის ცნობილი და ახალი გაერთიანება, სახელწოდებით, „ანდების ჯგუფი“ ოფიციალურად ჩამოაყალიბეს (Odello, Seatzu, 2015:119-120).

ფრაგმენტაცია გაგრძელდა. გარდა ეკონომიკური დაინტერესებისა, ანდების სუბრეგიონის პატარა და საშუალო ზომის გეოგრაფიულად დაკავშირებული ქვეყნების მიერ ახალი სუბრეგიონული კავშირის შექმნისკენ სწრაფვა, ჩემი აზრით, გეოპოლიტიკური მოტივებითაც იყო განპირობებული, რადგან სამხრეთ ამერიკაში სამხედრო რეჟიმები სწრაფად იკიდებდა ფეხს. რეგიონის ორ ლიდერ სახელმწიფოში: ბრაზილიასა და არგენტინაში მმართველობის სათავეში უკვე სამხედროები იმყოფებოდნენ, ისევე როგორც პარაგვაიში. სამხედრო რეჟიმის დამყარების საფრთხე არსებობდა ბოლივიასა და პერუშიც, რაც ავტომატურად ჩილესა და ანდების ქვეყნების დემოკრატიული რეჟიმებისთვისაც საფრთხეს წარმოადგენდა. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ახალი გაერთიანების შექმნა დემოკრატიის დაცვის მიზანსაც ემსახურებოდა. ამ ფაქტით აიხსნება ჩილეს გაერთიანებისადმი დაინტერესებაც. საბოლოოდ, გაერთიანებამ სამხედრო დიქტატურების ტალღის თავიდან აცილება მაინც ვერ მოახერხა. რეგიონში მრავალწლიანი სისიხლიანი სამხედრო დიქტატურის ეპოქა დაიწყო.

„ანდების ჯგუფი“ ნომინალურად „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ იურისდიქციაში შედიოდა, მაგრამ მას დამოუკიდებლობის ძალიან მაღალი ხარისხი ჰქონდა. იგი ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ბენელუქსის ქვეჯგუფსაც შეადარეს (Rivera, 2014:181).

ერთი შეხედვით, ანდების პაქტი ამბიციური პროექტი იყო, რადგან იგი საბაჟო კავშირის შექმნასა და ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ჰარმონიზაციას ისახავდა მიზნად. 1973 წელს გაერთიანებას ვენესუელაც შეუერთდა და მისი პოტენციალი გაზიარდა, მაგრამ იგი მალე მრავალ პრობლემას წააწყდა. ერთ-ერთი მთავარი კი ჩილე იყო. „ჩიკაგოს ბიჭები“ პინოჩეტს ტარიფების შემცირებასა და საგარეო ინვესტიციების მიზიდვისკენ უბიძგებდნენ, „ანდების პაქტი“ კი მსხვილ საგარეო ინვესტიციებს ეწინააღმდეგებოდა. საბოლოოდ, 1976 წელს ქვეყანამ გაერთიანება დატოვა, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ანდების გაერთიანების

წვერი ქვეყნების მიერ პინოჩეტის სასტიკი სამხედრო დიქტატურისადმი წინააღმდეგობა იყო.

დრამატული პოლიტიკური პროცესები იყო გაერთიანების სხვა ქვეყნებშიც, რაც პირდაპირ გავლენას ახდენდა ორგანიზაციის საქმიანობაზე. გენერალ გარსია მესას სამხედრო პუტჩის შემდეგ, 1980 წელს ბოლივიამ გაერთიანება დროებით დატოვა. პერუსთან სამხედრო დაპირისპირების შედეგად მას ეკვადორიც მიჰყვა. პრეზიდენტ ალბერო ფუხიმორის 1992 წლის ავტო-პუტჩის შემდეგ კი გაერთიანებას პერუც გამოეთიშა. გარდა ამისა, წევრ-ქვეყნებში მიმდინარე დრამატული პოლიტიკური ცვლილებების გამო ხელისუფლებები ვაჭრობის ლიბერალიზაციას უჭერდნენ მხარს, რის გამოც მათ „ანდების პაქტი“ თაროზე შემოდეს. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ორგანიზაციის საქმიანობას ეფექტი ვერ ექნებოდა.

ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის შექმნის კვალდაკვალ 1964 წელს ლიმაში ახალი რეგიონული ორგანიზაცია „ლათინური ამერიკის პარლამენტი“ ჩამოყალიბდა. სინამდვილეში, იგი „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ პარლამენტი უნდა ყოფილიყო, თუმცა ორ ორგანიზაციას შორის ფორმალური კავშირი არასდროს დამყარებულა. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ლათინური ამერიკის პარლამენტის შექმნა ისტორიულ კონტექსტში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან იგი ზუსტად იმ პერიოდში ჩამოყალიბდა, როდესაც რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში დემოკრატიული რეჟიმების არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. იმ დროს ლათინური ამერიკის პარლამენტი დემოკრატიისა და პოლიტიკური პლურალიზმის აქტიურ დამცველად გამოვიდა და მკაცრად აკრიტიკებდა რეგიონის იმ რეჟიმებს, რომლებიც XX საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ პრინციპებს უხეშად არღვევდნენ. აღვნიშნავ იმასაც, რომ ეკონომიკური რეგიონალიზაციის ეპოქაში, ლათინური ამერიკის პარლამენტის ბუნება პოლიტიკური ხასიათის იყო, რაც ადასტურებს იმას, რომ პოლიტიკური ინტეგრაცია დღის წესრიგიდან საერთოდ არ გამქრალა.

1964 წელსვე მორიგმა ტრანსრეგიონულმა ინიციატივამ იჩინა თავი. ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის

სააგენტოს - ინტერამერიკული ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ შექმნილ ლათინური ამერიკის სპეციალურ საკოორდინაციო კომიტეტში გაერთიანდა. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის შექმნის შესახებ ქვეყნებს არანაირი ფორმალური ხელშეკრულებისთვის მოუწერიათ ხელი და არც მისი ორგანიზაციული აპარატი შექმნილა, ლათინური ამერიკის სპეციალურმა საკოორდინაციო კომიტეტმა რეგიონული საკონსულტაციო ჯგუფის სტატუსი მოირგო და საერთაშორისო სავაჭრო სისტემებში, გაერთიანებული ერების ეკონომიკურ თუ ფინანსურ ინსტიტუტებში მონაწილეობისთვის ერთიან რეგიონულ პოზიციაზე შესაჯერებლად პეროდულად მაინც იკრიბებოდა. იგი ასევე ლათინური ამერიკის ერთიან მოთხოვნებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს წარუდგენდა ხოლმე (Atkins, 1997:312). კომიტეტმა 1975 წელს „პანამის კონვენციით“ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო და „ლათინური ამერიკის ეკონომიკურ სისტემად“ გარდაიქმნა (IBP, Inc., 2016:33-34; Ozmańczyk, 2003:1267-68).

1980-იან წლებში „ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემის“ კონფერენციების მთავარი თემა წევრ-ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება, მრავალმხრივ სავაჭრო ურთიერთობებში ერთობლივი მოქმედება, აშშ-სთან ვაჭრობის ერთიანი პოზიციის შემუშავება და ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურება იყო.

დღეისთვის ორგანიზაცია 26 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს არა მხოლოდ ლათინურ ამერიკაში, არამედ ანგლოფონურ კარიბის ზღვის რეგიონშიც. იგი საკონსულტაციო-საკოორდინაციო ინსტიტუტია, რომელიც საერთაშორისო დონეზე ეკონომიკურ საკითხებზე ერთიანი პოზიციისა და სტრატეგიის შექმნაზე მუშაობს, ისევე როგორც ხელს უწყობს რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის გაძლიერებას (SELA web). „ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემა“ პრაქტიკული პროექტების გატარებით არ გამოირჩევა, რაც მის ეფექტურობას ეჭვქვეშ აყენებს. თუმცა, იგი საჭირო დროს საკუთარ პოზიციებსაც ღიად აფიქსრებს. მაგალითად, გაერთიანება ფოლკლენდის კუნძულებისთვის დავაში არგენტინას უჭერდა მხარს. იგი აშშ-სა და ევროპის მიერ არგენტინაზე, ნიკარაგუასა და პანამაზე პოლიტიკური მოტივებით დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებსაც

ეწინააღმდეგებოდა. ორგანიზაცია აშშ-სა და ევროპას სავაჭრო პროტექციონიზმზე უარის თქმისკენ მოუწოდებდა.

1990-იან წლებში „ლათინური ამერიკის ეკონომიკურმა სისტემამ“ ყურადღება მიაქცია, ძირითადად, საგარეო ვალებს, ვაჭრობას, ინდუსტრიალიზაციას, რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციასა და სიღარიბითა და უმუშევრობით გამოწვეულ სოციალურ პრობლემებს. იგი აქტიურად ცდილობდა „ურუგვაის სავაჭრო მოლაპარაკებებში“ ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას. ორგანიზაცია ასევე კუბაზე აშშ-ს ბლოკადასაც ეწინააღმდეგებოდა.

2019 წლისთვის გაერთიანება წევრი-ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკაში შერწყმისა და რეგიონში საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის მიმართულებებით მუშაობს.

„ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ ფარგლებში დაგეგმილი ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბება 1970-იან წლებში ვერ მოხერხდა. ორგანიზაციის დაკნინების შემდეგ ორი გამოსავალი რჩებოდა: იგი უნდა დაშლილიყო ან განახლებულიყო. საბოლოოდ, მონტევიდეოს ახალი შეთანხმებით, 1980 წელს, „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია“ „ლათინური ამერიკის ინტეგრაციის ასოციაციამ“ ჩაანაცვლა. ახალ ხელშეკრულებას ხელი წევრებმა უცვლელი შემადგენლობით მოაწერეს.

ახალ ხელშეკრულებაში აღინიშნა, რომ ხელმომწერი ქვეყნების მიზანი ინტეგრაციაა, რეგიონის ჰარმონიული და დაბალანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში კი ერთიანი ბაზრის თანდათანობითი ჩამოყალიბება (1980 Treaty of Montevideo).

სამწუხაროდ, ასოციაციის მიზანი მხოლოდ მიზნად დარჩა. ლათინური ამერიკის ქვეყნებში არსებულმა ეკონომიკურმა პრობლემებმა გაერთიანების ამოცანა გაართულა.

ვფიქრობ, ლათინური ამერიკის შემდგომ ფრაგმენტაციას ბიძგი მისცა „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის“ შიგნით არსებულმა ვითარებამ. უკვე არსებულ ერთ სუბრეგიონულ გაერთიანებას მალე ანდების რეგიონში მეორეც დაემატა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად არსებული

გეგმის მიხედვით ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ „ცენტრალური ამერიკის ერთიანი ბაზრის“ „ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან“ შერწყმა უნდა მომხდარიყო, ხოლო „ანდების პაქტი“ ისედაც მისი იურისდიქციის ქვეშ უნდა ყოფილიყო, ლათინური ამერიკის ინტეგრაცია ვერც ამჯერად მოხერხდა. შეიძლება ითქვას, რომ პირიქით, რეგიონში ფრაგმენტაცია გააქტიურდა.

2.4. ინტეგრაციის ელემენტები 1970-80-იანი წლების ლათინურ ამერიკაში და „კონდორის გეგმა“

1970-80-იანი წლები ლათინური ამერიკის რეგიონული ინტეგრაციის თვალსაზრისით ინერტული პერიოდი იყო, თუმცა მასში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდის გამოყოფა მაინც არის შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ ცივმა ომმა ლათინურ ამერიკას 1954 წელს მიაღწია, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო გვატემალაში პრეზიდენტ ხაკობო არბენსის მემარცხენე რეჟიმის დასამხობად შეიჭრა, რომელიც ვაშინგტონის მტკიცებით კომუნისტური რეჟიმი იყო.

1959 წლის წარმატებული სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კუბა მთელ რეგიონში ფიდელ კასტროს თანამოაზრეებისთვის მაგალითი გახდა. მეორე მხრივ, კუბა აღმოჩნდა პირველი ქვეყანა ლათინურ ამერიკაში, რომელმაც რეგიონულ პოლიტიკაში აქტიური ჩარევა დაიწყო და საბჭოთა კავშირთან ერთად ლათინური ამერიკის მემარცხენე გერილას ძალების დაფინანსებასა და მომზადებაში ჩაერთო.

პროცესები, რომლებიც ლათინურ ამერიკაში 1960-იანი წლებიდან დაიწყო და დემოკრატიზაციის მესამე ტალღამდე გაგრძელდა, სრულიად უპრეცედენტო იყო არა მხოლოდ ლათინური ამერიკის, არამედ მთლიანად მსოფლიო ისტორიისთვის. პოლიტიკური ქარტეხილებისა და დამაბულობის კულმინაცია 1970-იანი წლების დასაწყისიდან სამხრეთ ამერიკის ქვეყნების უპრეცედენტო ერთსულოვნება იყო

მემარცხენე იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელმაც ლათინური ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო შავზნელ და დრამატულ პერიოდს დაუდო სათავე.

1960-იანი და 1970-იანი წლები ლათინურ ამერიკაში უჩვეულო პოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდი იყო. რეგიონში ჩამოყალიბებული პოლიტიკური ამინდის ფორმირებაზე, ლოკალურ პროცესებზე მეტად, პირდაპირ გავლენას ახდენდა დასავლურ და აღმოსავლურ ბლოკებს შორის არსებული დაპირისპირება. იმ დროს ლათინური ამერიკის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკური თამაშის წესებს სწორედ ცივი ომის პარანოია განსაზღვრავდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლათინურ ამერიკაში სოციალური უკმაყოფილება სულ უფრო იზრდებოდა. რეგიონის გამოჩენილი ლიდერები და ინტელექტუალები თავიანთი ქვეყნების განვითარების დაბალ დონეს დასავლური სახელმწიფოების, ამ შემთხვევაში კი, შეერთებული შტატების „ნეოკოლონიურ“ პოლიტიკას უკავშირებდნენ [McSherry, 2005]. პროგრესისტები და ნაციონალისტები სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებისკენ მიისწრაფოდნენ. თუმცა, ჩრდილოეთ ამერიკელი პოლიტიკოსები განვითარებად სამყაროში ნებისმიერ სოციალურ რეფორმაში კომუნიზმის საფრთხეს ხედავდნენ. სწორედ ამიტომ მესამე სამყაროზე კონტროლი შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ამოსავალი წერტილი გახდა. კონტროლის საუკეთესო საშუალება ლათინური ამერიკისა და შეერთებული შტატების სამხედრო ძალებისა და სადაზვერვო სამსახურების მჭიდრო კოორდინაცია იქნებოდა, რასაც შტატები კარგად ხვდებოდა. კუბის რევოლუციის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები ყველანაირად ცდილობდა ლათინური ამერიკის ქვეყნები თავის პოლიტიკურ ორბიტაში მოექცია. ამისათვის ვაშინგტონმა რეგიონში დამკვიდრებულ არასტაბილურ დემოკრატიებთან შედარებით მხარი სამხედრო, მაგრამ ანტიკომუნისტურ რეჟიმებს დაუჭირა.

ვფიქრობ, შტატების ამგვარი გადაწყვეტილება იმით იყო ნაკარნახევი, რომ დემოკრატიული ხელისუფლებები მემარცხენეებს, დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, თავისუფლებას მისცემდნენ, ხოლო მემარჯვენე სამხედროებს „სძულდათ“ ისინი, თან იმის უნარიც შესწევდათ, რომ მემარცხენეები დაეთრგუნათ და საბოლოოდ გაენადგურებინათ. პარადოქსული ფაქტია, მაგრამ აშშ მხარს უჭრდა

დიქტატურებს ნიკარაგუაში (1936-1979), გვატემალაში (1954-1986), პარაგვაიში (1954-1989), ჰაიტიზე (1957-1986), ბრაზილიაში (1964-1985), პანამაში (1968-1981 და 1983-1989), ბოლივიაში (1971-1978), ჩილეში (1973-1990), არგენტინაში (1976-1983), ელსალვადორში (1979-1982).

ლათინურ ამერიკაში პოლიტიკური ვითარება სწრაფად იცვლებოდა. მალე მთელ რეგიონში მუშები, გლეხები და მემაბოხეები მობილიზდნენ. კასტროს, როგორც თავიანთი დროის კაუდილიოს წარმატების შემყურე მემარცხენე მოძრაობებმა ექსპლუატაციისგან გასათავისუფლებლად არჩევნების გზას შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება არჩიეს, რის საპასუხოდაც მმართველმა ელიტებმა, ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით და დასახმარებლად, დისიდენტების წინააღმდეგ არმიებს მიმართეს. შედეგად, რეგიონში ოცწლიანი კონფლიქტებისა და სამხედრო ავტორიტარული მმართველობის ხანა დადგა. ლათინურ ამერიკას სამხედრო დიქტატურის ტალღამ გადაუარა.

1970-იანი წლების დასაწყისში ისტორია ლათინური ამერიკის სამხრეთის ქვეყნების უპრეცედენტო გაერთიანების მოწმე გახდა. სამხრეთ ამერიკის ექვსი სახელმწიფო: ჩილე, არგენტინა, ბრაზილია, ბოლივია, ურუგვაი და პარაგვაი, რომლებსაც მოგვიანებით პერუ და ეკვადორიც შეუერთდა, საერთო მიზნისთვის გაერთიანდნენ, რომელიც ისტორიაში „ოპერაცია კონდორის“ სახელით არის ცნობილი. ამერიკის შეერთებული შტატების უპირობო მხარდაჭერით მათ სამხედრო ქსელი ჩამოაყალიბეს. რა გახდა ამის საფუძველი? საქმე ის არის, რომ ლათინური ამერიკის ადგილობრივი ოლიგარქია სერიოზულ საფრთხეს ხედავდა 1960-70-იან წლებში იქ დაწინაურებული პოპულისტური, ნაციონალისტური და სოციალისტური მოძრაობების აღმავლობაში, რაც თავის მხრივ, საფრთხეს უქმნიდა რეგიონში შეერთებული შტატების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებსაც. სწორედ ამიტომ, აქტიური ცივი ომის პერიოდში აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ამოსავალი წერტილი დასავლეთ ნახევარსფეროში „მეორე კუბის“ თავიდან აცილება გახდა. ალბათ ამ მოტივით შეიძლება აიხსნას ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა მემარჯვენე დიქტატურებისადმი და მისი უშუალო ჩართულობა კონდორის ოპერაციაში.

1960-70-იან წლებში ლათინურ ამერიკაში შეერთებული შტატების მხრიდან წახალისებული სამხედროების მიერ სახელმწიფო გადატრიალებების განხორციელების ძირითადი მიზანი მაინც მემარცხენე ძალების მოსპობა და სოციალური ცვლილებების იდეის განადგურება იყო. სამწუხაროდ, გადატრიალებას ვერც ხანგრძლივი დემოკრატიული მმართველობის ტრადიციის მქონე ქვეყნები გადაურჩნენ, მაგალითად, ურუგვაი და ჩილე, რადგან კომუნიზმის საფრთხით შემფოთებულ პოლიტიკოსებს სწამდათ, რომ დემოკრატია დაუშვებელი იყო ისეთ გარემოში, სადაც სოციალისტებს ან ნაციონალისტებს ხელისუფლებაში მოსვლა შეეძლოთ [McSherry, 2005]. შედეგად, მთელი ძალაუფლება სამხედროების ხელში აღმოჩნდა. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის კონტინენტური მასშტაბის საკომუნიკაციო ქსელი ჩამოყალიბდა და უკიდურესად გასაიდუმლოებული „ჯამუშური“ შეხვედრების ჩატარება დაიწყო.

გარდამტეხი ეტაპი სამხრეთ ამერიკაში კომუნიზმთან ბრძოლის საქმეში 1973 წელს დადგა, როდესაც ჩილეს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის სოციალისტ სალვადორ ალიენდეს წინააღმდეგ აუგუსტო პინოჩეტის წინამძღოლობითა და ამერიკის შეერთებული შტატების აქტიური ჩარევით სამხედრო გადატრიალება მოხდა და ქვეყანაში მემარჯვენე დიქტატურა დამყარდა. საყურადსაღებო ფაქტია, რომ პრეზიდენტ ალიენდეს წინააღმდეგ განხორციელებული პუტჩის გარანტირებული ეფექტურობისთვის გადატრიალების დღეს, 1973 წლის 11 სექტემბერს, აშშ-ს საზღვაო ძალებს ჩილეს სანაპიროებზე პატრულირების ბრძანება ჰქონდათ მიღებული. თუმცა, კონდორის მოდელის ინსტიტუციონალიზაცია და მისთვის კოდური სახელის მინიჭება ოფიციალურად 1975 წლის 28 ნოემბერს მოხდა, როდესაც სამხრეთ ამერიკის ქვეყნების სამხედრო დელეგაციები ერთმანეთს სანტიაგოში საიდუმლოდ შეხვდნენ. შეკრების მიზანი იდეალური თანამშრომლობისა და ეროვნული უსაფრთხოების სასარგებლოდ გაუმჯობესებული მოქმედების ფორმალიზაცია იყო. არგენტინის, ბოლივიის, ჩილეს, პარაგვაისა და ურუგვაის სამხედრო წარმომადგენლებმა შეხვედრაზე დასკვნით აქტს მოაწერეს ხელი, რომელიც „კონდორის გეგმის“ საიდუმლო ქარტია იყო.

შეგვიძლია თუ არა, რომ „კონდორის გეგმა“ სამხრეთ ამერიკაში ინტეგრაციულ პროცესად ჩავთვალოთ? უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „ინტეგრაცია“ აღნიშნულ კონტექსტში ერთ-ერთმა პირველმა არგენტინის ყოფილი დიქტატორის ვიდელას რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა არგენტინელმა ადმირალმა სეზარ გუცეტიმ გამოიყენა და აღნიშნა, რომ მეზობელი ქვეყნების ერთობლივი მოქმედება რეგიონის ინტეგრაციის ხელშეწყობას ემსახურებოდა მიზნად. მისივე სიტყვებით, აღნიშნული „ინტეგრაცია“ ტერორიზმის პრობლემის წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა შედეგი სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა. ტერორიზმთან ბრძოლის ნაცვლად, დიქტატორებმა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში სახელმწიფო ტერორიზმი ჩამოაყალიბეს. საბოლოოდ, „ოპერაცია კონდორის“ შედეგი სხვადასხვა მონაცემით 50 ათასი ადამიანის სიკვდილი, 400 000 პოლიტიკური პატიმარი და ათასობით უკვალოდ გაუჩინარებული ადამიანი გახდა, რომელთა ზუსტი რაოდენობის დადგენა დღემდე ვერ ხერხდება [Norton, 2015]. აღსანიშნავია, რომ ჩილელი სოციოლოგი ტიტო ტრიკოტი „ოპერაცია კონდორისთვის“ ფესვების ჩაყრას 1945 წლის მეხიკოს კონფერენციას და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის აქტის გაფორმებას უკავშირებს (Tricot 2013).

პოლიტიკურ კრიზისთან ერთად, 1970-80-იან წლებში ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ინდუსტრიალიზაცია ლათინური ამერიკისთვის შეუსრულებელი მისია აღმოჩნდა, რამაც ინტეგრაციის მხარდამჭერებს თავიანთი იდეების გადახედვისკენ უბიძგა. ამას ვალების კრიზისიც დაემატა. ლათინურ ამერიკაში პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის დრო იდგა და ინტეგრაციისთვის არავის ეცალა.

ლათინური ამერიკის სტაგნაციის პერიოდში ეკონომიკური ინტეგრაცია დღის წესრიგიდან გაქრა. რეგიონისთვის პრიორიტეტული ისევ პოლიტიკური საკითხი გახდა. იქ დემოკრატიული ტრანზიციის საჭიროება ისე იდგა, როგორც არასდროს.

1980-იანი წლების დასაწყისში ლათინური ამერიკის ქვეყნებში მორიგმა უჩვეულო სოლიდარობამ იჩინა თავი. პანამის, მექსიკის, ვენესუელისა და კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ცენტრალური ამერიკის კრიზისიდან

გამოსაყვანად ერთობლივი ინიციატივა წამოაყენეს. აღნიშნული ქვეყნები 1983 წლის 5 იანვარს პანამის კუნძულ კონტადორაზე შეხვდნენ ერთმანეთს და „კონტადორას ჯგუფი“ ჩამოაყალიბეს. შეხვედრაზე მათ „ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობისა და თანამშრომლობის კონტადორას აქტი“ შექმნეს (Muñoz and Tulchin, 1996). დოკუმენტი ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობის, დემოკრატიის, რეგიონული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისკენ მოუწოდებდა (Bruch, Muffet & Nichols, 2016). 1984 წლის ოქტომბერში სამოქმედო ჯგუფმა „კონტადორას აქტი“ გაეროს უსაფრთხოების საბჭოს გაუგზავნა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ქვეყანა, რომელმაც დოკუმენტს მხარი არ დაუჭირა, აშშ იყო, რადგან აქტი ცენტრალური ამერიკისთვის ყველანაირი სამხედრო დახმარების შეწყვეტას ითვალისწინებდა, რაც ვაშინგტონის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა (Hopkins, 1986).

1985 წელს ცენტრალური ამერიკის კრიზისში კონტადორას ჯგუფის მხარადასაჭერად „ლიმას ჯგუფი“ ჩამოყალიბდა, რომელშიც კიდევ ოთხი ქვეყანა - ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი და პერუ გაერთიანდა, რის გამოც მათ „კონტადორას მხარდამჭერი ჯგუფიც“ უწოდეს. აგვისტოში კონტადორასა და ლიმას ჯგუფები გაერთიანდნენ და მათ უკვე „რვიანის ჯგუფი“ ეწოდა (Bruch, Muffet & Nichols, 2016).

„კონტადორას ჯგუფის“ კონსოლიდაცია, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ლათინურ ამერიკაში ძმური სენტიმენტების განვითარებაში. თუმცა, ინიციატივამ გაცილებით უფრო ფართომასშტაბიან და ამბიციურ რეგიონულ თანამშრომლობას ჩაუყარა საფუძველი, რითაც ლათინურ ამერიკულ რეგიონალიზმში ახალი ეტაპი დაიწყო. რეგიონში ინტეგრაციული აზრის რეპოლიტიზაცია მოხდა. მიმაჩნია, რომ კონტადორას გაერთიანება დემოკრატიზაციის მესამე ტალღის შემდეგ რეგიონში ჩამოყალიბებულ ახალ დემოკრატიებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის დამყარების სულისკვეთების გამოვლინება იყო. ლათინური ამერიკა ახალი რეალობის წინაშე დადგა.

1986 წელს რვა ქვეყანამ სრულიად ახალი რეგიონული გაერთიანება „რიოს ჯგუფი“ ჩამოაყალიბა, რომელიც რეგიონულ პოლიტიკაში თანამშრომლობის მუდმივმოქმედი მექანიზმის იდეით ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ კონტადორასა და კონტადორას მხარდაჭერის ჯგუფი ცენტრალური ამერიკის კრიზისის მოსაგვარებლად ჩამოყალიბდა, „რიოს ჯგუფის“ შექმნა ცივი ომის პერიოდში ბევრისთვის ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ალტერნატივის შექმნის მცდელობად აღიქმებოდა, რისი საჭიროებაც მასში აშშ-ს წამყვანი როლით იყო განპირობებული (Stevenson, 2000:161-162).

„რიოს ჯგუფის“ შექმნის მთავარი მოტივი რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესება იყო, რაც, ვფიქრობ, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკა დღის წესრიგში დაბრუნდა. ლათინური ამერიკის ერთიანობა კი ისევ საერთო ინტერესის ობიექტი იყო.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიზაციის მესამე ტალღის დაწყების შემდეგ რეგიონში დემოკრატიის საკითხმა პირველ პლაზე გადაინაცვლა. შესაბამისად, მისი დაცვა „რიოს ჯგუფის“ ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახდა.

1999 წელს რიოს ჯგუფის პრინციპები: დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვა, მშვიდობა, უსაფრთხოება და განიარაღება, რეგიონში ქმედითი ინსტიტუტების შექმნა და მულტილათერალიზმის გაძლიერება მკაფიოდ განისაზღვრა. „რიოს ჯგუფმა“ თავისი ეფექტურობა პრაქტიკულადაც დაადასტურა, როდესაც 1998 წელს ეკვადორსა და პერუს შორის სამხედრო დაპირისპირებების შეწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა (O'Toole, 2013:289). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 2010 წელს „რიოს ჯგუფი“ ლათინური ამერიკის დღემდე უდიდეს რეგიონულ ორგანიზაციად „ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის გაერთიანებად“ გარდაიქმნა.

როგორც გამოჩნდა, რეგიონული ინტეგრაცია 1950 წლიდან დაწყებული 1980-იანი წლების ბოლომდე ლათინური ამერიკისთვის ისევ ბოლივარისეულ ოცნებად რჩებოდა. სამწუხაროდ, რეგიონში არათუ უბრალოდ რეალური გაერთიანების შექმნა მოხერხდა, არამედ მისი ფრაგმენტაცია დაიწყო. რა გახდა ამის მიზეზი? ჩემი აზრით, პოლიტიკური ასპექტებისგან დისტანცირებამ რეგიონული ინიციატივების კრაზი განაპირობა. პოლიტიკური ვნებათაღელვით მდიდარი ლათინური ამერიკის პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი ინტეგრაცია რეალობას არ შეესაბამებოდა. საბოლოოდ, ახალმა ეკონომიკურმა გაერთიანებებმა, ხშირ შემთხვევაში,

პოლიტიკური გავლენის თავიდან აცილება ვერ მოახერხეს, რამაც ისინი ორ ცეცხლს შუა მოაქცია და საერთოდაც მოუქნელი გახადა. მათ ისიც კი ვერ გაარკვიეს, თუ რისთვის შეიქმნენ და რა მიზანს ემსახურებოდნენ. ამავდროულად, ლათინურ ამერიკაში პოლიტიკური ინდეფერენტულობაც იყო გავრცელებული, რაც, ვფიქრობ, ინდივიდუალურ პოლიტიკურ პრეფერენციებსა და ინტეგრაციის მოსალოდნელ შედეგებს შორის არსებული ბუნდოვანი საზღვრით იყო განპირობებული.

თავი 3: ახალი რეგიონალიზმი

„მგონი, პოლიტიკური იმპოტენცია გვჭირს. პოლიტიკური ვიაგრა გვჭირდება“ - უგო ჩავესი, 2006 (Reuters, 2013).

1989 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა ჯონ ვილიამსონმა ახალი ათპუნქტიანი ეკონომიკური ფორმულა გააჟღერა, სახელწოდებით „ვაშინგტონის კონსენსუსი“, რომელიც ლათინურ ამერიკას 1980-იანი წლების კრიზისისგან გამოსვლაში უნდა დახმარებოდა. ვილიამსონის იდეა ვაშინგტონში განთავსებულ ინსტიტუტებს: საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკსა და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს უნდა განეხორციელებინა.

„ვაშინგტონის კონსენსუსის“ ათი პუნქტი ისეთ საკითხებს მოიცავდა, როგორცაა: ფისკალური პოლიტიკა, საგადასახადო სისტემა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, დერეგულაცია, კერძო საკუთრების უფლება და ა.შ. ვილიამსონის ინიციატივას ნეოლიბერალიზმის ორიენტაცია ჰქონდა, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს ბაზარზე დაფუძნებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე აკეთებდა (Hudson, 2015:69; Serra & Stiglitz, 2008).

1990-იან წლებში ლათინურ ამერიკაში დაპირებული ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება ვერ მოხერხდა. რეგიონში მემარჯვენე კურსმა მოლოდინი ვერ გაამართლა და საზოგადოებას იმედი გაუცრუა. იქ გარდამტეხი ეტაპი მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიებს შორის 1998 წელს მოხდა, როდესაც ვენესუელის პრეზიდენტად უგო ჩავესი აირჩიეს. სწორედ აღნიშნული პერიოდიდან დაიწყო ლათინური ამერიკის ქვეყნების ხელისუფლების სათავეში მემარცხენე, სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული ძალების მოსვლა, რომელიც „ვარდისფერი ნაკადის“ სახელით არის ცნობილი. მემარცხენე ძალები მოვიდნენ ჩილეს, ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის, ბოლივიის, ნიკარაგუას, ეკვადორის, გვატემალას, ჰონდურასისა და პარაგვაის ხელისუფლების სათავეში, რომლებიც საკუთარ თავს სოციალისტებს, ლათინურ ამერიკისმცოდნეებს ან ანტიიმპერიალისტებსაც უწოდებდნენ (Gonzalez, 2018; North & Clark, 2017; Wylde, 2012).

თუმცა, ლათინური ამერიკა როგორ იქნებოდა, იქ პოლიტიკური პროცესები სწრაფად რომ არ იცვლებოდეს? მემარცხენე ტალღას ბოლო წლებში იქ ისევ მემარჯვენე მოჰყვა. აღნიშნული ტენდენცია 2015 წელს ბრაზილიის მემარცხენე პრეზიდენტის, დილმა რუსეფის იმპიჩმენტის შემდეგ იწყება. მაგრამ ამჯერად ეს მხოლოდ ლათინურ ამერიკას არ შეეხება. რეგიონის მემარჯვენე ტალღაზე გადართვაზე გლობალურმა პროცესებმაც მოახდინა გავლენა. შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევამ და ევროპაში ულტრამემარჯვენე პარტიების გაძლიერებამ გავლენა იქონია სამხრეთ ამერიკაზეც. 2015 წელს არგენტინის მემარცხენე პრეზიდენტი კრისტიანა კირხნერი მემარჯვენე მაურისიო მაკრიმ ჩაანაცვლა. ბრაზილიაში 2016 წელს დილმა რუსეფი მიშელ ტემერმა, ხოლო ჩილეში 2018 წელს მიშელ ბაჩელეტი სებასტიან პინიერამ შეცვალა. აღნიშნულმა დაყოფამ თავისი გავლენა რეგიონალიზმზეც მოახდინა და იგი ორ ნაწილად: მემარცხენე და მემარჯვენე რეგიონალიზმად გაიხლიჩა.

3.1. მერკოსური: გაერთიანება თუ ფრაგმენტაცია?

1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან ლათინურ ამერიკაში ინტეგრაციული მოძრაობა გამოცოცხლდა, რაც, ვფიქრობ, რეგიონში დემოკრატიზაციის მესამე ტალღის დაწყებასა და ახალ დემოკრატიებს შორის თანამშრომლობის სურვილთან იყო დაკავშირებული.

მსოფლიო ეკონომიკაში გატარებული გარდაქმნებისა და ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორცილებული პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, 1990-იანი წლების დასაწყისიდან, მთელ ლათინურ ამერიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მეორე მსოფლიო ომის ბოლოდან შეერთებული შტატების წინამძღოლობით ნეოლიბერალიზმი წამყვანი იდეოლოგია გახდა, რამაც თავისი გავლენა სამხრეთზეც იქონია.

ახალი რეგიონალიზმის დაწყება ლათინურ ამერიკაში 1990-იანი წლების დასაწყისში ახალი რეგიონული გაერთიანების - სამხრეთ ერთიანი ბაზრის (ესპ. Mercado Común del Sur, პორტ. Mercado Comum do Sul), იგივე მერკოსურის შექმნით აღინიშნა, რომელმაც იქ რეგიონალიზმის ხასიათი და გაგება ძირფესვიანად შეცვალა.

აღსანიშნავია, რომ მერკოსურის ჩამოყალიბება სამხრეთ ამერიკის ორი წამყვანი ძალის: ბრაზილიისა და არგენტინის თანამშრომლობას უკავშირდება. 1980-იანი წლების დასაწყისიდან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესება დაიწყო. 1985 წელს ოფიციალურმა ბრაზილიამ და ბუენოს აირესმა „ფოს დე იგუასუს დეკლარაცია“ გააფორმეს და ორი ქვეყნის ინტეგრაციის შესაძლებლობების შესასწავლად სპეციალური კომისიაც ჩამოაყალიბეს. აღნიშნული კომისიის შექმნა, ჩემი აზრით, პარადოქსული მოვლენა იყო, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული ორ ქვეყანას შორის რეგიონული ლიდერობისთვის გამალებული პაექრობა მიმდინარეობდა. თუმცა, იქ არსებულმა რეალობამ და ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ მათ თავიანთი პოზიციების გადახედვისკენ უბიძგა. საბოლოოდ, სამხრეთ ამერიკის ორმა ეკონომიკურმა ლიდერმა 1986 წლის ივლისში არგენტინა-ბრაზილიის ინტეგრაციის პროგრამას მოაწერა ხელი. შეთანხმების მიზანი სოფლის მეურნეობის, ბირთვული ენერჯის, ვაჭრობის, კულტურის, საგადასახადო სისტემისა და სამხედრო თანამშრომლობის განვითარება იყო. როგორც ვხედავთ, პოლიტიკური ინტეგრაციის იდეა მაშინ არ გაჟღერებულა. ორი წლის შემდეგ უკვე „არგენტინა-ბრაზილიის ინტეგრაციისა და ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის“ შეთანხმება გაფორმდა, რამაც მერკოსურის შექმნას დაუდო საფუძველი (“Dispute Settlement”, 2003:8; Rivera, 2014:226).

აღსანიშნავია, რომ ინტეგრაციის იდეა თავიდანავე გასცდა არგენტინისა და ბრაზილიის საზღვრებს და სამხრეთ კონუსის კიდევ ორ ქვეყანაში გახდა ინტერესის ობიექტი. მეზობელი ურუგვაი და პარაგვაი არგენტინისა და ბრაზილიის ეკონომიკაზე დიდად იყო დამოკიდებული. შესაბამისად, მათ ინტეგრაციის გეგმაში ჩართვის სურვილი გამოთქვეს (Giordano, Lanzafame..., 2005:95).

საბოლოოდ, 1991 წლის 26 მარტს ოთხი ქვეყანა პარაგვაის დედაქალაქში ერთმანეთს შეხვდა და ასუნსიონის შეთანხმებას მოაწერა ხელი. ამით მერკოსური ოფიციალურად ჩამოყალიბდა (O'Keefe, 2009:81-82).

შეთანხმების მიხედვით, გაერთიანების მთავარი მიზანი ინტეგრაციის გზით საშინაო ბაზრის გაფართოება, ხოლო ლათინურ ამერიკაში სოციალური სამართლიანობის ხელშესაწყობად ეკონომიკური ზრდა იყო. ასევე, ის სავაჭრო ბარიერების გაუქმებას, საქონლის თავისუფალი გადაადგილებას, ერთიანი საგარეო ტარიფის შემოღებასა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ითვალისწინებდა. დოკუმენტი ბლოკის წევრ-ქვეყნებს იმპორტთან ბრძოლის, ერთობლივი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისკენაც მოუწოდებდა (Schmidt, 2017).

მერკოსურის იდეა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. მიმაჩნია, რომ ჩამოთვლილი სახელმწიფოების გაერთიანება სრულიად ლოგიკური იყო. გეოგრაფიულად დაკავშირებული ოთხი ქვეყანა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით ერთმანეთზე ისედაც იყო მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული. შესაბამისად, მერკოსური რეგიონალიზმის მოთხოვნებში იდეალურად ჩაჯდა.

1991-99 წლები მერკოსურის ოქროს წლები იყო. ბლოკის საშინაო ვაჭრობა 1990 წლის 4 მილიარდი ამერიკული დოლარიდან 10 წელიწადში 1000%-ით გაიზარდა და 2000 წლისათვის 40 მილიარდი შეადგინა (Felter & Renwick, 2018). ამავე პერიოდში მერკოსურის საერთაშორისო ვაჭრობა 11-დან 20%-მდე გაიზარდა და 122 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. არსებობის პირველი რვა წლის განმავლობაში ექსპორტის რაოდენობამ 70, ხოლო იმპორტისამ კი 80 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. ინტარეგიონული ვაჭრობა 8.9-დან 25%-მდე გაიზარდა, რაც რიცხვებში 11 მილიარდი ამერიკული დოლარიდან 20 მილიარდამდე ზრდის ტოლფასი იყო. ეს კი, ძირითადად, სავაჭრო ტარიფების შემცირებით იყო მიღწეული. მაგალითად, 1995 წლისთვის, როდესაც მერკოსური საბაჟო კავშირად ჩამოყალიბდა, წევრი-ქვეყნებისთვის ტარიფები ბრაზილიაში 80-დან 12, არგენტინაში 26-დან - 11.9, ურუგვაიში 32-დან - 10.5, ხოლო პარაგვაიში 71.7-დან 10.2%-მდე შემცირდა.

შთამბეჭდავი იყო ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლის ზრდაც. 1990-იანი წლების დასაწყისიდან ბოლომდე იგი ბრაზილიაში 7900-დან 8500 ამერიკულ დოლარამდე, არგენტინაში 6000-დან - 9000, ურუგვაიში 6800-დან - 9000, ხოლო პარაგვაიში კი 2600-დან 2900 ამერიკულ დოლარამდე გაიზარდა (Lomeu Campos, 2016:862-65).

ეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად შთამბეჭდავი იყო მერკოსურის პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის მაჩვენებლებიც. ორგანიზაციის შექმნის დღიდან წევრ-ქვეყნებს შორის არსებული ისტორიული სასაზღვრო დავები და ერთმანეთთან შეიარაღების შეჯიბრიც განელდა. გაუმჯობესდა თანამშრომლობა და მშვიდობის ზონაც ჩამოყალიბდა. შემცირდა ბრაზილიასა და არგენტინას შორის სამხედრო დაპირისპირების შესაძლებლობაც. ვფირობ, მერკოსურის მხარდაჭერამ დემოკრატიის, როგორც მმართველობის ლეგიტიმური სისტემის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის მიმართ ლათინური ამერიკის დემოკრატიზაციის პროცესზე დადებითი გავლენა მოახდინა.

XXI საუკუნეში სამხრეთ ამერიკაში რეგიონული თანამშრომლობის იდეის პოპულარობის ზრდასთან ერთად გაჩნდა შეხედულება, რომ სწორედ მერკოსური იყო ის გაერთიანება, რომელიც მთელი რეგიონის ფართომასშტაბიან ინტეგრაციას განახორციელებდა. ამის თქმის საშუალებას კი, ჩემი აზრით, მერკოსურის ორი გიგანტის: ბრაზილიისა და არგენტინის პრეზიდენტების - ლუის იგნასიო ლულა და სილვასა და ნესტორ კირხნერის საგარეო და საშინაო პოლიტიკის დღის წესრიგში რეგიონული ერთობის იდეის ცენტრალურ ადგილას დაყენება იყო. კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყნისათვის ერთობა საინტერესო გახდა. მერკოსურის გავლენის ზრდაზე იმოქმედა 2003 წელს ბუშის ადმინისტრაციასთან ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობამაც, რომელშიც მერკოსური ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დასავლეთ ნახევარსფეროში შეერთებული შტატების პოლიტიკით უკმაყოფილონი იყვნენ, ლიდერი გახდა, რომელსაც ვაშინგტონთან მკაცრი საუბარი შეემლო (Cason, 2011; Gupta & Samuel, 2006:179).

პოლიტიკური ინტეგრაციის კუთხით ორგანიზაცია, ძირითადად, დემოკრატიისა და რეგიონული მშვიდობის მხარდაჭერას განაგრძობდა. არგენტინასა და ბრაზილიას შორის იქამდე არსებული მეტოქეობა თანამშრომლობაში გადაიზარდა. თუმცა, ვფიქრობ, დიპლომატიური კუთხით მერკოსურს საკმაოდ მოკრძალებული შედეგები ჰქონდა. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ორგანიზაციის ცნობადობა და გავლენა საკმაოდ დაბალია. თუმცა, ამის მიუხედავად, მერკოსური რეგიონის წამყვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკია, რომელიც ლათინური ამერიკის ორ უმსხვილეს ეკონომიკას აერთიანებს. ბრაზილიასა და არგენტინაზე მერკოსურის მთლიანი შიდა პროდუქტის 95% მოდის (Felter & Renwick, 2018).

აღსანიშნავია, რომ მერკოსურის წევრობისთვის დემოკრატიული მთავრობის არსებობა აუცილებელი მოთხოვნაა. ვფიქრობ, ამ დეტალმა სამხედრო დიქტატურების დასრულების შემდეგ დემოკრატიის კონსოლიდაციას შეუწყო ხელი, რაც სამხრეთ ამერიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

ჩემი აზრით, მერკოსურის ჩამოყალიბება არგენტინისა და ბრაზილიის პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. შესაბამისად, იგი სახელმწიფოს მიერ მართულ პროექტად გვევლინება, რომლის საკვანძო ელემენტი საპრეზიდენტო დიპლომატია გახდა. ზოგადად, ლათინურ ამერიკაში პრეზიდენტებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცენტრალური ადგილი უკავიათ. შეიძლება ითქვას, რომ მათგან ლიდერობას, მართვას მოელიან კიდევ. გამონაკლისი არც მერკოსურის შექმნის გადაწყვეტილება ყოფილა. ოთხმა პრეზიდენტმა მერკოსურის ჩამოყალიბებასა და ინტეგრაციული პროცესის დაწყებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. ისინი კარგად აცნობიერებდნენ და მხარს უჭერდნენ ინტეგრაციას რეგიონული მშვიდობისა და დემოკრატიის გასამდიერებლად, რასაც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებელიც ექნებოდა.

ვფიქრობ, მერკოსურის ეკონომიკური ინტეგრაციის იდეას პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდა, რაც რეგიონის პოლიტიკურ ლიდერებს შორის ნდობის გაღრმავებითა და დემოკრატიის მხარდაჭერის სურვილით იყო განპირობებული. ფაქტია, რომ ლათინური ამერიკის ცალკეულ ქვეყნებს მსოფლიო წესრიგზე გავლენის

მოხდენის უნარი არ შესწევთ, თუმცა ერთად მათ საერთაშორისო გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

ბრაზილია, როგორც ლათინური ამერიკის ლიდერი სახელმწიფო, მერკოსურის ჩამოყალიბებაში წამყვან როლს თამაშობდა. ჩემი აზრით, ეს ბუნებრივიც იყო, რადგან მას სხვებზე გავლენის მოხდენისა და ლიდერობის ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს. აღვნიშნავ იმასაც, რომ ბრაზილიას გაერთიანების ჩამოყალიბება სჭირდებოდა კიდევ, რადგან 1990-იანი წლების დასაწყისისთვის ქვეყნის ეკონომიკა მძიმე ვითარებაში იყო, ამას კი სავაჭრო და ვალების კრიზისიც ემატებოდა. საინტერესოა, რომ თავისი მასშტაბების მიუხედავად, ბრაზილიას მერკოსურის დანარჩენ სამ წევრთან შედარებით, შიდა რეგიონული ვაჭრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა. ბრაზილიელები თავიანთი ქვეყნის პოტენციალს კარგად აცნობიერებდნენ. ისინი საბოლოოდ მიხვდნენ, რომ რეგიონული ინტეგრაცია ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა და აღნიშნული იდეის რეალიზაციას აქტიურად შეუდგნენ.

მიმაჩნია, რომ ბრაზილიას ნაციონალური პოლიტიკური მოტივები ამოდრავებდა. ინტეგრაცია ქვეყნის ავტონომიის დაცვისა და საერთაშორისო სტრატეგიის ნაწილიც იყო. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ბრაზილიასა და არგენტინას შორის დამაბული ურთიერთობა იყო. ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ურთიერთდამოკიდებულებას კი ვითარების განმუხტვა შეეძლო. გარდა ამისა, რეგიონის ახალ დემოკრატიებს დაცვა და გაძლიერება სჭირდებოდა. ჩამოთვლილი მიზეზების გამო ბრაზილიამ გადაწყვიტა, რომ ინტეგრაციის პროექტი საკუთარ თავზე აეღო.

ბრაზილიის დამოკიდებულება მერკოსურისადმი ორგანიზაციის მდგომარეობაზე უდიდეს გავლენას ახდენდა. ამიტომ, ქვეყნის ხელისუფლების ხედვის ცვლილებამ მერკოსურის განვითარების გზაც რადიკალურად შეცვალა.

ბრაზილია XXI საუკუნეში საკუთარ თავს უკვე არა მერკოსურის, არამედ გლობალურ ლიდერად ხედავდა და რეგიონული ორგანიზაციის მიმართ ინტერესი გაუწეულდა. ჩემი აზრით, 1990-იან წლებში ბრაზილიას სამხრეთ ამერიკის ინტეგრაცია ძალების მოსაკრებად და რეგიონული ლიდერობისთვის სჭირდებოდა, რაც 2000-იანი წლებიდან ქვეყნისთვის აქტუალური აღარ იყო. 2010 წლისთვის იგი უკვე მსოფლიოს

მეშვიდე ეკონომიკა გახდა, როდესაც 1980 წელს მხოლოდ მე-17 იყო. საერთაშორისო სისტემაში ბრაზილია ანგარიშგასაწევრი ეკონომიკური ძალა გახდა. ქვეყანამ ყურადღება უფრო მასშტაბურ პროექტებს მიაპყრო, ვიდრე მისი აზრით მერკოსური იყო. მისი ეკონომიკა ინდოეთის, რუსეთისა და ჩინეთის ეკონომიკის გვერდიგვერდ მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი გახდა.

ბრაზილიის შემცირებულმა ყურადღებამ მერკოსურის მიმართ ორგანიზაციის სტაგნაცია გამოწვია. ქვეყანა უკვე სამხრეთ ამერიკის ფარგლებს გარეთ იყურებოდა - განავითარა ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობა აზიასთან, ევროკავშირსა და შერეულ შტატებთან. მისთვის ჩინეთისა და ინდოეთის უზარმაზარი ბაზრების კარი გაიხსნა. გარდა ამისა, ბრაზილიამ, როგორც ერთ-ერთმა პოტენციურმა მსოფლიო ლიდერმა, ქვეყნის შიგნით არსებულ პრობლემებს უფრო მეტი ყურადღება მიაპყრო, რადგან ცხადია, რომ დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და რეგიონში მშვიდობის განვითარების გარეშე ქვეყანა საერთაშორისო გავლენას ვერ მოიპოვებდა. თავის პირველ საპრეზიდენტო სიტყვაში 2003 წელს ბრაზილიის ახალმა ლიდერმა ლულა და სილვამ განაცხადა, რომ ბრაზილიის მთავარი მიზანი სუვერენულ და ღირსეული სახელმწიფოდ ქცევა იყო, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე თავისი წონა ექნებოდა, რაც ქვეყნის ჰორიზონტს გააფართოებდა (Morrison, 2006:343).

მას შემდეგ, რაც ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა და ქვეყნის ავტონომიასაც საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ბრაზილიისთვის საერთაშორისო საკითხები ისეთივე პრიორიტეტული გახდა, როგორც ნაციონალური ინტერესები. თუმცა, ბრაზილიის, როგორც გლობალური ლიდერის იდეის პოპულარიზაციასთან ერთად, მასსა და არგენტინას შორის ისტორიული მეტოქეობა განახლდა. ბრაზილიის ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ და საერთაშორისო ბაზრებზე გადართვამ ბლოკში უთანასწორობა გაზარდა და წევრებს შორის ურთიერთობა დაძაბა (Ebert & Flemes, 2018; Burbach, Fox & Fuentes, 2013).

ბრაზილიის ასეთი შეცვლის შემდეგ სხვა წევრი-სახელმწიფოები უკვე მისი ლიდერის სტატუსს აღარ შეეგუებოდნენ და არც მისი მიმდევრები იქნებოდნენ. ნათელი ხდებოდა, რომ ასე ბრაზილია რეგიონულ ინტეგრაციას უკვე ვეღარ

უხელმძღვანელებდა. აქედან გამომდინარე, ანდრეს მალამუდმა აღნიშნა, რომ ბრაზილია „გახდა ლიდერი მიმდევრების გარეშე“ (Malamud, 2011:11-14).

ასე რომ, ახალი რეგიონული ინტეგრაციის პროექტის დაწყებისკენ 1990-იანი წლების დასაწყისში ბრაზილიას სუსტი ეკონომიკისა და დემოკრატიის გაძლიერების სურვილმა უბიძგა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ეკონომიკა და დემოკრატია გაძლიერდა, ბრაზილიის ხელისუფლებამ ყურადღება უკვე საერთაშორისო სივრცეს მიაპყრო, საიდანაც მას უფრო მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის მიღება შეეძლო, ვიდრე მერკოსურის პირობებში. ვფიქრობ, რომ ბრაზილიისთვის ავტონომიისა და სუვერენიტეტის დათმობა მიუღებელი იყო, რადგან ალბათ ხელისუფლებმა ჩათვალეს, რომ მოსალოდნელი შედეგი დათმობილს არ აღემატებოდა.

მერკოსურის მიღწევები და ჩავარდნები უკანასკნელი 27 წლის განმავლობაში სხვადასხვაგვარად არის შეფასებული. მას წარმატებულ რეგიონულ ბლოკსაც უწოდებენ და ჩავარდნილ პროექტსაც. როგორც არ უნდა იყოს, მასზე პასუხისმგებლობა, ჩემი აზრით, ბრაზილიას ეკისრება.

მერკოსური დღეს საბაჟო კავშირსა და თავისუფალი ვაჭრობის ზონას წარმოადგენს და, ევროკავშირის მსგავსად, ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების მიზანი აქვს. თუმცა შექმნიდან ამ მიზნის მიღწევა ჯერაც ვერ მოხერხდა. უკანასკნელ წლებში გაერთიანების ქმედითუნარიანობა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რაც, ჩემი აზრით, ორგანიზაციის პოლიტიკურად მოტივირებული სუბიექტური გადაწყვეტილებებით იყო გამოწვეული. მერკოსურის ანგარიშზე ამ ეტაპზე ორი გახმაურებული პოლიტიკური სკანდალია: 1) პრეზიდენტის იმპიჩმენტის გამო პარაგვაისთვის წევრის სტატუსის დროებით შეჩერება და 2) უგო ჩავესის დროინდელი ვენესუელის ორგანიზაციაში სრულუფლებიან წევრად მიღება.

შექმნის მომენტში მერკოსურის ერთ-ერთი მთავარი მიზანი რეგიონის რედემოკრატიზაციის ხელშეწყობაც იყო, რადგან თითოეულმა წევრმა-ქვეყანამ დიქტატურის სასტიკი წლები საკუთარ თავზე გამოსცადა. 1998 წელს ორგანიზაციის წევრებმა დემოკრატიული ვალდებულების უმუაიას პროტოკოლს მოაწერეს ხელი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნამდვილი, ქმეთიდი დემოკრატიული ინსტიტუტების

არსებობა მერკოსურში ინტეგრაციისთვის აუცილებელია, ხოლო დემოკრატიული წესრიგის დარღვევა წევრი-ქვეყნის სტატუსის შეჩერებას გამოიწვევს (Dominguez, 2004:146). მერკოსურში ეს პროტოკოლი პირველად 2012 წელს ამოქმედდა. პარაგვაიში პრეზიდენტი ფერნანდო ლუგო სამოქალაქო არეულობის გამო ქვეყნის კონგრესმა იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენა. ამ ფაქტმა ბრაზილიასა და არგენტინაში უკმაყოფილება გამოიწვია. ორმა ქვეყანამ კონგრესის ქმედება სახელმწიფო გადატრიალებად შერაცხა და პარაგვაის მერკოსურის წევრის სტატუსი შეუჩერა (BBC, 2012; Nejamkis & Flor, 2012).

ვფიქრობ, ეს ფაქტი ისეთი წინააღმდეგობრივი არ იქნებოდა, რომ არა სამი ქვეყნის მორიგი შეთანხმებული გადაწყვეტილება. პარაგვაისთვის წევრის სტატუსის შეჩერების პარალელურად ორგანიზაციაში ახალი წევრი - ვენესუელა სრულუფლებიანი წევრის სტატუსით მიიღეს. პარაგვაი კი ვენესუელის მერკოსურში გაწევრიანებას წლების მანძილზე აქტიურად ეწინააღმდეგებოდა. ბრაზილიამ, არგენტინამ და ურუგვაიმ პარაგვაის მდგომარეობით ისარგებლეს და ვენესუელა სასწრაფო წესით გააწევრიანეს. იქნებ მათ სულაც ლუგოს იმპიჩმენტი თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამოიყენეს? ფაქტია, რომ სამი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით კი, ბრაზილიისთვის პარაგვაი ვენესუელას ორგანიზაციაში მისაღებად ერთადერთი დაბრკოლება იყო, რომელიც მათ მალევე დაძლიეს.

ბრაზილია მერკოსურში ვენესუელის ინტეგრაციასთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ ნავთობით მდიდარი ქვეყნის გაწევრიანება მერკოსურს გლობალურ ენერგოძალად აქცევდა, თუმცა ეს ასე არ მომხდარა (Cormier, 2016).

ვფიქრობ, ვენესუელას მერკოსურში გაწევრიანება შეცდომა იყო, რადგან ქვეყანა ბლოკის რეგულაციებს ვერ პასუხობდა.

კარაკასის მერკოსურში გაწევრიანებამ მის მომავალთან დაკავშირებით გარკვეული შეკითხვები გააჩინა. ვენესუელას ორგანიზაციაში შესვლა „ტროას ცხენს“ შეადარეს, რადგან ჩავესის „XXI საუკუნის სოციალიზმი“ გაერთიანების თავისუფალი ვაჭრობის იდეასთან შეუთავსებელი იყო, რაც მის ფუნქციონირებას საფრთხის წინაშე აყენებდა (Plummer, 2013).

ჩავესი ამბობდა, რომ იგი გაერთიანებას „პოლიტიკურ ვიაგრას“ მისცემდა და მას ნეოლობერალიზმისგან გაწმენდა (The Economist, 2012). ვენესუელის მერკოსურში გაწევრიანებასთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო. ზოგი ფიქრობდა, რომ ქვეყანა ორგანიზაციის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, ზოგი მისი გაწევრიანებით მერკოსურის ეკონომიკური მაჩვენებლების დაბალანსებაზე საუბრობდა, რადგან მასში მხოლოდ ორი ქვეყანა დომინირებდა.

ვფიქრობ, მაშინ როდესაც მერკოსურში წამყვან ეკონომიკურ ძალას ბრაზილია და არგენტინა წარმოადგენდა, ვენესუელას თავისი ენერგორესურსებითა და ეკონომიკური პოტენციალით ბლოკში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა მართლაც შეეძლო. თუმცა, რეალურად, პირიქით მოხდა. ვენესუელის უკიდურესმა ეკონომიკურმა კრიზისმა და პოლიტიკურმა ქაოსმა მერკოსური სირთულეების წინაშე დააყენა. კარაკასის მერკოსურში გაწევრიანებიდან მალევე ვენესუელასა და დანარჩენ წევრ-ქვეყნებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რამაც ორგანიზაციის ფუნქციონირება შეაფერხა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო ვენესუელას მერკოსურის წევრის სტატუსი შეუჩერეს (Boothroyd Rojas, 2016; BBC Mundo, 2015; Aljazeera, BBC, El Pais, 2016; Soto, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლების ეკონომიკურ ინტეგრაციაში მერკოსურმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, 2010-იან წლებში ბლოკის საშინაო ვაჭრობა შემცირდა. ამას პოლიტიკური უთანხმოებებიც დაემატა, რამაც პროგრესი და ვაჭრობის ლიბერალიზაცია შეაფერხა. მერკოსურის ზრდის ტემპები შენედა (Felter & Renwick, 2018).

ორგანიზაციამ წლების განმავლობაში ვერც გაფართოება მოახერხა და დღემდე ძალიან მცირე რაოდენობის სახელმწიფოებს აერთიანებს. გარდა ამისა, ეკონომიკური თვალსაზრისით, მერკოსურის წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობის მაჩვენებელი 1998 წლის 25%-დან 2012 წლისთვის 10%-მდე შემცირდა. 2019 წლისთვის ოთხ ქვეყანას შორის ვაჭრობის მაჩვენებელი კი იმ ნიშნულს გაუტოლდა, რომელიც ორგანიზაციის შექმნამდე არსებობდა.

ვენესუელის საკითხის პარალელურად მერკოსურში პოლიტიკური არეულობა გრძელდებოდა. 2014 წელს ბრაზილიაში კორუფციული სკანდალი აგორდა,

რომელშიც არაერთი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირი და უმსხვილესი კორპორაცია აღმოჩნდა ჩართული. ამას 2016 წლის 12 მაისს ქვეყნის პრეზიდენტ დილმა რუსევის უფლებამოსილების შეჩერება მოჰყვა. ამავდროულად, ეკონომიკის არასწორი კურსის გამო ლათინურ ამერიკაში ეკონომიკური მაჩვენებლები გაუარესდა. 2016 წელს ბრაზილიის ეკონომიკა ზრდის ნაცვლად 4%-ით, ვენესუელის კი 19%-ით შემცირდა (Kwan Yuk, 2017, Pons, 2017).

მერკოსურის წინააღმდეგ მოქმედებს ის ფაქტიც, რომ 2016 წელს არგენტინა ახალი გაერთიანების - წყნარი ოკეანის ალიანსის დამკვირვებელი სახელმწიფო გახდა, ხოლო 2017 წელს კი ჩილესთან ახალი სავაჭრო შეთანხმება დადო, რაც იმის მანიშნებელია, რომ მას მერკოსურთან დაკავშირებით შორსმომავალი გეგმები არ აქვს (Iricibar, 2016; Minsiterio de Relaciones Exteriores de Chile, 2017). გარდა ამისა, რეგიონში კიდევ რამდენიმე რეგიონული ინიციატივა გამოჩნდა, რომელიც მერკოსურის ეფექტიანობას საფრთხის ქვეშ აყენებს. თუმცა, ამის მიუხედავად, მერკოსური 2019 წლისთვის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური ბლოკი და მეხუთე უმსხვილესი ეკონომიკაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის უზარმაზარ პოტენციალს. ორგანიზაცია 295 მილიონ ადამიანს და 3.5 ტრილიონი აშშ დოლარის მთლიან შიდა პროდუქტს აერთიანებს, რის გამოც იგი ლათინური ამერიკის ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ინტეგრაციული პროექტია (Ministry of Foreign Affairs of Brazil).

3.2. „ვარდისფერი რეგიონალიზმი“ ლათინურ ამერიკაში

2001 წელს კარიბის ზღვის კუნძულ მარგარიტაზე გამართულ კონფერენციაზე ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა სიმონ ბოლივარის სამხრეთ ამერიკის გაერთიანებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პოლიტიკური ოცნების განხორციელების სურვილის შესახებ განაცხადა. „ჩვენ კარაკასიდან ვაგრძელებთ ჩვენი ქვეყნებისა და რესპუბლიკების პოლიტიკური ინტეგრაციის მიღწევას

ბოლივარიუსული იდეის მხარდაჭერას. ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების კონფერენცია, რატომაც არა?“ - განაცხადა ჩავესმა (Hirst).

შეერთებული შტატების მიერ ინიცირებული „ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ პასუხად, 2004 წელს უგო ჩავესის ვენესუელამ და ფიდელ კასტროს კუბამ ახალი რეგიონული ორგანიზაცია - „ამერიკის ბოლივარიუსული ალტერნატივა - ალბა“ ჩამოაყალიბეს, რომელსაც 2009 წელს „ამერიკის ბოლივარიუსული ალიანსი“ ეწოდა (O'Toole, 2013:260; Muhr, 2014:28-42).

თუ ორგანიზაციის დამფუძნებელი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ კურსს გავითვალისწინებთ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რატომ ასოცირდება ალბას სახელი სოციალიზმსა და სოციალურ დემოკრატიასთან. ჩავესისა და კასტროს მიზანი სოციალურ კეთილდღეობაზე, გაცვლასა და ეკონომიკურ ურთიერთდახმარებაზე დაფუძნებული რეგიონული ინტეგრაცია იყო.

კუბისა და ვენესუელის შეთანხმება ორ ქვეყანას შორის სამედიცინო და საგანმანათლებლო რესურსებისა და ნავთობის გაცვლის იდეაზე აიგო. ჩავესი კუბაში დღიურად 96 ათასი ბარელის ოდენობის ნავთობს გზავნიდა შეღავათიან ფასად, სანაცვლოდ კი კასტრომ ვენესუელის ღარიბ შტატებში 20 ათასი სამედიცინო პერსონალი და ათასობით მასწავლებელი გაგზავნა. შეთანხმება ვენესუელელებს კუნძულზე მკურნალობის მიზნით გამგზავრებისა და უფასო მკურნალობის შესაძლებლობასაც აძლევდა (IBP, 2016:64-65).

ვფიქრობ, ჩავესის რეგიონული პროგრამა ინტერნაციონალისტური იყო, რომელიც სიმონ ბოლივარის ლათინური ამერიკის ინტეგრაციის ოცნებითა და ძალაუფლების ცენტრალიზაციის იდეით იყო შთაგონებული. ინტეგრაციის პოლიტიკაში, ბუნებრივია, საგარეო პოლიტიკას საკვანძო როლი ეკისრება. ჩავესის საგარეო პოლიტიკის მიზანი კი შეერთებული შტატების რეგიონული და გლობალური ჰეგემონიის დაბალანსება იყო, რომელიც, მისი აზრით, მრავალპოლარულ მსოფლიოში იქნებოდა შესაძლებელი (Briseño-Ruiz & Morales, 2017:6-7; Angosto-Ferrández, 2014:72-73). შეერთებული შტატებისთვის ზურგის შექცევა ჩავესმა გაპრეზიდენტების პირველსავე წელს დაიწყო. უფრო მეტიც, იგი ლათინური ამერიკის ხელისუფლებებს შტატებსა და ევროკავშირთან დადებული

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გამო ღიად აკრიტიკებდა. თუმცა, ამავდროულად, შეერთებულ შტატებსა და მის ახლო მოკავშირე კოლუმბიასთან კომერციულ ურთიერთობებს მაინც ინარჩუნებდა, რადგან მათთან ვაჭრობაზე ძალიან იყო დამოკიდებული. ალბა კი ქვეყნის საჭიროებების უზრუნველსაყოფად სულაც არ იყო საკმარისი (Peet, 2007; Collin & Martin, 2013:226-27; Hobbs, 2017:480).

სამხრეთ ამერიკის ინტეგრაციის იდეის მხადასაჭერად უგო ჩავესმა სხვადასხვა ინტეგრაციული გეგმა წამოაყენა, როგორც იყო სამხრეთ ამერიკის ენერგო ბაზარი და სამხრეთ ამერიკის განვითარების ბანკი, რომელთა მიზანი ჩრდილოეთზე დამოკიდებულების გარეშე სამხრეთის განვითარება იყო. მას ისეთი ორგანიზაციის შექმნა სურდა, რომელიც ვაშინგტონის გავლენისგან თავისუფალი იქნებოდა. ჩავესს ღრმად სწამდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი შეერთებული შტატების მიერ მართული ორგანიზაციები იყო (Hirst).

ალბამ 2006 წლიდან გაფართოება დაიწყო, როდესაც მასში ევო მორალესის მემარცხენე ბოლივია გაწევრიანდა. 2007 წელს გაერთიანებაში დანიელ ორტეგას ნიკარაგუა (პრეზიდენტი, რომელმაც 2009 წელს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა), 2008-2009 წლებში კი ეკვადორი და ჰონდურასიც გაწევრიანდნენ.

2009 წლის ოქტომბერში ალბას ბოლივიის სამიტზე ორგანიზაციის ლიდერები საერთო რეგიონული ვალუტის - სუკრეს შექმნაზე შეთანხმდნენ, რომელიც დღეისათვის ვენესუელას, ეკვადორს, ბოლივიას, ნიკარაგუასა და კუბას შორის ვაჭრობის ვირტუალურ ვალუტას წარმოადგენს (Fox, 2009).

მიმაჩნია, რომ ეკვადორისა და ბოლივიის ალბაში გაწევრიანება მათი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დონით აიხსნება. ორივე ქვეყანა, წლების განმავლობაში, ეკონომიკურ სირთულეებსა და პოლიტიკურ ქარტეხილებს ებრძვის. შებამისად, მათ ახალი ორგანიზაციისგან, რომლის სათავეშიც ნავთობით მდიდარი ვენესუელა იდგა, ალბათ, გარკვეული სარგებლის მიღების იმედი ჰქონდათ. რაც შეეხება რეგიონის წამყვან ქვეყნებს, როგორცაა ბრაზილია, არგენტინა და ჩილე, მათ გადაწყვიტეს, რომ კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინათ როგორც შეერთებულ შტატებთან, ასევე ვენესუელასთან. მაშინ, როდესაც ისინი ჩავესს

ინტეგრაციულ იდეებში მხარს უჭერდნენ, შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართულ ანტი-ჰეგემონიურ რიტორიკაში არ ერთვებოდნენ. რაც შეეხება კოლუმბიას, ვენესუელასთან არსებული ხანგრძლივი დამაბული ურთიერთობის გამო, ქვეყნის ალბაში გაწევრიანება ნაკლებად სავარაუდო იყო. მექსიკის ორგანიზაციაში გაწევრიანება კი, ვფიქრობ, „ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონის - ნაფტას“ არსებობის პირობებში თავიდანვე გამოირიცხა.

ჩამოყალიბების შემდეგ ალბამ არაერთი თამამი ინიციატივა წამოაყენა. მათგან განსაკუთრებით გამოვყოფ 2005 წლის 25 ივლისს, სიმონ ბოლივარის 222-ე დაბადების დღეზე რეგიონული ტელეკომპანიის - „ტელესურის“ მაუწყებლობის დაწყებას, რომელიც სპეციალურად ალბას ქვეყნებში მაუწყებლობისთვის შეიქმნა (Ludlam & Lievesley, 2013; Cannon, 2009:186).

აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანიის დირექტორთა საბჭო მემარცხენე ინტელექტუალებითაა დაკომპლექტებული. 2005 წელს ამერიკულმა გამოცემამ „ბოსტონ გლოუზმა“ „ტელესური“ „ტელეჩავესად“ მოიხსენია და აღნიშნა, რომ იგი CNN-ის ლათინოამერიკულ სოციალისტურ პასუხად შეიქმნა (Lakshmanan, 2005). ტელესურს პროპაგანდაში არაერთხელ დასდეს ბრალი, განსაკუთრებით კი, უგო ჩავესისა და მისი მემკვიდრის, ნიკოლას მადუროს ხელისუფლების სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ტელეკომპანიას რეგიონის ინტეგრაციაში დადებითი როლის შესრულება შეეძლო, იგი მემარცხენე ხელისუფლების ხელში პროპაგანდისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ალბა ამერიკის თავისუფალი ზონის ალტერნატიულ ეკონომიკურ და სავაჭრო მოდელად ჩამოყალიბდა, რომლის მიზანი წევრ-ქვეყნებს შორის ფინანსური და პოლიტიკური კავშირის გაძლიერება იყო, ორგანიზაციის წევრობა სამხრეთ ამერიკაში ოთხ სახელმწიფოს დღემდე ვერ გასცდა. უფრო მეტიც, ჩემი აზრით, თუ ვენესუელის უკიდურესად დამაბულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ალბას არსებობა დღეს საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ალბას იდეალებს შორის ლათინურ ამერიკაში საშინაო და საგარეო კონფლიქტების მოგვარებაც შედის, რაც წევრი-ქვეყნების აზრით, დიადი კოლუმბიის

აღსადგენად არის აუცილებელი. ორგანიზაცია XXI საუკუნის სოციალიზმის იდეოლოგიაზე არის აგებული, რომელიც კომუნიზმის ტროცკისეულ ინტერპრეტაციაზეა დაფუძნებული და რომელიც მექსიკელმა აკადემიკოსმა ჰანს დიტრიხმა ჩამოაყალიბა. აღნიშნული მოდელი წარმომადგენლობითი დემოკრატიის გაუქმებასა და ძლიერი კაუდილიოს მმართველობის შემოღებას ითვალისწინებს (Lebowitz, 2016).

ალბა მსოფლიო რევოლუციასაც უჭერს მხარს. ორგანიზაცია წევრ-ქვეყნებში რადიკალურ რევოლუციურ პროცესებს ახალისებს. როგორც ფერნანდო ბოსიმ აღნიშნა: „ალბა გლობალური რევოლუციის ერთ-ერთი თავია“. ასეთმა დამოკიდებულებამ გაერთიანების წევრი-ქვეყნები ისეთ რევოლუციურ ძალებთან დააკავშირა, როგორც არის: ირანი, ჰეზბოლა, კოლუმბიის შეიარაღებული რევოლუციური ძალები, კოლუმბიური ეროვნული განთავისუფლების არმია და ბასკური ტერორისტული ჯგუფი ესპანეთში - ეტა. ჩავესის მიხედვით, მსოფლიო რევოლუციის მიზანი ახალი საერთაშორისო წესრიგის შექმნა იყო. ალბაში მიიჩნევენ, რომ ახალი მრავალპოლარული მსოფლიოს შესაქმნელად არსებული წესრიგის დამარცხება არის საჭირო, ამისთვის კი აუცილებელია შეერთებული შტატების მსოფლიო ლიდერობა დასრულდეს (Hirst).

როგორც ვხედავთ, ჩავესის იდეის განსახორციელებლად შექმნილი ალბასა და მისი წევრების მიზანი, ერთობლივად, რესურსებით მდიდარი, რევოლუციური სამხრეთ ამერიკული ბლოკის შექმნა იყო, რომელიც არსებულ საერთაშორისო წესრიგს დაანგრევდა და ახალ მსოფლიო წესრიგს ჩამოაყალიბებდა. ჩემი აზრით კი, ორგანიზაციისა და მისი მიმდევრების მიზანი ქაოსის შექმნა და არსებული ვითარებით სარგებლობა იყო, რათა ბოლივარის დიადი კოლუმბია აღედგინათ.

2004 წელს სამხრეთ ამერიკის ინტეგრაციის ახალი გეგმა დაიბადა. 12 ქვეყნის წარმომადგენელმა კუსკოს დეკლარაციას მოაწერა ხელი, რომელმაც „სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა გაერთიანება“ ჩამოაყალიბა. გაერთიანების შექმნის მიზანი მერკოსურისა და ანდების ქვეყნების კავშირის გაერთიანების გზით რეგიონული ინტეგრაციის ხელშეწყობა იყო. არსებულ ქვეყნებს ჩილე, გაიანა და სურინამიც შეუერთდა. 2005-2006 წლების სამიტებზე გაერთიანების ლიდერებმა ორგანიზაციის

მიზნები ჩამოაყალიბეს და სტრატეგიული გეგმაც შეიმუშავეს. 2007 წელს გაერთიანებას სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა კავშირი - უნასური ეწოდა (Cano Linares, 2015:44-46; Winther, 2013:116-17).

განსხვავებით წინამორბედი ინტეგრაციული პროექტებისგან, უნასური ეკონომიკური და სავაჭრო ინტეგრაციის მიზნით არ შექმნილა. მისი ამოსავალი წერტილი პოლიტიკა, უსაფრთხოება და დემოკრატია იყო. ეკონომიკურმა და სავაჭრო საკითხებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა (“South American Union of Nations Constitutive Treaty”).

განსაკუთრებით გამოვყოფ უსაფრთხოების საკითხს. 2008 წელს ორგანიზაციის შიგნით სამხრეთ ამერიკის თავდაცვის საბჭო ჩამოყალიბდა, რომლის შექმნაც, უმეტესწილად, ბრაზილიის მიერ იყო წახალისებული. საბჭოს შექმნის მიზანი, პოლიტიკური დიალოგის გზით, რეგიონში პოტენციური სამხედრო დაპირისპირებების თავიდან აცილება იყო. თუმცა იგი დამოუკიდებელ პოლიტიკურ-სამხედრო ალიანსს არ წამოადგენს, რის გამოც მისი მასშტაბები შეზღუდულია.

საბჭოს შექმნის იდეა ვენესუელიდან წამოვიდა. ქვეყანამ ნატოს ანალოგის - სამხრეთ ამერიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის - სატოს შექმნა სცადა, რომელიც იმპერიალიზმისა და ნეოიმპერიალიზმის წინააღმდეგ ხმას აიმაღლებდა. თუმცა, ვინაიდან პროექტის განხორციელება შეერთებულ შტატებთან პირდაპირი დაპირისპირება იქნებოდა, რეგიონის სახელმწიფოების უმრავლესობამ მას მხარი არ დაუჭირა (Riggirozzi & Tussie, 2012:81-83; Hellinger, 2014:520; Winther, 2013:118).

მიუხედავად იმისა, რომ უნასური 12 წევრისგან შემდგარი რეგიონული ორგანიზაციაა, რთულია მისი მასშტაბური მონაპოვრების დასახელება. ორგანიზაციის მოქმედება, ძირითადად, რამდენიმე გახმაურებულ საქმეში მონაწილეობით შემოიფარგლება. მათ შორის, ფოლკლენდის კუნძულებისთვის არგენტინისა და გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტს, რომელშიც მან მხარი სამხრეთ ამერიკულ ქვეყანას დაუჭირა (UN, 2015).

2013 წლის ივნისში უნასურის ყურადღება სამხედრო საკითხმა მიიპყრო, როდესაც კოლუმბიის პრეზიდენტმა ხუან მანუელ სანტოსმა ნატოში

გაწევრიანებისთვის ორგანიზაციასთან კოოპერაციული ურთიერთობის დაწყების შესახებ განაცხადა. ამას ბოლივიის პრეზიდენტ ევო მორალესის თაოსნობით უარყოფითი რეაქციის დაწყება მოჰყვა. მორალესი სამხრეთ ამერიკის თავდაცვის საბჭოს სასწრაფო სამიტის შეკრებისკენ მოუწოდებდა, რათა კოლუმბიის მთავრობისგან ახსნა-განმარტებები მოეთხოვათ. უნასურში ნატოს საფრთხედ აღიქვამდნენ, რომელიც რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ემუქრებოდა. გაერთიანებაში ფიქრობდნენ, რომ ნატო კოლუმბიას რეგიონში შესაძლევად გამოიყენებდა, რათა მისი ბუნებრივი რესურსები ხელში ჩაეგდო, როგორც ეს სირიაში, ერაყსა თუ ლიბიაში მოხდა. უფრო მეტიც, ამ გზით შეერთებული შტატები რეგიონში თავის არსენალსაც ადვილად შეიტანდა.

უნასური ბოლოს ისევ საერთაშორისო სკანდალში გამოჩნდა, როდესაც ბოლივიის პრეზიდენტ ევო მორალესის თვითმფრინავს, რომელიც ოფიციალური ვიზიტის შემდეგ მოსკოვიდან ბოლივიაში მიფრინავდა, იტალიის, ესპანეთისა და პორტუგალიის ხელისუფლებებმა საწვავის შევსების მიზნით მათ ტერიტორიაზე დაშვების უფლება არ მისცეს, ხოლო საფრანგეთმა მას თავის საჰაერო სივრცით სარგებლობა საერთოდ აუკრძალა იმ მიზეზით, რომ ბორტზე შესაძლოა ედუარდ სნოუდენი ყოფილიყო დამალული. ეკვადორმა უნასურის სასწრაფო შეხვედრა მოიწვია. შეხვედრაზე კოჩაბომბას დეკლარაცია მიიღეს, რომელმაც ბოლივიის პრეზიდენტს მხადაჭერა და სოლიდარობა გამოუცხადა, ევროპული ქვეყნების ქმედება კი დაგმო. უფრო მეტიც, ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ ეს ქმედება არა მხოლოდ ბოლივიის, არამედ მთელი ბლოკის წინააღმდეგ იყო მიმართული და ევროპის ქვეყნებს ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდა (Lefebre, 2013; Egan & Bronstein, 2013; Pilger, 2013).

ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითები ადასტურებს, რომ მიუხედავად ღრმა პოლიტიკური განსხვავებისა, რეგიონის ხელისუფლებმა თანარასებობის გზა მაინც იპოვეს. გარდა ამისა, ბოლო წლებმა დაამტკიცა, რომ როდესაც უნასურის რომელიმე წევრი დიპლომატიურ კრიზისში ეხვევა, ან როდესაც საქმე რეგიონულ უსაფრთხოებას ეხება, მას სწრაფი რეაქციის მექანიზმი აქვს შემუშავებული, თუმცა

რამდენად სწორი და ეფექტური, ეს უკვე სადავოა. ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სულისკვეთება ინტეგრაციის წინაპირობაა.

პარადოქსული ფაქტია, მაგრამ, ჩემი აზრით, უნასურის ჩამოყალიბებით არა თუ რეგიონის ინტეგრაცია მოხდა, არამედ მისი ფრაგმენტაცია უფრო გააქტიურდა. საქმე ისაა, რომ ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის, არგენტინამ, ბოლივიამ და ვენესუელამ თავიანთი საგარეო პოლიტიკის „ლათინური ამერიკანიზაცია“ განიზრახეს. მემარცხენე მთავრობებმა გადაწყვიტეს უარი ეთქვათ შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობაზე და რეგიონული ორგანიზაციების კონსოლიდაცია დაიწყეს, რათა ამ გზით ვაშინგტონისგან თავიანთი ავტონომია დაეცვათ (Meade, 2010:322; Falleti & Parrado, 2017:290; Ludlam & Lievesley, 2013).

უნასურის შექმნაში წამყვან როლს ბრაზილია თამაშობდა, რაც მის მიერ რეგიონული პრობლემების მოგვარების გზების პოვნის სურვილით იყო განპირობებული. თუმცა, ამის მიუხედავად, როგორც ყოველთვის, ეროვნული ინტერესები რეგიონულზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ლათინური ამერიკა მემარჯვენე და მემარცხენე ნაწილებად გაიხლიჩა.

მემარცხენეებისგან განსხვავებით, მემარჯვენე და მემარჯვენე-ცენტრისტულმა ხელისუფლებამ შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობა გააღრმავეს და „წყნარი ოკეანის ალიანსი“ ჩამოაყალიბეს.

2008 წლის მიწურულს ლათინური ამერიკის რეგიონული ინტეგრაციის კუთხით ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი გადაიდგა. იქ ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონის ინტეგრაციისა და განვითარების პირველი სამიტი გაიმართა, რომლის მიზანი რეგიონის 33 ქვეყნის ინტეგრაციისა და მათი განვითარების ხელშეწყობა და გაძლიერება იყო.

2010 წლის 23 თებერვალს ახალი რეგიონული ორგანიზაციის შექმნის იდეა დაიბადა. ლიდერები ახალი, ყველაზე მასშტაბური ბლოკის შექმნაზე შეთანხმდნენ, რომელიც რეგიონის 33 სახელმწიფოს გააერთიანებდა. გაერთიანების შექმნის შესახებ კარაკასის დეკლარაციას ხელი 2011 წლის 3 დეკემბერს ვენესუელის დედაქალაქში მოეწერა, რითაც ლათინურ ამერიკაში ყველაზე დიდი რეგიონული ბლოკი -

ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონის გაერთიანება - სელაკი ჩამოყალიბდა (“Latin American and Caribbean Unity Summit Declaration”; Taylor, 2011).

უგო ჩავესი სელაკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო. იგი თვლიდა, რომ ორგანიზაციის შექმნა შეერთებული შტატების ლათინურ ამერიკაში ინტერვენციისთვის გამოწვევა იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ ვენესუელასთან ერთად ახალ გაერთიანებაში ლიდერის როლი ჰქონდა კუბასაც, რაც იმ დროს ბევრს აფიქრებინებდა, რომ სელაკის შექმნის მიზანი შტატების გავლენის დაძლევა იყო. გაერთიანების პირველი შეხვედრის კვალკადვალ ამერიკული გამოცემა „თაიმი“ წერდა, რომ ორგანიზაცია დასავლეთ ნახევარსფეროში შეერთებული შტატების ჰეგემონიისგან ლათინური ამერიკის მზარდი დამოუკიდებლობის გამოვლინება იყო (Padgett, 2011).

შექმნის დღიდან მოყოლებული სელაკს მნიშვნელოვანი შედეგებისთვის არ მიუღწევია. ჩემი აზრით, იგი რეგიონულ და საერთაშორისო ლიდერებს შორის დიალოგისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პლატფორმას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ქმედებებსა და შედეგებზე ორიენტირებულ ინსტიტუტს. გარდა ამისა, ორგანიზაცია ფორმალური ინსტიტუტების ნაკლებობასაც განიცდის ისევე, როგორც წევრი-სახელმწიფოების მონდომებას, ჩართულობასა თუ ფინანსურ მხარდაჭერას.

სელაკის ყოველწლიური სამიტების მიზანიც სამომავლო სამოქმედო გეგმისა და მიზნების შემუშავებაა, თუმცა მათ შესრულებას სათანადო ყურადღებას არავინ აქცევს. მთავარია, რომ ეს ფურცლებზე დაფიქსირდეს, მაგრამ შესრულება ისინი თუ არა, ეს წევრ-ქვეყნებს დიდად არც ადარდებთ, რადგან ლათინურ ამერიკას რეგიონული ერთიანობის სულისკვეთება ყოველთვის აკლდა, რაც რეგიონული ინტეგრაციის ინიციატივებს სიმონ ბოლივარის დროიდან მოყოლებული მუდამ საბედისწერო დაღს ასვამდა.

2019 წლისთვის სელაკი მსოფლიოს მესამე უმსხვილესი ეკონომიკაა, რომლის მშპ 7 ტრილიონი აშშ დოლარია, რაც მასში გაწევრიანებული ქვეყნების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, სულაც არ არის შთამბეჭდავი. გარდა ამისა, მისი დაახლოებით 50% ბრაზილიაზე მოდის. კონტრასტისთვის მხოლოდ იაპონიის მშპ 5 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება. ამავდროულად, გაერთიანება მსოფლიოში

საკვები პროდუქტების უმსხვილესი და ელექტროენერჯის მესამე უდიდესი მწარმოებელიცაა (Celacinternational.org).

სელაკი ამერიკის ყველა ქვეყანას აერთიანებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის გარდა. გაერთიანებაში 650 მილიონი ადამიანი შედის.

შეიძლება თუ არა სელაკის შექმნა ლათინური ამერიკის ორსაუკუნოვანი ინტეგრაციული მოძრაობის გაგრძელებად ჩავთვალოთ? ჩემი აზრით, ამ შეკითხვაზე ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს. ერთი შეხედვით, ორგანიზაცია ლათინური ამერიკის ინტეგრაციის გაღრმავებით შეიქმნა, თუმცა მეორე მხრივ იგი რეგიონულ პოლიტიკასა და ეკონომიკაში ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის შემცირების მიზნით ჩამოყალიბდა. შესაბამისად, მისი შექმნის მიზანი და დანიშნულება ბუნდოვანია. სელაკი ზოგიერთის მიერ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ალტერნატივადაც კი მოიაზრებოდა. ამის თქმის საფუძველს გაერთიანების წევრი-ქვეყნების მემარცხენე ლიდერების აღფრთოვანება იძლეოდა, რომ მათ ლათინური ამერიკის შეერთებული შტატებისგან გამოყოფის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს. ორგანიზაციაში შტატები და კანადა დასაწყისიდანვე გარიყეს. ტელესურისთვის მიცემულ ინტერვიუში ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი ამბობდა: „ლათინური ამერიკის ქვეყნების კავშირი იარაღია იმპერიალიზმის წინააღმდეგ. აუცილებელია რეგიონული ორგანოს შექმნა, რომელიც შეერთებულ შტატებსა და კანადას გამორიცხავს“. მორალესი ახალი ორგანიზაციის შექმნას ლათინური ამერიკის ხალხების განთავისუფლების შესაძლებლობასაც უკავშირებდა (teleSUR).

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციაში ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის რეგიონის ყველა ქვეყანა გაერთიანდა, მისი შექმნის შესახებ განცხადებამ იქ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. შეკითხვაზე, თუ რომელი უფრო სასარგებლო იქნებოდა რეგიონისთვის: შეერთებული შტატებისგან გამიჯვნა თუ მასთან ახლო ურთიერთობა - პასუხი არაერთგვაროვანია.

ვფიქრობ, სელაკის შექმნა გარდაუვალიც იყო, რადგან თანამედროვე მსოფლიოში გლობალური და კონტინენტური გარდაქმნები მიმდინარეობს, რომელიც დედამიწის სხვადასხვა წერტილში რეგიონული ბლოკების მომრავლებითა

და გაძლიერებით გამოიხატება. ადრე თუ გვიან, ეს ახალ მსოფლიო წესრიგს ჩამოაყალიბებს. ამან კი შესაძლებელია, ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიის დაკნინებაც განაპირობოს. მიმაჩნია, რომ რეგიონალიზმის მომავალ ეპოქაში ჰეგემონის სტატუსს, დიდი ალბათობით, არა რომელიმე კონკრეტული ქვეყანა, არამედ რეგიონი დაიკავებს. შესაბამისად, გლობალიზაციასა და ნაციონალიზმს რეგიონალიზმი ჩაანაცვლებს. კონკურენცია კი არა ქვეყნებს, არამედ რეგიონებს შორის გაიმართება და იგი გაცილებით უფრო დინამიკური იქნება, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა.

მიმაჩნია, საბოლოო ჯამში, სელაკი ლათინური ამერიკის ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი მონაპოვარი არ არის, რაც რეგიონში არსებული პრობლემური გარემოთი და მისი ლიდერების არაერთსულოვანი კურსით არის გამოწვეული. გარდა ამისა, რეგიონი საგარეო პოლიტიკაში ნაკლებად გამოცდილია, ხოლო მისი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში - შეზღუდული. ამასთანავე, რეგიონის ბევრ ქვეყანას მცდარი წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატებისგან გამიჯვნა ლათინური ამერიკის გაერთიანებას გახდის შესაძლებელს და რეგიონზე კონტროლს თავად დაამყარებენ. თუმცა, რამდენად სასარგებლო იქნება ლათინური ამერიკის ჩრდილოეთისგან ამგვარი დისტანცირება, ვფიქრობ, სადავო საკითხია. მიმაჩნია, რომ სამხრეთმა ჩრდილოეთთან დაახლოების ახალი გზები უნდა იპოვოს და პანამერიკანიზმი გააძლიეროს.

3.3. „მემარჯვენე რეგიონალიზმი“ - წყნარი ოკეანის ალიანსი

მაშინ, როდესაც ლათინური ამერიკის მემარცხენე ხელისუფლებები რეგიონში ისეთი ორგანიზაციების შექმნისკენ ისწრაფოდნენ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს წინ აღუდგებოდა, მემარჯვენე სახელმწიფოებმა შტატებსა და ევროკავშირთან კომერციული კავშირები გააღრმავეს. უფრო მეტიც, მათ ახალი, მემარჯვენე რეგიონული ორგანიზაციაც შექმნეს.

ლათინურ ამერიკული წყნარი ოკეანის აუზის ოთხმა სახელმწიფომ: ჩილემ, პერუმ, კოლუმბიამ და მექსიკამ 2011 წლის 28 აპრილს ახალი სავაჭრო ბლოკი - წყნარი ოკეანის ალიანსი ჩამოაყალიბეს. მიზანი მჭიდრო ინტეგრაციული ზონის შექმნა იყო, რომელშიც საქონლის, მომსახურების, რესურსებისა და ადამიანების თავისუფალი გადაადგილება იქნებოდა შესაძლებელი. წყნარი ოკეანის ალიანსი წევრი-ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მისიით შეიქმნა.

ორგანიზაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ლათინური ამერიკის სხვა რეგიონული ბლოკებისგან, რომლებიც ფოკუსს რეგიონზე, ვიწრო რეგიონალიზმზე აკეთებენ, ხოლო ალიანსი არა მხოლოდ წევრ-ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას, არამედ მათი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონთან დაახლოებისკენაც ისწრაფვის. მაშინ, როდესაც სხვა ორგანიზაციები რეგიონალიზმს გლობალიზაციასთან ბრძოლის იარაღად იყენებენ, ალიანსი რეგიონალიზმის მხარდაჭერით გლობალიზაციის განვითარებას ისახავს მიზნად (Ramirez, 2013). ვფიქრობ, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, რაც „წყნარი ოკეანის ალიანსს“ უნიკალურ გაერთიანებად ხდის.

ჩემი აზრით, წყნარი ოკეანის ალიანსს თავიდანვე დიდი პოტენციალი ჰქონდა და აქვს, რადგან იგი დღეს მსოფლიოს მერვე ეკონომიკა და მერვე უმსხვილესი ექსპორტიორია. ორგანიზაციაზე ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის რეგიონის მშპ-ს 37% მოდის, რაც თითქმის 2 ტრილიონი აშშ დოლარია, ხოლო ვაჭრობის - 52%, რაც ტრილიონ დოლარს აღემატება. უცხოური ინვესტიციების 45%-იც ბლოკის ქვეყნებზე ნაწილდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ალიანსი 225 მილიონ ადამიანს აერთიანებს, საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე კი 16 759 ამერიკული დოლარია, რაც ლათინური ამერიკისთვის არც თუ ისე დაბალი მაჩვენებელია (¿What is the Pacific Alliance?). შედარებისთვის, 2018 წლის მონაცემებით, საქართველოში ეს თანხა 11 481 ამერიკულ დოლარს შეადგენს (International Monetary Fund).

წყნარი ოკეანის ალიანსი ლათინურ ამერიკაში, შეგვიძლია, გეოპოლიტიკურ ეკვილიბრიუმად მივიჩნიოთ, რადგან იგი ვენესუელისა და ბრაზილიის მსგავს

ქვეყნებში გავცრელებული მემარცხენე იდეოლოგიური და პოლიტიკური ტენდენციების დაბალანსებას ცდილობს.

ორგანიზაციის საგარეო კურსი თავისუფალი სავაჭრო ზონის პრინციპებზეა აგებული. იგი წევრ-ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ბლოკის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი აზიურ ბაზარზე შესვლაა, რაც ერთობლივად უფრო ადვილი მისაღწევი იქნება, ვიდრე ინდივიდუალურად, რადგან ლათინური ამერიკის ქვეყნებს გაუჭირდებათ ცალ-ცალკე ისეთ ეკონომიკურ გიგანტთან კონკურენცია, როგორც, მაგალითად, ჩინეთია. ალიანსი წევრ-ქვეყნებს შეერთებულ შტატებთან ვაჭრობაში ჩინეთთან კონკურენციაშიც ეხმარება, რაც უკეთესი ხარისხისა და უფრო დაბალი ფასის პროდუქტების წარმოებაში გამოიხატება (Ramirez, 2013).

ალიანსმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სატარიფო ბარიერებისა და კანონების გაუქმებაშიც გადადგა, რომელიც რეგიონული ეკონომიკების განვითარებას ხელს უშლიდა. ეს განსაკუთრებით ისეთ ინდუსტრიებს დაეყოს, როგორცაა ელექტრონული ვაჭრობა, საავიაციო ინდუსტრია, ფინანსური და ელექტრო ინტეგრაცია და ინფრასტრუქტურა. ორგანიზაციის საქმიანობის ეპიცენტრში სახელმწიფოთაშორისო ინვესტიციების გამარტივება, ტურიზმი, აკადემიური გაცვლები, გარემოს დაცვა, სოციალური საკითები, მეცნიერული და ტექნოლოგიური ინოვაციები მოექცა. ბიზნეს ვიზის გაუქმება და სხვა მსგავსი ღონისძიებები სერიოზულ როლს ასრულებს ექსპორტის წახალისებაში (Villarreal, 2016).

2019 წლისთვის წყნარი ოკეანის ალიანსი ლათინური ამერიკის ერთ-ერთი მთავარი რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ინიციატივაა. 7 წლის განმავლობაში ორგანიზაციაში არაერთი ღონისძიება განხორციელდა, რომელმაც წევრი-ქვეყნების ვაჭრობის გაზრდა გახადა შესაძლებელი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტის მაჩვენებლებიც. მაგალითად, 2017 წელს პერუს ექსპორტი 22.6%-ით, კოლუმბიის 19%-ით, ჩილეს 9.9%-ით, ხოლო მექსიკის ექსპორტი კი 4.4%-ით გაიზარდა (Diaz Quijano, 2018).

2011 წლიდან მოყოლებული ალიანსმა თავისი სიცოცხლისუნარიანობა არაერთხელ დაამტკიცა. შექმნის დროიდან მოყოლებული, მან გაერთიანების შიგნით

მრავალი არათანაბარი განვითარების გამოსწორება მოახერხა, რაც ჯგუფისთვის სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა. ორგანიზაციის საფუძვლიანობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მასში რეგიონის დანარჩენი წყნარი ოკეანის ქვეყნები: ეკვადორი და ცენტრალური ამერიკის 6 ქვეყანა არ არის დაშვებული, რაც პოლიტიკური მოტივებითაა განპირობებული. ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურად მართებულია, რადგან ალიანსის ქვეყნებსა და დანარჩენებს შორის არსებულმა იდეოლოგიურმა და პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა განსხვავებამ, შესაძლოა ალიანსს საფრთხე შეუქმნას. თუმცა, აღვნიშნავ იმასაც, რომ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ჩართვის გარეშე ალიანსის ინტეგრაცია რთულდება, რადგანაც მექსიკას დანარჩენ სამ ქვეყანასთან საერთო საზღვარი არ აქვს.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, ალიანსი ლათინური ამერიკის გეოგრაფიული და ეკონომიკური რეალებიდან ამოვარდნილია, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ასოცირებული წევრების მრავალფეროვნებაა. მათ შორის არიან: ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია და სინგაპური. სულ მალე მათ რიცხვს სამხრეთ კორეაც შეურთდება. ასევე, მრავალფეროვანია დამკვირვებელი ქვეყნების რიცხვიც, რომელიც დღეს 50-ს აჭარბებს. მათ შორის ერთ-ერთი საქართველოა (Erikson, 2018).

გაერთიანება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯისთვის ემზადება. 2018 წლის 23-24 ივლისს მექსიკაში გამართულ ალიანსის XIII საპრეზიდენტო სამიტზე ალიანსისა და მერკოსურის ლიდერებმა რეგიონული თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობაზე ისაუბრეს. თუ ეს პროექტი განხორციელდება, მაშინ მისი მოსახლეობა ნახევარ მილიარდს მიაღწევს და ლათინური ამერიკის საერთო მშპ-ს 90%-ს გააერთიანებს (Tornaghi, 2018).

დასკვნა

კვლევის შედეგად დასაწყისში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები სრულად დადასტურდა. ლათინურ ამერიკაში პოლიტიკური უნიფიკაციის მოძრაობის დაწყება ესპანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების პირდაპირი შედეგია. ანტიკოლონიური რევოლუციების შემდეგ იქ ახალი სახელმწიფო სისტემების ჩამოყალიბება დაიწყო, მაგრამ დასაწყისშივე ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეაც გაჩნდა.

ლათინური ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება ვერ მოხერხდა, როგორც ეს, მაგალითად, ავსტრალიის შემთხვევაში მოხდა. რეგიონის გაერთიანებას ხელი არა ერთმა, არამედ მრავალრიცხოვანმა ფაქტორმა შეუშალა, მათ შორის იყო:

- **პოლიტიკური ფრაგმენტაცია** - დამოუკიდებლობის ომების დაწყებისთანავე იბერიული ამერიკა სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულად დაიყო, რამაც პოლიტიკური უნიფიკაციის შემდგომ მცდელობებს საფუძველი დიდი ხნით გამოაცალა. აზრთა სხვადასხვაობა იყო ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებში. ისინი ლათინური ამერიკის პოლიტიკურ მოწყობაზე ვერ თანხმდებოდნენ. ზოგიერთი უბრალოდ სამხედრო ალიანსის შექმნას, ზოგიერთი ერთიან სახელმწიფოს, ზოგიც კი დამოუკიდებელი რესპუბლიკების იდეას უჭერდა მხარს. საბოლოოდ, ესპანურენოვანმა ამერიკელებმა ვერც ესპანური მონარქიის მიერ ჩამოყალიბებული ერთიანობის შენარჩუნება და ვერც 1775 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩამოყალიბებული კონტინენტური კონგრესის მსგავსი ორგანიზაციის შექმნა მოახერხეს, რომელიც მათ პოლიტიკური და სამხედრო პოლიტიკის უფრო ეფექტური კოორდინაციის საშუალებას მისცემდა. ლათინური ამერიკა სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულად დაიშალა.

- **რასობრივი, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება** - XIX საუკუნის პირველ ნახევარში ესპანური რასის გაერთიანებაზე სულ რამდენიმე ავტორი საუბრობდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ისინი გაერთიანებაში ესპანეთში დაბადებულ ესპანელებს ან ესპანელი მშობლების ამერიკაში

დაბადებულ შვილებს - კრეოლებს მოიაზრებდნენ. ასეთი იდეოლოგიები მკაცრად უარყოფდა ნებისმიერი პოლიტიკური თუ კულტურული კავშირის შექმნას, რომელშიც ინდიელები და აფრიკელები შევიდოდნენ.

• **გეოგრაფია** - კოლონიურ პერიოდში პოლიტიკური თუ ეკონომიკური ერთიანობის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი იბერიულ-ამერიკული კოლონიების პოლიტიკური და გეოგრაფიული დაშორება იყო, რამაც სეპარატიზმსა და პროვინციალიზმს ჩაუყარა საფუძველი. დისტანცირება პრობლემა აღმოჩნდა იუნიონისტებისთვისაც. ჩემი აზრით, პოლიტიკური ფრაგმენტაცია მხოლოდ გეოგრაფიულ სეპარატიზმს არ გამოუწვევია, მაგრამ მან ინტეგრაციის პროცესი ნამდვილად გაართულა. ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ გეოგრაფია იყო ესპანური და პორტუგალიური კოლონიების ადმინისტრაციულ მოწყობაში მნიშვნელოვანი ფაქტორი. ესპანურმა მონარქიამ სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეული ზუსტად არსებული ბუნებრივი გეოგრაფიული დაყოფის მიხედვით განსაზღვრა. ამან კი შემდეგ თანამედროვე ლათინური ამერიკის გეოპოლიტიკური სურათი შექმნა. დამოუკიდებლობის მოძრაობის დაწყების შემდეგ სხვადასხვა ადმინისტრაციულმა ერთეულმა თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. საინტერესოა, რომ ბუფერული თვალსაზრისით შექმნილი სახელმწიფოების საზღვრებიც კი მათი ტერიტორიის გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით განისაზღვრა.

• **ფრაგმენტაცია** - იბერიული ამერიკის კოლონიებს შორის არსებული ბუნებრივი ბარიერები მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ინტერაქციას აფერხებდა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც გაგრძელდა. პროვინციალიზმი და ფრაგმენტალიზმი რეგიონის განვითარების განუყოფელი ნაწილი გახდა. ამან ლათინურ ამერიკაში თვითუზრუნველყოფისა და ინტროვერტულობის შეგრძნება ჩამოაყალიბა. ამის საუკეთესო მაგალითია ბრაზილია. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ ფრაგმენტაციის პრობლემა ლათინურ ამერიკაში არ წარმოშობილა და იგი ბევრად უფრო ადრე სხვადასხვა ცივილიზაციაში არსებობდა. მაგალითად ძველი ბერძნების მოყვანაც კმარა. ბერძნული პოლისები სწორედ

გეოგრაფიული ნიშნით ყალიბდებოდა, რაც სრულიად ავტონომიურ, ჩაკეტილ და დამოუკიდებელ საზოგადოებებს აყალიბებდა და მრავალ პრობლემასაც იწვევდა, როგორც ეს ლათინურ ამერიკაში მოხდა.

არაერთი მკვლევარი რეგიონის ფრაგმენტაციას ლათინური ამერიკის ტოპოგრაფიას მიაწერს და არც ისე უსაფუძვლოდ. დედამიწის არცერთ სხვა კულტურულ-ლინგვისტურ რეგიონში არ გვხვდება ისეთი ვრცელი, უსწორმასწორო და მრავალფეროვანი გეოგრაფია, როგორც ეს ლათინურ ამერიკაშია. რეგიონი ორ კონტინენტზეა გადაჭიმული, გაყოფილია ადამიანისთვის მიუვალი ორი უზარმაზარი მთაგრეხილით. კონტინენტური ნაწილის გარდა, ლათინური ამერიკა ათასობით კილომეტრით დაშორებულ კუნძულებსაც აერთიანებს. ტერიტორიები ერთმანეთისგან ვრცელი დაბლობებით, უდაბნოებით, გაუვალი ჯუნგლებითა და წყლით არის დაშორებული. თუმცა, თუ გეოგრაფიის მიუხედავად, ესპანეთმა და პორტუგალიამ იქ ცენტრალური მმართველობის დამყარება მაინც მოახერხეს, ვფიქრობ, თანამედროვე ციფრულ სამყაროში ეს მითუმეტეს არ უნდა იყოს შეუძლებელი.

• **მრავალფეროვნება** - ლათინური ამერიკის ინტეგრაციის სქემაში მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა რეგიონის სახელმწიფოებს შორის არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განსხვავება. ერთ-ერთი პირველი გარღვევა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მაშინ მოხდა, როდესაც ესპანური ამერიკის ახალმა სახელმწიფოებმა მმართველობის რესპუბლიკური ფორმა შემოიღეს, ხოლო ბრაზილიამ, რომელსაც მთელი რეგიონის ნახევარი უჭირავს, მონარქიას მიანიჭა უპირატესობა. ამ ფაქტის შემდეგ ესპანური და პორტუგალიურენოვანი ამერიკა ერთმანეთისგან კიდევ უფრო გაიმიჯნა. სამეფო ტახტის არსებობისა თუ მონობის გამო, რესპუბლიკური მმართველობის მომხრეები ბრაზილიას ინტეგრაციის გეგმებში აქტიურად არ განიხილავდნენ. თუმცა ქვეყანას შიგადაშიგ ინტეგრაციის კონფერენციებზე მაინც იწვევდნენ, რადგან მმართველობის ფორმის მიუხედავად ბრაზილიაც ერთი დიდი ლათინური

ამერიკის ოჯახის ნაწილი იყო. ინტეგრაციის სქემის გარეთ აღმოჩნდნენ კუბა და პუერტო რიკოც, რადგან აღნიშნული ტერიტორიები 1898 წლამდე ესპანეთის სამეფო ტახტის საკუთრება იყო, შემდეგ კი ამერიკის შეერთებული შტატების ხელში აღმოჩნდა. ადრეული ინტეგრაციის სქემაში არც პანამა ყოფილა ჩართული, რადგან მან დამოუკიდებლობა მხოლოდ 1903 წელს მოიპოვა.

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდა. ამგვარი ვითარება XXI საუკუნეშიც გრძელდება. ლათინური ამერიკის უმეტეს ნაწილში სოფლის მეურნეობა მთლიანად მცირერიცხოვანი აზნაურობისა და ეკლესიის ხელში იყო, რის გამოც მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ღარიბდებოდა. ზოგიერთ ადგილას სოფლის მეურნეობას წვრილი მიწათმფლობელი ფერმერები ეწეოდნენ, მაგალითად, არგენტინასა და ურუგვაიში. თუმცა, იქ მეორე უკიდურესობა იყო - მოსახლეობის სიმწირის გამო სოფლის მეურნეობაში მუშახელი არ კმაროდა და სასოფლო-სამეურნეო მიწების უმეტესი ნაწილის დამუშავება ვერ ხერხდებოდა. ამგვარმა დემოგრაფიულმა პრობლემებმა იქ მასობრივი ევროპული იმიგრაცია განაპირობა, რამაც ორი ქვეყნის რასობრივი და ეთნიკური შემადგენლობა რადიკალურად შეცვალა. ლათინური ამერიკის მრავალფეროვნების გამოხატულებაა ის ფაქტიც, რომ ცივილიზებული საზოგადოებების გვერდიგვერდ სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანების საკმაოდ დიდი რაოდენობა ცალკე სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებად ცხოვრობდა. ინდიური წარმოშობის ხალხები სოფლად, კომუნალურ დასახლებებში იზოლირებულად ცხოვრობდნენ და წინაპრების მიწებს ამუშავებდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი მოსავალს მხოლოდ თავიანთვის აწარმოებდნენ, ზოგჯერ კი პროდუქციით ბაზარსაც ამარაგებდნენ. ამის მაგალითია მომთაბარე აბორიგენი ტომები, რომლებმაც ჩრდილოეთ მექსიკასა და ჩილეში თავიანთი ცხოვრების სტილის შენარჩუნება შეძლეს. ბრაზილიაში, მდინარე ამაზონის აუზში, ამერიკინდიელების გარკვეული რაოდენობა თანამედროვე ინდუსტრიული

საზოგადოებისგან დღემდე იზოლირებულად ცხოვრობს. ამგვარად, სოციალური განვითარების სხვადასხვა საფეხურმა და მრავალფეროვნებამ ლათინური ამერიკის ინტეგრაცია გაართულა.

• **ნაციონალიზმი** - აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი ლათინური ამერიკის გაერთიანებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის ნაციონალიზმსაც ასახელებს, რაც, ჩემი აზრით, საკამათოა. ნაციონალიზმი იუნიონისტების პრობლემა უდავოდ იყო XX საუკუნეში, როდესაც იგი ცალკეულმა სახელმწიფოებმა აიტაცეს, მაგრამ XIX საუკუნეში ის მხოლოდ ელიტების იდეოლოგიას თუ წარმოადგენდა, რომელიც ფართო მასების მიერ ყოველთვის სწორად გაგებული ან აღიარებული არ ყოფილა. ვფიქრობ, ნაციონალიზმი XIX საუკუნის ლათინურ ამერიკაში პროვინციალიზმთან ერევათ, რომელიც რეგიონში გეოგრაფიიდან გამომდინარე ნამდვილად არსებობდა. ნაციონალიზმის საწყისები იქ XIX საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ ზენიტს XX საუკუნეში მიაღწია, თუმცა აგრესიულ ნაციონალიზმში არასდროს გადაზრდილა.

• **ტერიტორიული კონფლიქტები** - ნაციონალიზმისგან განსხვავებით, ლათინური ამერიკის გაერთიანებას გადამწყვეტი დარტყმა სასაზღვრო ტერიტორიულმა კონფლიქტებმა და ომებმა მიაყენა. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ახალ რესპუბლიკებს შორის სამხედრო კონფლიქტების ჯაჭვი დაიწყო, რომელმაც ლათინური ამერიკის პოლიტიკური რუკა შეცვალა. ლათინურ ამერიკაში დამოუკიდებლობისთვის ომების შემდეგ პირველმა სერიოზულმა ტერიტორიულმა კონფლიქტმა 1825 წელს რიო დე ლა პლატას გაერთიანებულ პროვინციებსა და ბრაზილიის იმპერიას შორის იფეთქა. მათგან უკანასკნელი კი 1995 წელს ეკვადორსა და პერუს შორის მოხდა.

ლათინური ამერიკის გაერთიანებას არაერთი გავლენიანი იდეოლოგიური მხარდამჭერი ჰყავდა. XIX საუკუნის მეორე და XX საუკუნის პირველ ნახევარში იდეალისტური იუნიონიზმი განსაკუთრებით აქტიური იყო. თუმცა, 1864 წლის ლიმას კონგრესის შემდეგ ლათინური ამერიკის გაერთიანების მოძრაობის გამოცოცხლებას თითქმის საუკუნე დასჭირდა.

დღეს ლათინურ ამერიკაში ათზე მეტი რეგიონული ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რომელთა მიზანი წევრი-ქვეყნების ინტეგრაციაა.

რეგიონული ინტეგრაციის საკითხის კვლევისას გასათვალისწინებელია ლათინური ამერიკის საზოგადოების აზრი, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული მისი წარმატება. როგორც წესი, ლათინური ამერიკის ინტეგრაციის საკითხს რეგიონის მოსახლეობაში მხარდაჭერის მაღალი მაჩვენებელი აქვს, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში იგი ნელ-ნელა იკლებს. „ლათინობარომეტრო კორპორაციის“ კვლევის მიხედვით, 2010 წლისთვის ლათინურ ამერიკელების 73% ლათინური ამერიკის ეკონომიკურ ინტეგრაციას უჭერდა მხარს, რაც 1997 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია. რაც შეეხება პოლიტიკურ ინტეგრაციას, მას 2010 წელს მოსახლეობის 63% ემხრობოდა, რაც 2002 წლის შემდეგ ასევე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას კაცები უფრო უჭერენ მხარს, ვიდრე ქალები. განათლების დონის ზრდასთან ერთად კი მხარდაჭერა მატულობს (Deutschmann & Minkus, 2010). ლათინური ამერიკის ინტეგრაციის სასარგებლოდ უნდა ემოქმედა მემარცხენე ხელისუფლებების ბუმსაც რეგიონში, რომლებიც ინტეგრაციის იდეას დიდი მხარდაჭერა გამოუცხადეს.

XXI საუკუნეში ლათინური ამერიკის, ისევე როგორც მთელი ამერიკის, ინტეგრაციის მთავარი პრობლემა უკვე სურვილისა და მონდომების ნაკლებობაა. როგორც ხოსე ვასკონსელოსმა ჯერ კიდევ 1925 წელს თქვა: „თუ ჩვენ საკუთარი აზრების შესწორებას ვერ შევძლებთ, ფიზიკურ გარემოზე გავლენა შეუძლებელი იქნება, რათა იგი ჩვენ მიზნებს მოერგოს“ (Rivera, 2014:11).

რამდენად რეალურად ჩანს დღეს ლათინური ამერიკის გაერთიანება? ჩემი აზრით, არ არსებობს იმის რაიმე საფუძველი, რომ იუნიონიზმი უტოპიად ჩავთვალოთ. მჯერა, რომ იგი ლათინური ამერიკის ახალი იდეოლოგია უნდა გახდეს. იუნიონისტებმა თავიანთი მონაპოვრების კონსოლიდაციისა და ქვეყნებს შორის კავშირების გაძლიერებაზე უნდა იფიქრონ, რათა ვერცერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ან იდეოლოგიამ მათი კავშირი ვერ შეარყიოს. განსაკუთრებული ყურადღება კი ახალ თაობაზე, საზოგადოების ახალ ძალაზე უნდა გაკეთდეს. ვფიქრობ, აუცილებელია, რომ ლათინურმა ამერიკამ, შეერთებულმა შტატებმა და კანადამ საერთო ენა

გამონახონ და ამერიკაზე, როგორც გაერთიანებულ კონტინენტურ პოლიტიკურ ერთეულზე, ისე იფიქრონ, რაც სასარგებლო იქნება, როგორც სამხრეთის, ასევე ჩრდილოეთისთვისაც. 1994 წელს ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბება, ვფიქრობ, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთს ერთმანეთი სჭირდება. რეალური ინტეგრაციის შემთხვევაში ამერიკა უპირობოდ გლობალური ლიდერი გახდება, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად, კულტურული თუ სამხედრო თვალსაზრისითაც. სუპერძალა, რომელსაც წინ ვერავინ და ვერაფერი აღუდგება. თუ შესაბამისი ლიდერები გამოჩნდებიან, რომლებიც ამ იდეის განხორციელებას მოახერხებენ, შესაძლოა ძალიან მალე ამის მოწმეებიც გავხდეთ, რაც თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებს ძირფესვიანად შეცვლის.

ლათინური ამერიკის მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო მზარდია. რაც შეეხება საქართველოსა და ლათინური ამერიკის რეგიონს შორის სამომავლო ურთიერთობას, როგორც გვარამ ხანდამაშვილი ამბობს, მას დიდი პერსპექტივები აქვს. პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებასთან ერთად, რაც მნიშვნელოვანია ორმხრივ ურთიერთობებში, შესაძლებელია არაერთი სფეროს გამოყოფა, რომლებსაც მნიშვნელოვანი სიკეთის მოტანა შეუძლია ორივე მხარისთვის. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაფართოება, ადგილობრივ ბაზარზე ქართული წარმოების პროდუქციის ექსპორტი, რეგიონიდან ინვესტიციებისა და ტურისტების მოზიდვა და ა.შ. (ხანდამაშვილი, 2020).

300. Mace G (1988) *Regional Integration in Latin America: A Long and Winding Road*. *International Journal* (Vol.43, No.3, pp.404–427).
301. Magarinos, G. (1970). Effects of Latin American Free Trade Association on Member-Countries' Foreign Trade. [PDF] *Foreign Trade Review* (Vol. 4. Issue: 4. PP.414-425). ხელმისაწვდომია: <https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0015732515700405?journalCode=ftra> [მოდებულია 11 მაი. 2017].
302. Malamud, A. (2011). A Leader Without Followers? The Growing Divergence Between the Regional and Global Performance of Brazilian Foreign Policy. *Latin American Politics and Society* 53 (3): 1-24.

303. Malamud, A., & Gardini, G. L. (2012). Has Regionalism Peaked? The Latin American Quagmire and its Lessons. In the *International Spectator* (Vol.47, No.1, PP.116–133).
304. Mansfield, E. D. & H. Milner. (1999). The New Wave of Regionalism. In *International Organization* (Vol.53, no.3, pp.589-627).
305. Molano Cruz, G. (2011). The Andean Integration Process: Origins, Transformations and Structures. In *Inter American Development Bank Integration and Trade* (Vol.15. No.33. PP.35-45).
306. Morrison, J. (2006). *The International Business Environment: Global and Local Marketplaces in a Changing World* (2nd ed.). New York: Palgrave Macmillan.
307. Motta Vega, P. and S. Rios (2007), *O Regionalismo pós-liberal na América do Sul: origens, iniciativas e dilemas*, Santiago de Chile: CEPAL Serie Comercio Internacional, Nr 62.
308. Muhr, T. (2011), *Conceptualising the ALBA-TCP: Third Generation Regionalism and Political Economy*, *International Journal of Cuban Studies*, 3:2/3:3, pp. 98-115.
309. Muhr, T. (2014). *The Politics of Space in the Bolivarian Alliance for the Peoples of Our America – People’s Trade Agreement (ALBA – TCP): Transnationalism, the Organized Society, and Counter-Hegemonic Governance*. In H. Haarstad, M. Amen, & A. Lera St. Clair (Eds.), *Social Movements, the Poor and the New Politics of the Americas* (pp.24-42). New York: Routledge.
310. Murphy, A. B. (1991). *Regions as Social Constructs: The Gap between Theory and Practice*. In *Progress in Human Geography* (Vol.15, No.1, pp.23-35).
311. Nattier, F. (1966). *LAFTA – Latin American Free Trade Association*. [online] *Section of International and Comparative Bulletin* (Vol. 10. No. 2. PP.20-31). ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/25743551?seq=1#page_scan_tab_contents [მოძიებულია 9 Apr. 2017].

312. Peña Morales, M. A., & Massiel Duarte Payán, S. (2014). La Comunidad Andina: un paradigma de Integración Económica en Latinoamérica. *Revista Electrónica de Investigación en Ciencias Económicas* (Vol. 2. No.3.).
313. Ravenhill, J. (2010). The 'new East Asian regionalism': A political domino effect. In *Review of International Political Economy* (Vol.17, No.2).
314. Reza de la, G.A. (2006). Congreso de Panamá. Estudio de 1826 y otros ensayos de integración latinoamericana en el siglo XIX. Estudio y fuentes documentales anotadas. Mexico D.F.: Ediciones Eón/UAM-Azcapotzalco.
315. Schooler, R. D. (1965). Product Bias in the Central American Common Market. In *Journal of Marketing* (Vol2, No.4, pp.394-397).
316. Schultz, M., F. Soderbaum, and J. Öjendal (2001), Introduction. A framework for understanding regionalization, in Schultz, M., F. Söderbaum, and J. Öjenda (Eds), *Regionalization in a Globalizing World*, London: Zed Books, pp. 1-17.
317. Soderbaum, F. (2015). Early, Old, New and Comparative Regionalism: The Scholarly Development of the Field. Berlin: KFG Working Papers.
318. Tavares, R. (2004). The State of the Art of Regionalism: The Past, Present and Future of Discipline. United Nations University-CRIS e-Working Papers.
319. Telò, M. (2007), Introduction: Globalization, New Regionalism and the Role of the European Union, in Telò, M. (Ed.) *European Union and New Regionalism. Regional Actors and Global Governance in a Post-hegemonic Era*, Aldershot: Ashgate, pp 1-18.
320. Thompson, W.R. (1973, March). The Regional Subsystem: A Conceptual Explication and Propositional Inventory. *International Studies Quarterly*, Vol. 17, No. 1. Wiley.
321. Van Klaveren, A. (2017). Regionalism in Latin America. Navigating in the Fog. SECO / WTI Academic Cooperation Project.
322. Väyrynen, R. (2003, March). Regionalism: Old and New. *International Studies Review*, Vol. 5. No. 1.

323. Wilgus, C.A. (1922, November). James G. Blaine and the Pan American Movement. *The Hispanic American Historical Review*, Vol. 5, No. 4. Duke University Press.

მედია საშუალებები და საინფორმაციო სააგენტოები

324. ¿América latina o Sudamérica? (2005). [online] Clarin. ხელმისაწვდომია: https://www.clarin.com/ediciones-antiores/america-latina-sudamerica_0_BkHMQbYJCYl.html [მოძიებულია 29 Mar. 2017].

325. Abramovici, P. (2001, December 12). Operation Condor Explained: Latin America: the 30 year's dirty war. *LE MONDE diplomatique*. Retrieved from <http://mondediplo.com/2001/08/12condor>

326. Aljazeera.com, (2016). Venezuela suspended from Mercosur. [online] Al Jazeera. ხელმისაწვდომია: <https://www.aljazeera.com/news/2016/12/venezuela-suspended-mercotur-violations-161203035501462.html> [მოძიებულია 24 სექ. 2017].

327. Amadeo, K. (2018). CAFTA Explained, With Its Pros and Cons. [online] the balance. ხელმისაწვდომია: <https://www.thebalance.com/what-is-cafta-3305580> [მოძიებულია 27 დეკ. 2018].

328. Barreiro, R. & Cué, C. E. (2016). Venezuela's foreign minister slams police brutality in Argentina. [online] El País. ხელმისაწვდომია: https://elpais.com/elpais/2016/12/15/inenglish/1481819102_993755.html [მოძიებულია 22 სექ. 2017].

329. Bbc.com, (2012). Julian Assange row: Ecuador backed by South America. [online] BBC News. ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.com/news/uk-19314618> [მოძიებულია 17 სექ. 2018].

330. Bbc.com, (2012). Mercosur suspends Paraguay over Lugo impeachment. [online] BBC News. ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.com/news/world-latin-america-18636201> [მოძიებულია 24 სექ. 2017].

331. Bbc.com, (2016). Mercosur suspends Venezuela over trade and human rights. [online] BBC News. ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.com/news/world-latin-america-38181198> [მომიებულია 24 სექ. 2017].
332. Boothroyd Rojas, R. (2016). MERCOSUR Blocks Venezuela from Taking Over Presidency. [online] Venezuelanalysis.com. ხელმისაწვდომია: <https://venezuelanalysis.com/news/12553> [მომიებულია 20 ივლ. 2017].
333. Castillejo, C. (2015). Explainer: What is the OAS? [online] Americas Society (AS) / Council of the Americas (COA). ხელმისაწვდომია: <https://www.as-coa.org/articles/explainer-what-oas> [მომიებულია 10 მაი. 2016].
334. Cormier, B. (2006). Venezuela Enters Mercosur Trade Bloc. [online] The Washington Post. ხელმისაწვდომია: <http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2006/07/21/AR2006072101052.html?noredirect=on> [მომიებულია 20 სექ. 2017].
335. Deutschmann, E., & Minkus, L. (n.d.). Swinging Leftward: Public Opinion on Economic and Political Integration in Latin America, 1997-2010. [online] Latin American Research Review. ხელმისაწვდომია: <https://larrlasa.org/article/10.25222/larr.250/> [მომიებულია 3 იან. 2019].
336. Diaz Qiujuano, D, (2018). Progress and impact of the Pacific Alliance on Colombia, Mexico, Peru and Chile. [online] TMF Group. ხელმისაწვდომია: <https://www.tmf-group.com/en/news-insights/articles/2018/may/progress-and-impact-of-the-pacific-alliance/> [მომიებულია 17 დეკ. 2018].
337. Doleac, C. (2014). Are the Organization of American States' Imperialist Roots too deep to Extirpate Today? [online] Council on Hemispheric Affairs. ხელმისაწვდომია: <http://www.coha.org/are-the-organization-of-american-states-imperialist-roots-too-deep-to-extirpate-with-today/> [მომიებულია 14 ოქტ. 2017].
338. Economist.com, (2011). Central America: The Tormented Isthmus. [online] The Economist. ხელმისაწვდომია: <https://www.economist.com/briefing/2011/04/14/the-tormented-isthmus> [მომიებულია 4 Apr. 2017].

339. Economist.com, (2012). Mercosur RIP? [online] The Economist. ხელმისაწვდომია: <https://www.economist.com/the-americas/2012/07/14/mercosur-rip> [მოდირებულია 25 სექ. 2017].
340. Egan, L. & Bronstein, H. (2013). Latin America fumes over Bolivia incident in Snowden saga. Reuters. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/article/us-usa-security-latinamerica/latin-america-fumes-over-bolivia-incident-in-snowden-saga-idUSBRE96214K20130703> [მოდირებულია 16 სექ. 2018].
341. Erikson, D. P. (2018). The Pacific Alliance Puzzle. [online] Global Americans. ხელმისაწვდომია: <https://theglobalamericans.org/2018/07/the-pacific-alliance-puzzle/> [მოდირებულია 17 დეკ. 2018].
342. Etorinu, N. (2013). Explainer: What is the Pacific Alliance? [online] Americas Society (AS) / Council of the Americas (COA). ხელმისაწვდომია: <https://www.as-coa.org/articles/explainer-what-pacific-alliance> [მოდირებულია 17 სექ. 2014].
343. Felter, C. & Renwick, D. (2018). Mercosur: South America's Fractious Trade Bloc. [online] Council on Foreign Relations. ხელმისაწვდომია: <https://www.cfr.org/background/mercosur-south-americas-fractious-trade-bloc> [მოდირებულია 20 ნოვ. 2018].
344. Fox, M. (2009). ALBA Summit Ratifies Regional Currency, Prepares for Trinidad. [online] Venezuelanalysis.com. ხელმისაწვდომია: <https://venezuelanalysis.com/news/4373> [მოდირებულია 17 Apr. 2017].
345. Genest, M. (2004). Conflict and Cooperation: Evolving Theories of International Relations: 2nd (second) Edition. Cengage Learning.
346. Giménez Pérez, F. (2006). Indoamérica según Víctor Raúl Haya de la Torre. [online] nódulo materialista. ხელმისაწვდომია: <http://www.nodulo.org/ec/2008/n080p12.htm> [მოდირებულია 5 Apr. 2017].
347. Globalsecurity.com, (n.d.). Bolivarian Alliance for the People of our America (ALBA). [online] Global Security. ხელმისაწვდომია:

- <https://www.globalsecurity.org/military/world/int/alba.htm> [მოდირებულია 20 ნოე. 2018].
348. Gómez Peralta, H. (2010). El humanismo político de Efraín González Luna. [PDF] ხელმისაწვდომია: <http://www.scielo.org.mx/pdf/ep/n20/n20a10.pdf> [მოდირებულია 29 Mar. 2017].
349. Gonzalez Luna, E. (1941). El retorno a lo nestro. Retrieved from: <http://www.filosofia.org/hem/dep/pan/9411227a.htm> [მოდირებულია 20 ნოე. 2018].
350. Heine, J. (n.d.). Regional Integration and Political Cooperation in Latin America. [PDF] Latin American Studies Association. ხელმისაწვდომია: http://lasa-4.univ.pitt.edu/LARR/prot/fulltext/Vol47no3/47-3_209-217_heine.pdf [მოდირებულია 22 დეკ. 2018].
351. Hirst, J. D. (n.d.). A Guide to ALBA. [online] Americas Quarterly. ხელმისაწვდომია: <https://www.americasquarterly.org/hirst/article> [მოდირებულია 20 ნოე. 2018].
352. History.com, (2009). Truman announces Point Four program. [online] History. ხელმისაწვდომია: <https://www.history.com/this-day-in-history/truman-announces-point-four-program> [მოდირებულია 21 Apr. 2017].
353. Hoppe, H.H. (2007). Economic Science and the Austrian Method. CreateSpace Independent Publishing Platform.
354. Internationaldemocracywatch.org, (n.d.). Andean Community of Nations. [online] International Democracy Watch. ხელმისაწვდომია: <http://www.internationaldemocracywatch.org/index.php/andean-community-of-nations> [მოდირებულია 25 დეკ. 2018].
355. Internationalrivers.com, (n.d.). Initiative for the Integration of Regional Infrastructure in South America. [online] International Rivers. ხელმისაწვდომია: <https://www.internationalrivers.org/campaigns/initiative-for-the-integration-of-regional-infrastructure-in-south-america> [მოდირებულია 25 Mar. 2018].

356. Intervention of International Communism in Guatemala. (June 1954). Retrieved from https://archive.org/stream/InterventionOfInternationalCommunismInGuatemala/Guatemala2_djvu.txt
357. Iricibar, V. (2016). Argentina Joins Pacific Alliance Trade Bloc As An Observer Nation. [online] The Bubble. ხელმისაწვდომია: <https://www.thebubble.com/argentina-joins-pacific-alliance-trade-bloc-as-an-observer-nation/> [მომიებულია 5 ივნ. 2018].
358. Kaplan, S. (2015). Why China is investing \$250 billion in Latin America. [online] The Washington Post. ხელმისაწვდომია: https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/02/04/why-china-is-investing-250-billion-in-latin-america/?utm_term=.f5b0abbf1e24 [მომიებულია 1 სექ. 2017].
359. Keller, M. (2012). Explainer: What is Mercosur? [online] Americas Society (AS) / Council of the Americas (COA). ხელმისაწვდომია: <https://www.as-coa.org/articles/explainer-what-mercosur-0> [მომიებულია 7 ივლ. 2017].
360. Klare, M. (2007). U.S. Military Operations / Latin America. [online] North American Congress on Latin America. ხელმისაწვდომია: <https://nacla.org/article/us-military-operations-latin-america> [მომიებულია 12 ივნ. 2017].
361. Krause, C. A. (1979). Latin America's Territorial Disputes Endanger Peace. [online] The Washington Post. ხელმისაწვდომია: https://www.washingtonpost.com/archive/politics/1979/10/30/latin-americas-territorial-disputes-endanger-peace/43b40415-254e-4175-8a7f-eae5f98a53c7/?utm_term=.0f4d12a8ce95 [მომიებულია 22 თებ. 2016].
362. Kwan Yuk, P. (2017). Brazil's economy shrinks 3.6% in 2016. [online] The Financial Times. ხელმისაწვდომია: <https://www.ft.com/content/e1c89278-c33c-3fbe-83ae-985497365cf6> [მომიებულია 28 იან. 2018].

363. Lakshmanan, I. A. R. (2005). Channeling his energies: Venezuelans riveted by president's TV show. [online] Boston.com. ხელმისაწვდომია: http://archive.boston.com/news/world/latinamerica/articles/2005/07/27/channeling_his_energies/?page=1 [მომიებულია 26 ივლ. 2018].
364. LEAGUE OF NATIONS IN AMERICAS URGED BY 3 LATIN STATES; This is One of Suggestions in the 17 Favorable Replies to Roosevelt's Parley Project. (13/04/1936). The New York Times. Retrieved from <http://query.nytimes.com/gst/abstract.html?res=9B05E7DF143CE53ABC4B52DFB266838D629EDE&legacy=true>
365. Lebowitz, M. A. (2016). What Is Socialism for the Twenty-First Century? [online] Monthly Review. ხელმისაწვდომია: <https://monthlyreview.org/2016/10/01/what-is-socialism-for-the-twenty-first-century/> [მომიებულია 17 აპრ. 2017].
366. Lee, B. & Renwick, D. (2018). The Organization of American States. [online] Council on Foreign Affairs. ხელმისაწვდომია: <https://www.cfr.org/background/organization-american-states> [მომიებულია 18 ოქტ. 2018].
367. Lefebvre, S. (2013). UNASUR Statement on Interference with Bolivian Presidential Plane Over Snowden. [online] Center for Economic and Policy Research. ხელმისაწვდომია: <http://cepr.net/blogs/the-americas-blog/unasur-statement-on-interference-with-bolivian-presidential-plane-over-snowden> [მომიებულია 16 სექ. 2018].
368. Mangipano, J. J. (2017). William Walker and the Seeds of Progressive Imperialism: The War in Nicaragua and the Message of Regeneration, 1855-1860. [PDF] The University of Southern Mississippi. ხელმისაწვდომია: <https://aquila.usm.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2406&context=dissertations> [მომიებულია 26 დეკ. 2018].
369. McCoy, J. (n.d.). Venezuela: Leading a New Trend in Latin America? [online] ReVista: Harvard Review of Latin America. ხელმისაწვდომია:

<https://revista.drclas.harvard.edu/book/venezuela-leading-new-trend-latin-america>
[მოძიებულია 20 ნოე. 2018].

370. Miamiherald.com, (2012). Brazil helps Venezuela join regional trade bloc Mercosur, but not without ruffling feathers. [online] The Miami Herald. ხელმისაწვდომია: <https://www.miamiherald.com/latest-news/article1941116.html>
[მოძიებულია 20 ნოე. 2017].

371. Moniz Bandeira, L.A. (16/05/2005). ¿América latina o Sudamérica?. Clarín. Retrieved from https://www.clarin.com/ediciones-antiores/america-latina-sudamerica_0_BkHMQbYJCYl.html

372. Nationalgeographic.org, (n.d.). Dec 22, 1992 CE: Archives of Terror Discovered. [online] National Geographic. ხელმისაწვდომია: <https://www.nationalgeographic.org/thisday/dec22/archives-terror-discovered/>
[მოძიებულია 1 ივნ. 2017].

373. Nejamkis, G. & Flor, A. (2012). Mercosur welcomes Venezuela, suspends Paraguay. [online] Reuters. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/article/us-mercosur-idUSBRE85S1JT20120630>
[მოძიებულია 24 სექ. 2017].

374. Nix, E. (2014). 7 Fascinating Facts About the Panama Canal. [online] History. ხელმისაწვდომია: <https://www.history.com/news/7-fascinating-facts-about-the-panama-canal> [მოძიებულია 31 დეკ. 2018].

375. Norton, Ben. “Documents Detail US Complicity in Operation Condor Terror Campaign”. (8 May, 2015). Ben Norton. [მოძიებულია 7 იან. 2016]. <http://bennorton.com/documents-detail-us-complicity-in-operation-condor-terror-campaign/>

376. Norton, Ben. “Victims of Operation Condor, by Country”. (28 May, 2015). Ben Norton. მოძიებულია 7 იანვარს, 2016. <http://bennorton.com/victims-of-operation-condor-by-country/>

377. Nytimes.com, (1936). LEAGUE OF NATIONS IN AMERICAS URGED BY 3 LATIN STATES; This Is One of Suggestions in the 17 Favorable Replies to

- Roosevelt's Parley Project. [online] The New York Times. ხელმისაწვდომია: <https://www.nytimes.com/1936/04/13/archives/league-of-nations-in-americas-urged-by-3-latin-states-this-is-one.html> [მოდებულის 10 ივნ. 2015].
378. O'Boyle, B. (2015). Explainer: What is CELAC? [online] Americas Society (AS) / Council of the Americas (COA). ხელმისაწვდომია: <https://www.as-coa.org/articles/explainer-what-celac> [მოდებულის 14 სექ. 2017].
379. Oré, D. & Cawthorne, A. (2017). Venezuela's Maduro decried as 'dictator' after congress annulled. [online] Reuters. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/article/us-venezuela-politics-idUSKBN17122M> [მოდებულის 20 ნოვ. 2018].
380. Padgett, T. (2011). Latin America's CELAC Summit: A Definitive Rejection of the U.S.? [online] Time. ხელმისაწვდომია: <http://world.time.com/2011/12/02/latin-americas-celac-summit-a-definitive-rejection-of-the-u-s/> [მოდებულის 14 სექ. 2017].
381. Pasquariello Mariano, K., Nitsch Bressan, R., & Luciano, B. Th. (2017). A comparative reassessment of regional parliaments in Latin America: Parlasur, Parladino and Parlatino. [online] Revista Brasileira de Política Internacional (Vol. 60. No. 1). ხელმისაწვდომია: http://www.scielo.br/scielo.php?script=sci_arttext&pid=S0034-73292017000100207 [მოდებულის 9 აპრ. 2017].
382. Perez Gimenez, F. (2006). Indoamerica segun Victor Raul Haya de la Torre. ხელმისაწვდომია: <http://nodulo.org/ec/2008/n080p12.htm> [მოდებულის: 23 მაი, 2020].
383. Pilger, J. (2013). Forcing down Evo Morales's plane was an act of air piracy. [online] The Guardian. ხელმისაწვდომია: <https://www.theguardian.com/commentisfree/2013/jul/04/forcing-down-morales-plane-air-piracy> [მოდებულის 17 სექ. 2018].

384. Plummer, R. (2013). Alba alliance ambitions lay bare Latin trade confusion. [online] BBC News. ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.com/news/business-23515979> [მომიებულია 24 სექ. 2017].
385. Pons, C. (2017). Venezuela 2016 inflation hits 800 percent, GDP shrinks 19 percent: document. [online] Reuters. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/article/us-venezuela-economy/venezuela-2016-inflation-hits-800-percent-gdp-shrinks-19-percent-document-idUSKBN154244> [მომიებულია 5 ივნ. 2018].
386. Prebisch, R. (1963). Hacia una dinámica del desarrollo latinoamericano. [PDF] Economic Commission for Latin America and Caribbean. ხელმისაწვდომია: https://repositorio.cepal.org/bitstream/handle/11362/14230/S33898P922H_es.pdf?sequence=1 [მომიებულია 24 აპრ. 2018].
387. Rajagopalan, M. (2015). China's Xi woos Latin America with \$250 billion investments. [online] Reuters. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/article/us-china-latam/chinas-xi-woos-latin-america-with-250-billion-investments-idUSKBN0KH06Q20150108> [მომიებულია 1 სექ. 2017].
388. Ramírez, S. (2013). Regionalism: The Pacific Alliance. [online] Americas Quarterly. ხელმისაწვდომია: <https://www.americasquarterly.org/content/regionalism-pacific-alliance> [მომიებულია 17 სექ. 2014].
389. Reuters.com, (2016). Venezuela decries Mercosur 'coup' after trade bloc suspension. [online] Reuters. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/article/us-venezuela-mercosur/venezuela-decries-mercosur-coup-after-trade-bloc-suspension-idUSKBN13R1YM?il=0> [მომიებულია 22 სექ. 2017].
390. Reuters.com, (2013). Factbox: Quotes from Venezuelan Leader Hugo Chavez. ხელმისაწვდომია: <https://www.reuters.com/article/us-venezuela-chavez-quotes/factbox-quotes-from-venezuelan-leader-hugo-chavez-idUSBRE92418R20130305> [მომიებულია 24 მაი. 2020].

391. Riggirozzi, P., Cooper, A. F., Páez Montalbán, R., & Stuenkel, O. (2015). Re-Thinking the OAS: A Forum. [online] Americas Quarterly. ხელმისაწვდომია: <https://www.americasquarterly.org/content/re-thinking-oas-forum> [მოდირებულია 13 ნოე. 2016].
392. Rojas-Suarez, L. (2017). Latin America in a New Global Political and Economic Scenario: What Does It Mean for the Region? [online] Center for Global Development. ხელმისაწვდომია: <https://www.cgdev.org/publication/latin-america-new-global-political-and-economic-scenario-what-does-it-mean-region> [მოდირებულია 14 მაი. 2017].
393. Sánchez, F. (2017). Macri y Vargas Llosa alientan la integración de América Latina ante la nueva era. [online] El País. ხელმისაწვდომია: https://elpais.com/internacional/2017/02/23/actualidad/1487872088_682376.html [მოდირებულია 5 აპრ. 2018].
394. Schmidt, P. (2017). Mercosur. [online] Oxford Public International Law. ხელმისაწვდომია: <http://opil.ouplaw.com/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e655> [მოდირებულია 31 იან. 2017].
395. Sullivan, K., & Jordan, M. (2004). In Central America, Reagan Remains A polarizing Figure. [online] The Washington Post. ხელმისაწვდომია: <http://www.washingtonpost.com/wp-dyn/articles/A29546-2004Jun9.html> [მოდირებულია 10 ივნ. 2017].
396. Taylor, G. (2011). CELAC Launch Underlines Regional Cohesion Against U.S. [online] World Politics Review. ხელმისაწვდომია: <https://www.worldpoliticsreview.com/trend-lines/10857/celac-launch-underlines-regional-cohesion-against-u-s> [მოდირებულია 14 სექ. 2017].
397. Telegraph.co.uk, (2013). Latin American countries call summit over diversion of Evo Morales's plane. [online] The Telegraph. ხელმისაწვდომია: <https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/southamerica/bolivia/10158924/Latin->

American-countries-call-summit-over-diversion-of-Evo-Moraless-plane.html

[მომიებულია 16 სექ. 2018].

398. Telesurtv.net, (2015). Bolivar's Jamaica Letter and Latin America-Caribbean Ties. [online] teleSUR. ხელმისაწვდომია:

<http://www.telesurtv.net/english/analysis/Bolivars-Jamaica-Letter-and-Latin-America-Caribbean-Ties-20150901-0023.html> [მომიებულია 31 დეკ. 2015].

399. THE AMERICAS: Operation Pan American. (1958, June 30). TIME. Retrieved from <http://content.time.com/time/magazine/article/0,9171,891915,00.html>

400. THE AMERICAS: The Testing of the OAS. (1960, August 22). TIME. Retrieved from <http://content.time.com/time/magazine/article/0,9171,869814,00.html>

401. The Testing of The OAS. (1960). [online] Time. ხელმისაწვდომია: <http://content.time.com/time/magazine/article/0,9171,869814,00.html> [მომიებულია 4 აპრ. 2017].

402. Time.com, (1958). The Americas; Operation Pan America. [online] ხელმისაწვდომია: <http://content.time.com/time/magazine/article/0,9171,891915,00.html> [მომიებულია 13 ნოე. 2016].

403. Tornaghi, C. (2018). Pacific Alliance and Mercosur start plans for free trade agreement. [online] Latin Finance. ხელმისაწვდომია: <https://www.latinfinance.com/web-articles/2018/7/pacific-alliance-and-mercotur-start-plans-for-free-trade-agreement> [მომიებულია 17 დეკ. 2018].

404. Tricot, T. (2013). The CIA's "Operation Condor": Dirty War, Death Squads and The Disappeared. [online] ხელმისაწვდომია: <https://counterinformation.wordpress.com/2017/01/23/the-cias-operation-condor-latin-americas-dirty-war-death-squads-and-the-disappeared/> [მომიებულია 4 დეკ. 2014].

405. Un.org, (2015). Argentina Enjoys Widespread Support over Question of Falkland (Malvinas) as Fourth Committee Begins Debate on Decolonization Matters.

[online] The United Nations. ხელმისაწვდომია:

<https://www.un.org/press/en/2015/gaspd580.doc.htm> [მომიებულია 17 სექ. 2018].

406. United Nations Statistics Division. (2007). M49 Standard: Geographical regions. Retrieved from <https://unstats.un.org/unsd/methodology/m49/>

407. Ustr.gov, (n.d.). CAFTA – DR (Dominican Republic – Central America FTA). [online] Office of the United States Trade Representative. ხელმისაწვდომია:

<https://ustr.gov/trade-agreements/free-trade-agreements/cafta-dr-dominican-republic-central-america-fta> [მომიებულია 27 დეკ. 2018].

408. VENEZUELA: Trujillo's Murder Plot. (1960, July 18). TIME. Retrieved from <http://content.time.com/time/magazine/article/0,9171,869601,00.html>

409. Venezuela: Trujillo's Murder Plot. (1960). [online] Time.

ხელმისაწვდომია:

<http://content.time.com/time/magazine/article/0,9171,869601,00.html> [მომიებულია 4 აპრ. 2017].

410. Venezuelanalysis.com, (2010). Latin American & Caribbean Summit Calls for Unity and Integration. [online] Venezuelanalysis.com. ხელმისაწვდომია: <https://venezuelanalysis.com/news/5154> [მომიებულია 14 სექ. 2017].

411. Villarreal, M. A. (2016). The Pacific Alliance: A Trade Integration Initiative in Latin America. [PDF] Federation of American Scientists.

ხელმისაწვდომია: <https://fas.org/sgp/crs/row/R43748.pdf> [მომიებულია 22 ივლ. 2017].

412. Worldtradelaw.com, (n.d.). Central American Economic Integration (CACM) Free Trade Agreement. [PDF] World Trade Law. ხელმისაწვდომია:

<http://www.worldtradelaw.net/fta/agreements/cacmfta.pdf.download#page=1> [მომიებულია 11 მაი. 2017].

413. Young, R. (1962, February 15). O.A.S. Expels Cuba After Delegate Stalks Out. Chicago Daily Tribune. Retrieved from

<http://archives.chicagotribune.com/1962/02/15/page/8/article/o-a-s-expels-cuba-after-delegate-stalks-out>

414. გოგინავა, ბ. (2016). აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ასპექტები ლათინური ამერიკის ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ. პოლიტიკა კავკასიის ორგანიზაცია. ხელმისაწვდომია: http://press.tsu.ge/data/file_db/konference/printk.pdf

დანართი 1

ელექტრონული ინტერვიუ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან არგენტინის რესპუბლიკაში, ირაკლი ყურაშვილთან

1. დიპლომატიური თვალსაზრისით, რამდენად მნიშვნელოვანია დღეს საქართველოსთვის ლათინურ ამერიკასთან ახლო ურთიერთობები და რატომ?

საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები ლათინური ამერიკის არაერთ ქვეყანასთან ჯერ კიდევ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში დაამყარა (არგენტინა - 1992 წ., ჩილე - 1993 წ., ურუგვაი - 1994 წ., ეკვადორი 1998 წ. და ა.შ.), ხოლო ზოგთან - გაცილებით გვიან (მაგალითად, პარაგვაი - 2010 წ.), მაგრამ საქართველოს საგარეო პოლიტიკის აქტიური დღის წესრიგის ნაწილი ლათინური ამერიკის რეგიონი უფრო მოგვიანებით გახდა, კერძოდ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა და შეეცადა, სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ზეწოლის გზით მიეღწია, რომ მსოფლიოს მთელ რიგ, მათ შორის ლათინური ამერიკის ქვეყნებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა ელიარებინათ. ვენესუელისა და ნიკარაგუის მხრიდან აღიარების უარყოფითმა პრეცედენტებმა საქართველოს ლოგიკურად უბიძგა, რომ მის მიერ შემუშავებული არაღიარების პოლიტიკის გლობალურ არეალში ლათინური ამერიკის რეგიონი მოქცეულიყო. შესაბამისად, გადაწყდა, რომ ლათინური ამერიკის 4 ქვეყანაში ეტაპობრივად გახსნილიყო დიპლომატიური მისიები (მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა, კუბა), ხოლო რეგიონის სხვა ქვეყნებთან, რომლებთანაც უკვე დამყარებული გვქონდა დიპლომატიური ურთიერთობები, მომხდარიყო დიპლომატიური გადაფარვა.

თავიდან ლათინური ამერიკის რეგიონში გახსნილი საელჩოების მთავარ მისიად სწორედ ოკუპირებული რეგიონების ე.წ. აღიარების პრევენცია მოიაზრებოდა, რაშიც ქართულმა დიპლომატიამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, თუმცა მოგვიანებით გამოიკვეთა სხვადასხვა სფეროში (პოლიტიკა, კულტურა, ვაჭრობა და ეკონომიკა) ორმხრივი ურთიერთობების განვითარების პოტენციალი და პერსპექტივები.

2. რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ლათინური ამერიკის რეგიონის შესწავლა და რატომ?

ლათინური ამერიკის ქვეყნებს შედარებით ახალგაზრდა ისტორია აქვთ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბევრმა მათგანმა სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების ხანგრძლივი და არათუ მარტივი, პირიქით, ხშირად მტკივნეული გზა გაიარა, რაც განპირობებული იყო როგორც სხვადასხვა შიდა, ისე გარეშე ფაქტორით. აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის საინტერესო უნდა იყოს ამ რეგიონის ცალკეული ქვეყნების ისტორიული გამოცდილება როგორც პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი, ისე სოციალური და ეკონომიკური სისტემების განვითარებისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. ამ კონტექსტში ნამდვილად საყურადღებო და საინტერესოა ისეთი ქვეყნების ისტორიული გამოცდილება, როგორც არგენტინა, ჩილე, ურუგვაი და ა.შ.

3. თქვენი აზრით, რა განაპირობებს ლათინური ამერიკის შესახებ საქართველოში არსებულ ცნობიერების დაბალ დონეს?

საქართველოს დღემდე არასაკმარისად ან მინიმალურად გამოიყენება ადამიანური და ინტელექტუალური რესურსები, მათ შორის აკადემიური წრეების სახით, რომელიც ლათინური ამერიკის შესწავლისკენ არის მიმართული და ხელს უწყობს მსოფლიოს ამ რეგიონის ცნობადობის გაზრდას ქართულ საზოგადოებაში. ამის გარდა, დიპლომატიური ურთიერთობების არსებობისა და ბოლო წლებში ცალკეულ სახელმწიფოებთან ორმხრივ ურთიერთობებში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ლათინური ამერიკის ქვეყნები დიპლომატიურ დონეზე არცთუ აქტიურად არიან წარმოდგენილი საქართველოში. დღესდღეობით საელჩო თბილისში მხოლოდ ბრაზილიას აქვს მაშინ, როცა სხვა ქვეყნები დიპლომატიურ გადაფარვას საქართველოს მეზობელი თუ ევროპის ქვეყნების დედაქალაქებიდან ახორციელებენ. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ თუ ლათინური ამერიკის მეტ ქვეყანას ექნება საქართველოში საელჩო, კიდევ უფრო მჭიდრო და აქტიური გახდება ორმხრივი კავშირ-ურთიერთობები, რადგან, როგორც ცნობილია, დიპლომატიური

მისიების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციასა და მისიას თავიანთი ქვეყნებისა და კულტურის პოპულარიზაცია წარმოადგენს.

4. როგორ არის შესაძლებელი, რომ ქართველ ახალგაზრდებს ლათინური ამერიკის შესწავლის ინტერესი გაეზარდოთ?

დღესდღეობით შესაბამისი რესურსების ნაკლებობის პირობებში ქართველ ახალგაზრდებს ნამდვილად დაეხმარება სხვადასხვა თემატური ღონისძიება, როგორცაა სემინარები, ვებინარები, კონფერენციები და ა.შ. ასევე, ჩემი აზრით, ეფექტური და შედეგიანი იქნება სპეციალური, თემატური ვებ-პორტალის შექმნა, სადაც განთავსდება როგორც ძირითადი, ფუნდამენტური ხასიათის მონაცემები ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიის, პოლიტიკის, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების შესახებ, ისე მუდმივად განახლებადი ინფორმაცია რეგიონში მიმდინარე პროცესებზე და საინტერესო თემატური ბლოგები. ამასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს ორენოვანი (ქართული, ესპანური) ან სამენოვანი (ქართული, ესპანური, პორტუგალიური) პორტალი, სადაც პერიოდულად ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოღვაწე ავტორების სტატიები და სხვა მასალებიც შეიძლება გამოქვეყნდეს.

5. რა პერსპექტივები არსებობს საქართველო-ლათინური ამერიკის სამომავლო ურთიერთობებში?

პერსპექტივები მართლაც არსებობს და ზოგადად მიმოვიხილავ იმ ქვეყნებთან (არგენტინა, ჩილე, ურუგვაი, პარაგვაი, ეკვადორი და ბოლივია) ურთიერთობების ძირითად მიმართულებებს, სადაც აკრედიტებული ვარ. აქტიურად მიმდინარეობს პოლიტიკური თანამშრომლობა, შედგა მაღალი დონის რამდენიმე ვიზიტი. მაგალითად, 2019 წლის მარტში არგენტინასა და ურუგვაიში შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის ოფიციალური ვიზიტი, რომელმაც საქართველოსა და ლათინური ამერიკის ამ ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში (პოლიტიკა, ეკონომიკა, ვაჭრობა, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ურთიერთქმედება და სხვა) თანამშრომლობის დღის წესრიგი მოიცვა.

მანამდე, 2018 წლის ნოემბერში ასევე არგენტინასა და ურუგვაის სამუშაო ვიზიტით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი სტუმრობდა. 2019 წლის დეკემბერში, არგენტინის ახლადარჩეული პრეზიდენტის ალბერტო ფერნანდესის ინიციატივით საქართველოს ოფიციალურად წარმოადგენდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნათია სულავა. ამასთან, 2019 წლის აპრილში ეკვადორში განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვახტანგ მახარობლიშვილის სამუშაო ვიზიტი, რამაც ახალი იმპულსი შესძინა ორ ქვეყანას შორის არაერთი მიმართულებით ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას. ამ ვიზიტის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგია თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც გასულ წელსვე ხელი მოაწერეს ეკვადორის ეკონომიკის სამინისტრომ და „წარმოე საქართველომ“.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ არგენტინის კონკრეტულ პროვინციებთან თანამშრომლობის განვითარებას. 2018 წელს გავაფორმეთ ღვინის წარმოებით ცნობილ მენდოსას პროვინციასთან თანამშრომლობის მემორანდუმი. არგენტინასთან ორმხრივი ურთიერთობების კონტექსტში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია გასული წლის ნოემბერში ტურიზმის სფეროში ხელმოწერილი მემორანდუმი. ამის გარდა, არგენტინაში საქართველოს საელჩოს ძალისხმევით, ბოლო წლების განმავლობაში კულტურული ხასიათის არაერთი ღონისძიება მოეწყო ბუენოს-აირესსა და მონტევიდეოში, რაც საქართველოსა და ქართული კულტურის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. ბოლო წლებში ყველა ამ ქვეყნის აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების შტოებთან ვამყარებდით აქტიურ და ინტენსიურ კონტაქტებს, რაც, იმედი მაქვს, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გაუქმების შემდეგაც გაგრძელდება, რადგანაც შესანიშნავ წინაპირობას ქმნის იმისათვის, რომ ორმხრივი კავშირ-ურთიერთობები მთელ რიგ სფეროებში (ეკონომიკა, კულტურა, განათლება და ა.შ.) განვავითაროთ.

6. უნდა ეთმობოდეს თუ არა მეტი ადგილი ლათინური ამერიკის შესწავლას თანამედროვე ქართულ აკადემიურ სივრცეში და რატომ?

ლათინური ამერიკის სახით საქმე გვაქვს ძალიან მრავალფეროვან რეგიონთან. ერთი მხრივ, ქვეყნების უმრავლესობას აერთიანებს ისტორიული კონტექსტი: ევროპული სახელმწიფოების (ესპანეთი, პორტუგალია) ექსპანსიის შემდეგ დაწყებული ხანგრძლივი ევოლუცია და ტრანსფორმაცია, უმეტეს შემთხვევაში საერთო ენა - ესპანური (ბრაზილიისა და ზოგიერთი ქვეყნის გარდა) და რელიგია. ამავე დროს, თითოეულ ქვეყანას მეტნაკლებად განსხვავებული განვითარების ისტორია აქვს. დღესდღეობით საინტერესო და მიზანშეწონილია განვიხილოთ არა მხოლოდ ცალკე, ინდივიდუალურად აღებული ქვეყნები, არამედ რეგიონული კონტექსტიც გავითვალისწინოთ. რამდენიმე ქვეყანა (მაგ; ბრაზილია, არგენტინა, ჩილე და სხვები) მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონულ და გლობალურ, მსოფლიო დონეზე. გასათვალისწინებელია, რომ ფუნქციონირებს რამდენიმე რეგიონული ბლოკი/გაერთიანება (მათ შორის MERCOSUR-ი და „წყნარი ოკეანის ალიანსი“), რომლებისთვისაც პრიორიტეტს წარმოადგენს დანარჩენ მსოფლიოსთან აქტიური თანამშრომლობის განვითარება და ხელშეწყობა. ამ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას MERCOSUR-სა და ევროკავშირს შორის გასულ წელს მიღწეულ შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. პოზიტიური დღის წესრიგის გარდა, რეგიონი ბევრი სერიოზული გამოწვევის წინაშეც დგას. პირველყოვლისა, უნდა გამოვყოთ ვენესუელის კრიზისი, რომელთან მიმართებითაც საქართველოს, პარტნიორ ქვეყნებთან სრულ თანხვედრაში, მკაფიო პოზიცია უკავია, რაც იმაში გამოიხატება, რომ 2019 წლის იანვრიდან დროებით ლეგიტიმურ პრეზიდენტად ნიკოლას მადუროს რეჟიმთან დაპირისპირებულ ხუან გუაიდოს ვადიარებთ.

ვენესუელის გარდა, უნდა გავითვალისწინოთ რეგიონისთვის დამახასიათებელი ის მუდმივი დინამიკა და ცვალებადობა, რასაც ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარე შიდაპოლიტიკური პროცესები განაპირობებს. დღესდღეობით რეგიონში ინტეგრაციულ პროცესებს აფერხებს ის გარემოება, რომ ტრადიციულად ერთმანეთთან ანტაგონიზმში იმყოფებიან სხვადასხვა ქვეყნის სათავეში მყოფი მემარჯვენე-ცენტრისტული და მემარცხენე-ცენტრისტული ძალები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, რომ დღეისათვის ლათინური ამერიკა გლობალური სამყაროს განუყოფელი ნაწილია და ამ რეგიონში მიმდინარე

პროცესების ისევე, როგორც ისტორიისა და თანამედროვე რეალობის გაცნობა, გააზრება და მასზე მუდმივი თვალყურის დევნება მართლაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

დანართი 2

ელექტრონული ინტერვიუ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტმენტის დირექტორ გვარამ ხანდამაშვილთან

1. საერთაშორისო ურთიერთობის თვალსაზრისით, რა ადგილი უჭირავს დღეს ლათინურ ამერიკას საქართველოს საგარეო პოლიტიკაში?

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან მეგობრული და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ჩამოყალიბება წარმოადგენს. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში კი ლათინური ამერიკის ქვეყნები წონიან მოთამაშეებს და აქტორებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით საქართველოს საგარეო პოლიტიკაში აშკარად დომინირებს ტრადიციული მიმართულებები, მათ შორის ევროპა, აშშ და, გარკვეულწილად ახლო აღმოსავლეთიც, საქართველო განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ლათინურ ამერიკასთან სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების გაღრმავებას. ამ მიმართულებით პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალი დონის ორმხრივი პოლიტიკური დიალოგის წარმოება, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა, რეგიონში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება სხვადასხვა სახის კულტურული პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელების გზით.

ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების დაცვა და განმტკიცება წარმოადგენს. ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ლათინური ამერიკის რეგიონის ორი სახელმწიფო ოფიციალურად უარყოფს, არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ვენესუელა და ნიკარაგუა, ოკუპანტი ქვეყნის მსგავსად, აფახაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობას სცნობენ. ეს გარემოება ლათინურ ამერიკას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს საქართველოსთვის, როგორც არაღიარების პოლიტიკის

შემდგომი განმტკიცებისა და კონსოლიდაციის, ისე საქართველოს დეოკუპაციის კუთხით.

საქართველო აქტიურად იყენებს ლათინური ამერიკის რეგიონში არსებულ მრავალმხრივ ფორმატებსაც. საქართველოს ამ მიმართულებით საკმაოდ ქმედითი ინსტრუმენტები აქვს, რადგანაც ის არის ცენტრალური ამერიკის ინტეგრაციის სისტემის (SICA) დამკვირვებელი ქვეყანა, აკრედიტებულია კარიბეთის გაერთიანებაში (CARICOM) და სარგებლობს დამკვირვებლის სტატუსით ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციასა (OAS) და წყნარი ოკეანეთის ალიანსში (Pacific Alliance).

ცალკე აღნიშვნის ღირსია საპარლამენტთაშორისო ურთიერთობები საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებს შორის. საქართველოს პარლამენტში, ისევე როგორც ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში, მოქმედებს საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფები. საპარლამენტო დიპლომატია ერთმნიშვნელოვნად ხელს უწყობს არსებული კავშირების შემდგომ გამყარებას.

2. რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ლათინური ამერიკის რეგიონის შესწავლა და რატომ?

საქართველოსთვის ლათინური ამერიკის სიღრმისეულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, რომ ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი ვრცელი გეოპოლიტიკური რეგიონია, რომელიც 30-ზე მეტ სუვერენულ სახელმწიფოს აერთიანებს. საგულისხმოა, რომ ამ სახელმწიფოებმა კოლონური პერიოდიდან მოყოლებული, განვითარების საკმაოდ რთული გზა განვლეს. დღესაც, რეგიონის ქვეყნების ნაწილი განაგრძობს სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს რაც დაკავშირებულია სხვადასხვა სფეროში მთელი რიგი რეფორმების გატარებასთან.

საქართველოსთვის რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების წარმართვისას აუცილებელია ამ ქვეყნების შიდა პოლიტიკური პროცესებისა და საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების სწორი აღქმა, რაც მხოლოდ მათი სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე მიიღწევა. გარდა ამისა, რეგიონში

რუსეთის აქტიურობის გათვალისწინებით, საჭიროა მუდმივად ხდებოდეს შესაძლო რისკების დროული შეფასება არაღიარების პოლიტიკის თვალსაზრისით.

3. თქვენი აზრით, რა განაპირობებს ლათინური ამერიკის შესახებ საქართველოში არსებულ ცნობიერების დაბალ დონეს?

შასაძლებელია რამდენიმე მთავარი ფაქტორის განსაზღვრა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის გეოგრაფიული სიშორე, რაც უდავოდ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს საქართველოსა და ლათინურ ამერიკაში ურთიერთცნობადობის ამაღლების კუთხით. არსებობს სხვა განმაპირობებელი ფაქტორებიც, კერძოდ ურთიერთობების არსებობის შედარებით ხანმოკლე პერიოდი, განსხვავებული ისტორიული წარსული და კულტურული მემკვიდრეობა.

4. როგორ არის შესაძლებელი, რომ ქართველ ახალგაზრდებს ლათინური ამერიკის შესწავლის ინტერესი გაეზარდოს?

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს კულტურული დიპლომატიის წარმართვის მიმართულებით. უკანასკნელი წლების განმავლობაში (განსაკუთრებით კი მოყოლებული 2010 წლიდან, როდესაც ლათინური ამერიკის რეგიონში საქართველოს პირველი დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა) ქართულ და რეგიონის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმებს, რომლებიც, გარდა სხვა ასპექტებისა, ითვალისწინებს გაცვლით პროგრამებს სხვადასხვა საფეხურზე მოსწავლე ახალგაზრდებისათვის. აგრეთვე, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური მისიების უშუალო ჩართულობით, საქართველოში ხშირად იმართება თემატური კულტურული ღონისძიებები (კინოს კვირეულები, საავტორო თუ თემატური გამოფენები). ყოველივე ეს ხელს უწყობს რეგიონისადმი ქართული საზოგადოების ინტერესის ზრდას.

5. რა პერსპექტივები არსებობს საქართველო-ლათინური ამერიკის სამომავლო ურთიერთობებში?

საქართველოსა და ლათინური ამერიკის რეგიონს შორის სამომავლო ურთიერთობებს დიდი პერსპექტივები აქვს. პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებასთან ერთად, რაც მნიშვნელოვანი მდგენელია ორმხრივ ურთიერთობებში, შესაძლებელია მთელი რიგი სფეროების გამოყოფა, რომლებსაც მნიშვნელოვანი სიკეთეების მოტანა შეუძლია ორივე მხარისათვის. საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაფართოება, ადგილობრივ ბაზარზე ქართული წარმოების პროდუქციის ექსპორტი, რეგიონიდან ინვესტიციებისა და ტურისტების მოზიდვა და ა.შ. ლათინური ამერიკის რეგიონის მრავალი ქვეყნისათვის საინტერესოა საქართველოს გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა სფეროში რეფორმების გატარების, კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, ღია და ელექტრონული მმართველობის დანერგვისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების კუთხით. ნიშანდობლივია, რომ სახალხო დიპლომატიას სულ უფრო თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ორმხრივ ურთიერთობებში და ეს მიმართულება პრიორიტეტულად დარჩება საქართველოსა და რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობაში. ორმხრივ თანამშრომლობასთან ერთად, აღსანიშნავია რეგიონულ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობა და ურთიერთმხარდაჭერა ქვეყნებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. საერთაშორისო ფორუმებზე რეგიონულ თუ გლობალურ პრობლემატიკასა და გამოწვევებზე პოზიციების შეჯერებასა და კოორდინაციას მზარდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ გამოწვევებით აღსავსე მსოფლიოში. ამრიგად, საქართველოსა და ლათინური ამერიკის რეგიონს შორის ურთიერთობების შემდგომ განვითარებას დიდი პოტენციალი აქვს.

6. უნდა ეთმობოდეს თუ არა მეტი ადგილი ლათინური ამერიკის შესწავლას თანამედროვე ქართულ აკადემიურ სივრცეში და რატომ?

თანამედროვე პერიოდში ლათინური ამერიკის რეგიონის შესწავლას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შედარებით


ნაკლები ყურადღება ენიჭება. ისეთი სამეცნიერო დისციპლინები, როგორებიცაა საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკის მეცნიერება და რეგიონთმცოდნეობა აუცილებელად უნდა სთავაზობდნენ მომავალ სპეციალისტებს ლათინური ამერიკის შესახებ საგანთა ფართო არჩევანს. ხსენებულის თქმის საფუძველს მაძლევს რეგიონის მზარდი მნიშვნელობა და პოტენციური თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში.

დანართი 3

ელექტრონული გამოკითხვის შედეგები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან


1. საკმარისი ადგილი ეთმობა თუ არა ლათინურ ამერიკას თქვენი უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სასწავლო პროგრამაში?

- *გამოკითხულთა რაოდენობა: 49*



2. რამდენად იქნებოდით დაინტერესებული ამერიკისცმოდნეობის პროგრამაში ლათინური ამერიკის უფრო ღრმად შესწავლით? (1 = არ ვარ დაინტერესებული, 5 = ძალიან დაინტერესებული)

- გამოკითხულთა რაოდენობა: 49



3. თქვენი აზრით, რამდენად არის საჭირო საქართველოში საუნივერსიტეტო დონეზე არსებობდეს ლათინური ამერიკისმცოდნეობის ძირითადი ან მეორადი სპეციალობა? (1 = არ არის საჭირო, 5 = აუცილებელია)

- გამოკითხულთა რაოდენობა: 49

